

თანამედროვე
ზოგადი და მათემატიკური
ენათმეცნიერების საკითხები

II

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1967

წინამდებარე კრებულში. ისევე როგორც ამავე სათაურით გამოხატულ პირველ კრებულში (1966 წ.), მოთავსებული შრომები ეხება თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების რიგ აქტუალურ საკითხს. პირველი სამი ნაშრომი (არნ. ჩიქობავასი, თ. შარაშენიძისა, მ. შაჰვარიაშვილი) წარდგენილია მოსახსენებლად ენათმეცნიერთა X საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც მიმდინარე წლის 28. VIII—3. IX ეწყობა. ბიძ. ფონხუასა და ირ. რამიშვილის სტატიებში მოცემულია XX საუკუნის ენათმეცნიერო მიმდინარეობის (კ. ფოსლერის ნეო-ფილოლოგიისა და კოპენჰაგენის ენათმეცნიერო სკოლის) ძირითად დებულებათა ანალიზი. ხოლო სამი დანარჩენი წერილი (ლ. ენუქიძისა, გ. კვარაცხელიასი და ი. ქობალაძისი) წარმოგვიდგენს მათემატიკური და სტრუქტურული მეთოდების ქართული ენის მასალაზე გამოყენების ცდას. კრებული ნაკარაუდევია ენათმეცნიერების თეორიითა და ენათა კვლევის მეთოდებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

პრ. ჩიქობავა

ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება
ენის შესახებ

ენის ფილოსოფიაში ამჟამად ყველაფერი დინებაშიაო, წერდა ერთი უცხოელი ავტორი 1953 წელს¹.

ეგვევ ითქმის თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ. აქაც შეინიშნება დიდი სხვაობა თეორიულ საკითხთა გაგებაში, როგორცაა, მაგალ. ენის რაობისა და ენათმეცნიერების მეთოდების საკითხი, დარგობლივი შექმნა-გენლობისა და დარგთა ურთიერთობის საკითხი, ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების სპეციფიკის საკითხი... უდაოდ ისიც კი არ ითვლება, ენათმეცნიერების კვლევის საგანი რამდენად არის „ბუნებრივი ენა“...

ამგვარი ვითარების შექმნაში საკმაო წილი უდევს ფილოსოფიას: ზოგადი ენათმეცნიერება ჩვეულებრივ მეტს ანგარიშს უწევდა და უწევს ფილოსოფიურ (თუ ფსიქოლოგიურ) მიმდინარეობათა ცვლა-განვითარებას, ვინემ კონკრეტული ენობრივი მასალის კვლევა-ძიების შედეგთა განზოგადებას.

სხვაობათა საილუსტრაციოდ ზედმეტი არ იქნება დავასახელოთ მთავარი ამ სადაო საკითხებში:

1. ენა, როგორც ნიშანთა სისტემა და როგორც სტრუქტურა... ენობრივი ნიშნის რაობა და ადგილი ნიშანთა საწყაროში... ენობრივი ნიშნის პირობითი თუ უპირობო ხასიათი...
2. ენის ფუნქციები: ინდივიდუალური, საკომუნიკაციო თუ ობიექტივაციისა? აზროვნებასთან მიმართება: აზროვნების იარაღი და ურთიერთობის საშუალება თუ მარტოდენ ურთიერთობის საშუალება (აზროვნებასთან მიმართების გამორიცხვა-უარყოფით): მენტალიზმი თუ ანტიმენტალიზმი?
3. ენის არსებობის რეალურობა: ფიზიოლოგიური, ფსიქო-ფიზიკური, სოციალური?
4. დინამიკა თუ სტატიკა? დინამიკაში: შინაგანი განვითარება და გარეგანი გავლენა, მათი ხვედრი წონა და ურთიერთობა ენის ევოლუციაში... დივერგენციისა და კონვერგენციის პროცესთა ურთიერთობა და შედეგები... ამასთან დაკავშირებით სუბსტრატისა და სუპერსტრატის ადგილი ენის ისტორიის კვლევისას...
5. ამავე ხაზით: ცნება „მონათესავე ენებისა“ და „ფუძე-ენისა“; უკანასკნელი

¹ H. H. Holz, Sprache und Welt. Probleme der Sprachphilosophie, Frankfurt/Main, 1953, წინასიტყვაობა.

როგორც რეგულატიური ცნება თუ როგორც რეალურად აღდგენადი ენობრივი ოდენობა...

ცნებები: „ენათა ოჯახი“ თუ „ენათკავშირი“... ისტორიულ-შედარებითი მეთოდი თუ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი?

6. ენის ძირითადი ერთეულები: ბგერა-სიტყვა-შესიტყვება (ფონემა-ლექსემა-სინტაქსა) თუ ფონემა-მორფემა-სემანტემა... პლერემა-სენემა...
7. რა დარგები შეისწავლიან ენის ძირითად ერთეულებს და რა თვალსაზრისით... ბგერა და ფონემა, ფონეტიკა და ფონოლოგია — მათი ურთიერთობა.
8. არის თუ არა ფონეტიკა და სემასიოლოგია საკუთრივ ენათმეცნიერების დარგი ანუ: მიკროლინგვისტიკისა და მაკროლინგვისტიკის ურთიერთობის საკითხი...
9. სინქრონიისა და დიაქრონიის ურთიერთობა, სტრუქტურისა და ფუნქციის რაობა და ურთიერთობა (ეს შეიძლება ყველაზე მწვავე საკითხად მივიჩნიოთ).

საკუთრივ ლინგვისტური საკითხების მეტი წილი ისეთი ხასიათისაა, რომ ლოკალურ გადაწყვეტას, კერძობითს ამოხსნას არ ივუებს: პასუხი, რომელიც გაიცა ერთ საკითხზე, გულისხმობს რიგი სხვა საკითხის შესაბამის განმარტებას: ასე, მაგალ., დივერგენცია-კონვერგენციის გარკვეული გაგება განსაზღვრავს სუბსტრატ-სუპერსტრატის საკითხის შესაბამის განმარტებას, ფუძე-ენის საკითხის გარკვეულ გაგებას...

ასევე: ენის ძირითადი ერთეულების გარკვეული გაგება გულისხმობს ენათმეცნიერების დარგობლივი შედგენილობის საკითხის სათანადოდ გადაწყვეტას: ენათმეცნიერების თეორია არ შეიძლება არ იყოს სისტემური.

ენა რთული და მეტად თავისებური საზოგადოებრივი მოვლენაა, ენათმეცნიერებაც კომპლექსურ მენიერებულ რჩება: ამას განსაზღვრავს შესასწავლი ობიექტის ბუნება და თვისება..., რა მეთოდებითაც არ იკვლევდნენ ენას.

ენის ყოველმხრივი შესწავლა საჭიროებს ენის ფიზიკა-ფიზიოლოგიის, ენის ფსიქოლოგიის, ენის სოციოლოგიის დამუშავებას.

და მანინც: ძირითად ამოცანად რჩება — ენის შესწავლა სათანადო ისტორიულ სინამდვილესთან, კერძოდ, კულტურის ისტორიასთან კავშირში, ერთის მხრივ, აზრის კატეგორიასთან და აზროვნების ისტორიასთან მიმართებაში, მეორე მხრივ.

არც წინათ, არც ამჟამად ენათმეცნიერების არც ერთს მიმდინარეობას არაფერი გამოუვლენია ისეთი, რომ ენის შესწავლის უფრო მნიშვნელოვან აზრად მიეჩნია კაცს.

ჩვენ ნაეარაუდღევი გვაქვს ცალკე განვიხილოთ სადაო საკვანძო საკითხები, ზემოთ რომ ჩამოვთვალეთ...

აქ კი მსჯელობა გვექნება ორი საკითხის შესახებ, სადაც სხვაობა ისე შორს მიდის, რომ ენათმეცნიერების მთლიანობას კითხვის ქვეშ აყენებს. ეს საკითხებია: სინქრონია და დიაქრონია, ერთის მხრით, სტრუქტურა და ფუნქცია (ენის შესწავლაში), მეორე მხრით.

სინქრონია-დიაქრონიის ურთიერთობის საკითხი აღწერისა და ისტორიის ურთიერთობის საკითხს უდრის. მეთვრამეტე საუკუნე თუ ენის ფილოსოფიისა

იყო, მეცხრამეტეს ენის ისტორიისად თვლიდნენ: მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა მეცნიერება ენის შესახებ: მისი საფუძველი ენის ისტორია იყო... 3. პაულმა ტოლობის ნიშანი დასვა ენის მეცნიერულ შესწავლასა და ენის ისტორიას შორის: ენის მეცნიერული შესწავლა ესაა ენის ისტორიის შესწავლა, ენათმეცნიერება ენის ისტორიად იქნა გამოცხადებული: 3. პაულის ცნობილ შრომას, რომელიც 1880 წ. გამოვიდა, სათაურად აქვს: „პრინციპები ენის ისტორიისა“ („Prinzipien der Sprachgeschichte“) და ეს ნიშნავს: „ენათმეცნიერების პრინციპები“.

ენის მეცნიერული აღწერის საკითხი ძირითად საკითხთა შორის, ცხადია, ამ პირობებში ვერ აღმოჩნდებოდა... ისტორიულ ენათმეცნიერებას მოუგვარებელი დარჩა ენის სისტემის აღწერის საკითხი: მისი მეცნიერული აქტუალურობა არ დასაბუთებულა, მისი გადაწყვეტაც ისტორიულ ენათმეცნიერებას არ შეეძლო... ისტორიაა — ყველაფერი.

მეოცე საუკუნეში წინა რიგში აღწერა დადგა. ის ცდილობს დაიხმოს ისტორიის ადგილი: აღწერის — სინქრონიული ანალიზის — პრიმატი ფ. დესოსიურმა დაასაბუთა.

სინქრონიისა და დიაქრონიის დაპირისპირება გამოწვეულია ენისა და მეტყველების დაპირისპირებით. სისტემურობა მხოლოდ ენას ახასიათებსო. სისტემის შესწავლა ენაშილა შეიძლებაო.

ენა არსებობს მენსიერებაში, როგორც „დანალექი“ მეტყველების აქტებისა: ყველაფრისა, რაც დაგვამახსოვრდა გაკონილისა და ჩვენგან თქმულისაგან. ამდენად ენა მეორეულია მეტყველების აქტებთან შედარებით.

ენა ვლინდება მეტყველებაში, პირველ ყოვლისა, ბგერითს მეტყველებაში (ნაწერი ისევ მეტყველებას გადმოგვცემს). როცა ენას შეისწავლიან, ანალიზი კვლავ მეტყველებას მიმართავს (დამუწვებული ადამიანის მეტყველება შეუძლებელია დაკვირვების საგანად იქცეს, თუ მუნჯმა წერა არ იცის, ე. ი. თუ არ შეუძლია სხვა გზით მეტყველების რეალიზაცია-გამოვლინება).

ერთი სიტყვით, ენაში არა არის რა ისეთი, რაც წინეთ მეტყველებაში არ ყოფილიყო. „Nihil est in lingua, quod prius non fuerit in sermone.“

სისტემური ხასიათიც ენას არ აღმოაჩნდებოდა, თუ მეტყველების ფაქტებისათვის სისტემურობა უცხო იქნებოდა.

ენა და მეტყველება უნდა გაირჩეს, მაგრამ მათი დაპირისპირებისათვის საფუძველი არ არსებობს.

შესაბამისად უნდა გადაწყდეს სინქრონიისა და დიაქრონიის ურთიერთობის საკითხიც.

სინქრონიისა და დიაქრონიის დაპირისპირება უმართებულოა. ისტორია არ გამორიცხავს აღწერას და პირუქუ: აღწერა ვერ დაუპირისპირდება ისტორიას.

„ისტორიაც, აღწერაც“ შეიძლება გამოვიდეს მექანიკური შეერთება, თუ თითოეული მათგანის ადგილი და შემეცნებითი ღირებულება არ იქნება გათვალისწინებული. არა მექანიკური შეერთება, არამედ ორგანული კავშირი ისტორიულისა და აღწერითისა თითოეულის ხვედრი წონის გათვალისწინებით.

ისტორიულისა და აღწერითის ურთიერთობის გარკვევის წინაპირობად უნდა ვიგულისხმოთ მათი გარჩევა, და ამ გარჩეულ-განსხვავებულ ოდენობათა ურთიერთობის გამოვლენა.

აღწერითი თვალსაზრისის გარჩევას ისტორიულისაგან მოითხოვდნენ რუსული აღწერითი ენათმეცნიერების წარმომადგენლები ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში.

აღწერითი თვალსაზრისის პრიმატს — ისტორიულის წინაშე — პრინციპული საფუძველი მოუძებნა ფ. დე სოსიურმა: მხოლოდ აღწერით ენათმეცნიერებას აქვს ობიექტად ენა, როგორც სისტემა, ისტორიულ ენათმეცნიერებას კი ცალკეულ ენობრივ მოვლენებთან აქვს საქმე და არა მთლიანად ენასთან, ენის სისტემასთანაო.

ობიექტის უპირატესობა განსაზღვრავს აღწერითის უპირატესობას. მაგრამ იმავე ობიექტის ერთი თავისებურება საწინააღმდეგო დასკვნას გვიკარნახებს.

ენის სისტემა რომ უცვლელი იყოს, ისტორიული შესწავლის საკითხი მოიხსნებოდა, ერთადერთი შესაძლო თვალსაზრისი აღწერითი იქნებოდა.

ეს პირობა არა გვაქვს: ენის სისტემა, როგორც ცნობილია, ცვალებადია.

ენის სისტემის ყოველი კომპონენტი რომ თანაბრად იცვლებოდეს, აღწერითი ენათმეცნიერება ისტორიულისაგან სრულიად დამოუკიდებელი იქნებოდა: ყოველი ახალი მომენტი განვითარებისა ენის სისტემის ისეთ ახალ მოდიფიკაციას მოგვცემდა, რომლის კომპონენტები წინანდელ ფარდობას წარმოგვიდგენენ. მაგრამ არც ეს პირობა გვაქვს.

ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლი (კომპონენტი) ცვლის სხვადასხვა ტემპს გვიჩვენებს, ეს ეხება განვითარების შინაგან ტენდენციებს („შინაგან კანონზომიერება“): ლექსიკის ცვლის ტემპები სხვაა, ფონეტიკური მხარისა — სხვაგვარია, მორფოლოგიის ინვენტარისა და სინტაქსური ურთიერთობისა კიდევ სხვა...

ქართულმა ზმნამ ცვლილება განიცადა S_2 და O_3 -ის აღინიშნის მსრივ. ცვლა ფონეტიკური ხასიათისა იყო, შედეგი — მორფოლოგიას დაეტყო.

ფონეტიკური მიზეზების გამო ზმნის ზოგი ფორმის ნეიტრალიზაცია მოხდა: თანხმოვანი + ს + თ = თანხმოვანი + თ: გთხოვთ — გთხოვთ: $S_1 O_2$ მრ., $S_1 O_2$ მრ. და S_1 მრ. O_2 მრ. ერთურთს დაემთხვა...

ძვ. ქართულში O_3 მრ. სახ. ზმნაში აღინიშნებოდა: ყო საქმე — ყენა საქმენი... O_3 მრ. მიც. ზმნაში არ აღინიშნებოდა: ჰყავს მას — ჰყავს მათ... ახალ ქართულში პირიქით: ჰყავს მას — ჰყავთ მათ... ცვლილება ზმნის მორფოლოგიაში მოხდა, შედეგი — სინტაგმის აგებულებაში, სინტაქსურ კონსტრუქციაში აისახება.

ყველა ეს ცვლილება სისტემის შინაგანი განვითარების შედეგია. ეხება იგი ენობრივი სისტემის ისეთ მხარეებს, რომლებიც მაქსიმალურად შეუღწევია, დაზუსტდია.

გარეგანი გავლენა უმთავრესად იმ რგოლზე მოქმედებდა, რომელიც ენობრივ სისტემაში ყველაზე დაუსწავია: ესაა ლექსიკა...

შინაგანი განვითარების შედეგად სიტყვათა წყება დაიკარგა, სხვა წყება ლექსიკას შეემატა... მაგრამ სხვა ენებიდან შეთვისებული ლექსიკაც (არაბ., სპარს., ევროპ. ენებ.) საგრძნობია ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე. საკპარისია მოვიგონოთ: დღეთა სახელები: კვირა, პარასკევი, შაბათი; კალკირებული: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი... თვეთა სახელები: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი...

ენის არსებობის ყოველი საფესური ასახავს სხვადასხვა მხარის განვითარების სხვადასხვა საფეხურს: არქაიზმთა და ინოვაციათა თავისებურ შენაშავს წარმოვეიდგენს.

ეს ნიშნავს: თავისებური ისტორიული განვითარების შედეგთან აქვს საქმე ენობრივი სისტემის აღმწერს, სულ ერთია, რა მომენტშიც იქნება აღებული ენის სისტემა.

თუ აღწერა ნიშნავს ენის სისტემაში ენობრ. ავი ფაქტის კანონზომიერი ადგილის ჩვენებას, სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ აღწერა მიზნად ისახავს სისტემის კანონზომიერებაში გამოავლინოს, ის ისტორიის დახვარებას საჭიროებს, ისტორიას ვერ მოსწყდება, ისტორიისაგან დამოუკიდებელი ვერ იქნება და, მაშასადამე, ისტორიას შეუძლებელია დაუპირისპირდეს.

აღწერა ისტორიის დასმარებას ფაქტობრივ იყენებს, ემყარება ისტორიას. ამ შესრავს ის შემთხვევებია დამახასიათებელი, როცა მოვლენის წარმომავლობა არ ვიცით და აღწერას ვაწარმოებთ:

დგ-ამ-ს, კერ-ავ-ს, აკეთ-ებ-ს, სსნ-ი-ს: -ამ, -ავ, -ებ, -ი — ფუძის საერკობი გეიქვია... ა- (-აკეთებს, ა-შენებს, ა-გებს...) საარვისო ქეევისააო (შეპირისპირებით: ი/უ-კეთებს, ი/უ-შენებს, ი/უ-გებს წარმოებასთან), მაგრამ: აქვს, არტყია, არის... ეს ა რალა?

მე ვიყავ — ჩუენ ვიყვენით... რის მაქნისია -ენ?

ასეთივე ვითარება გვაქვს ზოგი ენის ბრუნებაში: ლაქ. ბეგ „ბეგი“—ნათ. ბაგ-ნალ... ხუნძ. ჩუ, „ტენი“—ნათ. ჩო-დ-ულ... ხუნძ. ბი „სისლი“ ბი-დ-ულ... რის მაქნისია ნ? დ? და სხვა მისთ?

ყველა ეს შემთხვევა ერთ რამეზე მიუთითებს: სხვა აღწერა გაუგებრისა და სხვა გასაგებრისა: აღწერითი კანონზომიერება გასაგებშია დასტურდება და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს... გაუგებრის აღწერას კი ტექნიკური ღირებულება აქვს... ამიტომია, რომ მანქანის თვალსაზრისით სულ ერთია, გასაგებთან გვექნება საქმე თუ გაუგებართან...

დღეს თუ ეს საკითხი სადაო გამსდარა, შემთხვევითი როდია: „გაგება“ მენტალისტური ცნებაა; მენტალიზმს უარყოფს, გაპორიცხავს ამერიკული დესკრიფციული ენათმეცნიერება: ენა აქ. მართალაა, ურთიერთობის საშუალებად ითვლება, მაგრამ ურთიერთობა „გაგებას“ (ე. ი. ფსიქიკის რაიმეგვარ მონაწილეობას) არ გულისხმობს: მთქმელი იმით, რაც მან თქვა, „სტიმულს“ აწვდის მსმენელს, უკანასკნელის პასუხი სხვა არაფერია, თუ არ „რეაქცია“. „სტიმული“ და „რეაქცია“ ამოწურავს მეტყველების აქტის რაობას; შინაგანი. „აზროვნება“, „გონება“ (mens) და მისი ფუნქცია გამოირიცხა; ფიზიკურად აღქმადი. გარტგანია ყველაფერი... ასეთია ეს „ფიზიკალიზმი“, რომელიც თავის თავს მატერიალიზმსაც უწოდებს... უფრო ზუსტი იქნებოდა „მექანიციზმი“ დარქმეოდა...

ასეთ კონცეფციას სათავე ფსიქოლოგიაში აქვს: ფსიქოლოგია სცადეს აეკოთ ფსიქიკურის, სუბიექტურის, განცდილის გამოირიცხვით: „ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანთა ქეევას“ (აქედან: სახელწოდება „ბიპევიორიზმი“, სიტყვა-სიტყვით: „ყოფაქეევიზმი“)..

ფსიქოლოგიაში ჰირდა ფსიქიკურის რაობის გარკვევა, ბიპევიორისტულმა ფსიქოლოგიამ საკითხი იმით გადაწყვიტა, რომ მოხსნა ფსიქიკური... ანტიმენტალისტური ბიპევიორიზმი უფსიქიკო ფსიქოლოგიაა.

ამერიკული დესკრიფციული ენათმეცნიერება სხვა არაფერია, თუ არ ბიპევიორიზმი ენათმეცნიერებაში.

ბიპევიორისტული ენათმეცნიერება სემასიოლოგიას ვერ იგუებს: მნიშვნელობა მენტალისტური ცნებაა, მნიშვნელობის შემსწავლელი დარგის საკითხიც, ცხადია, უნდა მოხსნილიყო.

ბიპევიორისტული პრინციპი კარგად მოერგო, შედეგიანი აღმოჩნდა ბერათა შესწავლისას, ე. ი. იქ, სადაც ფუნქციის საკითხი — პირდაპირი მნიშვნელობით — არ იდგა და შესწავლა ფიზიკური ფაქტების კანონზომიერებათა ძიებას უდრიდა: რა სად გვხვდება, რასთან შეხამებაში...

მორფოლოგიის სამყარო კი ფუნქციისათვის გვერდის ავლით არსებითის განზე დატოვებას მოასწავებდა.

ბოლო ხანებში ამერიკის დესკრიფციული ენათმეცნიერება სემასიოლოგისადმი შემწყნარებლობას იჩენს, ეს ნიშნავს: მენტალიზმს უბრუნდება და მით ამოსავალ პრინციპს უარყოფს...²

აღწერა ფუნქციის გაუთვალისწინებლობას არ შეიძლება გულისხმობდეს. ფუნქციის დადგენისას ისტორიის დახმარება რიგს შემთხვევაში აუცილებელია. რა თქმა უნდა, ზოგჯერ შეიძლება ისტორიაც ვერ დაგვეხმაროს (მოკლენის წარსულის გაურკვევლობის გამო), მაგრამ ეს პრინციპის საქმე არ არის (სავადმყოფოში ყველა ავადმყოფი არ იკურნება, მაგრამ სავადმყოფო მანუკ რჩება სამკურნალო დაწესებულებაში).

ისტორიას რიგი უპირატესობა აქვს შემეცნებითი ღირებულების მხრივ აღწერის საპირისპიროდ, როცა ეს აღწერა მართებულად წარმოებს. აქ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ: ისტორიულ შესწავლას ძალუძს სიტყვის ეტიმოლოგია გაგვირკეოს.

სიტყვის ეტიმოლოგია ყველაზე არსებითი დანასაკვია, რაც ენის შესწავლამ შეიძლება მიაწოდოს კულტურის ისტორიას...

მეცნიერული ეტიმოლოგია ისტორიულმა ენათმეცნიერებამ შექმნა. ზხალი საენათმეცნიერო მიმდინარეობა, თუ ის ისტორიულ თვალსაზრისს ცნობს, უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რას იძლევა ახალსა და ფაქტულს მეცნიერული ეტიმოლოგიის თვალსაზრისით.

ამრიგად: დაპირისპირება ენისა და მეტყველებისა, სინქრონიული ენათმეცნიერებისა და დიაქრონიული ენათმეცნიერებისა საფუძველს მოკლებულია.

ისინი უნდა განვასხვაოთ, და არა დავუპირისპიროთ ერთმანეთს.

თვით აღწერითი ენათმეცნიერების შიგნითაც თავი იჩინა დაპირისპირებამ: სტრუქტურა თუ ფუნქცია? ენის აღწერა სტრუქტურის აღწერას უდრის თუ ენის აღწერა ფუნქციათა გათვალისწინებას გულისხმობს — ასე შეიძლებოდა აქ არსებული დაპირისპირება დაგვეხასიათებინა ძირითადი პრინციპის მიხედვით, რომელიც ბუნებრივია ამოსავალი იყოს სტრუქტურალიზმისა და ფუნქციონალიზმისათვის.

სტრუქტურალიზმი ნაირგვარია: ერთია პრადის სტრუქტურალიზმი, სულ სხვაა დესკრიფციული ენათმეცნიერების სტრუქტურალიზმი (ამერიკული

² დესკრიფციული ენათმეცნიერების საინტერესო დახასიათება-შეფასება მოცემულია კ. ტაეტერის წერიაში: Karl V. Teeter, Descriptive Linguistics in America: Triviality versus Irrelevance — ჟურნ. «Words», vol. 20 (1964), № 2, გვ. 197—200.

სტრუქტურალიზმი), ორივესგან განსხვავდება დანიური სტრუქტურალიზმი იელმსლევისა, გლოსემატიკის სახელწოდებით ცნობილი. ვარდა ამისა, არსებობს ინგლისური სტრუქტურალიზმი (ფერთ Firth-ის შეხედულებებში მოცემული). ფრანგული სტრუქტურალიზმის ნიმუში მარტინეს შრომებში (და ტენიერის სტრუქტურულ სინტაქსში) გვაქვს. განსხვავებული ჩანს პოლანდიური ვარიანტი სტრუქტურალიზმისა. სტრუქტურალისტურ პრინციპებზე იღვა მოსკოვის საენათმეცნიერო სკოლა, რომელიც ფორტუნატოვისა და ღერნოვის სახელებთან არის დაკავშირებული. არსებობს ქართული სტრუქტურალიზმიც.

ამერიკული სტრუქტურალიზმის სათავე, როგორც ითქვა, ბიპევიორისტული ფსიქოლოგია იყო.

იელმსლევის გლოსემატიკა ლოგიკური პოზიტივიზმიდან მოდის და ფილოსოფიური კონცეფციის ენათმეცნიერებაზე გავლენის ნიმუშს წარმოადგენს. უველაზე მეტად სწორედ გლოსემატიკა შორდება ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას. არ არის შემთხვევითი, რომ ტერმინი ახალი შეირჩა: „გლოსემატიკას“ ახალ მეცნიერებად აქვს თავი წარმოდგენილი.

სტრუქტურალიზმი ენათმეცნიერებაზე ადრე გაჩნდა ფსიქოლოგიაში „გეშტალტ-თეორიის“ სახით (ვერტჰაიმერი, კოფკა...). ფსიქიკაში მთლიანი უსწრებს ელემენტებს: აღქმა უწინარესია შეგრძნებასთან შედარებით; ფორთხლის აღქმიდან გამოიყოფა შეგრძნებები ფერისა, სურნელებისა... და სხვ. და არა—პირუქუ...

ენის „სისტემა“, როგორც მთლიანი, შემთხვევით როდი აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში სტრუქტურალისტურ აზროვნებაში. დანიურმა Acta Linguistica-მ („საენათმეცნიერო შრომები“) — სტრუქტურული ენათმეცნიერების საერთაშორისო ორგანომ — 1939 წ. პირველსავე მონაკვეთში სპეციალური წერილის საგანი გახადა საკითხი: ხომ არ აჯობებდა ახალ მიმდინარეობას სტრუქტურალიზმის ნაცვალს „სისტემოლოგია“ დარქმეოდაო; მაინც ტერმინად სტრუქტურალიზმი დარჩა.

შემდეგში „სისტემა“ და „სტრუქტურა“ ცნებათა გარჩევა სცადეს იელმსლევამ და ფერთამაც...

ფუნქციისა და სტრუქტურის დაპირისპირება კანონზომიერი იქნება. თუ სტრუქტურა ფუნქციას გამორიცხავს, თუ სტრუქტურული უფუნქციოს ნიშნავს.

საკითხის სირთულეს ის იწვევს, რომ არც ფუნქცია-ცნება და არც სტრუქტურა-ცნება არ ესმით ერთგვარად (ერთსა და იმავე ავტორთანაც კი სხვაობას ურჩება ადგილი, ისიც ხდება, რომ ამ ცნებებს ხმარობენ ისე, რომ მათი შინაარსი საერთოდ არც აქვთ გარკვეული). ამიტომ იმდენი სტრუქტურალიზმი და ფუნქციონალიზმი შესაძლებელი, რამდენნაირი გაგებაც გვექნება საყრდენი ცნებებისა — „სტრუქტურა“, „ფუნქცია“.

ეს ცნებები სხვადასხვა სამეცნიერო დარგში იხმარება, საერთო მომენტები მათ აქვთ, მაგრამ ერთნაირი შინაარსი აქვთო, არ ითქმის (შდრ. ფუნქცია, როგორც ფილოსოფიური ცნება და ფუნქცია, როგორც მათემატიკური ცნება: არგუმენტი — ფუნქცია...).

როცა ენის სპეციალისტი ხმარობს ამ ცნებებს, ჩვეულებრივ, „მნიშვნელობისა“ და „ფორმის“ სინონიმად წარმოუდგენია, მაგრამ ეს შენაცვლება სირთულეს არა ხსნის: მნიშვნელობისა და ფორმის ცნება არა ნაკლებ რთულია, მრავალ დარგში (ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, ხელოვნებათმცოდნეობა-

სა და ლიტერატურის(სკოდნეობაში) იხმარება არაიდენტური გაგებით, ეგვიპ არ იყოს, თვით ენის სპეციალისტებთან ზოგს როგორ ესმის და ზოგს—როგორ.

მნიშვნელობაზე როცა ლაპარაკობენ, იგულისხმება სიტყვის მნიშვნელობა, ლექსიკური მნიშვნელობა. მნიშვნელობის საკითხი დგას უფრო რთულ ობიექტშიც. როგორცაა, შესიტყვება ანუ სინტაგმა, უფრო მარტივშიც, როგორცაა, მორფემა.

ამოსავალ ფაქტს მაინც სიტყვის მნიშვნელობა, უფრო ზუსტად, სიტყვის ფუძის მნიშვნელობა წარმოადგენს. უფრო რთულისა და უფრო მარტივი მონაცემების მნიშვნელობა საყრდენად სიტყვის მნიშვნელობას იყენებს.

სიტყვის მნიშვნელობა სხვა არაფერია, თუ არ მიმართება **აღსანიშნისადმი**: ვიცით მნიშვნელობა, როცა ვიცით, რასთან მიმართებას გულისხმობს სიტყვა, მიმართება აქტია და არა პროცესი (პროცესობრივ, ე. ი. ფსიქიკური შინაარსის მიხედვით. მეტ-ნაკლები სხვაობა შეიძლება გვექონდეს სიტყვის მნიშვნელობის განცდის დროს — სხვადასხვა პირთან ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე პირთან სხვადასხვა დროს: ფსიქიკური რეპრეზენტაცია საშუალებაა მნიშვნელობის განცდისა და არა— მნიშვნელობა...).

მიმართების ობიექტი, აღსანიშნი, შეიძლება იყოს განყენებული საგანი („აზრი“, „მნიშვნელობა“, „მიმართება“, „სისტემა“, „სტრუქტურა“...) ანდა კონკრეტულ მონაცემს გულისხმობდეს („რცხილა“, „წიფელი“, „ნეკერჩხალი“, „სოჭი“, „ფიჭვი“... „კვივი“, „შვრია“... „ფუტყარი“, „კრაზანა“, „ხარაბუხა“, „ქანარი“, „ქაშაპი“, „კაპოეტი“...).

მნიშვნელობის ცოდნა შეიძლება იყოს გარკვეული, ზუსტი... ანდა ბუნდოვანი, მიხსლოებითი, როცა ვიცით ობიექტთა რა გვარობას გულისხმობს სიტყვა (მცენარე: ხე... პურეული, მწერი, თევზი...).

მაინც ყველაფერ გვაქვს ინტენცია ობიექტზე, ობიექტთა კლასზე... მნიშვნელობა როცა არ ვიცით, არავითარი ინტენცია არა გვაქვს, ანდა შეუფერებელი ინტენცია გვაქვს: სხვა ობიექტს ვგულისხმობთ.

მიმართება გვაქვს მაშინაც, როცა სინტაქსური ურთიერთობის ფორმანტების დანიშნულებას ვსწავლობთ, ე. ი. როცა იმ სამყაროსთან გვაქვს საქმე, რას მეოხებითაც სტრუქტურა წარმოიქმნება: „სამკუთხედის ფართობი“, „მწერლის შემოქმედება“, „მოთარბობას წერს“, „პიესა დადგა“, „მეგობრის მასწავლებელი“ — შდრ. „მასწავლებლის მეგობარი“...

სტრუქტურული ერთეულია ბრუნვა (მაგალ., ნათესაობითი). ისიც მიმართებას გამოხატავს, ამ მხრივ მასაც ფუნქცია აქვს ისევე, როგორც სიტყვის ფუძეს, ნოთიერ, ლექსიკურ მნიშვნელობას რომ გამოხატავს.

განსხვავება მაინც არის: ლექსიკური ერთეული (სიტყვის ფუძე) გამოხატავს მიმართებას **აღსანიშნისადმი**, ე. ი. რეალური სინამდვილის ფაქტისადმი... **სტრუქტურული ერთეული** კი გამოხატავს მიმართებას იმ მიმართებათა შორის, რასაც ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობა წარმოგვიდგენს...

რამდენადაც ლექსიკურია და სტრუქტურულიც მოწოდებულია მიმართება გამოხატოს, იმდენად მათი დაპირისპირება საფუძველს მოკლებულია.

³ მნიშვნელობის შემდგომი სპეციფიკაცია მოითხოვს „ღირებულება“-ცნების (valeur) ანალიზს: ღირებულება — სოცირის გაგებით — ესაა მნიშვნელობა ლექსიკურ მნიშვნელობათა სისტემაში. ღირებულება-ცნება დაქვემდებარებული ხასიათისაა.

რამდენადაც ეს ორგვარი მიმართება სხვადასხვა საფეხურის მოვლენაა,— მიმართება აღსანიშნისადმი, ერთის მხრით, მიმართება მიმართებისადმი, მეორე მხრით, — კანონზომიერი ფარდობა მყარდება იმ დარგებს შორის, რომელნიც პირველი საფეხურის მიმართებას სწავლობენ (ლექსიკოლოგია და სტილისტიკა) და იმ დარგებს შორის, რომელნიც მეორე საფეხურის მიმართებებს შეისწავლიან (მორფოლოგია და სინტაქსი).

თითოეული ამ დარგის ადგილსა და ურთიერთობას მათი შესასწავლო ობიექტების რაობა და ურთიერთობა განსაზღვრავს.

სტრუქტურული და ფუნქციური ერთმანეთისაგან უნდა გაირჩეს, მათი აღრევა ისევე უმართებულო იქნებოდა, როგორც პირველი და მეორე საფეხურის მიმართების გაურჩევლობა.

მათი ერთიმეორისათვის დაპირისპირება კი გაუმართლებელი ჩანს, რამდენადაც, როგორც ერთს, ისევე მეორეს, მიმართების აღნიშვნა უწევს, სხვადასხვა საფეხურის, რანგის მიმართების აღნიშვნა, მაინც მიმართების აღნიშვნა.

ერთადერთი დარგი, სადაც ამგვარი მიმართების საკითხი არა დგას, იქნებოდა ბგერათა სამყარო: ბგერას აღსანიშნი არ მოეპოვება.

რა თქმა უნდა, აქაც შეიძლება მიმართებათა ძიება, სახელდობრ. იმ მიმართებათა, რომლებიც გამოვლინდება, როცა მათი წარმოების სხვადასხვა მომენტებს ერთმანეთს შეუპირისპირებენ... ამგვარი წესით აგებული ფონოლოგია (სტრუქტურული ფონეტიკა) უფრო თანმიმდევრული იქნებოდა, ვინემ ის ფონოლოგია, რომელიც ფონებაში ხელაღს მნიშვნელობის განმასხვავებელ საშუალებას. ესე იგი, პირველი საფეხურის მიმართებებს.

ენები ყველაზე მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეორე რიგის მიმართებათა მიხედვით (ე. ი. სტრუქტურის მიხედვით). ყველაზე ნაკლებ — პირველი ტიპის მიმართებათა მიხედვით.

• • •

ყველა ეს საკითხი, რომელთა შესახებაც მსჯელობა გვექონდა, ენათმეცნიერების თეორიის საკითხებია, ე. ი. მეცნიერების თეორიის საკითხებია („მეტალინგვისტიკის საკითხები“).

ამ საკითხებს აქ წინასწარი მოხსენების ფარგლებში ვეხებით.

მეცნიერების თეორიის საკითხები რთულია. მათი განხილვა შეიძლება ორგვარი იყოს: ერთს შემთხვევაში მათ განიხილავენ ისე, რომ ენათა მეცნიერული კვლევა-ძიების ინტერესები თეორიულ ნაზრევს არ ზღუდავს; არც იმას ეწევა ანგარიში, რა გაკეთებულა და არც იმას. — რაც არის გასაკეთებელი. ასეთია ენის ფილოსოფიის თვალსაზრისი.

მეორე შემთხვევაში, მეცნიერების თეორიის საკითხები ენათა მეცნიერულ კვლევა-ძიებას უკავშირდება: ამოხავალიც ეს კვლევა-ძიებაა და მიღებული დასკვნებიც ამ კვლევა-ძიების ამოცანებს ემსახურება. ესაა საკუთრივ ენათმეცნიერული თვალსაზრისი.

ამ უკანასკნელ თვალსაზრისს თუ თანამიმდევრულად გაეყვებით, მოიხსნება დაპირისპირება „ენისა“ და „მეტყველებისა“ („სინქრონიულისა“ და „დიაქრონიული“ ენათმეცნიერებისა), ასევე — „სტრუქტურული“ და „ფუნქციური“ ენათმეცნიერებისა.

ენათმეცნიერება, როგორც ინტეგრალური მეცნიერება ენის შესახებ, ორგანულად შეახამებს მათ ერთმანეთთან.

ЛИНГВИСТИКА, КАК ИНТЕГРАЛЬНАЯ НАУКА О ЯЗЫКЕ

Тезисы

1. К современной лингвистике вполне применимы слова сказанные Х. Хольдом о философии языка: з ней все текуче¹.

Несовершенство методов изучения подлинной истории языка, отсутствие обоснованной системы описательного анализа, мощное влияние экстралингвистических (философских, психологических) концепций, недостаточный учет результатов исследовательской практики в лингвистической теории,—каждое в отдельности и все вместе,—порождает неустойчивость воззрений и пестроту взглядов.

В современной лингвистике новых терминов несравненно больше, чем новых понятий.

В ней мало новых идей и еще меньше цельных концепций, отражающих исследовательскую практику и призванных оказать содействие исследовательской практике.

Требование ясности нередко считается чем-то «избыточным», стиль, свойственный научной мысли Мейе, стал редкостью.

Развитие научной мысли естественно подразумевает дифференциацию отраслей (срв. состав филологической грамматики Дионисия Фракийского — элементы фонетики и морфология частей речи — и состав современной описательной грамматики: фонетика, морфология, синтаксис, стилистика...).

Подобная дифференциация — процесс естественный: она отражает результаты углубленного изучения объекта.

От нее следует отличать процессы парцелляции с априорными установками и с неоправданными противопоставлениями, каковы, например, «лингвистика языка» и «лингвистика речи», «структуральная лингвистика» и «функциональная лингвистика».

2. Лингвистика языка и лингвистика речи. Это противопоставление обусловлено противопоставлением «языка» и «речи» и влечет за собою противопоставление «синхронической лингвистики» и «диахронической лингвистики». При этом примат синхронической лингвистики обосновывается тем обстоятельством, что только она изучает язык, как систему (изменения языка, составляющие предмет диахронической лингвистики, не образуют системы).

Не может оспариваться положение, что изменения языка не образуют системы.

¹ «In der Sprachphilosophie ist gegenwärtig alles im Fluß» — Н. II. Holz, «Sprache und Welt. Probleme der Sprachphilosophie». Frankfurt/Main, 1953, Vorwort.

Бесспорно и то, что понятие системы, подчеркивая взаимосвязанность и целостность, является существенным для характеристики языка, хотя системность неодинаково характерна для всех сфер языка.

Кстати, идея целостности, составляющая смысл понятия системы,шла выражение в понятии «организм» натуралистической концепции Авг. Шлейхера, в понятии «организм представлений» Герм. Пауля.

3. Чужда ли системность речевым актам, речи?

Язык, как известно, существует потенциально в памяти, как результат отложения актов речи, запоминания того, что мы говорили и слышали (или же лишь читали — так в случае изучения мертвого языка): общепризнано, что язык вторичен по отношению к речи: постольку зависимость языка от речи самоочевидна.

Язык проявляется лишь в речевых актах. Язык может познаваться лишь посредством анализа речевых актов.

ПЕРЕФРАЗИРУЯ известное положение Дж. Локка (о взаимоотношении ощущений и разума) можно сказать: „Nihil est in lingua, quod prius non fuerit in sermone“ («В языке нет ничего такого, чего раньше не было бы в речи»).

Это же касается и системности: системный характер языка обусловлен системностью, которая налична в речи, в речевых актах.

Если бы не имелось системности в речи, ей неоткуда было бы взяться в языке (Разве что-либо вроде трансцендентальных категорий Им. Канта — могло бессистемное в речи превратить в системное в языке).

Тем самым принципиального основания лишается противоположение «лингвистики языка» и «лингвистики речи», соответственно «синхронической лингвистики» и «диахронической лингвистики».

Их следует различать, но не противопоставлять.

4. Язык — система знаков, физических по материалу, социальных (коллективных) по назначению. Знаки эти могут быть мотивированными, но они условны: мотивированность в различных языках может быть различной.

Если бы языковой знак не был физическим по материалу, он не был бы доступен для внешнего восприятия слушателя, он не мог бы служить средством общения.

Знаки языка — средство объективации внутреннего мира (мыслей, чувств...) говорящего: знак обладает значением. Индивидуальны речевые акты, но значение, в каком знаке используются, не является индивидуальным: оно одинаково для данного языкового коллектива.

Если бы языковые знаки не обладали значением, они являлись бы предметом изучения естественных наук.

Вполне понятно поэтому, если при физикалистском, антименгалистском подходе к языку в дескриптивной лингвистике, значение сводится к стимулу и реакции, то есть в принципе проблема значения снимается.

Вообще сводить язык к стимулу и реакции, согласно бихевиористским установкам, это все равно, что художественную ценность картин Гафазля сводить к анализу химического состава красок, которыми эти картины писаны.

Менталистский подход к описанию языка труден и в его современном состоянии неудовлетворителен. Антиментализм же в принципе неверен.

5. Знак постольку является знаком, поскольку он «значит», является знаком чего-то. Проблема значения — одна из главных проблем науки о языке; она внутренне связана с исходным положением: «язык—система знаков».

В языке выделяются три основных объекта: словосочетание (синтагма), слово (лексема), фонема. Проблема значения существенна для двух первых. Она не может ставиться ни в отношении фонемы, ни в отношении слога: они — части значимой единицы, слова (любопытно отметить, что вопрос о функции фонемы ставится куда более часто, чем о функции слога). Фонема не имеет десигната.

Взаимоотношением языка и значения определяется место семасиологии в лингвистике. Семасиология как **описательная дисциплина**, должна занимать в лингвистике место, подобающее значению в познании знака, место именно в микролингвистике, а не в макролингвистике.

6. Значение, как фундаментальное понятие лингвистики, подразумевает прежде всего значение слова, первой значащей единицы языка. Значение слова конечно, раскрывается в синтагме (порой требуется более пространственный контекст). Но основное значение слова и есть то, что дано в обычных для данного слова синтагмах.

Итак, речь идет о значении, которым обладает слово в языке, как **средстве общения**.

7. Значение слова понимается по-разному. Обычно значением считают **представление** обозначаемого предмета (десигната) или же **понятие** о предмете.

Однако, значением не может быть ни представление, ни понятие о десигнате. То или иное представление может сопутствовать значению, репрезентировать значение; но эти представления могут быть различными у разных лиц («часы»: «карманные», «настольные», «стенные», «на-ручные»... «серебряные», «золотые»..., «солнечные»...), различными даже у одного лица в разное время... Значение же понимается одинаково... Более того, слово может пониматься правильно при отсутствии всякого предметного представления, даже представления слова: «без-образное мышление» — факт, установленный экспериментальной психологией.

Значением не является и понятие: когда меняется значение, одно понятие не превращается в другое; понятия остаются, меняется лишь связь слова-знака с десигнатом. Коньяк—название города во Франции, стал названием напитка: слово обрело новую связь; изменение связи и есть изменение значения.

Значение слова — не что иное, как отношение к десигнату. Мы знаем значение, понимаем слово, если знаем, к какому обозначаемому (десигнату) оно относится: «отец», «учитель», «друг» — лат. „pater“, „magister“, „amicus“ — срв. груз. *tata*, *mascavlebeli*, *megobari*. Отношение представляет собой психический акт, а не психическое явление (напр., представление). Оно характеризуется по функции, но не по процессу.

Обозначаемым служит факт, явление реальной действительности, а не общее представление (*Gesamtvorstellung*) или же понятие. «Замечательная книга!» можно сказать о книге, вовсе не замечательной. Выражение приобретает иронический смысл; десигнат, факт действительности, сильнее понятия. Десигнатом определяется значение.

8. Значение слова (лексическое значение) представляет собою отношение первичного характера:

В связной речи выражаются отношения между значениями слов, т. е. отношения между отношениями. *Pater* «отец», *amicus* «друг»; *pater amici* «отец друга», *amicus patris* «друг отца». Синтагмы состоят из одних и тех же слов («отец», «друг»), значение же синтагм различно: «отец друга», «друг отца» имеют десигнатами (обозначают) различных лиц.

Отношения между отношениями суть отношения вторичного характера: в различных языках они выражаются по разному — то формантами в слове, то — синтаксическими средствами.

Форманты характеризуют морфологию слова, но, как известно, морфология слова генетически восходит к синтагме (в современном же состоянии особенности синтагм определяются особенностями слова).

Отношения между отношениями составляют структуру слова.

9. Между отношениями первичного и вторичного характера нет параллелизма. Поэтому неудачными являются попытки характеризовать слово (resp. словосочетание) одновременно с точки зрения и значения и формы: соответствующие понятия описательной грамматики оказываются внутренне противоречивыми: существительное: предметность + склоняемость; прилагательное: качество + изменения по родам + склоняемость; глагол: действие (состояние) + спряжение (изменение по лицам)...

Даже в языках с богатой морфологией (напр., в иберийско-кавказских языках) могут наблюдаться случаи, когда существительное не склоняется (не образует, по крайней мере, таких падежей, как родительный, дательный, эргативный — абхаз. яз.); прилагательное не изменяется по падежам, хотя и различает роды (авар. яз.); склоняется, но не различает родов (груз. яз.); глагол не изменяется по лицам, но лишь по грамматическим классам (авар. яз.), притом по классам субъекта, если непереходный, лишь объекта, если переходный; но гла-

гол может не изменяться ни по лицам, ни по грамматическим классам, ни по числам, однако образует конъюгационные ряды с временными и модальными различиями (лезгинский язык).

Для систематического полного анализа слова и словосочетания необходим самостоятельный анализ и значения (функции) и структуры их. В морфологии ныне обычно так или иначе учитываются структурные моменты, в синтаксисе акцентируется функциональная сторона.

Понятия морфологии и синтаксиса должны выявить структуру слова и словосочетания. Эти понятия должны строиться по структурному признаку. Функциональный анализ слова и словосочетания подразумевает необходимость описательной семасиологии, как учения о семантических категориях и описательной стилистики (лингвостилистики) с соответствующими функциональными понятиями.

Вопрос о семантических категориях², вопрос очень важный, пока что не привлек должного внимания лингвистов (им больше интересуются философия языка — напр., А. Марти)³.

10. Последовательно проводить функциональную точку зрения в соответствующих разделах описательного анализа (стилистика, описательная семасиология), структурную точку зрения — в синтаксисе и морфологии — значит следовать принципу гомогенности в построении соответствующих понятий: *sumit sui que*.

Неоправдано мерить расстояние килограммами (единицами веса), и — наоборот.

Функциональные и структурные понятия естественно различать так же, как различаются отношения первичного характера (отношение знака к десигнату) и отношения вторичного характера (отношения между отношениями).

Различать последовательно эти отношения двоякого рода необходимо, но нет оснований их противопоставлять (так же как нет оснований противопоставлять синхронную лингвистику лингвистике диахронной).

11. Лингвистика, как интегральная наука о языке, органически совмещает в себе и диахронно, и синхронно, анализ и функции и структуры⁴.

Такое понимание диктуется внутренней логикой развития лингвистической теории, которая мыслится не как априорная теория язы-

² По семантическим категориям языка несравненно более близки, чем по категориям морфологическим. Однако, и по семантическим категориям могут наблюдаться расхождения; срв., напр., категории «кто», «что», не всегда одинаково понимаемые в языках (в иберийско-кавказских языках «кто» относится только к человеку, животные попадают в категорию «что»).

³ Anton Marty, Untersuchungen zur Grundlegung der allgemeinen Grammatik und Sprachphilosophie, I. Bd. Halle a. S., 1908.

⁴ Мы не касаемся вопросов прикладной лингвистики, несмотря на их большую важность. Рассматриваемые нами вопросы суть вопросы теоретической лингвистики.

ка, а как теория языкознания, которая строится на анализе результатов исследовательской практики и ставит целью обслуживание исследовательской практики⁵.

В науке бывают приливы и отливы — с соответствующими психологическими устремлениями. Познательную ценность лингвистической теории естественно оценивать независимо от этих преходящих моментов — лишь с точки зрения значимости их для исследовательской практики.

ARN. TCHIKOVAVA

LA LINGUISTIQUE COMME SCIENCE INTÉGRALE DU LANGAGE

Resumé

1. La question de l'intégration devient d'autant plus actuelle que s'approfondit le procédé de la parcellation de la science linguistique avec l'opposition injustifiée „de la linguistique de la langue“ et „de la linguistique du discours“ (resp.: de la linguistique synchronique et diachronique), „de la linguistique structurelle“ et „de la linguistique fonctionnelle“.

2. La langue existe potentiellement dans la mémoire, comme un dépôt des actes de la parole, du dit et de l'entendre: „Nihil est in lingua, quod prius non fuerit in sermone“. La langue peut se manifester et être étudiée rien que dans les actes de la parole. Les modifications de la langue ne forment pas de système: toute coupe synchronique comporte des phénomènes se rapportant à de différentes couches diachroniques. C'est justement pour cela que le système de la langue n'est pas exempt de l'histoire, ne peut pas être compris sans l'aide de l'histoire. Par cela est déterminé le rapport réciproque de principe „langue“ et „discours“, resp. „linguistique de la langue“ et „linguistique du discours“, „de la synchronie“ et „de la diachronie“.

Il est indispensable de les différer, il n'y a aucune raison de les opposer.

3. La langue est un système de signes, physiques par leur matériel, sociaux par leur destination.

⁵ Положения, которые здесь излагаются лишь схематически, служили предметом подробного анализа в ряде наших работ: «Проблема простого предложения в грузинском языке: 1. К вопросу о подлежащем и дополнении в древнегрузинском языке», Тбилиси, 1928, стр. 280—286 (на груз. яз.)...

«Общее языкознание», ч. I (1935), стр. 120—160; ч. II (1945), стр. 138—198, 352—356 (на груз. яз.)...

«Проблема языка, как предмета языкознания», Москва, 1959, стр. 111—125, 139—151, 169—175...

«Основные вопросы структуры грамматики», Сообщения Груз. Филиала АН СССР, 1910, т. I, № 2, 3, стр. 157—162, 241—248 (на груз. яз.; резюме на рус. яз.)...

«К вопросу о путях развития современной лингвистики», журн. «Вопросы языкознания», 1966, № 4, стр. 45—46.

La langue est donnée dans l'individu, mais elle n'est pas individuelle. Les signes de la langue peuvent être motivés, mais ils sont conventionnels par rapport au signifié.

Les signes de la langue sont un moyen d'objectivation des pensées, des sentiments...

Le signe possède une signification; un signe sans signification cesse d'être un signe: la sémasiologie,—dans un plan descriptif,—est une partie organique de la linguistique.

4. La signification (la fonction du signe) n'est ni une représentation ni une notion: la signification c'est le rapport du signe avec l'indiqué. Nous comprenons le mot, si nous savons à quel indiqué il se rapporte: amicus „ami“, magister „maître“.

La structure c'est le rapport entre les rapports: magister amici „le maître de l'ami“, amicus magistri „l'ami du maître“.

Le rapport entre les rapports peut être exprimé en différentes langues par de différents moyens.

Et la signification et la structure sont des rapports: des rapports primaires, des rapports de caractère secondaire.

5. Les unités essentielles de la langue: syntagme (groupe de mots) mot (lexème), phonème.

Une analyse, pleine et systématique d'un groupe de mots et d'un mot suppose l'analyse de leurs fonctions et de leur structure: des fonctions dans la stylistique et la sémasiologie (sémasiologie descriptive, étudiant les catégories sémantiques), de la structure—dans la syntaxe et la morphologie¹.

Il est naturel de construire les notions fonctionnelles d'après l'indice fonctionnel, celles de structure d'après l'indice de structure—selon le principe homogène.

L'union des deux indices est irréalisable: il n'y a pas de parallélisme entre eux.

La langue est un objet d'études excessivement compliqué.

La linguistique, comme science intégrale du langage, suppose l'union organique de l'analyse de la langue dans son „être“ et son devenir, de ses fonctions et de sa structure.

¹ Le phonème ne peut pas être étudié d'après la fonction: le phonème (même la syllabe) n'a pas de signifié.

თ. შარაძენიძე

რას გვაძლევს ცოცხალი ენისა და მისი დიალექტების შესწავლა
ენის განვითარების კანონზომიერებათა დასადგინად

1. 1. სანამ შრომის ძირითად თემას შევხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ სინქრონიისა და დიაქრონიის, სტატიკისა და დინამიკის ცნებათა ურთიერთმიმართების საკითხი.

ენათმეცნიერებაში XIX საუკუნიდან მოყოლებული მკაფიოდ განასხვავებდნენ სტატიკურ ანუ აღწერით ენათმეცნიერებასა და ისტორიულ ანუ, როგორც ზოგჯერ უწოდებდნენ, ევოლუციურ ენათმეცნიერებას. მათ დაპირისპირებას საფუძვლად ედო ერთი გარკვეული პრინციპი: სტატიკური ანუ აღწერითი ენათმეცნიერება განიხილავს ენას დროის გარკვეულ მომენტში, როგორც უცვლელ მოვლენას, ისტორიული ენათმეცნიერება კი იკვლევს ენის ცვალებადობას, ენის განვითარებას.

ფ. დე სოსიურმა სტატიკური და ისტორიული (ევოლუციური) ენათმეცნიერების სინონიმებად შემოიღო ტერმინები სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერება. მისი სიტყვით, სინქრონიულია ყველაფერი, რაც ჩვენი მეცნიერების სტატიკურ ასპექტს განეკუთვნება, დიაქრონიულია ყველაფერი, რაც ევოლუციას ეხება. ამის შესაბამისად სინქრონია და დიაქრონია აღნიშნავს ენის მდგომარეობას და ევოლუციის ფაზას¹.

სოსიურს კარგად ესმოდა, რომ აბსოლუტური უცვლელობა ენაში არ არსებობს, რომ დროის რაგინდ პატარა მომენტითაც არ უნდა ავიდოთ, მცირედენ ცვლილებებს მაინც ექნება ადგილი და, მამასადამე, სტატიკური კრილი პირობითია და შეფარდებითი, იგი წარმოადგენს მეცნიერულ აბსტრაქციას, რომელიც ნაკლებმნიშვნელოვან ცვლილებებს უგულვებელყოფს².

პრადის სკოლამ, რომელიც მართებულად ცდილობდა გადაეღაზა სოსიურის მიერ სინქრონიასა და დიაქრონიას შორის აღმართული ზღუდე. გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სინქრონიული აღწერა ვერ გამორიცხავს მთლიანად ევოლუციის ცნებებს³.

ეს თეზისი, გაშლილად არის წარმოდგენილი რ. იაკობსონის შრომებში. 1929 წ. გახაზავდა რა იმას, რომ აუცილებელია ანგარიში გაეწიოს ცვლილე-

¹ Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, М., 1933, гл. 89, შდრ. იქვე, გვ. 103.

² იქვე, გვ. 104.

³ Тезисы Пражского лингвистического кружка. В. А. Звегинцев, История языкознания XIX—XX веков в очерках и извлечениях, ч. II, 1965, гл. 124.

ნებს, როგორც შემოდინ სინქრონიზში, ხოლო, მეორე მხრივ, რომ დიაქრო-
ლიულ ერთმეცნიერებასაც უხდება უცვლელობის გათვალისწინება, რ. იაკობ-
სონი ლაპარაკობდა სინქრონიზში დიაქრონიის ასახვისა და დიაქრონიზში სინ-
ქრონიის ასახვის შესახებ⁴.

ორიოდე წლის შემდეგ რ. იაკობსონმა სხვაგვარი გაგება შემოგვთავაზა.
მან ერთმანეთისაგან განსხვავებულად მიიჩნია საპირისპირო ცნებათა ორი
წყვილი: ერთი მხრივ, სტატიკა და დინამიკა, ხოლო, მეორე მხრივ, სინქრონი-
ა და დიაქრონია. ავტორის აზრით, სინქრონიული კვლევა ითვალისწინებს არა
ნხოლოდ სტატიკას, არამედ დინამიკასაც: ცვლილება, ისევე, როგორც ენის
უცვლელი ელემენტები, შეიძლება განდეს ენის სინქრონიული კვლევის საგანი.
დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ სინონიმებად მიგვეჩინა სტატიკა და სინქრო-
ნია. სტატიკური კრიონი ფიქციაა, იგი მხოლოდ მეცნიერულ დამსმარე საშუალებ-
ას წარმოადგენს და არა განსაკუთრებული რეალბონის მოდუსს⁵.

ამ შეხედულებას იცავს რ. იაკობსონი თავის გვიანდელ შრომებშიაც. მისი
განმარტებით, ენაში „სტატიკა“ და „სინქრონია“ არ ემთხვევა ერთმანეთს.
ყოველგვარი ცვლილება თავდაპირველად განეკუთვნება ენობრივ სინქრონიას:
როგორც ძველი, ისე ახალი სახესხვაობა თანაარსებობენ ერთსა და იმავე დროს
ერთსა და იმავე სამეტყველო კოლექტივში, როგორც უფრო არქაული და უფ-
რო ახალი... (ისინი განეკუთვნებიან) ერთი და იმავე კოლას ორ ურთიერთ-
შენაცვლებად ქვეკოდს. თითოეული ქვეკოდი თავისთავად მოცემულ მოქმენტ-
ში წარმოადგენს სტაციონარულ სისტემას, რომელიც იმართვის მკაცრი სტრუქ-
ტურული კანონების მიერ, მაშინ როდესაც ამ ნაწილობრივ სისტემათა ურთი-
ერთობა ავლენს ერთი ასეთი სისტემიდან მეორეში გადასვლის დინამიკურ კან-
ონებს⁶.

იმ ფაქტზე, რომ სინქრონიულ კრილში ვერ ხერხდება ენობრივ ცვლილე-
ბათა სრული გამორიცხვა, გარდა პრალის სკოლის წარმომადგენლებისა, მიუ-
თითებდნენ სხვა ენათმეცნიერებაც. მაგ., ლ. იელმსლევე ჯერ კიდევ 1928 წ.
აღნიშნავდა, რომ სინქრონია არ ნიშნავს სტატიკას, რადგან თვით სინქრონიზში
ფარულად მოქცეულია ენობრივი განვითარების დინამიკა⁷.

უფრო გვიან ვ. ბრანდალიც წერდა: რაც შეეხება სინქრონიისა და დია-
ქრონიის განსხვავებას, უნდა დავუშვათ, რომ დრო... გამოვლინდება სინქრო-
ნიის შიგნითაც, სადაც უნდა გავარჩიოთ სტატიკური და დინამიკური მო-
ნეტებობა⁸.

⁴ სინქრონიზი დიაქრონიის ასახვის მეფეებელია, ავტორის აზრით, არქაონები და
ნეოლოგიზმები, პროდუქტული და არაპროდუქტული ფორმები. R. Jakobson,
Remarques sur l'évolution phonologique du Russe. TCLP, 1929, № 2, გვ. 16.

⁵ R. Jakobson, Prinzipien der historischen Phonologie. TCLP, 1931, № 4,
გვ. 264—265.

⁶ Р. Якобсон, Типологические исследования и их вклад в сравнительно-
историческое языкознание. Новое в лингвистике, III, гв. 102. საბოლოოდ ავტორი მი-
ლის დასკვნამდე: „გამქლობის, დროში სტატიკის პრობლემა იქვეა დიაქრონიული ენათ-
მეცნიერების განუყოფელ პრობლემად, მაშინ როდესაც დინამიკა, ენის მთლიანობაში ქვე-
კოდების ურთიერთობა წარმოადგენს ლინგვისტური სინქრონიის ერთ-ერთ ცენტრალურ
საკითხს“ (იქვე, გვ. 104).

⁷ L. Hjelmslev, Principes de grammaire générale, 1928, გვ. 56.

⁸ В. Брѣндаль, Структуральная лингвистика. В. А. Звегинцев, История
языкознания XIX—XX веков..., გვ. 99.

1. 2. როგორც ვხედავთ, სინქრონიისა და დიაქრონიის ცნებები სოსიურსა და მის მიმდევარ სტრუქტურალისტებს საკმაოდ განსხვავებულად ესმით. ჩვენი აზრით, ამ განსხვავებაში უკუფენილია ის სიძნელებები, რომლებიც ამ ორი ასპექტის გამიჯვნისას გვხვდება.

სოსიურთან სინქრონია და დიაქრონია თეორიულად მკაფიოდ არის გარჩეული: პირველი ენის სტატუსს, მდგომარეობას სწავლობს, მეორე — ცვალებადობას, განვითარებას. მაგრამ საქმე ისაა, რომ პრაქტიკულად ასეთი მკაცრი გამიჯვნა არ ხერხდება. ნებისმიერ სინქრონიულ ქრილში ყოველთვის აქვს ადგილი მეტ-ნაკლებ ცვლილებებს, რომელთა უგულვებელყოფა, წინააღმდეგ სოსიურის მტკიცებისა, სინქრონიულ ენათმეცნიერებას არ შეუძლია. მეორე მხრივ, ერთმანეთის მომდევნო ეპოქებში ენობრივი სისტემის ყველა რგოლი არ განიცდის ცვალებადობას. სწორედ ამ სიძნელის გადასახაზად სცადეს განესხვავებინათ ერთმანეთისაგან სინქრონია და სტატკია, დიაქრონია და დინამიკა. შევლის თუ არა ეს საქმეს? — ფიქრობთ, რომ — არა.

თუ სინქრონიას და დიაქრონიას გამოვაცლით სტატიკურობის ანუ უძრავობის, უცვლელობის და დინამიკურობის ანუ ცვალებადობის გაგებას, მაშინ ამ ცნებათა გარჩევასაც საფუძველი ეშლება და ისინი ენათმეცნიერებისათვის კარგავენ ღირებულებას.

მართლაც, რას დავამყაროთ სინქრონია, თუ ის არ უდრის ენისადმი სტატიკურ მიდგომას? მოლაპარაკე კოლექტივის ცნობიერების ერთდროულობას? ნაგრამ თვით მოლაპარაკე კოლექტივის ერთიანობაც რომ არ არის შემოფარგლული დროში? მოლაპარაკე კოლექტივი უწყვეტია დროის მიხედვით, თუმცა მისი შემადგენლობა განუწყვეტლოვ იცვლება. ამასთანავე იცვლება არა ერთბაშად, წინა თაობის მთლიანად მოსპობისა და მომდევნო თაობით მისი შეცვლის გზით, არამედ სხვადასხვა თაობის წევრთა გამოკლებასა და ახალ თაობათა მუდმივად მიმატების შედეგად. ასეთ პირობებში როგორ უნდა დავადგინოთ სინქრონიული მიდგომის ფარგლები მოლაპარაკე კოლექტივის ცნობიერებიდან ამოსვლით?

ჩვეულებრივ, სინქრონიის ქვეშ ესმით იმ კოლექტივის მეტყველება, რომელიც ენათმეცნიერების მიერ ენაზე დაკვირვების დროს არსებობს. მაგრამ აშკარაა, რომ ამით არ ამოიწურება ერთი სინქრონიული ქრილი. იგი შეიძლება გაფართოვდეს როგორც წარსულის, ისე მომავლის მიმართულებით. უდავოა, რომ თანამედროვე ქართულ ენას მხოლოდ 1967 წლის მეტყველება არ შეადგენს. ენის იმავე მდგომარეობას განეკუთვნება 1966—1965—1964 წლების და 1968—1969—1970 წლების მეტყველებაც. მაგრამ როდესაც საქმე უფრო შორეულ წლებს ეხება, იკვეცვა, რომ ჩვენ არა გვაქვს მკაცრი კრიტერიუმი სინქრონიული ერთეულის გამოყოფისათვის. სად უნდა დავიწყოთ და სად დავამთავროთ ენის ერთი სინქრონიული მონაკვეთი? ამის დადგენის შესაძლებლობას მოლაპარაკე კოლექტივის ცნობიერება ზემოდასახელებული მიზეზების გამო არ გვაძლევს.

სინქრონიის სხვა გაგების მიხედვით, მისთვის არსებითად მიჩნეულია ენობრივი ფაქტების ერთმანეთთან თანადროულობა. მაგრამ ისიც კარგად ცნობილია, რომ ენაში სხვადასხვა დროის ფაქტები თანაარსებობს. ძველისძველი და უახლესი მოვლენები ერთ სისტემაშია გაერთიანებული. უძველესი ფაქტები არა მხოლოდ თანამედროვე მოვლენებთან ერთადაა მოცემული, არამედ ისინი

წარსული ისტორიული ეპოქების სხვადასხვაგვარი ენობრივი მოვლენების თანადროულად იყვნენ. აქაც გაურკვეველი რჩება, როგორ უნდა დაეადგინოთ სინქრონიული მიდგომის ფარგლები.

ბოლოს, თუ სინქრონიის ქვეშ ენობრივ ფაქტთა ერთდროულ მიმდინარებას ვიგულისხმებთ კინოფილმის მსგავსად¹, მაშინ ენობრივი მიდგომის ორი ასპექტი საერთოდ აღარ შემოგვრჩება, ვინაიდან გაურკვეველი დარჩება, რა განსხვავებაა სინქრონიასა და დიაქრონიას შორის?

ზემოთქმულის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ სინქრონიისა და დიაქრონიის ცნებები ენათმეცნიერებისათვის ფასეული დარჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სტატიკასა და დინამიკას დაემყარება, ე. ი. თუ ნახშიარი იქნება აღწერითი და ისტორიული ენათმეცნიერების სინონიმებად.

ამით, რა თქმა უნდა, არ მოიხსნება ის სიძნელე, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. სინქრონიული ჭრილის იმგვარად გამოყოფა, რომ სრულიად ელიმინირებული იყოს ცვალებადობა, არ ხერხდება. მეორე მხრივ, ისტორიული მიდგომის დროს ცვალებადი მოვლენების გვერდით ისეთებიც გვსვდება, რომელთაც იმავე ეპოქის განმავლობაში არ განუცდიათ რაიმე შესამჩნევი ცვლილებები. ეს სიძნელე (სინქრონიაში — ცვალებადობა, დიაქრონიაში — უცვლელობა!) სინქრონიისა და დიაქრონიის ცნებათა განსაზღვრისას დაშვებული რაიმე ლოგიკური შეცდომის შედეგი კი არ არის, არამედ ობიექტური ხასიათისაა და მისი მიზეზი თვით ენის ბუნებაშია. ამიტომ მისი ახსნა შესაძლებელია, მოხსნა კი — არა.

რით აიხსნება ზემოთ აღწერილი სიძნელე? ჯერ ერთი, ყოველი ცოცხალი ენა განუწყვეტლივ განიცდის ცვალებადობას, მისი „შეჩერება“, მაშინ მდგომარეობის გამოყოფა მეცნიერულ აბსტრაქციას წარმოადგენს და არა რეალურად არსებული ვითარების ასახვას. მეორე და მთავარი კი ისაა, რომ ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტემპით იცვლება. ამიტომ დროის ან მცირე მონაკვეთიც არ უნდა ავიღოთ, ყოველთვის დადასტურდება ენობრივი სისტემის ამა თუ იმ რგოლში ცვალებადობის ისეთი ეტაპები, რომელთა უგულვებელყოფა არც გამართლებულია და არც შესაძლებელი თვით აღწერის სისრულის თვალსაზრისითაც კი. ენობრივი სისტემის ყველა რგოლი რომ ერთნაირი ტემპითა და ერთდროულად იცვლებოდეს, მაშინ ჩვენ ალბათ შევძლებდით გამოგვეყო დროის ისეთი მონაკვეთები, რომელთა განმავლობაშიაც ცვალებადობა უმნიშვნელო იქნებოდა. არსებულ ვითარებაში ამას შეიძლება მივაღწიოთ ყოველი ცალკეული ენობრივი რგოლის მიპართ მისი ცვალებადობის ტემპებისა და ეტაპების გათვალისწინებით, მაგრამ ენის მთელი სისტემის მიმართ, მისი უთანაბრო განვითარების გამო, ეს ვერ ხერხდება. ჩვენ ისღა დავგრძენია, რომ სინქრონიული ჭრილის გამოყოფისას ანგარიში გავუწიოთ ენობრივი სისტემის უდიდეს ნაწილს. მდგომარეობა განვსაზღვროთ იმის მიხედვით, რომ სისტემის უდიდესი ნაწილი დროის გარკვეულ შუალედში თვალსაჩინო ცვლილებებს არ განიცდის.

აქედან აშკარაა სინქრონიული ჭრილის პირობითი და შეფარდებითი ხასიათი. ამასთან არც ის უნდა იწვევდეს დავას, რომ ცვლილებები, რომელთა ელი-

¹ შტრ. R. Jakobson, Prinzipien der historischen Phonologie. გვ. 264—265.

ძინაცია სინქრონიულ კრილში არ სერხდება, არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. ასეთ მოვლენათა კვალიფიკაციისათვის დიაქრონიული ენათმეცნიერების თვალსაზრისი და ცნებები იქნება საჭირო.

ბუნებრივია, დაისვას საკითხი: თუ სინქრონიისა და დიაქრონიის მკაცრად გამოიყენა პრაქტიკულად ვერ სერხდება, საჭიროა თუ არა მათი განსხვავება, საჭიროა თუ არა საერთოდ სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების გამოყოფა? — უეჭველად საჭიროა, ვინაიდან ეს არის ენისადმი ორი სხვადასხვაგვარი მიდგომა, რაც სხვადასხვა მიზნებს ისახავს და სხვადასხვა მეთოდებს მოითხოვს.

ენის სინქრონიული კრილის შესწავლა შესაძლებელს ხდის ენობრივი ერთეულების იდენტიფიკაციას, მათ კლასიფიკაციას და მათ შორის მიმართებითა დადგენას, აგრეთვე ენობრივი დონეების განსაზღვრას. დიაქრონიული კვლევა, ითვალისწინებს რა ცვალებადობის პროცესს, ეძიებს ცვლილებათა განმარტებულ მიზეზებს, ე. ი. ცდილობს ახსნას ენობრივი მოვლენები.

ამგვარად, ეს ორი მიდგომა ავსებს ერთმანეთს. ამასთან სინქრონია ენის შესწავლის უფრო აღრინდელი და ამასთანავე უფრო დაბალი დონეა, დიაქრონია კი მომდევნო და უფრო მაღალი დონე არა მხოლოდ კვლევის თანმიმდევრობის თვალსაზრისით, არამედ ენის არსში შეღწევის თვალსაზრისითაც.

იკავს რა სინქრონიული და დიაქრონიული მიდგომის სპეციფიკას, ენათმეცნიერებამ სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს ამ ორგვარი მიდგომის გამოიყენების წარმოქმნილ ობიექტურ სიძნელეებს როგორც ენათა კვლევის დროს, ისე სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების ურთიერთობის გარკვევის დროსაც. კერძოდ, ეს სიძნელეები ერთხელ კიდევ გახაზავენ სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების მჭიდრო და ორგანულ შინაგან კავშირს. კავშირს, რომელიც, წინააღმდეგ სოსიურის მტკიცებისა, გამოირიცხავს მათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განცალკევებულად არსებობას.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ სინქრონიისა და დიაქრონიის მკაცრად გამოიყენა არ წარმოადგენს ენათმეცნიერების თვითმიზანს. მიზანია ენის შექმნება და მას ემსახურება ლინგვისტიკა, როგორც მთლიანი მეცნიერება ენის შესახებ. სინქრონიულ და დიაქრონიულ ენათმეცნიერებად დაყოფა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ეს ხელს უწყობს აღნიშნული მიზნის მიღწევას.

არ იქნებოდა გაართლებული თვალი დაგვეხუჭა იმაზე, რომ აღწერის დროს ყოველი ცოცხალი ენის სისტემაში დასტურდება ფაქტები, რომლებიც უეჭველად დიაქრონიულ მიდგომას მოითხოვენ¹⁰. ეს არის ფაქტები, რომლებიც აშკარად მეტყველებენ, რომ ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურს განეკუთვნებიან. მაშასადამე, რომელთა სისტემატიზაცია ისტორიულ კრილში მათი განლაგების გარეშე შეუძლებელია. წინამდებარე ნაშრომში ძირითადად სწორედ ასეთ მოვლენებზე შევჩერდებით.

ეს მოვლენები ერთსა და იმავე ენობრივ კოლექტივში ერთდროულად დასტურდება. მათი გვერდის ავლა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ენის აღწერისას მათზე შეჩერება სინქრონიისა და დიაქრონიის აღრევას გამოიწვევდა, იქნის მომასწავებელი იქნებოდა, რომ აბსტრაქციამ, რომელიც ჩვენ თვითონ მოვაინდინეთ სინქრონიული კრილის გამოყოფით. დახმარების ნაცვლად ხელი შევკვიშალოს ენის მეცნიერულ შეცნობაში.

¹⁰ ეს ვითარება სავსებით მართებულია შენიშნა პრალის სკოლამ.

ამგვარად, ენობრივი სისტემის განვითარების თავისებურება, კერძოდ მისი განვითარების უთანაბრობა აუცილებლად მოითხოვს იმას, რომ ენის აღწერისას შემოვიტანოთ ისტორიის ელემენტები. ეს შეეხება ისეთ გარდაამავალ მოვლენებს, როგორც ცვალებადობის ელიმინაცია დროის ადებულ პერიოდში ვერ ხერხდება. მაშასადამე, აქ სინქრონიისა და დიაქრონიის აღრევასთან კი არ გვაქვს საქმე. არამედ სხვადასხვა რიგის ენობრივ მოვლენებთან, რომლებიც თავიანთი ბუნების შესაბამისად სხვადასხვაგვარ მიდგომას მოითხოვენ. გავხაზავთ, რომ ლაპარაკია ზედაპირულ მოვლენებზე, რომელთა ცვალებადობის გათვალისწინება სპეციალურ, გაღრმავებულ ისტორიულ კვლევას არ მოითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, არ ხსნის ენის მთელი სისტემის საგანგებო ისტორიული ანალიზის საქიროებას. ასეთი ანალიზი, როგორც აღნიშნული იყო, ენის კვლევის მეორე საფეხურზე იშლება მთელი სისრულით და საგანგებო მეთოდების გამოყენებით. ამასთანავე, ისევ ენის უთანაბრო განვითარების გამო დიაქრონიული კვლევის დროსაც შეგვხვდება ისეთი მოვლენები, რომლებიც მთელი ისტორიული პერიოდების განმავლობაში უცვლელად რჩებიან.

2. როგორც აღნიშნული იყო, სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერება განსხვავდება ერთმანეთისაგან თავიანთი მიზნებით, თვალსაზრისებით, სპეციალური მეთოდებით. ამ განსხვავებაზე საენათმეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი თქმულა. ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ერთ-ერთ განსხვავებაზე, რომელსაც, ჩვეულებრივ, ნაკლები ყურადღება ექცევა. საქმე ესება საკვლევი მასალას.

სინქრონიულ ენათმეცნიერებას საკვლევი მასალა მთლიანად მოცემული აქვს. ჩვეულებრივ, მისი ობიექტია ცოცხალი მეტყველება, რომელსაც ენათმეცნიერი უყვირდება, იწერს და შემდეგ აანალიზებს. ამგვარად, კვლევა ესება მხოლოდ იმას, რაც წინასწარ ფიქსირებულია და მკვლევრის განკარგულებაში იმყოფება. აქ საზრუნავი მხოლოდ ის არის, რომ მასალა საკმაო რაოდენობით იქნეს ფიქსირებული ანუ, სხვაგვარად, კორპუსი, რომლის ანალიზსაც მიმართავენ, ისეთი მოცულობისა იყოს, რომ ის მოიცავდეს ენის ყველა თავისებურებას. თუ კვლევის პროცესში გაირკვევა, რომ მოპოვებული მასალა არ არის საკმარისი ენის სრული აღწერისათვის, ენათმეცნიერს აქვს შესაძლებლობა შეავსოს იგი მოლაპარაკე კოლექტივში.

სინქრონიული შესწავლა შესაძლებელია არა მხოლოდ მკვლევრის თანამედროვე ენისა, არამედ გასული ეპოქების ენისაც, თუ ის ფიქსირებულია წერილობით ძეგლებში. აქ მდგომარეობა უფრო რთულია, ვინაიდან კორპუსის მოცულობა არ არის დამოკიდებული მკვლევარზე. იგი უნდა დაკმაყოფილდეს იმ ძეგლებით, რომლებიც მისთვის საინტერესო ეპოქაში შეუქმნიათ ან რომლებსაც ჩვენამდე მოუღწევია. მათი შევსება-გავრცობა, ცხადია, ენათმეცნიერს არ ძალუძს. ამიტომ გასულ ეპოქათა ენის აღწერა შეიძლება არ იყოს სრული მასალის უკმარობის გამო.

ამას ისიც ერთვის, რომ ძველ ეპოქებში წერილობითი ძეგლების ჩაწერა მათი მეცნიერული შესწავლის მიზნით არავის უწარმოებია. ამიტომ ენის თავისებურებები მათში ზუსტად ფიქსირებული არ არის. ამასთან, წერილობითი ძეგლები, როგორც წესი, სალიტერატურო ენას განეკუთვნებიან, ცოცხალი მეტყველების მრავალფეროვნებას ვერ ასახავენ. ეს, ცხადია, ხელს უშლის სრულ და ამომწურავ აღწერას.

მაშასადამე, სინქრონიული კვლევა ემყარება ენათმეცნიერისათვის წინასწარ მოცემულ მასალას და ამ მასალის ფარგლებს იგი ვერ გაცდება. შეუძლებელია ისეთი ენის სინქრონიული ანალიზი, რომელზედაც არც არავინ ლაპარაკობს და არც წერილობითი ძეგლები მოიპოვება.

სხვა ვითარებაა დიაქრონიულ ენათმეცნიერებაში. აქ საკვლევი მასალა ენათმეცნიერს მთლიანად არა აქვს წინასწარ მოცემული. მის განკარგულებაშია მხოლოდ მისი თანამედროვე ენის ფაქტები, მაგრამ იმავე ენის განვითარების უფრო ადრინდელი საფეხურები აღდგენილი უნდა იქნეს სპეციალური მეთოდების გამოყენებით (როგორცაა: მონათესავე ენათა შედარება, შინაგანი რეკონსტრუქცია, ლინგვისტური გეოგრაფიის, არეალური ლინგვისტიკის მეთოდები და ა. შ.). გამონაკლისს ქმნის ძველი წერილობითი ძეგლები, რომლებშიც ფიქსირებულია ენათა განვითარების ძველი ეტაპები. მაგრამ მიუხედავად იმისა რომ მნიშვნელობისა, წერილობითი ძეგლები ვერ ასახავენ ვერც შესასწავლი ენის ყველა თავისებურებას, ვერც მისი ისტორიის ყველა საფეხურს. ამასთან მრავალ ენას სრულად არ მოეპოვება ძველი წერილობითი ძეგლები. ხოლო სადაც ისინი გვაქვს, იქ ისტორიული კვლევა უფრო ადრინდელი ეპოქების შესწავლასაც ისახავს მიზნად.

ამგვარად, ისტორიული ენათმეცნიერება მხოლოდ მის განკარგულებაში არსებულ მასალას კი არ ანალიზებს, არამედ მას უხსნება გარდასულ ეპოქათა დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების აღდგენაც. ეს ქმნის ისტორიული კვლევის ერთერთ სიმძლევს აღწერითთან შედარებით.

ისტორიულ ენათმეცნიერებას რომ მოეპოვებოდეს ენის განვითარების სხვადასხვა ეპოქის ისეთივე სრული მასალა, როგორც თანამედროვე ენების შესახებ შეიძლება იქნეს მოპოვებული, მაშინ ბევრად გაადვილდებოდა ენაში მიმდინარე პროცესების დადგენა და მათი მიზეზების ძიებაც.

მონაცემები ენათა ისტორიის ადრინდელი საფეხურების რეკონსტრუქციისათვის ისევ თანამედროვე ან წერილობით ფიქსირებულ ენებში უნდა იქნეს მიგნებული. სხვა წყაროები ენათა ისტორიის გათვალისწინებისათვის არ არსებობს!¹¹

ენათა ისტორიული კვლევის მეთოდები, მონათესავე ენათა ისტორიული შედარება იქნება ეს, ცალკეულ ენაში ჩატარებული შინაგანი რეკონსტრუქცია. თუ ლინგვისტური გეოგრაფიის ან არეალური ლინგვისტიკის სპეციალური ხერ-

¹¹ ამიტომ არ გვეჩვენება ვაპაზიარებლად აზრი, თითქოს დიაქრონიული კვლევის არსი მდგომარეობდეს ერთმეორის მომდევნო სინქრონიული ქრილების ერთმანეთთან შედარებაში და მათ აღწერაში. ასეთი პროცედურა მეთოდოლოგიურად გამართლებულიც რომ იყოს, იგი პრაქტიკულად მაინც განუხორციელებელი დარჩებოდა, ვინაიდან სხვადასხვა ეპოქის სინქრონიული ქრილი ენათმეცნიერებას არ მოეპოვება იმ მცირერიცხოვან შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც ძველი წერილობითი ძეგლები არსებობს (ამასთან, როგორც აღნიშნული იყო, წერილობითი ძეგლები არ გვაძლევს საქმით მასალას გარდასულ ეპოქათა სინქრონიული ქრილის სრულად წარმოსადგენად).

რაც შეეხება იმას, რომ დიაქრონიული კვლევა აღწერამდე იქნეს დაყვანილი, აქ, ვფიქრობთ, თავს იჩენს დიაქრონიული ენათმეცნიერების სპეციფიკის უგულვებელყოფის ტენდენცია. დიაქრონიულ ენათმეცნიერებას მხოლოდ ცვლილების ფაქტის კონსტატაცია, მისი აღწერა კი არ აინტერესებს (ვთქვათ, იყო A და მივიღეთ B), არამედ იგი ცდილობს გაარკვიოს, თუ როგორ და რა პირობებში მიმდინარეობდა ცვალებადობის პროცესი, სისტემის არმეორეობა და რაწარად აისახა ეს ცვლილება და რამ გამოიწვია იგი.

სები, სწორედ დადასტურებულ ენებში ან ენობრივ მასალაში ეძიებენ წარსულის კვალს. ასეთ კვალს კი ენებში მოქმედი პროცესები საკმაოდ ხშირად და გარკვევით ტოვებენ. სწორედ ამიტომ იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც გვიანდელ ენათა სისტემებში ან სხვადასხვა ენის ურთიერთმიმართებაში დასტურდება (ნათესაობის დროს, ურთიერთგავლენის დროს), ხერხდება იმ პროცესთა აღდგენა, რომლებმაც ეს თავისებურებები წარმოქმნეს და უფრო ადრინდელი (ცვლილებამდელი) ვითარების მეტ-ნაკლები მიახლოებით წარმოდგენაც.

ასეთი კვლევა მეტად რთულია. მისი შედეგები დამოკიდებულია, ერთი მხრივ, დადასტურებულ ენათა (ან ენის) მასალაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კვლევის მეთოდების სიზუსტეზე და მათი გამოყენების სიმკაცრეზე. დღესდღეობით პილწეული ბევრად ჩამორჩება სასურველს. მაგალითად, ისტორიული კვლევის შედეგად ვერ ხერხდება ენის განვითარების რომელიმე ადრინდელი, არაფიქსირებული საფეხურის სრული რეკონსტრუქცია. ჩერ ერთი, რეკონსტრუქცია, როგორც წესი, ფრაგმენტულია, ენის მთელ სისტემას და მის კონკრეტულ რეალიზაციას ვერ მოიცავს. მეორეცაა და, ხშირად ძნელია ან შეუძლებელია კი დადგინდეს ენის სისტემის სხვადასხვა სფეროში აღდგენილი ფორმები ერთ სინქრონიულ ჰრილს განეკუთვნებოდნენ თუ სხვადასხვას.

იმისათვის, რომ აღვადგინოთ ენის განვითარების ადრინდელი ეტაპები, აგრეთვე გავიგოთ ცვალებადობის პროცესები და ცვლილებათა მიზეზები. აუცილებელია ვიცოდეთ ის ზოგადი პირობები და კანონზომიერებანი, რომლებიც წარმართავენ საზოგადოებაში ენის ფუნქციობას და მის განვითარებას. ამ ზოგადი პირობების შემეცნება მხოლოდ ცოცხალი ენებისა და დიალექტების შესწავლის გზით ხერხდება, რადგან მხოლოდ აქ არის შესაძლებელი დაკვირვებით ენას ადამიანთა საზოგადოებაში და გაერთიანებისწინათ ის მრავალკვარი ფაქტორები, რომლებიც მასზე მოქმედებენ.

ცოცხალი ენისა და მისი დიალექტების შესწავლა რელევანტურია დიაქრონიული ენათმეცნიერებისათვის შემდეგი მიზეზების გამო:

ა) ყოველი ცოცხალი ენა წარმოადგენს განვითარებად სისტემას, რომელშიაც განუწყვეტლივ მიმდინარეობს სხვადასხვაგვარი პროცესები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უძრავად გაქავეებული ენა სინამდვილეში არ არსებობს. სინქრონია, როგორც სტატიკური მდგომარეობა, წარმოადგენს მეცნიერულ აბსტრაქციას, რომელიც აუცილებელია ენის უკეთ შემეცნებისათვის. მაგრამ ცოცხალ ენათა კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დინამიკის სრული ელიმინაცია ვერ ხერხდება თვით სინქრონიული ანალიზის მიზნებისთვისაც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ცოცხალ ენაში მოიპოვება დიაქრონიული ენათმეცნიერებისათვის ფასეული მასალა, რომელზე დაკვირვებაც შესაძლებლობას აძლევს მკვლევარს თვალი გაადევნოს ენაში ამ დროს მოქმედ პროცესებს და იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც ენის განვითარებაზე ახდენენ გავლენას.

ბ) რადგანაც ენობრივი სისტემის სხვადასხვა რგოლები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტემპით იცვლება, ყოველ ცოცხალ ენაში დასტურდება ამ დროს მოქმედ პროცესთა სხვადასხვა ეტაპები. ეს აძლევს შესაძლებლობას დიაქრონიულ ლინგვისტიკას დაუკვირდეს ენაში მიმდინარე პროცესთა სხვადასხვა საფეხურს (ზოგის დასაწყისს, ზოგის დასასრულს...) და ამის მიხედვით შექმნას სრული სურათი ენის განვითარების მიმდინარეობის შესახებ.

გ) ცოცხალ ენაზე დაკვირვება მხოლოდ ამ დროს მოქმედ პროცესებს კი არ გავგათვალისწინებინებს. ბევრი ცვლილება, რომელსაც წარსულში ქპონა ადგილი, ტოვებს ენის სისტემაში გარკვეულ კვალს, რისი კვლევაც ალგვადგენი-ნებს სათანადო ფაქტთა ისტორიას.

ქვემოთ მოყვანილია ამ მიმართულებით ზოგი განზოგადება, რაც უმწერ-ლობო სვანური ენის დიალექტებზე დაკვირვების საფუძველზე მივიღეთ. ზო-გიერთ შემთხვევაში დამოწმებულია აგრეთვე ქართველური ენების ან მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევრების მიერ მოპოვებული შედეგებიც. მეტი თვალსაჩინოებისათვის მაგალითები ძირითადად ფონეტიკა-ფონოლოგიიდან მოგვყავს.

3. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სალიტერატურო ენის წარმოქმნა ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ მონაპოვარს წარმოადგენს ხალხის განვითარებაში. სალიტერატურო ენის სპეციფიკა სალაპარაკო ენასთან შედარებით ყოველთვის აღძრავდა მკვლევართა ინტერესს. ჩვენ გვინდა გავა-მხვილოთ ყურადღება მხოლოდ ერთ საკითხზე. სახელდობრ, იმაზე, რომ სა-ლიტერატურო ენის არსებობა ზეგავლენას ახდენს თვით სალაპარაკო ენაზე-დაც, რის გამოც უმწერლობო ენის განვითარებას გარკვეული თავისებურებები ანასიათებს ლიტერატურის მქონე სალაპარაკო ენის განვითარებასთან შედარე-ბით. ამ განსხვავების საფუძველს წარმოადგენს მოლაპარაკეთა სხვადასხვაგა-რი დამოკიდებულება ენის მიმართ, რაც დამწერლობის არსებობა-არარსებო-ბასთან არის დაკავშირებული.

სალიტერატურო ენის უქონლობის დროს მოლაპარაკენი ენას მთლიანად ატაცნობიერად იყენებენ. ისინი არ ახდენენ ენობრივ ფაქტთა ობიექტივაციას, არ აქცევენ ნათქვამს საგანგებო განსჯის საგნად.

სულ სხვა ვითარებაა სალიტერატურო ენის შემთხვევაში. სალიტერატუ-რო ენა, როგორც წესი, დამწერლობას ემყარება. იგი საგანგებოდ ისწავლება და ინერგება. დამწერლობა, სკოლა, სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის მოთხოვნილება ავითარებს მოლაპარაკეებში შეგნებულ დამოკიდებულებას ენის მიმართ, რეფლექსიის, ენობრივი ფაქტების ობიექტივაციის უნარს, თვით-კონტროლის ჩვენას. ყველაფერი ეს თავს იჩენს არა მხოლოდ საკუთრივ სალი-ტერატურო ენის გამოყენების დროს, არამედ გარკვეულ კვალს აჩენს ყოველ-დღიურ სასაუბრო ენასაც.

ზემოაღნიშნული განსხვავებით აიხსნება ის, რომ უმწერლობო ენაზე ტე-ქსტის ჩაწერის დროს ენათმეცნიერი საკმაო სიძნელეებს ხვდება. როგორც ცნობილია, ყველა მოლაპარაკე ვერ გამოდგება ინფორმანტად. იმისათვის, რომ ლინგვისტმა ჩაიწეროს მთქმელის გაბმული თხრობა, ამ უქანასწენელმა უნ-და ილაპარაკოს შენელებულ ტემპით, მკვლევრის თხოვნის შესაბამისად უნდა დაანაწევროს გამოთქმა სიტყვებად, სიტყვები ბგერებად ან მარცვლებად, გა-მეოროს ესა თუ ის სიტყვა ან გამოთქმა და საჭიროებისამებრ განმარტოს კი-დევაც ის. ყველაფერი ეს რომ შეასრულოს, ინფორმანტს უნდა შეეძლოს თავი-სი საკუთარი მეტყველების ობიექტივაცია და მასზე გარკვეული ოპერაციების ჩატარება. როგორც ირკვევა, წერა-კითხვის უცოდინარ მთქმელებს ამის უნარი ხშირად არა აქვთ, მაშინ როდესაც სკოლაში მოსწავლე უმცროსი ასაკის ბავშ-ვებისთვისაც კი ასეთი მარტივი ოპერაციები რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენენ.

ამკარაა, რომ დამწერლობა, რაც სალიტერატურო ენის წარმოშობას უკავშირდება, არსებითად ცვლის ადამიანის დამოკიდებულებას ენის მიმართ. იგი ბიძგა აძლევს ენობრივი მასალის გაცნობიერებას, ქმნის პირობას იმისათვის, რომ ენა დაკვირვების, განსჯის საგნად იქცეს. რომ აქ გარკვეული უნარის განვითარებას ეხება საქმე და არა ამა თუ იმ ენის კონკრეტული მასალის დანაწევრების ათვისებას. ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითზე: სვანებისათვის ეროვნულ, სალიტერატურო და, მასშალადამე, სკოლის ენას ქართული წარმოადგენს. ამათთან, სვანი ბავშვები, რომლებიც ქართულად სწავლობენ წერა-კითხვას, თავისუფლად ახერხებენ აგრეთვე სვანურად ნათქვამის დანაწევრებას სიტყვებად. ბგერებად. ამჟღავნებენ რეფლექსიას სვანური ენის მასალის მიმართ, მაშინ როდესაც ქართული წერა-კითხვის უცოდინარ უფროსებს ეს ძალიან უჭირთ ან სრულიად არ შეუძლიათ¹². შეინიშნება, რომ მეორე ენის დაუფლებაც უწყობს ხელს ენისადმი რეფლექსიის უნარის განვითარებას.

ენის ფაქტების მიმართ რეფლექსიის უქონლობა არის იმის მიზეზი, რომ სხვა თანაბარ პირობებში უმწერლობო ენის ცვალებადობა უფრო სწრაფი ტემპით ხდება, ვიდრე დამწერლობის მქონე ზეპირი მეტყველებისა. რეფლექსიამ შეიძლება შეანელოს ან სრულიად შეაჩეროს ზოგიერთი პროცესი ენაში.

ამით უნდა აიხსნებოდეს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე საზოგადოებაში გარკვეული ბგერათცვლილებები (ასიმილიაცია, ბგერათა ამოვარდნა და ა. შ.) საკმარისად გავრცელებული წერა-კითხვის უცოდინარი უფროსი თაობისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების მეტყველებაში, სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდებთან და სკოლადამთავრებულებთან კი ეს პროცესები არ იჩენს თავს ან შენელებულია. მაგ., სვანური ენის ლატალურ კილოკავში მოხუცთა და უწიგნურთა მეტყველებაში სისტემობრივ დასტურდება რ, ლ და ნ — (წერნი — წენნი, წიგნი — წიგნი, აღგრნი — აღგნენი „წავა“), ხოლო სკოლაში მოსწავლეებთან და სკოლადამთავრებულებთან ეს პროცესი ბევრად უფრო სუსტადაა გამოხატული. მასშალადამე, პროცესი კი არ ვითარდება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ ნელდება.

თუ რატომ ხდება ასე, ამის გარკვევის შესაძლებლობა მოგვცა შემდეგმა შემთხვევამ: იმავე ლატალურში მთქმელისაგან გაბმულ მეტყველებაში ჩავიწყრეთ ფორმები კასს (-კაშაშ-ს), ლუასს (-ლუაშაშ-ს). ორივე შემთხვევაში ფუძისეული შ (კაშაშ „ქმარი“, ლუაშ „ჭიხვი“) ემსგავსება მიცემითი ბრუნვის ს ფორმანტს. ტექსტის ჩაწერას თვალს ადევნებდა სკოლაში ნასწავლი ახალგაზრდა, რო-

¹² ჩვენ აქ ვამხვილებთ ყურადღებას ენის მიმართ იმ არსებითად ახალ დამოკიდებულებაზე, რაც სალიტერატურო ენისა და დამწერლობის შექმნას მოჰყვება. რა თქმა უნდა, ეს არ გამოირჩევა იმას, რომ წერა-კითხვის უქონლობის შემთხვევაშიც ცალკეული პირები, რომლებიც ძლიერი ენობრივი აღდოთ ან ენობრივი შემოქმედების ნიჭით არიან დაკილობებული, იჩენენ უნარს გაცნობიერონ ენის ზოგიერთი ფაქტი, აწარმოონ გარკვეული რეფლექსიები. მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია, მაშინ როდესაც სალიტერატურო ენის არსებობის პირობებში იგი საყოველთაო მოვლენად იქცევა.

მეორე მხრივ, უნდა გაიხსნოს, რომ აქ ლაპარაკია ენისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩასახვანზე, მართე რეფლექსიებზე (რის შედეგადაც ხდება, მაგალითად, სიტყვის დანაწევრება ბგერებად) და არა მთლიანად ენის ცნობიერად დაუფლებასზე (მაგ., მისი ფონოლოგიური სისტემის, გრამატიკული წყობის შეგნებულ ცოდნაზე), რასაც თვით სალიტერატურო ენისა და განათლების მაღალი დონის ფართოდ გავრცელების პირობებშიაც მხოლოდ ენის სპეციალისტები თუ აღწევენ.

მელმაც დასახელებულ სიტყვათა დანახეზე თავისთვის, მაგრამ საკმაოდ ხმა-
მალა დაიწყო მსჯელობა: ქმარი არის ჳაშ, მაშასადამე უნდა ითქვას ჳაშს და
არა ჳაშს-ო, მან კატეგორიულად მოითხოვა გადაგვესწორებინა ჳაშს და მის
ნაცვლად დაგვეწერა ჳაშს.

გრამატიკის ენით რომ ვთქვათ, ამ პირმა ერთმანეთს დაუკავშირა სახელო-
პითისა და მიცემითის ფუძე და საჭიროდ მიიჩნია მათი ერთგვარობის დაცვა.
ასეთი რეფლექსია სრულიად გამორიცხულია წერა-კითხვის უცოდინარებთან.
ამასთან ერთხელ კიდევ უნდა გავხაზოთ, რომ დასახელებულმა პირმა სრული-
ად არ იცოდა სევანური ენის სტრუქტურა, ის ქართულად სწავლობდა. მაგრამ,
როგორც ჩანს, მას სკოლაში გამოუშუშავდა ენობრივი ფაქტების ერთმანეთთან
დაკავშირების ჩვევა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ზემომოყვანი-
ლი მსჯელობა ეწარმოებინა¹³. უნდა ვიფიქროთ, რომ ანალოგიური ჩვევებია
იმის მიზეზი, რომ უფროს თაობებში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ფონე-
ტიკური პროცესები წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდებთან ან შენელებული
ან სრულიად შეჩერებულია. რა თქმა უნდა, ზემომოყვანილი მსჯევის განსჯე-
ბი ყოველთვის ვერ შეუშლიან ხელს ცვლილებებს (თვით იმ პირებსაც კი, რომ-
ლებიც არამართებულად მიიჩნევდნენ ასიმილირებულ ფორმებს, არაერთგზის
წასცდენიათ ისინი), მაგრამ მათი ტემპის შენელება კი შეუძლიათ.

ენობრივი ფაქტების მიმართ რეფლექსიის უქონლობის გამო უმწერლობო
ენაზე მოლაპარაკენი ხშირად ვერ ამჩნევენ ცვლილებებს, რომელთაც აღგა-
ლი აქვთ მათ საკუთარ ან მათ გარშემო მყოფთა მეტყველებაში, ან არა და
არაადეკვატურად ახდენენ ამ ცვლილებათა ფიქსაციას. წერა-კითხვის უცოდინ-
არი მთქმელი, რომელიც ვერ ახერხებს ენის ფაქტების ობიექტივაციას, რო-
მელსაც არა აქვს ჩვევა ენაზე დაკვირვების წარმოებისა, შესაძლებელია, გულ-
წრფელად უარყოფდეს ისეთ ფორმათა არსებობას, რომლებიც სინამდვილეში
გვხვდება მის გარშემო მყოფთა მეტყველებაში და ზოგჯერ თვით მის საკუთარ
მეტყველებაშიც კი. მეორე მხრივ. მან შეიძლება დაგვიდასტუროს ისეთი ფორ-
მები, რომლებიც არ იხმარება მოცემულ კოლექტივში ანდა მოგვეცეს სრულიად
არასწორი ინფორმაცია ამა თუ იმ თქმის თავისებურებათა შესახებ. ანალო-
გიურ შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს თვით სკოლაში ნაწავალმა ან უმაღ-
ლესდამთავრებულმა მთქმელმაც კი, თუ საქმე შეეხება ფონოლოგიურ ან გრა-
მატიკულ ფორმებს, ვინაიდან ენის რთული სისტემის გაცნობიერებული ცოდ-
სა, ჩვეულებრივ, არც ამ უკანასკნელებს აქვთ.

მრავალი მაგალითი დანახეზე მოხლოდ რამდენიმეს: ლატალურ
კილოკავზე მუშაობის დროს ერთი მოხუცის მეტყველებაში მოგვესმა ჩვენთვის
მანამდე უცნობი ფორმა ნაწილაკია ე ჩ ნ ა რ, ნაცვლად ჩვეულებრივი ე ს-
ნ ა რ-ისა 'თურმე.' ვერავივარია შეკითხვით ვერ მოხერხდა იმის მიღწევა, რომ
მთქმელს გაემეორებინა ეს სიტყვა. მისი ქალიშვილი, — ფილოლოგიის ფაკულ-
ტეტის სტუდენტი, — კი კატეგორიულად უარყოფდა ასეთი ფორმის არსე-
ბობას. შემდეგ რამდენიმეჯერ კიდევ გავიგონეთ იმავე პირისაგან ე ჩ ნ ა რ,
მაგრამ ქალიშვილი მას ყოველთვის აღიქვამდა, როგორც მისთვის ჩვეულ ე ს-
ნ ა რ-ს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეზობელ სოფელში დადასტურდა, რომ

¹³ ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ენობრივი მოვლენების ერთმანეთთან
დაკავშირება მოლაპარაკეთა მიერ მეტწილად ასეთი საგანგებო მსჯელობის გარეშე ხდება.

ე ჩ ნ ა რ წარმოადგენს ერთადერთ და მეტად გავრცელებულ ფორმას, მოხერხდა სტუდენტისათვის ამ ფორმის გაცნობიერება.

სხვა შემთხვევაში, როდესაც ვიწერდით ტექსტებს ცხუპარულ კილოკავზე. მოქმელმა ჩაგვაწერინა სიტყვა თ ე თ ნ ე 'თეთრი'. იქვე მყოფმა სხვა სოფელელმა სტუდენტმა ირონიულად შენიშნა, რომ აქ თ ე თ ნ ე-ს ამბობენ, მათ სოფელში კი თ შ ე თ ნ ე იხმარება. ეს ისეთი უპირატესობის გრძნობით იყო ნათქვამი, რომ ინფორმანტმა მაშინვე უარყო მის მიერ ცოტა ხნის წინ წარმოთქმული თ ე თ ნ ე და გაცხარებით ამტკიცებდა ჩვენც თ შ ე თ ნ ე-ს ვამბობთ.

ჩვენ ხშირად მოგვისმენია ამა თუ იმ კილოს დამახასიათებელ ნიშანთა შესახებ მტკიცებები, რომლებიც სრულიად არ შეეფერებოდნენ სინამდვილეს. მოლაპარაკენი მეტწილად ამჩნევენ, რომ სხვადასხვა კილო ან კილოკავი განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ რაში მდგომარეობს განსხვავება, ამის გააზრებას ვერ ახერხებენ. არის შემთხვევები, როდესაც წიგნიერი მოქმელები საკუთარი კილოკავის დამახასიათებელ ნიშნებს სხვას მიაწერენ, სხვა კილოკავის ნიშნებს კი თავისი კილოკავის კუთვნილებად აცხადებენ. უფრო ხშირად გვხვდება თავისებურებათა არაადეკვატური ფიქსაცია. ამასთან დაკავშირებით შემდეგი ფაქტი იქცევს ყურადღებას: როდესაც ზემო სვანეთში ლატალელთა მეტყველებას გამოაჩვენებენ, თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ წარმოთქეავენ გი მარცვალს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ლატალურში არსებობდეს რაღაც ნაწილაკი გი, რომელიც ძალიან ხშირად იხმარება. სინამდვილეში ეს ასე არ არის, მხოლოდ რამდენიმე ადგილის ზმნისართს ლატალურში ბოლოში აქვს გ, რომელიც ბალსზემოურის სხვა კილოკავებში წარმოდგენილი არ არის (შდრ. ლატ. ეჩეგ—მესტ. ეჩე 'იქ', ლატ. ამეგ — მესტ. ამე 'აქ', ლატ. იმეგ — მესტ. იმე 'სად', ლატ. დემეგ—მესტ. დემე 'არსად'). როგორც ჩანს, ამ განსხვავების დამახინჯებულ ასახვას წარმოადგენს ყველა სიტყვის ბოლოს გი მარცვლის ხმარება ლატალელთა გამოაჩვენებისას.

ამგვარად, როდესაც მოქმელებს ვეკითხებით, იხმარება თუ არა ესა თუ ის ფორმა თქვენს სოფელშიო, ხშირად შესაძლებელია არამართებული პასუხი მივიღოთ. წერა-კითხვის უცოდინარები მეტწილად საერთოდ ვერ ახერხებენ მეტყველების ნაკადიდან ცალკეული სიტყვა-ფორმების გამოყოფას და მათზე დაკვირვებას, რაც შეეხება სწავლა მიღებულებს, მათი დაკვირვება ყოველთვის არ არის სანდო, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება ენის გრამატიკულ წყობას და მორფოფონემიკას. ობიექტური დაკვირვების წარმოება და ყველა რელევანტური ვარიანტის თუ თავისებურებათა აღწერა მხოლოდ საგანგებოდ გაწვრივნილ პირებს, პირველ რიგში, ცხადია, ენათმეცნიერებს შეუძლიათ.

აქედან საყურადღებო მეთოდური ხასიათის დასკვნა გამომდინარეობს: ენაში ამა თუ იმ ფორმათა არსებობის ან არარსებობის დადგენისას გამოკითხვის მეთოდის გამოყენება დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. მოქმელმა მისდა უნებურად, შესაძლებელია, შეცდომაში შეიყვანოს მკვლევარი, ვინაიდან მას არა აქვს გაცნობიერებული, იხმარება თუ არა მკვლევრისათვის საინტერესო ფორმა მის დიალექტში ან კილოკავში. ბუნებრივია, ვკითხოთ მოქმელებს, რა ეწოდება ამა თუ იმ საგანს, მაგრამ არ არის გამართლებული დავემყაროთ მათ პასუხს კითხვაზე, იხმარება თუ არა მათ სოფელში ესა თუ ის გრამატიკული ფორმა. ყველაზე ძნელია გამოკითხვის გზით ფონეტიკური, მორფოფონემატიკური ან გრამატიკული ვარიანტების სრულად მოპოვება, მაშინ როდესაც სწორედ

ასეთი ვარიანტებია განსაკუთრებით საინტერესო დიაქრონიული ენათმეცნიერებისათვის. გასაანალიზებელი მასალა ენათმეცნიერმა თვითონ უნდა მოიპოვოს მთქმელების ბუნებრივ მეტყველებაზე საკუთარი დაკვირვების შედეგად. გამოკითხვის მეთოდს მან მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში უნდა მიმართოს და დიდი სიფრთხილით გამოიყენოს იგი.

4. ენის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონტაქტები როგორც მეზობელ ენებთან, ისე ერთი და იმავე ენის დიალექტებს შორისაც.

ენათა შორის კონტაქტები აჩქარებენ ენის ცვალებადობის ტემპებს. ამის გამო განაპირა დიალექტებში, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან მეზობელ ენებს, შეინიშნება შედარებით მეტი ნეოლოგიზმები და ნაკლები რაოდენობით არქაიზმები, მაშინ როდესაც თავისივე ენის სხვა დიალექტებით გარშემორტყმულ ცენტრალურ დიალექტებში არქაიზმები უფრო დიდხანს ინახება.

ინტენსიური და ხანგრძლივი კონტაქტების დროს მეზობელ ენათა გავლენა არა მხოლოდ სიტყვათა სესხებაში იჩენს თავს, არამედ მან შეიძლება ენის სველაზე უფრო ინტიმურ სფეროებშიაც (ფონოლოგიურ სისტემაში, გრამატიკულ წყობაში) შეაღწიოს. ასეთ შეღწევას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ენობრივი აღლოს დასუსტება, რის შედეგადაც მოლაპარაკეთა ცნობიერებაში საკუთარი ენის დამახასიათებელი თავისებურებანი ინტუიციურად აღარ უპირისპირდება სხვა ენის თავისებურებებს, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი საარტიკულაციო ბაზისის შერყევა. მაგ., სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში, რომელსაც უშუალო კონტაქტები აქვს მეგრულთან და ქართულთან, ბგერები გამოკვეთილად არ წარმოითქმის. მეტყველების ტემპი აჩქარებულია, ინტონაცია კი — ერთფეროვანი. ამ ფონზე ფართო გავრცელებას პოვებს ბევრი ბგერათცივლილება, რომლებიც უცხოა იმავე ენის ბალსზემოური დიალექტისათვის¹⁴.

დიალექტთა ურთიერთგავლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი ხასიათისაა და რამდენად ინტენსიურია სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ურთიერთობა. ამ მხრივ საყურადღებო ფაქტებს გვაწვდის სვანური ენის კილოკავები. მაგ., ლატალური ბალსზემოური კილოს განაპირა კილოკავია და უშუალოდ ემეზობლება ბალსქვემოურის ბეჩოურ კილოკავს. ბუნებრივია, რომ მასში ბალსზემოურთან (კერძოდ, ბეჩოურთან) საერთო მოვლენებიც დასტურდება. ასეთ მოვლენათა მოჭარბებას, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ჭერ ზემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრი ბეჩო იყო. აქვე იმყოფებოდა სასწავლებელიც. სადაც ლატალელი ბავშვებიც სწავლობდნენ. ცხადია, ურთიერთობა ბეჩოსთან უფრო ცხოველი იქნებოდა. ვიდრე, მაგალითად, ტერიტორიულადაც უფრო მეტად დაშორებულ მესტიასთან, რომელიც ბალსზემოურ კილოს განეკუთვნება. მაგრამ შემდეგ ზემო სვანეთის რაიონული ცენტრი გადმოტანილ იქნა მესტიაში და ლატალმაც მესტიისაკენ იბრუნა პირი. საავტომობილო გზის გაყვანის შემდეგ ლატალის ახალგაზრდობა მეტწილად მესტიაში იღებს საშუალო განათლებას. ყოველივე ამაზე შეანელა კონტაქტი ბეჩოსთან და ხელი შეუწყო მესტიასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ამ პროცესის შედეგი ასახულია ლატალელთა მეტყველებაშიც. ძველ და ახალ თაობათა მეტყველება საგრძობლად განსხვავ-

¹⁴ დაწერილობით იხ. ჩენი „სვანური ენის ცხუმარული კილოკავის ძირითადი თავისებურებანი“. იყ. 1958, IX—X, გვ. 223 და შემდ.

ღება ერთმანეთისაგან იმითაც, რომ ძველი თაობის მეტყველებაში ბევრად მეტია ბეჩორთან საერთო მოვლენები, მაშინ როდესაც ახალ თაობებში ასეთი მოვლენები სულ უფრო მცირდება. სამაგიეროდ აშკარად იგრძნობა მესტიურის მზარდი გავლენა¹⁵.

მეზობელი კუთხეების მოსახლეობის სისტემატური ურთიერთობის გარდა დიალექტთა ურთიერთგავლენის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს ქორწინება სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკეებს შორის. ასეთი გავლენის საინტერესო შემთხვევა იჩენს თავს ანდიურ ენაში. ანდიური ენის ანდის თქმაში ჭერ კიდევ ა. დირმა შენიშნა „ქალების ენა“ ანუ გარკვეული თავისებურებები, რომლებიც მხოლოდ ქალების მეტყველებას ახასიათებს. ეს თავისებურებები დიალექტური წარმოშობისა აღმოჩნდა, ისინი სხვა დიალექტებში ორივე სქესის მეტყველებაში დასტურდება¹⁶ და, როგორც ფიქრობენ, ანდიურში ეგზოგამიასთან უნდა იყოს დაკავშირებული (არნ. ჩიქობავა)¹⁷.

თუ როგორ გადდის ქორწინების შედეგად ერთი დიალექტის დამახასიათებელი ნიშნები მეორე დიალექტში, ამაზე წარმოადგენს გვაძლევს დაკვირვება, რომლის მიხედვითაც სხვა კუთხიდან მოყვანილი ქალის ენობრივი თავისებურებანი ხშირად თავს იჩენენ მისი შეილების მეტყველებაში. ეს ფაქტი ადვილად აიხსნება იმით, რომ ენის ადგმის დროს ბავშვები ყველაზე მეტად სწორედ დედის მეტყველების გავლენას განიცდიან.

როდესაც მეზობელ დიალექტებში ან ენებში შეინიშნება მსგავსი მოვლენები, მათი ინტერპრეტაცია გარკვეულ სიძნელეებს ხვდება, ვინაიდან მსგავსებები შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა პროცესების შედეგად. ეს პროცესები:

ა) სესხება. რომლის დროსაც რომელიმე ფაქტი ან სტრუქტურული ნიშანი გადაიტანება ერთი ენიდან ან დიალექტიდან მეორეში. მაგ., ბეჩორიდან უნდა იყოს შემოსული ლატალურში თვლის ოცობითი სისტემა, ვინაიდან ლატალურში ბალსზემოურის სხვა კილოკავების მსგავსად თავდაპირველად ათობითი სისტემა არის სავარაუდო.

ბ) საერთო განვითარება, როდესაც სიახლე მზადდება და ვრცელდება გარკვეულ არეალში, რომელიც, შესაძლებელია, რამდენიმე ენას ან დიალექტს მოიცავდეს. ამის ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს სვანურის კილოკავებში უკანაენისმიერ ხშულთა (გ, კ) დაკარგვა კომპლექსში: წინაენისმიერი ნაპრალგანი + უკანაენისმიერი ხშული + წინაენისმიერი ხშული (სგდ—სდ, სგთ—სთ, სკდ—სდ, შგდ—შდ. ლატ. დონდ — დონსგდ 'ადრე', ლემასთე — ლემასგთე 'ცეცხლისკენ', ხასლა—ხასკდა 'გაერთოდა', ჭემდ — ჭემშდ 'უკან'). ეს მოვლენა დასტურდება როგორც ლატალურში, ისე ბეჩორსა და ეცერულშიც. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბგერათცვლილება უცხო ჩანს ბალსზემოურისათვის, საფიქრებელია, რომ მისი ჩასახვის ცენტრი ლატალში იყო და აქედან ვრცელდებოდა იგი ბალსზემოურის მიმართულებით. ასე ფიქრის საფუძველს ის გვაძლევს, რომ დასახელებულ პროცესს ლატალურში ბევრად უფრო რეგულარული ხასიათი აქვს, ვიდრე ბეჩორურში.

¹⁵ სათანადო ფაქტები შესწავილი გვაქვს ნაშრომში „სვანური ენის ლატალური კილოკავის ძირითადი თავისებურებანი“ (იბეჭდება იკე, ტ. XVIII).

¹⁶ ი. ცერცვაძე, ანდიური ენა, 1965, გვ. 5.

¹⁷ იქვე, რედაქტორის წინასიტყვაობა, გვ. VII.

გ) პარალელური განვითარება, რომლის დროსაც ერთგვარი მოვლენები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშევა მეზობელ ენებში ან დიალექტებში. მაგ., ჭ ბგერა იყარგება როგორც ლატალურში, ისე ბეჩოურშიაც, მაგრამ ეს პროცესი სხვადასხვაგვარად სორტიელდება ამ ორ კილოკავში: ბეჩოურში ჭ იყარგება სისტემატურად უკანაენისმიერ თანხმოვანთა შემდეგ, ლატალურში კი — წინაენისმიერთა შემდეგ (შდრ., ერთი მხრივ, ლატ. ჩადგან — ბეჩ. ჩჷადგან 'მოკვდა', ლატ. თეფ. — ბეჩ. თჷეფ 'თოფი', ლატ. ათცირ — ბეჩ. ათცჷირ 'ლატოფა', სოლო, მეორე მხრივ, ბეჩ. ნიშგე — ლატ. ნიშგჷე 'ჩენი', ბეჩ. ჩუქან — ლატ. ჩუქჷან 'ჭეჭე'). ამ განსხვავების გამო, ბუნებრივია, დავასკვნათ, რომ ჭ ბგერის დაკარგვის პროცესი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდება ორ მეზობელ კილოკავში.

ენათა და დიალექტთა შორის მსგავსების ზემოდასახელებული შემთხვევები რომ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან, ამისათვის აუცილებელია ვიცოდეთ საცვლევ ფაქტთა ისტორია, რისი დადგენაც ხშირად საკმაოდ ძნელ ამოცანას წარმოადგენს.

5. ყოველი ენობრივი ცვლილების დროს შეინიშნება ორი ეტაპი: ა) დასაწყისი, მოსამზადებელი საფეხური და ბ) საბოლოო საფეხური.

დასაწყის. მოსამზადებელ საფეხურზე ჩნდება და თანდათანობით გროვდება მცირეოდენი გადასრები უზუსიდან. ეს გადასრები შეიძლება არსებობდნენ ფაკულტატიური ან კომბინატორული ვარიანტების სახით გაბმულ მეტყველებაში ბგერთა წარმოთქმისას, მორფემათა ან სიტყვათა ამა თუ იმ მნიშვნელობით ხმარებისას და ა. შ. მაგ., ქართულში სმოვანთა რეგრესული ასიმილაცია, რომლის დროსაც ა-ჩ-ი-ე+ი (ჩ-ვილ-ჩ-წევილა, გაიციან-გეიციან) მოსამზადებელ საფეხურზე ალბათ იმაში ვლინდებოდა, რომ ა ი-ს წინ აღარ იყო ისეთი, როგორც სხვა პოსიციებში, ი-ს წინ ა ჩვეულებრივზე უფრო ვიწრო და წინწამოწეული იყო. ე. ი. ის უკვე ამქადავებდა ე-სკენ გადახრის ტენდენციას. ამ დროს ა ჭერ კიდევ არ იყო შეცვლილი ე ფონემით, მაგრამ უკვე არსებობდა ცვლილების ჩანასახი ა-ს კომბინაციურ ვარიანტის სახით. ასეთვე ვითარება უნდა ყოს მნიშვნელობის შეცვლის შემთხვევაშიც: ზოგიერთ კონტექსტში სიტყვა ან მორფემა იღებს სპეციფიკურ მნიშვნელობას. რომელიც ერთგვარ გადახრას იძლევა ნორმისაგან.

საბოლოო საფეხურზე უკვე ვლინდება თვისობრივი ცვლილება: ერთი ფონემა შეიცვლება მეორით (მაგ., ა ე-თი: წავიდა—წევიდა). სიტყვას ან მორფემას კონტექსტის გარეშეც უმკვიდრდება ახალი მნიშვნელობა და ა. შ.

ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის დაკარგვასაც წინ უსწრებს მოსამზადებელი საფეხური, როდესაც ზოგი ერთეულის ხმარება ფაკულტატიური ხდება: ის ხან იხმარება, ხან — არა, ზოგი ერთეული კი (მაგ., სიტყვა) სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება ენაში მანამ, სანამ საბოლოოდ მთლიანად არ გაქრება¹⁸.

ერთი და იმავე მოვლენის ახალი და ძველი სახეობა დასაწყისში შეიძლება ერთდროულად არსებობდნენ ფაკულტატიური ვარიანტების სახით არა მხოლოდ ერთი და იმავე ენობრივი კოლექტივის სხვადასხვა წევრებთან, არა-

¹⁸ ორი საფეხურის ვამოყოფა კირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ენაში ითხვევა ახალი სიტყვა ახალი საგნის ან მოვლენის აღსანიშნავად ან ხდება სხვა ენიდან სესხება.

მედ ერთსა და იმავე პირთანაც კი, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ახალი ფორმები მოლიანად არ გამოდევნიან ძველს. ასეთი ფაქულტატიური ხმარების საინტერესო შემთხვევები გვხვდება სვანურ ენაში, სადაც ზოგი ბგერა ამოვარდება ჩვეულებრივი ან სწრაფი ტემპით მეტყველების დროს, ნელი ტემპით ლაპარაკისას ან ჩაქოხვის შედეგად გამეორებისას კი ეგევე ბგერები გამოითქმის (მაგ., ფარში ჩვეულებრივი ტემპით მეტყველებისას ამბობენ: ჭენი 'მოდის', ექას 'მაშინ', მაგვე (პ) 'არაფერი', ეგვე 'ისეთი', ეის 'მის', მაგრამ თუ ნელა ვათქმევინებთ ან ჩავექოხებით, მაშინ შესაბამისად ითქმის კედნი, ექქას, მაამაგვეშ, ეგვეპრ).

ეს არის ბგერათა დაკარგვის საწყისი ეტაპი. ბოლო ეტაპი წარმოდგენილია იმ შემთხვევებში, როდესაც ბგერა იმდენად დასუსტებულია, რომ აკუსტიკურად არ აღიქმის, თუმცა მის არტიკულაციას მაინც აქვს ადგილი (მაგ., ხდება ბაგეთა მოპრგვალება სიტყვაში თ უ ე თ ნ ე 'თეთრი', მაგრამ მოსალოდნელი უ არ იპის). როგორც ჩანს, მოლაპარაკეს არაცნობიერად აქვს განზრახვა ბგერის წარმოთქმისა, მაგრამ მისი რეალიზაცია არტიკულაციისაში მერტად სუსტია.

ცვლებადობის პირველი, მოსამზადებელი საფეხური საკმარის დიდხანს გრძელდება. ამას ადასტურებს ისეთი შემთხვევები, როდესაც ენათა შერევის დროს სუბსტრატ ენაში ჩასახული ცვლილება ხორციელდება არა ამავე ენაში, არამედ იმ ენაში, რომელმაც სუბსტრატი გამოდევნა. სანიმუშოდ შეიძლება დაგვესახელებინა ქართული ენის დასავლური დიალექტები — ქვემო იმერული და გურული, რომლებშიაც, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ფართოდაა გავრცელებული თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია (კვილი—კვილი. მოკეტა—მოკედა და ა. შ.). ეს მოვლენა ზანური სუბსტრატის გავლენას მიეწერება, ვინაიდან ანალოგიურ პროცესს ადგილი აქვს ზანურ დიალექტებშიაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოში ვრცელდებოდა ქართული ენა, ადგილობრივ მოსახლეობაში უკვე იყო ტენდენცია ასიმილაციისაკენ, ანუ სხვაგვარად, ცვლილების მოსამზადებელი საფეხური უკვე დაწყებული იყო. იქ, სადაც ქართულმა ენამ გამოდევნა ზანური, პროცესი დასრულდა არა ზანურის, არამედ ქართული ენის მასალაზე. ეს გვაძლევს საფუძველს დავუშვათ, რომ ამ ცვლილების მოსამზადებელი საფეხური რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა.

ენობრივი ცვლებადობის დასაწყისი საფეხური, ჩვეულებრივ, შეუმჩნეველი რჩება მოლაპარაკეთათვის. რადგანაც ამ საფეხურზე მხოლოდ ვარიანტები წარმოიქმნება, მათი ფიქსაცია არც წერილობით ძეგლებში წარმოებს. ამიტომ, როდესაც საქმე წარსულში მომხდარ ცვლილებებს ეხება, მკვლევართათვის თვალსაჩინოა მხოლოდ მეორე, საბოლოო საფეხური, რაც ქმნის ყალბ შთაბეჭდილებას თითქოს ენობრივი ცვლილება ერთბაშად და ძალიან სწრაფად ხდებოდეს.

მხოლოდ ცოცხალი ენის შესწავლის დროს შეიძლება დაუკვირდეს მკვლევარი ზოგიერთი ცვლილების დასაწყის საფეხურს და ამის მიხედვით გაითვალისწინოს, თუ როგორ მზადდება ცვლილება ენაში საერთოდ. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზუსიდან გადახრების, სხვადასხვაგვარად გაპრობებული ანდა გაუპრობებელი ვარიანტების აღნუსხვა და ანალიზი, რადგანაც ისინი, შესაძლებელია, მომავალ ცვლილებათა ჩანასახებს წარმოადგენდნენ.

რაკი ენაში წარსულში მომხდარ ცვლილებათა მოსაშვადებელი საფეხურის თვალის გადვენება ვერ ხერხდება სათანადო მასალის უქონლობის გამო, ხოლო თანამედროვე ენებში შეიძლება ვუკვირდებოდეთ ზოგიერთი ცვლილების დასაწყისს, მაგრამ ასეთ შემთხვევებში არ გვეცოდინება, როდის დამთავრდება ეს ცვლილებები, ამიტომ პრაქტიკულად შეუძლებელია ამა თუ იმ ენობრივი ცვალბადობის ხანგრძლიობის გაზომვა. წერილობითი ძეგლების არსებობის დროს ენათმეცნიერს აქვს შესაძლებლობა დაადგინოს, თუ როდის გამოვლინდა ესა თუ ის მოვლენა ან როდის გაქრა ის სალიტერატურო ენაში. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ეს მოვლენა სწორედ ამ დროს გაჩნდა ან დაიკარგა სალაპარაკო ენაში. ამასთანავე, აქაც ლიად ჩიება საკითხი, თუ რაძღენ სანს მზადდებოდა იგი.

ცვალბადობის კანონზომიერებიდან უნდა განვანხვათ ამა თუ იმ მოვლენის გავრცელება და დამკვიდრება მთელ ენაში ან კილოში თუ კილოკავში. ცვლილება ერთბაშად არ გამოვლინდება მთელ ენობრივ კოლექტივში. იგი ჰერ აქა-იქ იჩენს თავს და შემდეგ სულ უფრო და უფრო მასობრივ სახეს იღებს. მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა მართებული გვეთქვა, ცვლილების სათავე ინდივიდშიაო. ცოცხალ ენაზე დაკვირვება ნათელიყოფს, რომ ყველა ეტაპზე ცვლილება სოციალურია. ცვლილებისათვის ნიადაგი მზადდება მთელ კოლექტივში, რომელიც სხვადასხვა მოცულობისა შეიძლება იყოს (ის შეალება მოიცავდეს მთელ ენაზე, დიალექტზე, კილოკავზე... მოლაპარაკეებს, სოციალურა, ასაკობრივი ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით გამოყოფილ ადამიანთა ჯგუფს. მაგრამ ყოველთვის ჯგუფს და არა ცალკე ინდივიდს).

ცვლილების საბოლოო ეტაპი ჯერ თავს იჩენს კოლექტივის ზოგიერთ წევრთან (და არა მხოლოდ ერთ ინდივიდთან). შემდეგ მისი გავრცელების არე ფართოვდება. მაგრამ აქ უკვე განხორციელებული ცვლილების გარკვეული პირებიდან სხვა პირებზე გადატანასთან კი არ გვაქვს საქმე თუნდაც მიზაძვის გზით, არამედ იმ პროცესის სხვადასხვა დროს დასრულებასთან, რომელიც მთელ ენობრივ კოლექტივში მიმდინარეობდა, რომლისთვისაც ნიადაგი მთელ კოლექტივში იყო შემზადებული.

6. ცოცხალ ენაში და მის დიალექტებში გვხვდება ფაქტები, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოგვიდგენენ და ამდენად მათი ისტორიის გათვალისწინების შესაძლებლობას გვაძლევენ. გამოიყოფა სხვადასხვა შემთხვევა:

ა) მთელ ენობრივ კოლექტივში ერთსა და იმავე დროს დადასტურებული ვარიანტები, განცალკევებული ფორმები და ა. შ. წარმოადგენენ ერთი და იმავე მოვლენის განვითარების სხვადასხვა საფეხურს. მაგ., ლატალურ კილოკავში ერთდროულად გვხვდება განჩ|გეჩ 'დანა', მეკემშიშეგემ 'ხე'. ასეთ შემთხვევებში ე მეორეულია და ა-ს დავიწროებით არის მიღებული, ე. ი. გან-გეჩ, მე-გამ-მეგემ.

ბ) ერთი კოლექტივის სხვადასხვა თაობის მეტყველებაში გვხვდება განვითარების თანმიმდევრული საფეხურები. მაგ., ცხუმარულ კილოკავში ზმნის პრევერბისეული ა ე-დ იქცევა (ჩუღდშუჲინ←ჩუღდშუჲინ "შეინახა", ჩემღელიჲდ←ჩუღშმღელიჲდ 'დამიყადეთ', ლეიბინეხ←ლშიბინეხ 'დაიწყეს'). ამასთან გამოიყოფა ოთხი ასაკობრივი ჯგუფი, რომელთა წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად ხმარობენ დასახელებულ ფორმებს: მოხუცები მხოლოდ ა-ს წარმოთქვამენ.

პოლვენი თაობა უპირატესობას ა-ს აძლევს. მაგრამ სპორადულად ე-საც ხვარობს. ანალკარდობას მეტყველებაში ჯ და ე თითქმის ერთნაირი სინშირი კვანდება. პაუვეკი კი მხოლოდ ე-ს ხვარობენ. ამკვარად. ერთი და იმავე კოლექტივის სხვადასხვა თაობაში ა-ს ე-დ შენაცვლების სხვადასხვა ეტაპი წარმოადგენილი¹⁹.

ასაკობრივი თვალსაზრისით ფონემური შედგენილობის განსხვავების საუარაღებო შემთხვევები აქვს დადასტურებული ქ. ლომთათიძეს აფხაზური ენის დიალექტებში. მაგ., აშხარულში უფროსი თაობის მეტყველებაში გვიხვდება ლაბიალიზებულ ხშულთა სამეული ტ, დ, თ, უმცროსი თაობის მეტყველებაში კი მას შეესაბამება ტ, დ, თ, რომელიც დელაბალიზაციის შედეგად არის მიღებული²⁰.

2) სხვადასხვა დიალექტში მოცემულია განვითარების სხვადასხვა ეტაპი. მაგ., სვანურის ბალსზემოურ დიალექტში სუფიქსის რ დისიმილაციას განიცდის ფუძისეულ რ-სთან: რ... რ—რ... ლ (ფურალ—ფურარ 'ძროხები', გორალ—გორარ 'სახლები'). უფრო ადრინდელი უდისიმილაციო ფორმები ანასიათებს ზალსქვემოურს²¹.

სვანური ენის სამ დიალექტში — ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში ხდება არაგრძელი ხმოვნების რედუქცია, რის შედეგად ა, ი, ე, ზ იკარგება. ხოლო ო და უ გვაძლევს უ-ს. არქაული საფეხური დაუცავს მხოლოდ ლენტეხურ დიალექტს, სადაც ხმოვანთა რედუქციას ადგილი არა აქვს²².

ქართული ენის დიალექტებში ხდება პრევერბისეული ა ხმოვნის ასიმილაცია ფუძისეულ ხმოვანთან: აუ — ოუ — უუ — უ. ყველა ეს საფეხური დადასტურებულია სხვადასხვა დიალექტში. ასე, ამოსავალი მდგომარეობა დაცული გვაქვს ქართულ-კახურში (წაუყვანა), ნაწილობრივი ასიმილაცია გვხვდება იმერულში (წოუყვანა), სრული ასიმილაცია — გურულში (წუუყვანა), ხოლო ორი ერთნაირი ხმოვნის შერწყმა ერთ გრძელ ხმოვანად — აკარულში (წუყვანა)²³.

ზოგჯერ, შესაძლებელია. დიალექტებში პარდაირი არ იყოს წარმოდგენილი ერთი და იმავე პროცესის სხვადასხვა საფეხური, მაგრამ. მიუხედავად ამისა, ერთი დიალექტის მონაცემები მაინც გეხმარებოდნენ მეორე დიალექტში მიმდინარე პროცესის გაგებაში. ამის ნიმუში ევსვლება ცხუმარულ კილოკაში. სადაც ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება აშ ხან უშლაუტითაა წარმოდგენილი. ხან კი უშლაუტოდ. მხოლოდ ცხუმარულის (ან თუნდაც ბალსქვემოური კილოს, რომელშიაც ცხუმარული შედის) მონაცემები არ იძლევა შესაძლებლობას დავადგინოთ. თუ რა კანონზომიერება ანასიათებს უშლაუტის დაკარგვას. ბალსზემოურ დიალექტთან შედარება კი გვიჩვენებს, რომ აშ უშლაუტს

¹⁹ ასეთი იყო ვითარება 1948—1949 წწ., როდესაც ჩვენ ცხუმარულს ვსწავლობდით. დაწერილებით იხ. ჩვენი, სვანური ენის ცხუმარული კილოკაის ძირითადი თავისებურებანი, გვ. 233—235.

²⁰ ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, 1955, გვ. 7—8.

²¹ სანტერესოა აღინიშნოს, რომ რ-ს დისიმილაცია ქართულ ენასაც ანასიათებს, მაგრამ, სვანურისაგან განსხვავებით, უდისიმილაციო ფორმები არც ერთ დიალექტს არა აქვს დაცული. მანანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, ქართული სანათმეცნიერო საზოგადოების წელიწადიერი, I—II, 1923—1924; ე. თ. ი. ურია, რედუქციისათვის ქართულ ენებში, იკე, 1946, I.

²² შ. მ. ი. გური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე, 1946, I, გვ. 20.

კარგავს იქ. სადაც ბალსემოურში არაგრძელი ა გვაქვს (აშ). ხოლო სადაც ბალსემოურში გრძელი ა არის (აშ), ცხუშარულში უმლაეტი დაეულია. ცხუშარულს. ისევე როგორც საერთოდ ბალსემოურ კილოს. ამჟამად გრძელი სმოვნები არა აქვს. მაგრამ მათი ოდინდელი არსებობის კვალი თავს იჩენს წარმოდგენილ პროცესში: თეორიულად სავარაუდოა ა—ა, ხოლო ა→ა²⁴.

დ) ერთი და იგივე პროცესები ხორციელდება სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვა დროს. ამის შედეგად, შესაძლებელია, რომელიმე დიალექტში თვალი მივადევნოთ ისეთ ცვლილებას, რომლის არსებობაც სხვა დიალექტში ჰიპოთეზურად იყო დაშვებული. ამის კარგ ნიმუშს გვაწვდის სვანური ენა, რომლის დიალექტებიდან მხოლოდ ლაშხურს არა აქვს ამჟამად უმლაუტიანი სმოვნები. ა. შანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ უმლაუტის პროცესს ოდესღაც ლაშხურშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. ამის გადამოწმებად მან მიიჩნია ზოგიერთ პრეფიქსში გამოვლენილი ე, რომელიც სხვა დიალექტების ა-ს შეესაბამება (შდრ. ლაშხ. ქენმარან—ბზ. ქენმარან 'მომზადდა', ლაშხ. ედმეჩან ბზ. ედმეჩან 'დაბერდა')²⁵. მოგვიანებით ანალოგიური პროცესი, ე. ი. ა — ე სწორედ პრეფიქსებში დადასტურდა ბალსემოურ კილოს ცხუშარულ კილოვანებაში, სადაც იგი ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის (მაგალითები იხ. ზემოთ, პუნქტი ბ). ცხუშარულში ნოქმედი პროცესის მიკვლევა კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ლაშხურში ნაჯარუღევი პროცესის რეალურობას.

მაგრამ ანალოგიურ შემთხვევებში ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლებელია პროცესები დიალექტებში, შესაძლებელია, სხვადასხვაგვარად გამოვლინდნენ. მაგ., ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ უ ბევრა იკარგვის როგორც ბეჩოურ. ისე ლატალურ კილოვანებაში. მაგრამ დაკარგვა ერთნაირ პირობებში ან ხდებოდა. ბეჩოურში იგი იკარგება სისტემატურად უკანაენისმიერ თანხმოვანთა შემდეგ, ლატალურში მხოლოდ წინაენისმიერთა შემდეგ. ამას შეიძლება დაუმატოთ ცხუშარულის ჩვენებაც. სადაც უ შეიძლება დაიკარგოს ორივე შემთხვევაში. მაგრამ ამ პროცესს არარეგულარული ხასიათი აქვს.

ზემოთ განხილული იყო რამდენიმე შემთხვევა. როდესაც ცოცხალ ენაში და მის დიალექტებში წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე ხერხდება დავადგინოთ ენაში მომხდარ ცვლილებათა ეტაპები. ამით ალბათ არ ამოიწურება ყველა შესაძლებლობა²⁶. საილუსტრაციოდ რამდენადაც შეიძლება მარტივი მაგალითები მოვიყვანოთ. ენის კვლევის დროს ბევრად უფრო რთული ვითარება გვხვდება. ზოგჯერ ზემოდასახელებული სხვადასხვა შემთხვევა გადახლართულია ერთმანეთში. ამასთან ხშირად განვითარების ყველა რგოლი არ არის დაცული ცოცხალ ენაში, თუმცა დადასტურებული ფაქტების შეპირისპირების გზით მაინც ხერხდება დიაქრონიული ხასიათის დასკვნების გაკეთება. ყველაზე მეტ სიძნელეს იმის დადგენა ქმნის, თუ სხვადასხვა ფორმიდან რომელია ამოსავალი და რომელი მეორეული. ასეთი სპეციალური საკითხების ვარკვევა არ წარმოადგენდა ჩვენს ამოცანას. ჩვენ მხოლოდ ის კვინდოდა გვეჩვენებინა,

²⁴ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ვაიკეცის, ხომ არ გვაძლევს ისტორიულად გრძელი და არაგრძელი სმოვნები ბალსემოურში სხვადასხვა ალოფონებს? ამ საკითხის გააანაწევრებად ექსპერიმენტული ფონეტიკის მოშველება იქნება საჭირო.

²⁵ ა. შანიძე, უმლაეტი სვანურში, არილი, 1925, გვ. 187, 197, 213.

²⁶ კერძოდ, არ შეეჩერებულვართ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ცოცხალი ენის სისტემაში არსებული არარეგულარობანი იძლევიან შინაგანი რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

რომ ცოცხალი ენისა და მისი დიალექტების შესწავლა მრავალფეროვან და მუ-
ტად საუკრადლებო მასალას გვაძლევს ენის განვითარების კანონზომიერებათა
დასადგენად.

Т. С. ШАРАДЗЕНИДЗЕ

ЧТО ДАЕТ ИЗУЧЕНИЕ ЖИВОГО ЯЗЫКА И ЕГО ДИАЛЕКТОВ ДЛЯ УСТАНОВЛЕНИЯ ЗАКОНОМЕРНОСТЕЙ РАЗВИТИЯ ЯЗЫКА

Резюме

1. До рассмотрения основной темы работы считаем нужным остано-
виться на взаимоотношении понятий «синхрония» и «диахрония»,
«статика» и «динамика». В концепции Ф. де Соссюра «синхроническая
лингвистика» и «статическая, описательная лингвистика», так же как
«диахроническая лингвистика» и «историческая (эволюционная) лин-
гвистика» являются синонимами. Понятия синхронии и диахронии по
де Соссюру четко разграничены: синхроническая лингвистика изучает
статус, состояние языка, а диахроническая лингвистика — его изме-
нение, развитие. Однако практически не удается провести такое чет-
кое разграничение. В любом синхронном срезе всегда имеют место те
или иные изменения, которые, вопреки утверждению Соссюра, синхро-
ническим языкознанием не могут игнорироваться. С другой стороны,
в последующие друг за другом эпохи при изменении языка некоторые
звенья его системы остаются без изменения.

Для преодоления этой трудности (изменения — в синхронии, не-
изменяемость — в диахронии) некоторые структуралисты попытались
различить синхронию от статики, диахронию от динамики.

На наш взгляд, если синхронию не основывать на статике, а диа-
хронию на динамике, то эти понятия потеряют для языкознания всю
свою ценность. К тому же различие названных пар понятий не спи-
мает трудности разграничения синхронического и диахронического
языкознания.

Трудность эта не результат логической ошибки, допущенной при
определении понятий синхронии и диахронии. Она имеет объективную
основу в самой природе языка, поэтому снять ее невозможно, но объ-
яснить можно.

Трудность строгого разграничения синхронии и диахронии объяс-
няется неравномерным развитием языка, вследствие чего различные
звенья языковой системы меняются в разное время и разными темпа-
ми. Поэтому даже в самом кратком промежутке времени в любом
живом языке наблюдаются такие этапы изменений тех или иных звень-
ев, которые неоправдано игнорировать даже с точки зрения полного
описания языка. Для квалификации таких явлений необходимы поня-

тия диахронного языкознания. Это не означает смешения синхронии и диахронии. Имея дело с явлениями разного характера (с неизменяющимися и изменяющимися явлениями), необходимо изучить их соответственно их природе (первые с синхронической точки зрения, вторые — с диахронической точки зрения).

1. Самый эффективный подход к решению поставленной проблемы, в настоящее время, по-видимому, является высказанный Гумбольдтом взгляд на язык как на энергию, воскресенный и научно воплощенный в динамических, порождающих моделях, Хомским. Те структурные модели, которые таксономическая лингвистика получила индуктивно из анализа текста, в динамических моделях дедуктивно генерируются путем введения деривационных и трансформационных правил. Динамические модели опять таки выявляют структуру языка, как независимой от его носителей системы, но они вскрывают более глубокие структурные связи, не путем простой абстракции и генерализации, а путем введения качественно новых отношений между элементами структуры. Благодаря принципу генерирования, положенному в их основу, глубокие структурные модели ближе всего подошли к энергетической точке зрения на язык и к решению проблемы продуктивности.

Но своей интенцией теория Хомского, так же как и теория Ельмслева, по сути дела, стремится довести до логического конца построение формальной лингвистической системы и превращает лингвистику в одну из самобытных, оригинальных областей современной математики, вместе со своими приложениями. В этом, на наш взгляд, и её основная заслуга, и принципиальное ограничение¹⁰.

Но, так как в основе теории Хомского лежат динамические математические принципы моделирования, и прилагаются эти модели к языку, то возникает весьма плодотворная ситуация. Напрашивается вопрос, а нельзя ли рассматривать их в качестве аналоговых моделей, моделирующих не независимую систему языка? (так как в такой

¹⁰ Мы имеем в виду не применение в лингвистике существующих специальных математических методов, а саму методологию структурализма, полагающую изучение языка в качестве оперативной системы знаков с особым рода сложной структурной отношений. То обстоятельство, что эта система сформировалась «естественно», делает изучение ее специфических свойств особо значимым с точки зрения общей, далеко не решенной, проблематики современной математики и логики, в особенности логической семантики.

Как известно, такая направленность делает лингвистическую методологию мощным средством также и формальных обще-семантических исследований.

функции не может быть речи об аналоговых моделях, а лишь о глубинных структурах системы языка), а самих говорящих?

Сам Хомский неоднократно утверждал, что порождающая грамматика не есть аналоговая модель слушающего или говорящего, а только лишь характеризует «знания» системы-языка, служащие основой при актуальном употреблении языка в процессе коммуникации¹¹. Хомский и Миллер предлагают строго различать теорию языка и теорию носителей языка¹², что находится в полном соответствии с традиционной лингвистической схемой и отражает онтологно выработанного в лингвистической теории объекта языкознания. Но, симптоматично то, что в поле зрения лингвистов попал говорящий и слушающий, т. е. носитель языка со всеми своими специфическими проблемами. Эту внутреннюю тенденцию лингвистики ускорил и сделал актуальной внешний процесс развития автоматизации, вычислительной техники и кибернетики. С одной стороны, восприятие и распознавание речи, с другой, кодирование языковых цепочек встали неразрешимой проблемой перед инженерами, математиками, логиками... Лингвисты оказались в наилучшем положении, имея разработанную во многих аспектах структурную базу, могущую служить основой принципиально новых экспериментов по изучению кодирования и декодирования речевых сигналов.

С другой стороны, многие проблемы, изгнанные в экстралингвистическую сферу по соображениям «чистой формы», снова стали актуальными и непосредственно увязываются с новыми задачами языкознания, что явствует хотя бы из многочисленных психолингвистических экспериментов, исследований по этнолингвистике, биоллингвистике и т. д.

Проблема речевой деятельности объективно выводит исследователя из замкнутого круга «чистой формы». Исследуя только форму, структуру отношений в языке, как в независимой от его носителя системе, невозможно объяснить ни синхронно действующего механизма языка как средства общения, ни механизма становления этой структуры. По-видимому любая достаточно сложная семиотическая система является ареной взаимодействия естественных «субстанциональных» и искусственно-формальных механизмов¹³. Следует подчер-

¹¹ См. N. Chomsky, Aspects of the Theory of Syntax, Cambridge, Massachusetts, 1965, стр. 9.

¹² New Directions in the Study of Language, ed. by Eric H. Lenneberg, The M. I. T. Press, 1964, стр. 93.

¹³ О понятиях «естественного» и «искусственного» см. работу О. И. Геннисаретского «О понятии творческой деятельности» (в печати). Несколько в другом плане те же понятия фигурируют в работе В. А. Лефевра, Г. П. Щедрина и К. Г. Юдина, «Естественное» и «искусственное» в семиотических системах. Проблемы исследования систем и структур. Материалы к конференции, Москва, 1965.

кнуть, что у физической и психической «субстанции»¹⁴ есть свои внутренние закономерности, своя организация, на которой паразитирует и с которой взаимодействует семиотическая формальная структура. Поэтому актуальной задачей наук, изучающих язык, является моделирование механизма взаимодействия, взаимного ограничения, взаимопроникновения и переструктурирования, с одной стороны, «естественных» физических и психических механизмов, а с другой, социально опосредованных знаковых моделей и норм.

Исходя из вышесказанного, нам представляются неправомерными притязания психологии или лингвистики (не говоря о социологии и философии языка) служить обоснованием и объяснением данных смежных наук. Задача состоит как раз в том, чтобы создать единый механизм, объясняющий особенности речевой деятельности в целом¹⁵.

Нам кажется, что новые задачи и новая экспериментальная база приведут к изменению идеального объекта лингвистики и к расширению её теории.

Нашей задачей ни в коей мере не являлось строить или обосновывать этот новый объект. Такая задача превышает наши возможности.

Нам представлялось целесообразным выделить новые аспекты в изучении языка и отметить тот факт, что если вначале объект лингвистики всё больше отдалялся от гуманитарного предмета, заданного различными философскими системами языка, то за последнее десятилетие наблюдается противоположная тенденция, подкрепляемая научно-экспериментальной базой.

¹⁴ Термин «субстанция» употребляется нами не в каком-либо строгом смысле, а для выделения той сферы, которая традиционно связывалась с ним в лингвистике. В контексте новых задач и новых методов их решения понятие «субстанции» (и его смысловые нюансы, возникшие в теориях языка), нам представляются неработающими.

¹⁵ По-видимому, в скором будущем нарушится традиционное равновесие между науками, изучающими язык. Уже сейчас, взаимоотношения между психологией языка и лингвистикой, или социологией и лингвистикой далеко не прежние. Они скорее подходят к синтезирующему сотрудничеству при решении общих задач, чем к простой обмен информации между смежными науками.

ბ. ფონსაბა

კარლ ფოსლერის საენათმეცნიერო კონცეფცია¹

კარლ ფოსლერი (1874—1949) თავის მოწოდებას იმაში ხედავდა, რომ „მთელი აქამდე არსებული პოზიტივისტური საენათმეცნიერო სისტემა დაეშალა“ და ახალი, ესთეტიკური ენათმეცნიერება შეექმნა. ამ ახალი თეორიის წამყვანი დებულება — ენის ინდივიდუალურ შემოქმედებად მიჩნევა — მართლაც უპირისპირდება გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ენა დახასიათებულია როგორც სოციალური რიგის ფენომენი.

აქ წარმოდგენილი დალაგება ფოსლერის ნააზრევისა მიზნად ისახავს გარკვიოს, ერთი მხრით, მისი ადგილი თანამედროვე ენათმეცნიერებაში და, მეორე მხრით, მისი დამოკიდებულება იმ პრინციპებთან, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ენის ენათმეცნიერულ თეორიას.

ასეთმა მიზანდასახულობამ შეაპირობა ის გარემოება, რომ ფოსლერის ნააზრევის დალაგებასთან ერთად წინამდებარე ნარკვევში გარკვეული ადგილი უჭირავს ნეოგრამატიკოსთა (პაულის. ბრუგმანისა და ოსტროფის), სოსიურისა და კროჩეს შეხედულებათა გადმოცემასა და დაფასებას: ნ ე ო გ რ ა მ ა ტ ი კ ო ს ე ბ ი ს ა ს ი მ ი ტ ო მ, რომ ჩვენ ვეთანხმებით ვარაუდს, რომლის მიხედვითაც ფოსლერის კონცეფცია ნეოგრამატიკოსთა ფსიქოლოგიზმის თავისებურ უკუფენას წარმოადგენს; კროჩეს ესთეტიკის ძირითად დებულებათა გადმოცემა საშეაღებლად იძლევა უკეთ გავიგოთ ენის, როგორც შემოქმედების, ის დახასიათება. რომელიც ფოსლერს აქვს მოცემული, რაკი იგი სავესებით ემთხვევა ესთეტიკური ფაქტის კროჩესეულ გაგებას. დაბოლოს, სოსიურის შეხედულებათა გადმოცემისას მიზნად ვისახავდით ნეოგრამატიკოსებისა და ფოსლერის ნააზრევთან მისი შეპირისპირებით უფრო თვალსაჩინო გაგვეხადა ამ უკანასკნელთა ურთიერთდამოკიდებულების ფაქტი. გარდა ამისა, კროჩეს ესთეტიკის დალაგებას საშუალება მოგვცა დავედგინა ის მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელზედაც ფოსლერის „ენის ფილოსოფია“ აგებული, ხოლო ნეოგრამატიკოსები-

¹ წინამდებარე ნარკვევი დაწერილია 1941—1942 წლებში (იხ. ბ. ფონსაბა, ფოსლერის საენათმეცნიერო კონცეფცია. ფილოლ. მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსპობისათვის წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1942). ნარკვევი იბეჭდება შემოკლებით.

სა და სოსიურის შეხედულებათა გათვალისწინება ფოსლერის გვერდით ერთ-ბაშად იძლევა მე-19—20 საუკუნეთა მიჯნაზე ჩატარებული მუშაობის ზოგად სურათს და, მამასადამე, საერთო დახასიათების საშუალებასაც.

თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ცდილობდით მიმოიხილვაში წარმოდგენილი მასალის დაფასებას, სიციცალური ფაქტის იმ გაგებიდან გამომდინარეობს, რომელიც თავისუფალია ფსიქოლოგიზმისაგან; ამასთანავე, ცდილობდით გამოვეყენებინა ენობრივი ფაქტის ბუნებას შესახებ თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებულ მოსაზრებათაგან ისინი, რომლებიც ყველაზე მეტად რადღანან საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკის ნიადაგზე².

I

„ენები ბუნების ისეთი ორგანიზმები არიან, რომლებიც აღამიანი³ უნებლიეთ ჩნდებიან, განსაზღვრულ კანონთამებრ იზრდებიან და ვითარდებიან და ბოლოს ბერდებიან და ისევე იხოცებიან“⁴.

შლაიხერის ამ დებულების მოხსნა მიიჩნია ენათმეცნიერებამ აუცილებლად იმისათვის, რომ კვლევა-ძიების გაფართოება და გაღრმავება შესაძლებელი გამიხდარიყო⁵. „წინათ ენათმეცნიერება ენებს სწავლობდა ბუკითად. მაგრამ არა მოლაპარაკე აღამიანს“, ხოლო „შედარებითი ენათმეცნიერების მთავარი მიზანი აღამიანური მეტყველების მექანიზმის ხასიათის გარკვევა უნდა იყოს“ — აცხადებს „ნეოგრამატიკოსთა მანიფესტი“ და შლაიხერის დებულების საპირისპიროდ გახაზავს, რომ „ენა აღამიანის გარეშე და ზემოთ და თავისთვის მსესოპირობს საგანი კი არაა, არამედ ქეშმარიტი არსებობა მას მხოლოდ პიროვნებაში აქვს და ამიტომ ყველა ცვლილებები ენის ცხოვრებაში შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკე ინდივიდისაგან მომდინარეობდეს“⁶. „ენა არაა დამოუკიდებელი ორგანიზმი, რომელიც იზრდება, იღუპება და კვდება, არამედ იგი ცოცხლობს თვით აღამიანებში, რომლებიც მასზე მეტყველებენ და ფაქტობრივად, რომლებიც საზოგადოდ მის სიცოცხლეს, მის შექმნას, ტრადიციასა და ცვლას აპირობებენ, ერთგვარი იყო ყველა დროში“ — მიუთითებს თომსენი⁷.

ამრიგად, შლაიხერის ნატურალიზმის წინააღმდეგ ნეოგრამატიკოსთა თაობამ ენათმეცნიერების „გააღმავანურებისათვის“ ძებნა დაუწყა ისეთ მცველ

² კერძოდ. იხ. ა რ ნ. ჩ ი ჯ ო ბ ა ე ა. Проблема языка, как предмета лингвистиче-
ნიზმის მოამბე, X, 1941.

³ ა. შ ლ ა ი ხ ე რ ი. დარგინის თეორია და ენათმეცნიერება. თბილისი. 1889. გვ. 7.

⁴ ნეოგრამატიკოსებისა და შლაიხერის დაპირისპირების ამ მიზეზზე მიუთითებს ლეს-
კინი. როცა ლაპარაკობს: „თვითნებური, შემთხვევითი, ერთგვარსთან შეუთანხმებელი
გამონაკლისების დაშვება არსებობდა იმის აღარემას ნიშნავს, რომ კვლევის ობიექტი, ენა,
მიუწვდომელია მეცნიერებისათვის“. იხ. A. Meije, Введение в сравнительное изуче-
ние индоевропейских языков, М.-Л., 1938, გვ. 459.

⁵ Morphologische Untersuchungen auf dem Gebiete der indogermanischen Spra-
chen, von Dr. H. O s t h o f f und Dr. K. B r u g m a n n, I. Leipzig, 1878, გვ. III, XII, ხაზი ჩვენია — ბ.ფ.

⁶ В. Т о м с е н. История языковедения до конца XIX века, М., 1938, გვ. 93.
ხაზი ჩვენია — ბ. ფ.

ფაქტორებს, რომლებიც ყველა დროში და ყველგან ერთნაირი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ასეთი მელძივ; და უცვლელი ძალა. რომელიც ენის ცვლადობას განსაზღვრავდა. სხვა ვერაფერი დაიძებნა ბგერათყონიერების მოქმედებისა და ანალოგიური წარმოების გარდა; ამიტომ იყო. რომ პოზიტიური ნაწილი ნეოგრა-მატიკოსთა მსჯელობისა ენის ზოგადი საკითხების შესახებ ბგერათყონიერებისა და ანალოგიური წარმოების მნიშვნელობის გახაზვით ამოიწურებოდა:

„ნეოგრამატიკული“ მიმართულების ორი უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური დებულება შემდეგია:

პირველი: ყოველი ცვლილება, რამდენადაც აგი მექანიკურად მიმდინარეობს. ხდება უგამონაკლისო კანონების მიხედვით, ე. ი. ბგერათა შობრაობის მიმართულება ენობრივი კოლექტივის ყველა მონაწილესთან. გარდა იმ შემთხვევისა, როცა დიალექტებად დაშლა ჩნდება. მუდამ ერთგვარია და ცვლილება უგამონაკლისოდ მოიცავს ყველა იმ სიტყვებს, რომლებშიც ერთგვარ პირობებში ვლინდება შესაცვლელი ბგერა.

მეორე: რაკი ნათლად ჩანს, რომ ფორმათა ასოციაცია, ე. ი. ენობრივ ფორმათა ახალწარმოება, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალ ენებში, ამიტომ ენაში ახალი მოვლენის შემოსვლის ეს სახე აუცილებლად უნდა აღვიაროთ უფრო ძველი და უძველესი პერიოდებისთვისაც და არამარტო აღვიაროთ საერთოდ. არამედ ახსნის ეს პრინციპი უნდა გამოვიყენოთ საერთოდ ისევე, როგორც მოგვიანო პერიოდების ენობრივ მოვლენათა ასახსნელად ვიყენებთ. და სრულებით არ უნდა გავიკვიროთ, თუ ანალოგიები ენის ძველსა და უძველეს პერიოდებში ვლინდებიან ისეთივე მოცულობით და უფრო მნიშვნელოვანადაც კი. ვიდრე ახალში და უახლესში⁸.

ფონეტიკური კანონისა და ანალოგიის შესახები დებულების გამოცხადება ენათმეცნიერებისათვის „უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ დებულებად“ ნიშნავს ენის ფსიქო-ფიზიოლოგიურ აქტად მიჩნევას და საენათმეცნიერო კვლევის სათანადოდ წარმართვის მოთხოვნას: „ადამიანის მეტყველების მექანიზმს ორი მხარე აქვს: ფსიქიკური და ფიზიკური. მისი მოქმედების ხასიათის გარკვევა უნდა იყოს ენის შედარებითი მკვლევარის მიზანი“ -- ასე ახასიათებენ ოსტ-პოფი და ბრუგმანი ენათმეცნიერების ამოცანას⁹.

ამას კი მეტად სერიოზულ სიძნელეებადმედ მიჰყავს ენათმეცნიერება.

პირველ ყოვლისა: ენის ფსიქო-ფიზიოლოგიურ აქტად გამოცხადებით ნეოგრამატიკოსთა მიერ შემუშავებული ენის ზოგადი თეორია მკვეთრად უპირისპირდება საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკას, რომელიც უწინარეს ყოვლისა

⁸ „პრინციპთა მეცნიერება“ უნდა იკვლევდეს იმ პრობლემას, თუ „როგორაა შესაძლებელი ისტორიულ განვითარება მუდმივი და უცვლელი ძალებისა და მიმართებათა მოქმედების პირობებში“ -- ამბობს პაული. იხ. H. Paul, Prinzipien der Sprachgeschichte, Halle, 1920, გვ. 2.

⁹ Morphologische Untersuchungen, გვ. XIII--XIV. ნეოგრამატიკოსების მესამე დებულება უპირატესად ცოცხალი კოლორი მეტყველების მიჩნევის შესახებ ენათმეცნიერების ინიციატივად, როგორც ცნობილია, ორ ზემოთ დასახელებულ დებულებას ეყარება: ფონეტიკურ კანონთა და ანალოგიათა მოქმედება, როგორც ნეოგრამატიკოსები ვარაუდობენ, ცოცხალი კოლორში ჩანს ყველაზე აშკარა და შეუბღალავი სახით. რამდენადაც ეს ცოცხალი კოლორები წარმოადგენენ ენის ნორმალურ განვითარებას.

⁹ იქვე, გვ. III.

ისტორიული ძიებით იყო წარმოდგენილი და რომლის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები ნეოგრამატიკოსებზე იყვნენ; და ეს მიუხედავად იმ უკომპრომისო ისტორიზმისა, რომელსაც თვით პაულის ნაშრომი ქადაგებს¹⁰. ერთი მხრივ, ენათმეცნიერული ძიება მხოლოდ იმდენად შეიძლება იყოს მეცნიერული, რამდენადაც იგი ისტორიულია; მაგრამ, მეორე მხრივ, ყოველი ახალი მეტყველებითი აქტი დამოუკიდებელი მონაცემია, რომელიც არ შეიძლება მოთავსდეს განვითარების მთლიანს ჩაქვეში -- „ნამდვილად წარმოქმულს სრულებით არა აქვს განვითარება“¹¹. ამ წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელია, თუ არ უარყავთ ენის დასასიათება, როგორც ფსიქო-ფიზიოლოგიური აქტისა. პაულის სათანადო ცდა, ამიტომ, წარმატებით ვერ დასრულდა; ისტორიული განვითარების მატარებლად მეტყველებითი წარმოდგენების არაენობიერი ფსიქიკური ორგანიზმების გამოცხადება მხოლოდ ახალი სიძნელეების წინაშე აყენებს ფსიქოლოგისტურ ენათმეცნიერებას: „არ ა ც ნ ბ ი ე რ ი წმინდა მეტაფიზიკური ცნებაა, რამდენადაც მისი არც შინაგანი აღქმა შეიძლება და არც გარეგანი“ -- სპარტოლიანად შენიშნავს მისტელი¹².

და შემდეგ: მიიჩნევს რა ენას ფსიქო-ფიზიოლოგიურ აქტად; ენათმეცნიერება ინდივიდუალიზმის მოლიპულ გზაზე დგება; არც ის ფიზიოლოგიური პროცესები, რომელთაც ნეოგრამატიკოსები ვარაუდობენ ფონეტიკურ კანონზომიერ ცვლილებათა წყაროდ, და არც წარმოდგენათა ასოციაციები, რომელნიც ანალოგიური წარმოების საფუძველს წარმოადგენს, არ საჭიროებს ინდივიდიდან გასვლას: მოლაპარაკე ინდივიდი საკმარისი ჩანს ენის როგორც არსებობისათვის, ისე ცვალებადობისათვის. ამ სიძნელის მოხსნა ნეოგრამატიკოსებმა ვერ შეძლეს და პაული იძულებული იყო გაეხაზა: „უდავოდ სწორია დებულება, რომ ყოველ ინდივიდს თავისი საკუთარი ენა აქვს“¹³. რა თქმა უნდა, პაული ვერ შეჩერდებოდა ამ დებულებაზე; მისთვის ენათმეცნიერება კულტურის მეცნიერებაა, ხოლო „კულტურის მეცნიერება მუდამ საზოგადოებრივი მეცნიერებაა“¹⁴ თავის მხრით; ენათმეცნიერების მოქცევა სოციალურ მეცნიერებათა რიგში მოითხოვდა ენის, როგორც სოციალური ფენომენის დასაბუთებას. პაულიც ასაბუთებს: „სულთა შორის ურთიერთობა წარმოადგენს არაპირდაპირს, გაშუალებულს ფიზიკურ გზას“ და ყველაფერი ის, რაც შესაძლებელს ხდის ერთი ინდივიდის მეორეზე ზემოქმედებას, არაფსიქიკურია, ფიზიკურია¹⁴. მაგრამ ეს დასაბუთება არ თავსდება პაულის (და ნეოგრამატიკოსთა) ფსიქოლოგისტურ კონცეფციამში: რაკი „მთელი ენათმეცნიერება ფსიქოლოგიური უნდა იყოს“, ე. ი. რაკი მათი ვარაუდით ენა მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკური მოვლენაა. ცხადია, ენის ის მომენტები, რომელთა არსებობა არაფსიქიკური, ფიზიკური მონაცემებითაა შეპირობებული, არაარსებითია ენისათვის.

სხვა სიტყვებით: ნეოგრამატიკოსთა საენათმეცნიერო კონცეფცია ვერ ასაბუთებს ენას, როგორც სოციალურ ფენომენს; ფსიქოლოგისტური ენათმეცნიერებისათვის, თუ ის თანმიმდევარი დარჩება, ენა სხვა არაფერია, თუ არ ექსპრესია.

¹⁰ პ. პაული, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

¹¹ იქვე გვ. 11.

¹² ციტირებულია არნ. ჩიქობავას მიხედვით, იხ. А. С. Чикобава, Проблема языка, как предмета лингвистики, გვ. 361.

¹³ პ. პაული, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

¹⁴ იქვე, გვ. 12.

ნეოგრაპიატიკოსების საენათმეცნიერო სისტემი: ამ სიძნელეთა დაძლევის მეტად საყურადღებო ცდას წარმოადგენს ფერდინანდ დე სოსიურის სოციოლოგიური ლინგვისტიკა¹⁵.

მუთითებენ არაერთგზის შესხედრებზე სოსიურის კონცეფციასა და დიურკჰეიმის სოციოლოგიას შორის¹⁶. ჩვენი ვარაუდით, დიურკჰეიმის სოციოლოგიას ემყარება სოსიური ენის ბუნების ინდივიდუალისტური გავების წინააღმდეგ ბრძოლაში და საკუთარი თვალსაზრისის დაფუძნებისას: ენობრივი ფაქტის, როგორც სოციალური ფენომენის, სოსიურისეული გავება ემთხვევა სოციალური ფაქტის იმ დახასიათებას, რომელიც დიურკჰეიმმა აქვს მოცემული; ერთიანად და შეორესთანად სოციოლოგიზმს ფსიქოლოგიზმი ასაზრდოებს.

ჩვენი მოსაზრების ნათელსაყოფად პირველ ყოვლისა გადმოვცემთ სოციალური ფაქტის დიურკჰეიმისეულ დახასიათებას.

დიურკჰეიმი უარყოფს სოციალურ ფაქტად საზოგადოებაში მომხდარი მოვლენების მიჩნევას, თუ ამის საფუძველია მხოლოდ რაიმე საზოგადოებრივი ინტერესი ამ ფაქტისადმი; რადგან ასეთ შემთხვევაში სოციოლოგიაში შევიდოდა ყველა ადამიანური მოვლენა (სმა-ჰამა, დასვენება, მსჯელობა...). სოციოლოგიას არ ექნებოდა თავისი განსაზღვრული საგანი და მისი სცერო ბოლოსდაბოლოს ბიოლოგიისა და ფსიქოლოგიის (ინდივიდუალისტური, ცხრაასიან-წლებამდელი ფსიქოლოგიის, ე. ი. თითქმის ისევ ბიოლოგიის) სფეროებს შეერწყმოდა¹⁷. სოციალური ფაქტები დიურკჰეიმს დახასიათებული აქვს, როგორც სპირიტუალურნი (გონითი ხასიათისანი: კოლექტიური წარმოდგენები), ობიექტური რეალობის მქონენი, გარეგანი ინდივიდთან მიმართებაში და იძულებითი ხასიათისანი ინდივიდუალური ცნობიერებისათვის. მეორე მხრივ, არსებობს სოციალურ ფაქტთა ინდივიდუალური გამოვლენა; ესაა მოვლენათა რჯი (რწმენები, მისწრაფებანი, ჯგუფთა ჩვეულებანი, აღებულნი კოლექტიურად), რომელნიც გავრცელებულნი არიან, მაგრამ „რაიმე აზრი, რომელიც ყველა ინდივიდის ცნობიერებას გააჩნია, რაიმე მოძრაობა, რომელსაც ყველა იმეორებს, — ამის გამო სოციალურ ფაქტად ვერ იქცევა“. საბოლოოდ: „სოციალური ფაქტია ყოველგვარი მოქმედება, ... გარეგანი იძულების მქონე, ან სხვაგვარად: გავრცელებული მოცემული საზოგადოების მთელ სივრცეზე, მაგრამ იმავ დროს საკუთარი არსებობის მქონე, დამოუკიდებელი მის ინდივიდუალურ გამოვლენათაგან“¹⁸.

¹⁵ ჩვენ შესაძლებლად დაინახეთ სოსიურის თვალსაზრისის მიმოხილვა ფოსლერისას წაუშმდვართ. თუმცა ქრონოლოგიურად ეს უკანასკნელი უძღვის პირველს; გვაპაროლებს წინამდებარე ნარკვევის მიზანდასახულობა: ჩვენ ვცდობთ გავარკვიოთ ფოსლერის ადგილი მის თანამედროვე ენათმეცნიერებაში.

¹⁶ ეს ფაქტი მოხდენილად დაფორმდებული, მაგრამ არა საქმარისად დასაბუთებული სოსიურის ნაშრომის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში (იხ. Ф. де Со с и у р. Курс общ ей л и н г в и с т и к и, М., 1933, გვ. 16—17); დე სოსიურის ლინგვისტური კონცეფციის მეთოდოლოგიურ სუბსტრატს დიურკჰეიმის სოციოლოგია წარმოადგენსო, ამბობს წინასიტყვაობის ავტორი დ. კელენსკი.

¹⁷ Э. Д ю р к х е й м, Метод социологии, Киев-Харьков, 1899, გვ. 7.

¹⁸ იქვე, გვ. 19.

სოციოლოგია, ერთიანი საგნისა და მეთოდის თვალსაზრისით, ცალკე სოციოლოგიურ მეცნიერებათა კრებულს წარმოადგენს ასპექტის მხრით, ე. ი. არსებობს: სოციალური მორფოლოგია (რომელიც სწავლობს ხალხთა გეოგრაფიულ საფუძველს სოციალურ ორგანიზაციასთან მიმართებაში, ხალხთა დასახლებულობასთან დაკავშირებულ პრობლემებს) და სოციალური ფიზიოლოგია: სოციოლოგია რელიგიური, მორალური, იურიდიული, ეკონომიური, ესთეტიკური, ლინგვისტური..., რომელთაგან „თითოეული სწავლობს ამ უბნისათვის დამახასიათებელ კანონებს“; კერძოდ, ლინგვისტური სოციოლოგია სწავლობს ენას, როგორც „ნიშანთა სისტემას, რომლითაც მე ვსარგებლობ ჩემი აზრების გამოსახატავად“ და რომელიც, ყველა სხვა სოციალური ფენომენის მსგავსად, „მოქმედებს მისი იმ მოხმარებისაგან დამოუკიდებლად, რომელსაც მე ვაწარმოებ (функционирует независимо от того употребления, которое я из них делаю)“¹⁹.

შეუვპირისპიროთ სოციალური ფაქტის ამ გაგებას ენის ბუნების სოსიურ-რინეული გაგება.

ყოველი ლინგვისტური ელემენტი, სოსიურის აზრით, მუდამ ორ ასპექტს წარმოადგენს: ბეგრას როგორც წარმოთქმისა და როგორც გაგონების აქტს, ბეგრის ფიზიოლოგიურსა და აზრითს მხარეს, ენის ინდივიდუალურსა და სოციალურ მხარეს, ისტორიასა და სისტემას, როგორც ენის ორ მხარეს. არჩევანი ენის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს: უნდა ენის ნიადაგზე დავდგეთ და ის ჩავთვალოთ ნორმად მეტყველებითი მოქმედების ყველა სხვა გამოკლებისათვის. ენა, ერთი მხრით, მეტყველებითი უნარის სოციალური პროდუქტია, ხოლო მეორე მხრით, ერთობლიობაა აუცილებელ პირობათა, რომლებიც შეთვისებულია საზოგადოებრივი კოლექტივის მიერ ამ უნარის ცალკე პირებთან განხორციელებისათვის.

ენას, მეტყველების საპირისპიროდ, ასე ახასიათებს სოსიური: 1. ენა რაღაც მთლიანად გარკვეული რაზმა მეტყველებითი მოქმედების ნაირსისტემოვან ერთობლიობაში. მისი ლოკალიზება შეიძლება მეტყველსა და მსმენელს შორის არსებულ წრიულ მეტყველების მოქმედებაში იქ, სადაც ხდება აკუსტიკური სახის ასოციაცია ცნებასთან. იგი მეტყველებითი მოქმედების სოციალური ელემენტია. 2. მეტყველებიდან გამოცალკევებული ენა შეიძლება ცალკევე (მეტყველების ჩაურევლად) შეისწავლებოდეს. 3. მეტყველებითი მოქმედების ნაირბუნებოვნების საპირისპიროდ ენა თავისი ბუნებით ერთგვაროვანია; იგი სისტემაა ნიშნებისა, რომლებშიც არსებითია მხოლოდ აზრის შეერთება აკუსტიკურ სახესთან. ამასთანავე ნიშნის ეს ორივე ელემენტი ერთგვარად ფსიქიკურია. 4. ენა არანაკლებ კონკრეტულია თავისი ბუნებით, ვიდრე მეტყველება; ენობრივი ნიშნები, თუმცა ფსიქიკური ბუნებისანი არიან, მაინც აბსტრაქციებს კი არ წარმოადგენენ, არამედ რეალობანი არიან, ტვინში არსებულნი²⁰.

ენა ნიშანთა სისტემაა, ესე იგი: 1. იგი შეპირობებულია მასზე მოლაპარაკეთა შეთანხმებით (ამიტომაც ის ნიშანი) და 2. მისი შემადგენელი ელემენტე-

¹⁹ დურკჰეიმის კონცეფციის შესახებ მსჯელობისას დურკჰეიმის დასახლებული ნაშრომის გარდა კიყვებდით ტელევიზორს წეროს: Ф. Тележников, Е. Дюркгейм о предмете и методе социологии. Вестник Ком. Академии, кн. 30(6). 1929.

²⁰ Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, гл. 39.

ბი — ნიშნები — ქმნიან ერთს მთლიანს და თითოეულ მათგანს გარკვეული ნიშნადობა (ღირებულება) აქვს, როგორც ამ მთლიანის წევრს (ამიტომაც იგი სისტემა).

აქედან გამოდინარობს ენობრივ მოვლენათა განხილვის ორი თვალსაზრისი: რამდენადაც ენობრივი მოვლენები ვითარდებიან, ე. ი. რამდენადაც სისტემის ცალკეული ნაწილები და, მაშასადამე, მთელი სისტემა იცვლება, მის შესასწავლად ლინგვისტიკის ცალკე უბანი უნდა გამოიყოს; ეს იქნება „ღიაქრონიული ლინგვისტიკა“. მაგრამ, მეორე მხრით, ენა სისტემაა; ხოლო რაკი „არ შეიძლება არსებობდეს სისტემა, რომელიც ერთდროულად რამდენსამე ეპოქას მოიცავს“²¹, ღიაქრონიული ლინგვისტიკის გვერდით საპატრო ადგილი უნდა დაიკავოს „სინქრონიულმა ლინგვისტიკამ“. მეტყველსათვის ენა მხოლოდ მდგომარეობაა; ამიტომ ენის არც აღწერა შეიძლება, არც მისი მოხმარების ნორმათა დადგენა, თუ მისი გარკვეული მდგომარეობიდან არ გამოვედით²².

ამ თვალზრისმა შეაპირობა სინქრონიული ლინგვისტიკის გაბატონებული ადგილი სოსიურის ნააზრევში.

ენათმეცნიერული ძიების საგანია ენის ბგერითი მხარე და ენის სტრუქტურა; ენათმეცნიერებას, ამის გამო, ყოფენ ფონეტიკად და გრამატიკად (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით: მორფოლოგია-სინტაქსად)²³. სინქრონიული და ღიაქრონიული ასპექტის გარჩევის შემდეგ საკითხი ისმის იმის შესახებ. თუ როგორია ხსენებული საენათმეცნიერო დისციპლინების (ფონეტიკისა და გრამატიკის) მიმართება ამ ასპექტებთან. ამ საკითხს სოსიური ასე წყვეტს: ერთი მხრით. „გრამატიკა შეისწავლის ენას. როგორც გამოხატვის საშუალებათა სისტემას; გრამატიკის ცნება ფარავს სინქრონიულისა და ნიშნადის ცნებას. ხოლო რამდენადაც არ შეიძლება არსებობდეს სისტემა, რომელიც ერთდროულად რამდენსამე ეპოქას მოიცავს, ჩვენ უარყვოვთ „ისტორიული გრამატიკის“ შესაძლებლობას“²⁴. მეორე მხრით, ფონოლოგიისაგან (რომელიც სოსიურისთვის ბგერის ფიზიოლოგიას წარმოადგენს და, მაშასადამე, არალინგვისტურ დისციპლინას) გამოყოფილი ფონეტიკა, როგორც მოძოვრება ბგერათა ევოლუციების შესახებ, ისტორიულ მეცნიერებადაა ჩათვლილი²⁵; „ღიაქრონიული ლინგვისტიკის ობიექტი უწინარეს ყოვლისა ფონეტიკაა, ფონეტიკა მთლიანად“²⁶; „ფონეტიკის ღიაქრონიული ხასიათი საევიტუციო ეთანხმება იმ პრინციპს, რომ არაფერი ფონეტიკური არაა ნიშნადი ან გრამატიკული (ამ სიტყ-

²¹ Ф. де Соосю р... გვ. 127.

²² იქვე, გვ. 89.

²³ საენათმეცნიერო დისციპლინების ასე დაყოფისას ლექსიკოლოგია (ან სემასიოლოგია) ცალკე დარგადაა წარმოდგენილი. თუ ენას საერთოდ, და მას ლექსიკასაც, სტრუქტურად მივიჩნევდით, მაშინ ლექსიკოლოგია მორფოლოგიისა და სინტაქსის გვერდით მოექცეოდა; ასეთ გრამატიკას სოსიური გრამატიკისფართო გაგებას უწოდებს. მაგრამ ეს გაგება ფონეტიკური თენომენის შესწავლას არ ითვალისწინებს, ამიტომ მორფოლოგია-სინტაქს-ლექსიკოლოგიის შემკველი გრამატიკა მაინც ვიწროდ გაგებული გრამატიკა იქნება (იხ. არნ. ჩიქობავა, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, I, 1940, № 2, 3).

²⁴ ფ. სოსიური, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

²⁵ იქვე, გვ. 52.

²⁶ იქვე, გვ. 134.

ვის ფართო მნიშვნელობით)“ — აცხადებს სოსიური²⁷. ეს კი ნიშნავს: საერთოდ მეტყველებითი მოქმედების ის მომენტები, რომელთა შესასწავლად დიაქრონიული ასპექტი გამოიყენება, არანიშნავი და არაკრამპტიკულია, ე. ი. არალინგვისტური. ასეთი გაგების პირობებში დიაქრონიული ლინგვისტიკისათვის ადგილი სრულებით არ არჩება.

აქ გაგებული ენის ცნება გამოიხატავს ყველაფერს, რაც „გარეგანი ლინგვისტიკის“ საგანს შეადგენს. ეთნოლოგიასთან (ერის, ცივილიზაციის ისტორიასთან), პოლიტიკურ ისტორიასთან, სალიტერატურო ენასთან, ზოლოს, ენათა გეოგრაფიულ გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა აუცილებელი არაა ენის შინაგანი ორგანიზმის შეცნობისათვის. ეს იმიტომ, რომ გარეგანი ლინგვისტიკა ფაქტებს ალაგებს ერთმანეთზე, შინაგანი ლინგვისტიკა კი ენას შეისწავლის, როგორც სისტემას²⁸.

როგორც ზემოთ მოყვანილი დალაგებიდან ჩანს, ენობრივი ფაქტის სოსიურისეული გაგება დიურკჰეიმის მიერ მოცემულ სოციალური ფაქტის გაგებას ემთხვევა: დიურკჰეიმის დებულებათა საფუძველზეა გაშლილი ენობრივი ფაქტის სოციალური ბუნების დასაბუთება, მაგრამ დიურკჰეიმთანვე მოდის ამ სოციალური ფაქტის ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია; ეს ფსიქოლოგიზმი ისევე ამძიმებს სოსიურის საენათმეცნიერო კონცეფციას, როგორც ის პაულის კონცეფციას ამძიმებდა: აქაც ისე, როგორც პაულის ნააზრევში, ამოსავალია ენობრივი ფაქტის ფსიქიკურ ბუნებაზე მითითება. განსხვავებას ქმნის შემდეგი ვითარება: ნეოგრამატიკოსები მეტყველების აქტებსაც და მათ ფსიქიკურ დანალექებსაც ერთნაირად მიიჩნევდნენ ენათმეცნიერების საგნად; სოსიურმა არჩია სწორედ ამ დანალექებიდან ამოსულიყო ენობრივი ფაქტის ბუნების კვლევისას, ადამიანური მეტყველების დანარჩენ, „არაენობრივი“, მოვლენებს სოსიური საენათმეცნიერო ძიების სფეროს მიღმა ტოვებს, რადგან ვარაუდობს — ნეოგრამატიკოსების მსგავსად. — რომ ეს მოვლენები ინდივიდუალური ბუნებისანი არიან²⁹.

სოსიურის ეს არჩევანი არ გამოდგა; სოსიური იძულებული შეიქნა ენათმეცნიერების საკვლევ ობიექტად მხოლოდ დროის ერთ მომენტში მოცემული ნიშანთა სისტემა მიეჩინა³⁰. ამის გამო ენათმეცნიერების გარეთ დარჩა არა მარტო ის ენობრივი მოვლენები, რომელთაც სოსიური გარეგანი ლინგვისტიკის სახელით აერთიანებს, არამედ, არსებითად, ისტორიული ძიებაც. ამიტომ

²⁷ ფ. სოსიური, დასახ. ნაშ., გვ. 134.

²⁸ იქვე, გვ. 45.

²⁹ საინტერესოა შევნიშნოთ, რომ სოსიური ერთგვარად ნეოგრამატიკოსებამდელ თვალსაზრისს უბრუნდება ენის, როგორც შინაგანი, ჩაყვრილი სისტემის დახასიათებით: ისიც „ენას შეისწავლის და არა მოლაპარაკე ადამიანს“. ჩვენ ქვემოთ დაიწინაურეთ, რომ ფოსტერის პოზიცია ნეოგრამატიკოსებისას უფრო უახლოვდება, ვიდრე სოსიურისას, რამდენადაც მისთვის „არა ენა ავტონომიური“, არამედ გონი, რომლის ნაირნაირ გამოვლენას წარმოადგენენ მეტყველება და ადამიანური მოქმედების სხვა სახეები.

³⁰ დიურკჰეიმის კონცეფციაში ვერ დავუძენთ წყაროს იმ ფაქტს, რომ სოსიური სინქრონიულ ასპექტს ანიჭებს უპირატეს მნიშვნელობას; იგი საკუთრივ სოსიურისეულია. ვოლოშინოვის ვარაუდით, სოსიურის სინქრონიზმის მიზეზია „პრაქტიკული და თეორიული ორიენტაცია მკვდარი უცხო ენების შესწავლაზე. ენებისა, რომლებიც წერილობითს ძეგლებშია დაცული“. იხ. В. И. В о л о ш и н о в, Марксисты и философия языка, М., 1929, გვ. 85.

სოსიურის ზოგადი საენათმეცნიერო კონცეფცია გამოუსადეგარია ისტორიულ ენათმეცნიერებისათვის, ე. ი. ყველა იმ მონაპოვრისათვის, რაც კი გააჩნია მე-19 საუკუნის ენათმეცნიერებას; მეორე მხრივ, ეს კონცეფცია ენათმეცნიერებას უკარგავს შემდგომი განვითარების პერსპექტივას, რამდენადაც გარეგან ლინგვისტიკას სავსებით სწევეტს შინაგანი, სინქრონიული ლინგვისტიკისაგან და. მაშასადამე, ენისა და სოციალური რიგის სხვა მოვლენების ურთიერთობის შესაძლებლობას გამორიცხავს; ამგვარად, ქემპარიტი სოციოლოგიური ენათმეცნიერების ნექმნის ამოცანას სოსიურის კონცეფცია ვერ წყვეტს.

ამასთანავე — და ესაა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ამ შემთხვევაში — სოსიურმა ვერ მოხსნა ის სიძნელეები, რომელიც ენობრივი ფაქტის ნეოგრამატიკოსებისეულმა გაგებამ წარმოშვა...

II

ცხადია, სოსიურის მიერ არჩეული გზა არაა ერთადერთი შესაძლებელი გზა: პულის (და ნეოგრამატიკოსთა) ინდივიდუალობში იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ სწორედ საპირისპირო თვალსაზრისი იქნეს გამოყენებული ენობრივი ფაქტის ბუნების გარკვევისას. ეს საპირისპირო გზა აირჩია კარლ ფოსლერმა.

ფოსლერი ამ პრობლემის დაყენებისას (და ნაწილობრივ გადაჭრის დროსაც) ეყარება ბენედეტო კროჩეს ესთეტიკას. კროჩეს ესთეტიკა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ესთეტიკური აზროვნების საპირისპიროდ, ფილოსოფიური ესთეტიკაა და არა ემპირიული. ამასთანავე კროჩე ინტუიციონისტური ცნებიდან ამოღის და მასზე აგებს თავის სისტემას.

³¹ ი. იორდანი ენათმეცნიერებაში მე-20 საუკუნეში მომხდარი ცვლილებების წყაროდ ბერგსონის ფილოსოფიას მიიჩნევს: „მასალბრივის მოკარბება გონითის ხარჯზე იწვევდა ბუნებრივ რეაქციას, რომელიც განსაკუთრებით იქით იყო მიმართული, რომ აზრის ბატონობა ჩამოეშორებინა და მის ადგილას ინტუიციო დაესვა. ამ მოძრაობის ამოსავალი პუნქტი ბერგსონთან უნდა ვეძიოთ“ (I. Jordan, Der heutige Stand der romanischen Sprachwissenschaft: Stand und Aufgaben der Sprachwissenschaft, Heidelberg, 1924, გვ. 585. შტრ. G. Ipsen, Besinnung der Sprachwissenschaft (Karl Vossler und seine Schule). Indogermanisches Jahrbuch, XI, 1927, გვ. 26). ერთადერთი სკოლა, რომელიც ინტუიციის ცნებას ემყარება საენათმეცნიერო თეორიის აგებისას, ფოსლერის სკოლაა, მაგრამ ფოსლერს ინტუიციის ცნება ალბუელი აქვს კროჩეს ესთეტიკიდან. მართალია, ფოსლერი შეესაბამება ბერგსონის ნაზრევის ინტუიციის გამოცხლებას, მაგრამ კატეგორიულად გაემიჯნება მას, როგორც ეი მისი კონცეფციის არსებით მომენტებს ეხება საქმე [იხ. Karl Vossler, Geist und Kultur in der Sprache, Heidelberg, 1925, გვ. 109—113]. ამასთან დაკავშირებთ გაიხსენებთ ერთ ფაქტსაც: ლუბი ფოსლერს ჰეგელიანულად მოიხსნის («Vossler, als idealistischer Denker Hegelscher Observanz...» იხ. Zeitschrift für vergleichende Sprachforschung, 53, 1925, გვ. 277), ხოლო ისენი (დასახ. ნაშრ., გვ. 10 შტდ.) ფოსლერის ენის ფილოსოფიის სამ წყაროზე მუთითებებს: ჰეგელიანურ ესთეტიკაზე, ნეოკანტიანლობაზე (კერძოდ, რიკერტზე) და ფრანგულ სოციოლოგიაზე. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას ფოსლერის ნაზრევი კროჩეს მეშვეობით უკავშირდება; რიკერტის გაუღენის შესახებ საბაბს „ენობრივი განვითარების“ ფოსლერისეული დასაბუთება იძლევა, რაც შეეხება ფრანგულ სოციოლოგიასთან (და სოციოლოგიურ ლინგვისტიკასთან) დამოკიდებულებას, აქ უფრო დაპირისპირება გვაქვს, ვიდრე გაუღენა; თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფოსლერის ძირითადი ნაშრომები სოსიურის „ეკრისის“ გამოქვეყნებას ათეული წლით უსწრებს.

ინტუიცია, როგორც უშუალო შექმენება, ჩვეულებრივ შეჯობისადაცხადებულია განსჯით (დისკურსიული), ლოგიკურ, ცნებრივად განუყოფელ მხარეებთან; მაგრამ ის ყველა ფილოსოფოსს ჰოდა ეჭვს სწავლავს; ზუსტად კიდევ ე. წ. შობლანდიურ სკოლას ინტუიცია ესწრება როგორც უშუალო აღქმა, მხოლოდ რომელსაც — დისკურსიული ანალიზების საშუალებით — ძალღმს სწვდეს მორალურსა და ესთეტიკურ გრძნობებს; ბუნებრივ მუშაობით ინტუიციის ეს გაგება გერმანულ კლასიკურ იდეალიზმს გაუცხად და უკვე იაკობი მას ახასიათებს როგორც ადამიანურ ნიჭს ბუნების — როგორც მთლიანი რეალობის — წვდომისა და, ამრიგად, მაღლა დაყენებული განსჯით ნიჭთან შედარებით, რომელსაც ბუნება მოვლენებამდე დაჰყავს. შედგენი მას ინტელექტუალურ ინტუიციად აქცევს და, ავალებს რა აბსოლუტის, ღმერთის შექმენებას. აბსოლუტურ ცოდნას ახასიათებს როგორც ინტელექტუალურ ინტუიციას; აქედანაა განვითარებული, სხვათა შორის, ზერუსონისეული გაგებაც. რომლის მისეღვითაც, ინტუიცია შექმენების განსაკუთრებულ, უმაღლესი სახეობაა, რომელიც მისაწვდომია მხოლოდ გამოჩენილი პირებისათვის (ფილოსოფოსთათვის, მეცნიერთა, სელეფანთა და მისტიკოსთათვის) და ისიც განსაკუთრებულ პირობებში — გონითი განათლებისას.

რაც შეეხება კროჩესეულ ინტუიციას, საერთო წარმოდგენას მოგვცემს შემდეგი ამონაწერი: „შთაბეჭდილება მთვარის შექმენაგან. რომელიც მხატვარმა დახატა, კარტოგრაფის მიერ აღნიშნული რომელიმე ქვეყნის კონტურები. მუსიკალური მოტივი, ნაზი ან ენერგიული, რომელიმე ნაღვლიანი ლირიკის სიტყვები ან სიტყვები, რომლებითაც ჩვენ ყოველდღიური ცხოვრების პირობებში გამოვხატავთ ბრძანებას, თხოვნას ან ჩივილს.—ყველა ეს ფაქტორი ინტუიციური ფაქტორია“³². ინტუიციის კროჩესეული გაგების ნამდვილი დახასიათება კი საერთოდ კროჩესეს ესთეტიკური კონცეფციის დალაგებამ უნდა მოგვცეს.

გონი ორი სფეროთია წარმოდგენილი—ამბობს კროჩე—თეორიულითა და პრაქტიკულით; თითოეული მათგანი ორ საფეხურს შეიცავს: თეორიული გონი — ინტუიციურსა და ლოგიკურს შექმენებას, ხოლო პრაქტიკული გონი, ნება (რომელიც „ისეთი გონითი ჰეშობაა,... რომელიც კი არ შეიქმენება, არამედ მოქმედებს“ — გვ. 53) — ეკონომიკასა და მორალს³³. პრაქტიკული გონი მუდამ ვარაუდობს თეორიულს და ასევე თითოეული მათი საფეხურთაგანი: ლოგიკურ შექმენებას ინტუიციურის გარეშე არ შეუძლია იარსებობს. ეკონომიკის ფაქტის არსებობისათვის აუცილებელია ორივე, ხოლო ზნეობა მთლიანად პირველ სამ საფეხურს ვარაუდობს; დამოუკიდებელია მხოლოდ ინტუიცია (გვ. 63). შექმენების ინტუიციური ფორმა ლოგიკურს უპირისპირდება, როგორც ფანტაზიისმიერი და ინდივიდუალური — ინტელექტისმიერსა და უნივერსალურს; იგი თვით ცალკეულ საგანთა შექმენებაა და სახეებს აწარმოებს,

³² Benedetto Croce. Estetica, как наука о выражении и как общая лингвистика, I, М., 1920, გვ. 4. ქვემოთ კროჩეს წარმომხე მითითებას ტექსტშივე ვიძლევი.

³³ კროჩე ვახზავს, რომ გონითი მოქმედების სხვა რომელიმე ფორმა არ არსებობს: სამართალი პრაქტიკულ მოქმედებას შეერწყმის; საზოგადოებრიობაც, ე. ი. ადამიანურ ინდივიდთა ნაერთი, არის არა პირველადი, მარტივი ცნება, არამედ უაღრესად რთულია, რომლის შემადგენელი ელემენტები გონითი მოქმედების სხვადასხვა ფორმებში ნაწილდება; რელიგია ისევ შექმენებაა... (70—71).

შპინ, როცა ლოგიკურ შეშეცნებას მხოლოდ საგანთა მიმართებებთან აქვს საქმე და მხოლოდ ცნებების მოცემა შეუძლია (გვ. 3); ინტუიცი: ა ფენომენების საშუალო იძლევა. ცნება — ნოუქენებისას (გვ. 36).

ერთი მხრით: ცნებითი ელემენტისაგან თავისუფალი ინტუიციების არსებობა ამტკიცებს ინტუიციური აზროვნებას დაპოუცილებლობას ცნებებითისაგან: ანტიკით თუ ცნებითი ელემენტები შეგვხვდება რომელსაჟე ინტუიციისში, ისინი ცნებები კი აღარ არიან. არამედ ინტუიციის უბრალო ელემენტებულა წარმოადგენენ (გვ. 4); აღქმასთან მისი მიმართება ასე შეიძლება დახასიათდეს: აღქმაც ინტუიციას, მაგრამ იგი რისაჟე ნაშვილად მომხდარის შემეცნებაა, რისაჟე შეთვისებაა როგორც რეალურისა; ინტუიციის შინაგანი ბუნებაათვის კი რეალურისა და არარეალურის გარჩევა უცხოა (გვ. 6); მეორე მხრით: შეგრძნება ინტუიციას (— შეშეცნებას, აქტივობას, ფორმას) უპირისპირდება როგორც უფორმო მატერია, მექანიზმი, პასივობა, ადამიანური გონის ვნება და არა მოქმედება (გვ. 8-9); ინტუიცია შეგრძნებათა ობიექტივაციაა (გვ. 15). ამის გამო არც ასოციაციად შეიძლება ინტუიციის მიჩნევა, თუ ასოციაცია ისევე შეგრძნებებს ვარაუდობს. სხვა საქმეა, თუ პროდუქტიული (გამფორმებელი) ასოციაცია ნაგულისხმევი; მაგრამ ასეთი ასოციაცია, წარმადღენს რა სინთეზს, ე. ი. გონით აქტივობას, აღარაა უკვე უბრალოდ „ასოციაცია“ (გვ. 9-10). ასეთსაჟე ვითარებაშია მისი მიმართება წარმოადგენს თუ იგი შეგრძნებათა დამუშავებას წარმოადღენს, — ინტუიციას, სოლო შეგრძნებებისაგან თუ მხოლოდ რაოდენობრივად განსხვავდება, — იგი ინტუიციას არაა (10).

ინტუიციის სპეციფიკა ისაა, რომ იგი იმავე დროს ექსპრესიაცაა³¹; „გონი ინტუირებას აწარმოებს მხოლოდ იმით, რომ მოქმედებს, აფორმებს, ექსპრესიას ახდენს...“; ნაგრძნობ-განცდილისაგან ინტუიციას იმით განსხვავდება, რომ იგი ფორმას (გვ. 14). კროჩე შენიშნავს: ეს დებულება პარადოქსალურად შეიძლება მიიჩნიონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვარაუდობენ, რომ ჩვენი ინტუიციას ჩვენს ექსპრესიას სჭარბობს; ნაშვილად იქ, სადაც ჩვენ ინტუიციას ვვარაუდობთ (და ვგვონია — ინტუიციის თვალსაზრისით ხელოვანის დონეზე ვდგავართო, — რაფაელის მადონას წარმოდგენა ყოველ ადამიანს შეუძლიაო). — მხოლოდ ზოგიერთი შტრიხი და ფერი თუ მოგვეპოვება... ასეთია სახელდობრ ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვაქვს და რაც ჩვენი ყოველდღიური მოქმედების საფუძველს წარმოადღენს. ესაა... ეტიკეტები, რომლებიც მიეკვრიან საგნებს და მათ მოადგილებს წარმოადღენენ...“ (გვ. 12).

³¹ კროჩეს ესთეტიკის რუსული თარგმანი, რომელსაც ჩვენ წინამდებარე მამოხილვისათვის ვიყენებთ, „ექსპრესიას“ «выражение» სიტყვით გადმოსცემს (Эстетика как наука о выражении...); მიუხედავად იმისა, რომ თარგმნის შესაძლებლობა ჩვენც გვქონდა (ქართულში შესაბამისი ტერმინი იქნებოდა „გამოხატვა“, „გამოსახვა“, ჩვენ მაინც ვარჩიეთ უცვლელად დაგვეტოვებინა დედანში ხმარებული „ექსპრესია“ (Estetica come scienza dell'Espressione...), რადგან ქართულს საენათმეცნიერო ლიტერატურაში „გამოხატვას“ არ იყენებენ და, მაგალითად, ჩვეულებრივ ენის ექსპრესიულ ფუნქციაზე“ ლაპარაკობენ. ამავე მოსაზრებით ფოსტერისეული «Ausdruck» და «Anschauung» ჩვენ გადმოცემული გვაქვს არა როგორც „გამოხატვა“ ან „გამოსახვა“ და „კვრეტა“ ან „მკვრეტელობა“, არამედ როგორც „ექსპრესია“ და „ინტუიცია“.

ვარაუდობენ. ხელოვნება უბრალო ინტუიციას როდია, იგი ინტუიციის ინტუიციას (ისევე, როგორც ფიქრობენ, რომ მეცნიერული ცნება წარმოადგენს ცნებებს ცნებას). ნამდვილად განსხვავება ინტუიციასა და ხელოვნებას შორის მხოლოდ რაოდენობრივია: „სულის ზოგიერთი რთული მდგომარეობის სრული ექსპრესიისათვის სხეებზე მეტ უნარს ზოგი აღამიანი იჩენს; მას ხელოვნებს უწოდებენ; ზოგიერთი რთული და ძნელი ექსპრესია მეტად იშვიათად ჰიღწევა, და მას ხელოვნების ნაწარმოებს უწოდებენ. საზღვრები ე. წ. ხელოვნებასა და არახელოვნებას შორის ემპირიულია: შეუძლებელია მათი დადგენა“ (გვ. 17).

შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის საკითხი ხელოვნებაში, ამისდა მიხედვით, გარკვეულია: ესთეტიკური ფაქტიც ისევე, როგორც ყოველი ინტუიციაც, მხოლოდ და მხოლოდ ფორმას, რამდენადაც შინაარსი შთაბეჭდილებას. გადაუშუშავებელი ემოციურობაა და. მაშასადამე, არა გონითი ფაქტი, რამდენადაც ინტუიციაც, ესთეტიკური ფაქტი. შთაბეჭდილების განითი დამუშავება. — იგი აქტიური სასიათისაა. აქტივობა კი შთაბეჭდილებათა ერთგვარ ორგანულ მთელში შერწყმას წარმოადგენს; აქედან — მხატვრული ნაწარმოების დაუყოფლობის, მთლიანობის აღიარება (გვ. 21—22).

ინტუიციას საგნებია. ინტელექტი — ცნებები, საკანთა მიმართებები (გვ. 3). ფილოსოფია ცნებებით მუშაობს, ექსპრესიას ხელოვნების საქმეა. ამრავალ, შემეცნება ფილოსოფიასა და ხელოვნებას შორის ნაწილდება უნაშთოდ: დანარჩენი ფორმები ან მათზე დაიყვანება (მაგ., ისტორია), ანდა არაწმინდა ფორმებს წარმოადგენს; მაგალითად, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებანი შეიცავენ უცხო, წარმოშობით პრაქტიკულ, ელემენტებს (გვ. 36).

ესთეტიკაში ინტელექტუალისტური შეცდომებიდან, რომელთაც კროჩე ჩამოთვლის, ჩვენ დავასახელებთ მხატვრულ და ლიტერატურულ სახეობათა თეორიებს: იქნებ თავისთავად შეცდომა არ იყოს მსჯელობა ტრადიციების, კომედლების, დრამათა, რომანების, საყანრო სურათების, ბატალური ნახატების, პეიზაჟების, პოემების, პოემეტების, ლირიკულ ნაწარმოებთა შესახებ. რამდენადაც აქ უბრალოდ მივეუბნებით ნაწარმოებთა ამა თუ იმ ჯგუფზე; მაგრამ თუ ამ დაჯგუფებას სერიოზულად მივიღებთ, ამით ლოგიკური, ცნებითი, ინტელექტუალური აზროვნება იჭრება ესთეტიკის, ინტუიციის სფეროში და ცდილობს ინტელექტუალური დასაბამება მისცეს წმინდა ინტუიციური ხასიათის ფაქტებს (გვ. 40-43). დაახლოებით ამავე საკითხზე სხვა ადგილას ასეთი მსჯელობა აქვს გაშლილი კროჩეს: თუმცა ინტუიციის ინდივიდუალური ხასიათი („ერთი და იმავე ინტუიციის ექსპრესია ერთადერთი საშუალებითაა მისახერხებელი, სახელდობრ იმიტომ, რომ იგი ინტუიციასა და არა ცნებას“ — გვ. 82) გამორიცხავს კლასიფიკატორულ მიდგომას ხელოვნების ფაქტებისადმი. მაინც ასეთი დაჯგუფება შესაძლებელია; მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ იმდენად. რაოდენადაც მათ შორის მსგავსება შეიმჩნევა; ეს მსგავსება მათი ნათესაური მსგავსებაა და არა ლოგიკური (სადაც იდენტიფიკაციაზე, სუბორდინაცია და კოორდინაციაზე შეიძლება ვილაპარაკოთ): იგი გამომდინარეობს ისტორიული პირობებისაგან (რომელშიც ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოებია გაჩენილი) და ხელოვნათა შინაგანი სულიერი ნათესაობისგან (გვ. 83).

ასეთსავე შეცდომას წარმოადგენს ლოგიკაში ესთეტიკის შექრა, რაც ენობრივისა და ლოგიკურის აღრევაში ვლინდება: ცნების ექსპრესიას თავისთავად შეუძლებელია; ექსპრესიას მისი უბრალო ნიშანია. ექსპრესიის თვისება ცნების

არსიდან არ გამოიყვანება. სიტყვებს ჰეგმარიტი (ლოგიკური) აზრი არ აქვთ (47—48).

ინტუიციური უნდა მკვეთრად გაემიჯნოს, აგრეთვე, პრაქტიკულ ფაქტს და თუ ასეთს გამიჯნას მუდამ არ ახდენდნენ, თუ ხელოვნებას პრაქტიკად მიიჩნევდნენ ხოლმე (მეცნიერების, როგორც თეორიის, საპირისპიროდ), ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ესთეტიკურ ფაქტში ურევდნენ პრაქტიკულს — გარეგანსა და დანართი ხასიათისას ამ ესთეტიკური ფაქტის მიმართ. „ესთეტიკური ფაქტი მთლიანად ამოიწურება შთაბეჭდილების ექსპრესიული ვადამუშავებით. როგორც კი მივალწიეთ ჩვენს შინაგან სიტყვას..., — ექსპრესია ამით იშვა და განხორციელდა მთლიანად, და სხვა აღარაფერია საჭირო. თუ ჩვენ შევძლევ პირს ვაღებთ იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ — და ამით, ანუ ვთქვათ. დიდი მასშტაბით სრულდება ის მოძრაობანი, რომლებიც ჩვენ უკვე განვახორციელებთ მცირე მასშტაბით და სწრაფად, და ვთარგმნით მათ ისეთი მასალის ენაზე, რომელშიც ისინი მერ-ნაკლებად ხანგრძლივ კვალს ტოვებენ, ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე ახალი ფაქტი, რომელიც პირველს დაერთო და სულ სხვა კანონებს ემორჩილება...“ (56—57).

„ესთეტიკური შემოქმედების მთელი პროცესი შეიძლება სიმბოლურად წარმოვადგინოთ ოთხი სტადიის სახით: ა) შთაბეჭდილებანი, ბ) ექსპრესია ან გონითი ესთეტიკური სინთეზი (ესაა ნამდვილად ესთეტიკური პუნქტი — ბ. ფ.), გ) პედონისტური აკომპანემენტი ანუ მშვენიერით დატკობა (ესთეტიკური დატკობა). დ) ესთეტიკური ფაქტის თარგმნი ფიზიკურ მოვლენათა (ბგერების, ტონების, მოძრაობების, ხაზთა ან ფერთა კომბინაციების) ენაზე“ (109).

შემდგომი მსჯელობა ამ მეოთხე პუნქტის დაფასებას ეხება. ექსპრესიები და წარმოდგენები ერთმეორეს განდევნიან ხოლმე, მაგრამ ნამდვილი წარმოდგენა სამუდამოდ კი არ ქრება, არამედ ერთგვარ არსებობას განაგრძობს ჩვენს გონში; ზოგიერთი მათგანია კი დამახსოვრებაა აუცილებელი; და აი, სწორედ ამ მესხიერების დამხმარედ გამოდის ექსპრესიის თანმშლები პრაქტიკული აქტები, რომლებიც, ტოვებენ რა კვალს ფიზიკური ფაქტების სახით, წარმოადგენენ სტიმულს ინტუიციის რეპროდუქციისათვის.

ესთეტიკური ფაქტის ეს ფიზიკური ფიქსაცია ნიშანს წარმოადგენს; ნიშნები ყველგან და ყოველთვის პირობითია, რამდენადაც ისინი ისტორიულად არიან შეპირობებულნი; ეს გარემოება ერთგვარად აძნელებს ესთეტიკური ფაქტის რეპროდუქციას; მაგრამ რეპროდუქცია მაინც შესაძლებელია ესთეტიკური ფაქტის ფიზიკური და ფსიქიკური რესტავრაციის, ისტორიული ინტერპრეტაციის პირობებში; და ეს რეპროდუქცია სწორედ მხატვრული კრიტიკა: იგი გულსხმობს შემოქმედი ინდივიდის პოზიციაზე დადგომას და ინტუიციის გამეორებას; ამიტომ შემოქმედება (გენია) და დაფასება (გემოვნება) არსებობს თუ იგივეობრივნი არიან (134—144). ფიქსირებულ ესთეტიკურ ფაქტთან საქმე აქვს მეცნიერსა და ხელოვნების ისტორიკოსს: პირველი იძლევა ისტორიულ კრიტიკას, რომელიც ამ ფიქსირებულ ესთეტიკური ფაქტის შემქმნელ პირობებს ადადგენს; მეორე, ემყარება რა ისტორიული კრიტიკის მონაცემებს. ახდენს ესთეტიკური ფაქტის რეპროდუქციას და ხელახალს ფიქსაციას — წერს ხელოვნების ისტორიას (144—148).

რამდენადაც ლინგვისტიკის საგანიც ექსპრესიაა, ხოლო ექსპრესიის კლასები არ არსებობს, — ლინგვისტიკა მთლიანად ერწყმის ესთეტიკას; ამიტომაც,

რომ ლინგვისტიკის პრობლემებია და შეცდომებიც ესთეტიკისა. ემახვევა: აქაც იგივე შეცდომა გვაქვს ენის ფიზიკურ ბუნებაზე (შორისდებულო) და ასოციაციურ (შინაარსსა და ფორმას შორის) ხასიათზე მითითების სახით, იგივე ბრძოლა ლოგაციზმის (ესთეტიკაში — ინტელექტუალიზმის) წინააღმდეგ, იგივე შეცდომა სახეობათა შესახებ — მეტყველებს ნაწილთა შესახები მოძღვრების სახით (მაშინ, როცა „ზნა და სახელი არ არსებობს“; „ერთადერთი ლინგვისტიკური რეალობა წინადადებაა“... ე. ი. უმარტივესი წამოძახილია და ვრცელი პოემაც. რამდენადაც ის დასაჩულებულ შინაარსს გააოხრატავს); აქაც უნდა უარყოფთ ნორმატიული დისციპლინის — ნორმატიული გრამატიკის შესაძლებლობა: გრამატიკა დასაშვებია, როგორც მხოლოდ ემპირიული დისციპლინა, როგორც ენის შეთვისებისათვის განოსადეგი სქემების კრებულთ. ესთეტიკის (რომელიც ენის ბუნებას შეგვაცნობინებს) და ემპირიული გრამატიკის (რომელიც პედაგოგიურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს) იქით რჩება მხოლოდ ენათა ისტორია, ე. ი. „კონკრეტულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ისტორია, თავიანი არსებით ლიტერატურის ისტორიის იდენტური“ (167).

„ენა განუწყვეტელი შემოქმედებაა. ის, რაც ერთხელ სიტყვიერ ექსპრესიას იღებს, მეორდება, როგორც მხოლოდ რაღაც უკვე შექმნილის რეპროდუქცია სულ ახალი და ახალი შთაბეჭდილებები იწვევს ბეგრათა და მნიშვნელობათა განუწყვეტელ ცვლილებებს და სულ ახალსა და ახალ ექსპრესიებს“ (168).

კროჩეს კონცეფცია ჩვენი კრიტიკის საგანი ვერ იქნება; მაგრამ ზოგიერთი. ენასთან დაკავშირებული, მომენტი მაინც უნდა განვიხილოთ:

რატომაა ენის ისტორია ლიტერატურის ისტორიის იდენტური და არა. ვთქვათ, მუსიკის ან ხელოვნების ისტორიისა? თუ ამ კითხვის პასუხად ივარაუდება კროჩეს მსჯელობა ხელოვნების ფაქტთა ნათესაური ხასიათის მსგავსებაზე (83) და ინტელიციათა ასეთსავე მსგავსებაზე („ხელოვნათა შინაგანი სულიერი ნათესაობა“). მაშინ უნდა დავუშვათ, რომ კლასიფიკატორული მიდგომა თვით ინტელიციებზედაც გავრცელდება; ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ენობრივი ფაქტი საერთოდ ინტელიციათა კი აღარ იქნება, არამედ ინტელიციათა გარკვეულს ქვეყნში მოექცევა და, ამისდა მიხედვით, ენათმეცნიერება მთლიანად როლი შეერწყმის ესთეტიკას, არამედ იგი, როგორც დისციპლინა ექსპრესიათა სპეციალური კლასის შესახებ. სპეციალური მეცნიერება იქნება ესთეტიკის მიმართ.

გარდა ამისა: რაკი ხელოვნების ფაქტთა კლასიფიკაცია შესაძლებელია, და ეს კლასიფიკაცია ემყარება ინტელიციათა კლასიფიკაციას, — ველარ გავყვებით კროჩეს, ვერ ვილაპარაკებთ ესთეტიკური ფაქტის ფიზიკური ფიქსაციის, როგორც ესთეტიკისათვის არასაინტერესო მეორეული ხასიათის ფიზიკური მოვლენის შესახებ: ესთეტიკა შეისწავლის არა ინტელიციებს. შთაბეჭდილებებს (თუნდაც იმიტომ, რომ მათი შესწავლა შეუძლებელია), არამედ ამ ფიზიკურ ფიქსაციებს; მაგრამ ეს ფიქსაცია — თვით კროჩეს ვარაუდით — მუდამ ნიშანია, ისტორიულად შეპირობებული ნიშანი, იმიტომ ესთეტიკა ისტორიულ მეცნიერებად უნდა იქცეს, თუ მას სურს ესთეტიკურ ფაქტებს სწვდეს.

შემდეგ: რაპდენადაა გამართლებული თვით ინტუიციის წმინდა ინდივიდუალურ აქტად გამოცხადება? რა როლი აქვს სოციალურ ფაქტორს ინტუიციის შემუშავებაში? აღიარებს რა ნათესაურ მსგავსებას ინტუიციას შორის, კროჩე ამ მსგავსებებს ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს იმ ისტორიულ პირობებს, როქელშიც ხელოვნების სხვადასხვა ნაწარმოებია შექმნილი. ცხადია, ასეთი ვარაუდის დაშვება მას უწყე ართმევს ინტუიციის ინდივიდუალური ხასიათის შესახებ ლაპარაკის უფლებას... მაინც კროჩე ამ ფაქტს ანგარიშს არ უწევს და უგულვებელყოფს სოციალური ფაქტორის როლს: იგი თვით სოციალურ ფაქტს აცხადებს მეორეულ. რთულ წარმონაქმნად ვინის ოთხ ძირითად ფორმასთან (ინტუიცია, ინტელექტი, ეკონომიკა, მორალი) შედარებით. მაგრამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ჩვენთვის მიუღებელია; ინტუიციის წმინდა ინდივიდუალური ხასიათზე მითითებას ჩვენ ვუპირისპირებთ დებულებას, რომ ინდივიდს ლოგიკურადაც და ქრონოლოგიურადაც საზოგადოება უსწრებს²⁵.

ინტუიციას, როგორც აზროვნების განსაკუთრებულ ფორმას, ჩვენ არ ვცნობთ; ამიტომ ყველგან, სადაც კროჩე ინტუიციის შესახებ ლაპარაკობს, ჩვენ გამოვდევართ ინტუიციისა და წარმოდგენის კროჩესეული გათანაბრებიდან (10); ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია წარმოდგენის კროჩესეული დახასიათება გავიზიაროთ: წარმოდგენა არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ აგრეთვე თვისობრივადაც განსხვავებულია შეგრძნებისაგან, იგი შეგრძნების ადამიანური გადამუშავებაა. მაგრამ ჩვენ კროჩეს დევუპირისპირდებით მამინვე, როგორც კი ამ გადამუშავების ხასიათს შევეხებით: ამ გადამუშავებას, ჩვენი ვარაუდით, ადამიანი ახდენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი საზოგადოებრივ არსებას წარმოადგენს; მაშასადამე, წარმოდგენა ჩვენთვის სოციალური ხასიათის მოვლენაა.

ფოსლერი რომ კროჩეზეა დამოკიდებული, ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია; მაგრამ, ფოსლერსა და კროჩეს შორის განსხვავებაც არსებობს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამთავითვე აღვნიშნოთ ეს განსხვავებული მომენტები.

შემეცნების წრებრუნვა, ფოსლერის მიხედვით, სამ საფეხურს ვარაუდობს: წმინდა ინტუიციას, ინტუიციითა ნებისმიერსა და ეკონომიურ განლაგებას და წმინდა ლოგიკას. ამ წრებრუნვაში მონაწილეობს პრაქტიკული გონება, რომლის მოქმედება შემეცნების წრებრუნვის მეორე საფეხურის სახით ვლინდება. და თეორიული გონება, რომელიც ამ წრებრუნვის პირველსა და მესამე საფეხურებს იძლევა: პირველს, რამდენადაც აქ თეორიული გონების პირველი ფუნქცია — წმინდა თეორიული ინტუიცია — ვლინდება; მესამეს რამდენადაც თეორიულ გონებას ინტუიციის გარდა სხვა ფუნქციაც აქვს — აბსტრაქციისა, რომელიც შედეგად აბსტრაქციულ ლოგიკურ ცნებებს იძლევა. წმინდა სინთეზის გონის მხოლოდ პირველი ფუნქციის პირობებში თუ შევსვდებით; ასევე, წმინდა ანალიზის თეორიული გონის მეორე ფუნქციის პირობებში (შემეცნების წრე-

²⁵ ამ კარგი დაფორმულების ავტორი ლაუარუსია — მოაზროვნე, რომლისგანაც საკუთარი თელსაზრისი სწორედ საპირისპირო მტკიცებას მოითხოვდა: იგი პერბარტიანელი იყო.

ბრუნვის მესამე საფეხურზე) არსებობს; ამიტომ ეს უკანასკნელი წმინდა ლოგიკას წარმოადგენს. წმინდა ინტუიციის ანუ წმინდა ისტორიის სფერო, ესთეტიკის სფერო არის არა მათემატიკა, როგორც ამას კანტი ვარაუდობს, არამედ ხელოვნება (რადგან მათემატიკა არამართო ინტუიციურად მუშაობს, არამედ კონსტრუქციულად). ხელოვნებაა ყოველი აზრი (ლოგიკურია ის, პრაქტიკული თუ ინტუიციური). რამდენადაც იგი ხდება; ყველა გონითი პროცესი, როგორც პროცესი, ხელოვნებაა, რადგან ის მხოლოდ ფორმის მიღებით მოხდება ხოლმე (er kann sich nur ereignen, indem er Form annimmt); ფორმა კი არის, ენა, ესეტი, ნიშანი ან სურათი, მოკლედ: ხელოვნება“.

ლოგიკურ შემეცნებას (შემეცნების წრებრუნვის მესამე საფეხურს) ფოსლერი უპირისპირებს ისტორიულ შეეცნებას: წმინდა ისტორიულს, რამდენადაც იგი თეორიულ ფაქტთანაა მიმართებაში და არამც და არამც არ მიუთითებს პრაქტიკულს სინამდვილეს; მეორე მხრით, განვითარების-ისტორიული შემეცნება მოიცავს ყველა სხვა ისტორიულ შემეცნებას, გარდა წმინდა ისტორიულისა. იგი ემპირიულია, რადგან პრაქტიკულ სინამდვილესთანაა მიწარებაში და, რამდენადაც მიზნის ცნებას შეიცავს; -- ნებისმიერია.

განვითარების-ისტორიული შემეცნების დახასიათებისა და დაფასებისათვის. ფოსლერის აზრით, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ შემეცნება ნიშნავს სუბტანციის—გონის—შემეცნებას და შემეცნების საფეხურებიც. ამისდა მიხედვით, გონის შემეცნების საფეხურებია: იგი ჯერ წმინდა მიზეზობრივია, რამდენადაც საწყაროს შემეცნება ხდება წმინდა სუბიექტურად, მიზეზთან მიმართებაში, ე. ი. როგორც შემონაქმედისა; შემდეგ კი—მიზანთან მიმართებაში, ე. ი. როგორც იდეის განხორციელებისა. ამდენად ეს საფეხური თეორიის პრაქტიკაში გადასვლას წარმოადგენს და მიზნის წნებაც. ამის მიხედვით, თეორიულ-პრაქტიკული წარმონაქმნია და არა წმინდათეორიული. განვითარების-ისტორია პრაქტიკულსა და ნებისმიერ ელემენტს იყენებს, რაკი ჭეშმარიტების მასშტაბად სახავს იდეას, რომელიც მხოლოდ წინდაწინა ნავარაუდევია და ჯერ კიდევ არაა თეორიულად ნაპოვნი (მისი თეორიული დადასტურება წმინდა ლოგიკას მოგვეცემა, მაგრამ განვითარების-ისტორიულისა და წმინდა ლოგიკურის ურთიერთობა მხოლოდ წმინდა ისტორიული შემეცნების მეშვეობით გაირკვევა: თუ განვითარება საერთოდ არსებობს, მაშინ განვითარების-ისტორიაში გამოყენებული კონსტრუქციები ნებისმიერნი აღარ იქნებიან; ეს საკითხი კი ისევ ინტუიციამ უნდა გადაწყვიტოს).

ენა უწინარეს ყოვლისა წმინდა ინტუიციური და ინდივიდუალური საქმიანობაა და მას ხელოვნებაა; ამდენად მას განვითარება არა აქვს და მუდამ ხელახლა და მუდამ სხვაგვარად იწარმოება ხოლმე ინდივიდის მიერ, რომელიც გონითს შთაბეჭდილებას (Eindruck) ინდივიდუალურ ექსპრესიად აქცევს. ამის გამო მისი განხილვაც თეორიულ-ისტორიული უნდა იყოს, ე. ი. ესთეტიკური: ენობრივი ფაქტი. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ თავისთავს შეაძლება შევედართო: ხელოვნური კრიტიკა ხელოვნების ნაწარმოების შინაგანი და ცნობიერი რეპროდუქციითა თუა შესაძლებელი.

მაგრამ რამდენადაც ენა ურთიერთობისათვის გამოიყენება, — ის უკვე კოლექტიურ შემონაქმედს წარმოადგენს და ენობრივი კოლექტივის კულტურული მოთხოვნების შესაბამისად მკვიდრდება და იცვლება. ენა, ამრავად.

ვლნიდება. როგორც განვითარება და მისი განხილვის გზაც, ამის მიხედვით, განვითარების-ისტორიული იქნება³⁵.

ფოსლერის ეს მსჯელობა კროჩეს ნააზრევისაგან ორი მომენტით განსხვავდება: პირველი განსხვავება გონის დასაფხუბრებაში მდგომარეობს და ჩვეუთვას სანიტერესო არაა, რამდენადაც ინტუიციის ცნება, რომელიც ძირითადი მნიშვნელობის ცნებაა კროჩესთვისაც და ფოსლერისთვისაც, ორივესთან ერთნაირადაა გაგებული და ენის, როგორც ინტუიციისა და ექსპრესიის, ე. ი. როგორც ხელოვნების ფაქტის, დასაბუთებას ორივე ერთგვარად ახდენს.

მეორე განსხვავება ისაა, რომ ფოსლერი ენობრივ ფაქტს მიიჩნევს არა მხოლოდ წმინდა ინტუიციის ნაყოფად, ექსპრესიად, ე. ი. არა მხოლოდ ესთეტიკურ ფაქტად. არამედ ფოსლერი ანგარიშს უწევს (უკეთ, იძულებულია ანგარიში გაუწიოს) იმ გარემოებას, რომ ენა ურთიერთობისათვის გამოიყენება და ამის გამო ენობრივი კოლექტივის კულტურული მოთხოვნების შესაბამისად მკვიდრდება და იცვლება... ამისდა მიხედვით, ფოსლერის ვარაუდით, ლინგვისტიკა მთლიანად და სავსებით კი არ შეერწყმის ესთეტიკას, როგორც ამას კროჩეს კონცეფცია მოითხოვს, არამედ ესთეტიკური კრიტიკის გვერდით რჩება მაინც უბანი, რომელიც ენას განიხილავს, როგორც განვითარებას და რომელიც ამიტომ განვითარების-ისტორიული ლინგვისტიკაა უკვე და არა მხოლოდ ესთეტიკური.

ეს განსხვავება ფოსლერსა და კროჩეს შორის მკაფიოდ გამოჩნდა ფოსლერის 1905 წელს გამოსულ ნაშრომში. ერთი წლით ადრე, 1904 წელს გამოსულ წიგნში (რომელიც ამავე დროს მისი პირველი ენის-ფილოსოფიური ნაშრომია, დაწერილია კროჩეს ესთეტიკის უშუალო გავლენით, მიძღვნილია კროჩესადმი და მიზნად ისახავს „კროჩეს მიერ დაფორმებული იდეალისტური ესთეტიკის ყოველმხრივ გამოყენებას ენათმეცნიერების ჭეშმარიტი პრობლემებისათვის“) მიგნა ენობრივ შემოქმედებასა და განვითარებას შორის ჭერ კიდევ არაა ასე მკაფიოდ გავლებული: აქ ენობრივი ურთიერთობის საფუძველი — კონვენცია, უზუსი — ენობრივი ნიჭის დევიციტად, ენის პასივობად არის გამოცხადებული და ნაგარაუდევია, რომ იგი გამოუსადეგარია როგორც პოზიტიური პრინციპი ენობრივი ფაქტის ახსნისათვის. აქვე ნათქვამია, რომ რაკი წარმოთქმულს ისტორია არა აქვს, მთელი ენათმეცნიერება ესთეტიკურია³⁷; მაინც აქაცაა გარჩეული ლინგვისტიკური კვლევის ესთეტიკური ასპექტი და განვითარების-ისტორიული ასპექტი. რომლებიც იქ დახასიათებულია, როგორც „ესთეტიკური“ და „ესთეტიკურ-ისტორიული“. მართალია, განსხვავება „განვითარების-ისტორიულს“ და „ესთეტიკურ-ისტორიულს“ შორის მხოლოდ და მხოლოდ ტერმინოლოგიური ხასიათისა არაა³⁸ და „ესთეტიკურ-ისტორიული“ ესთეტიკური მომენტის გახაზვის მიზნითაა გამოყენებული (მაგრამ ესთეტიკურ მომენტს არ გამოირიცხავს არც ტერმინი „განვითარების-ისტორიული“, რამდენადაც ნაგარაუდევია, რომ განვითარების ისტორია მიზნის ცნებით მუშაობს,

³⁵ Karl Vossler, *Sprache als Schöpfung und Entdeckung*, Heidelberg, 1905,

გვ. 1 19.

³⁷ Karl Vossler, *Positivismus und Idealismus in der Sprachwissenschaft, Eine sprachphilosophische Untersuchung*, Heidelberg, 1904, გვ. 94—96.

³⁸ იხ. *Sprache als Schöpfung...* გვ. 19.

მიზნის ცნება კი თეორიულ-პრაქტიკული, ე. ი. ნაწილობრივ მაინც ესთეტიკური წარმონაქმნია).

თავის თვალსაზრისის პოზიტიური დალაგებისას ფოსლერი იძულებული შეიქნა კროჩეს გზიდან გადაეხვია და ესთეტიკურ-ისტორიული (თუ განვითარების-ისტორიული) ასპექტი შემოეტანა. რაც შეეხება „ენათმეცნიერების პოზიტივისტურ სისტემას“, — მის კრიტიკას ფოსლერი ორთოდოქსალური კროჩე-ანული პოზიციებიდან აწარმოებს.

III

ფოსლერის აზრით არსებული ენათმეცნიერების ძირითადი ნაკლი მის პოზიტივისტურობაში³⁹ მდგომარეობს.

ფოსლერი არსებითად ებრძვის არა „მეთოდოლოგიურ პოზიტივიზმს“ ე. ი. კვლევას, რომლის წინასწარი და უახლოესი მიზანი „მასალის ცოდნაა“. არამედ „რადიკალურს“, „მეტაფიზიკურს“, რომელიც მასალის ცოდნას — წინასწარ მიზანს მეთოდოლოგიური პოზიტივიზმისათვის — კვლევის საბოლოო მიზნად აცხადებს, მიიჩნევს რა მკაცრ ობიექტურ მეცნიერებად მხოლოდ იმ მეცნიერებას, რომელიც „რა ხდება?“—კითხვას იქით არ მიდის და, ამრიგად, უგულვებელყოფს მიზეზთა საკითხის გარკვევას (ე. ი. პასუხს კითხვაზე: „რატომ?“). პოზიტივიზმი, სანამ ის მეთოდოლოგიურია, იდეალიზმთან სუბორდინაციის მიმართებაში იმყოფება: იდეალიზმი მეთოდოლოგიური პოზიტივიზმის მიერ მოპოვებულ წინასწარ ცოდნას თავისთავად ცოდნად აქცევს იმით, რომ მის საფუძველზე კაუზალური ურთიერთკავშირის ფაქტებს ადგენს. მაგრამ მეტაფიზიკური პოზიტივიზმი არ სცერდება ამ მისთვის გასკუთვნილ ადგილს; დგება იდეალიზმთან კოორდინაციის მიმართებაში და პრეტენზიას აცხადებს მთელ მეცნიერებაზე, რამდენადაც წინასწარი ცოდნის გარდა გულისხმობს საბოლოო, თავისთავადი ცოდნის მოცემას; ამით იგი კაუზალობის საკითხის გადაწყვეტისაკენაც მიისწრაფვის. ოღონდ ეს გადაწყვეტა იდეალიზმს მტრულად უპირისპირდება: პოზიტივიზმი კაუზალობის პრინციპს თვით ნივთებში, მოვლენებში ეძიებს, მაშინ, როცა იდეალისტისათვის ეს პრინციპი არაად არ არსებობს გარეშე ადამიანის გონებისა⁴⁰.

ფოსლერი ამ თვალსაზრისით აკრიტიკებს მის თანამედროვე ენათმეცნიერებას და ამტკიცებს — მისი ნაკლი ისააო, რომ ადამიანები, რომლებიც თავიანთი მეტაფიზიკური რწმენით პოზიტივიზმის ბანაკს არ ეუთვნებიან, თავიანთი სა-

³⁹ მეცხრამეტე საუკუნის ენათმეცნიერების ფოსლერისეული დახასიათება როგორც პოზიტივისტურისა ფართოდ გავრცელდა და თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში თითქმის საყოველთაოდ გამოიყენება. მაგრამ ასეთი სიტუაცია მარტო ზუსტი არაა: ის, რასაც ფოსლერი ებრძვის, არსებითად „პოზიტივიზმი“ კა არაა, ე. ი. კონტის ფილოსოფიური სისტემის მხედვით გამართული კონცეფცია კი არაა, არამედ მეცხრამეტე საუკუნის მეცნიერებათათვის დამახასიათებელი ემპირიზმია. ვანა, მაგალითად, შლაიხერის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის „პოზიტივისტი“ იყო? (შდრ. G. I p s e n, *Besinnung der Sprachwissenschaft...*, გვ. 2).

⁴⁰ *Positivismus und Idealismus...*, გვ. 1—5.

მეცნიერო კვლევის პრაქტიკას აგებენ სწორედ ამ რაღაცალური პოზიტივიზმი-საკან მომდინარე ცნებებსა და ფორმულებზე⁴¹.

სანიმუშოდ მოცემულია ენათმეცნიერებას მეიერ-ლუბკე⁴²ეცლი დაყოფა. მეიერ-ლუბკეს აზრით, განხილვის წესი ორგვარია: წმინდა ფორმისა და შინა-აზრის თვალაზრისით; იგი წმინდა აქუსტიკური ფენოშენით იწყება და ფსიქიკურ ელემენტამდე აღის: ფონეტიკა სწავლობს სიტყვის კონსტიტუციურ ელემენტებს ბგერებს. მორფოლოგია იმ ცვლილებებს, რომელსაც ბგერითი განვითარება ახდენს ფლექსიის დაბოლოებათა ფუნქციურ მნიშვნელობაზე, სიტყვაწარმოებას განხილვის სიჰქიზის ცენტრი სუფიქათა მნიშვნელობაზე გადააქვს, სინტაქსისათვის სიტყვათა ურთიერთმიმართება მნიშვნელოვანი: ენათმეცნიერების დარგთა ჩამოთვლას მეიერ-ლუბკე მარსაოლოგით ამთავრებს და, ამრიგად, სტილისტიკას ენათმეცნიერების დარგად არ მიიჩნევს: იგი, როგორც „მოდღერება ენის, როგორც სელოვნების შესახება“, უფრო ლიტერატურის ისტორიას მიეკუთვნება, ვიდრე გრამატიკასო ვარაუდობს მეიერ-ლუბკე.

ასეთ კლასიფიკატორულ მიდგომას ენობრივი ფაქტისადმი, ფოსლერის აზრით, გარკვეული სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ მას თვით ენის აზრში საფუძველი არა აქვს: იგი ენას, განხილულს მის მდგომარეობაში და არა მოძრაობაში, მექანიკურად დაანაწილებს წინადადებებად, სიტყვებად, ბგერებად... შეცდომა ღრმავდება, როცა ამ ნებისმიერად გამოყოფილ მონაკემებს ენობრივ რეალობებად მიიჩნევენ: ვარაუდობენ, რომ ბგერა შეადგენს მარცვალს. მარცვალი -- სიტყვას და ა. შ. ეს კი ისეთივე უაზრობაა, როგორიც იქნებოდა, მაგალითად, ვარაუდი — სხეულის ნაწილები აღამიანს ქმნისო.

„ფონეტიკა ენათმეცნიერების ის დარგია, სადაც პოზიტივისტური მეთოდი ყველაზე ფართოდ გამოიყენება“ და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, „აქა აქვს ადგილი ყველაზე საშიშ პოზიტივისტურ შეცდომებს“. ამიტომ პოზიტივისტური ფონეტიკის იდეალისტური კრიტიკა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანათაგანია ფოსლერისათვის.

აქამდელი ენათმეცნიერებისათვის ბგერითი ცვლა და მნიშვნელობის ცვლა სხვადასხვა პრობლემებია; ეს სრულიად მიუღებელია ფოსლერისათვის, ამიტომ იგი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს „პოზიტივისტურ შეცდომასა შორის უდიდესი შეცდომის“ -- ბგერათკანონის—კრიტიკას: „მისი დაძლევა უდრის ფონეტიკის შერწყმას ესთეტიკაში“. ანტიციებს ფოსლერი⁴².

რამდენად მნიშვნელოვანია პოზიტივისტური ენათმეცნიერებისათვის „ბგერათკანონი“ იქიდან ჩანს, რომ ენობრივი ცვლილებების (პოზიტივისტურად: „განვითარების“) მიზეზად მიჩნეულია ორი, — პოზიტივისტების ვარაუდით. მოპირისპირე — ძალა: ფონეტიკური „კანონზომიერი“ ცვლებადობა და ანალოგია.

⁴¹ ცხადა, საფუძველს მოკლებულია ისენის მითითება, ოთქოს ენათმეცნიერული პოზიტივიზმისა და იდეალისტის ფოსლერისეული დაპირისპირება ნიშნავდეს ასეთი საკითხის დასმას: საბუნებისმეტყველო მეცნიერება უნდა იყოს ლინგვისტიკა თუ გონისმეცნიერება? (იხ. ი. ს. ე. ნ. ი., დანახ. ნაშრ., გვ. 10). ბრძოლა ნატურალიზმის წინააღმდეგ ლინგვისტიკაში ფოსლერის კონცეფციის არაარსებითი მომენტია და თვით ფოსლერიც, როცა ამას მისი კონცეფციის სპეციფიკა მოითხოვს, არა იშვიათად ნატურალისტურ პოზიციასზე დგება.

⁴² Positivismus und Idealismus..., გვ. 47.

ფოსლერი აპტიკებს, რომ ამ ორი ძალის გამიჯვნა პოზიტივისტების მიერ არჩეული გზებით შეუძლებელია.

შეუძლებელია, უწინარეს ყოვლისა, მათი გამიჯვნა მიზნების მიხედვით: ბერათცვლილება ფიზიოლოგიური წარმოშობისადაა მიჩნეული, ანალოგია კი ფსიქიკურ მოვლენადაა ჩათვლილი. მაგრამ ბგერის როგორც არტიკულირებულის დახასიათება არ შეიძლება აქუსტიკური ან ფიზიოლოგიური იყოს (მიიტომ რომ არტიკულირებული ბგერისა და არაარტიკულირებულის გასარჩევად არც აქუსტიკური კრიტერიუმი არსებობს და არც ფიზიოლოგიური); არტიკულირება სწორედ უკვე ფსიქიკური მოქმედებაა, ამიტომ ფსიქიკური მომენტით ერთადერთი შესაძლებელი ამოსავალია, ერთადერთი საინფორმაციო ენათმეცნიერული ცვლევისათვის⁴³.

ასევე ვერ უძლებს კრიტიკას მათი გამიჯვნის სხვა პოზიტივისტური ცდებიც:

ვარაუდობენ, მაგალითად, თითქოს ანალოგია იქ იწყებოდეს, სადაც ბერათცვლილება მთავრდება; ანალოგია, ამრიგად, ენობრივი წარმოების ისეთ მოქმედებადაა მიჩნეული, რომელიც ბერათცვლილებითა კანონზომიერ მუშაობას გადაკვეთს, არღვევს, აბრკოლებს. მაგრამ ამ ვარაუდის საწინააღმდეგოდ თითოეულ ენაში აუარებელ ანალოგიებს ვხვდებით, რომლებიც ბერათცვლილების აზრით განაგრძობენ მოქმედებას და, მასშალამე, ხელს როდი უშლიან მას... ამრიგად, დამრღვევი ან შემფერხებელი მოქმედება გამიჯვნის კრიტერიუმად არ გამოდგება⁴⁴.

მეორე კრიტერიუმი ცვლილების დროითი მსვლელობის ფორმაა: ბგერათა და ცნებათა ანალოგიური წარმოების პროცესებს იმით განასხვავებენ ნამდვილი ბერათცვლილებისაგან, თითქოს ეს ექანასკნელი თანდათან ზღვრადეს. საშუალო საფეხურების გავლით, ხოლო პირველი ნახტომისებრივნი და ერთბაშის იყვნენ. ფაქტობრივ კი არსებობს როგორც ნახტომისებრივი ბერათცვლილება, ისე ანალოგიური მოქმედების თანდათანობა: „ყოველი ბერათცვლილება, როგორც კი იგი ფაქტად იქცევა, მკირე ნახტომს წარმოადგენს და ყოველი ანალოგია, სანამ იგი მზადდება — ფარული თანდათანობაა“⁴⁵.

დაბოლოს, უგამონაკლისოდ მოქმედი ანალოგიების არსებობის ფაქტი საფუძველს აცლის მესამე კრიტერიუმს — სივრცითი მსვლელობის ფორმას, რომლის მიხედვითაც ივარაუდება, რომ ანალოგია სპორადიულია (ცალკე სიტყვებზე ვრცელდება მხოლოდ), ბერათცვლილება კი კანონზომიერი მოვლენაა (მთელს სიტყვიერ მასალას მოიცავს)⁴⁶.

ამრიგად, პოზიტივისტურ ენათმეცნიერებას არ მოეპოვება საშუალება იმისათვის, რომ ანალოგიური და ბგერითი ცვლილებები გამიჯნოს; ხოლო არ მოეპოვება იმით, რომ თვით ამ მოვლენებს ტოლფასეულ მოვლენებად თვლის როგორც გენეზისის თვალსაზრისით, ისე იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ენობრივ ცვლილებაში ასრულებენ; ეს კი თვით ამ მოვლენათა კლასიფიკაციის მცდარობაზე მიუთითებს,

⁴³ Sprache als Schöpfung..., გვ. 42.

⁴⁴ იქვე, გვ. 28—31.

⁴⁵ იქვე, გვ. 37.

⁴⁶ იქვე, გვ. 38—40.

მართლაც და: როცა ვექსლერი სპონტანური უგამონაკლისო ბეგრათ-
ცვლილებების სპეციალურ მიზეზთა შესახებ ლაპარაკობს, მას მიზეზებზე
მოითვების ნაცვლად ტავტოლოგიური მსჯელობაღა გამოუღდის:

პირველ ყოვლისა, იგი ბეგრათისისტემის ცვლის ასეთ მიზეზად საარტიკუ-
ლაციო ბაზისის ცვლას მიიჩნევს; მაგრამ საარტიკულაციო ბაზისის ცნება უკვე
შეიცავს ბეგრათისისტემის ცნებას. რამდენადაც იგი წარმოადგენს „სამეტყვე-
ლო ორგანოების მშვიდობიან მდგომარეობას ცალკეულ საარტიკულაციო
მოქმედებათათვის, რომლებიც სამეტყველო ბეგრებს ქმნიან“; ამრიგად, იგი
სამეტყველო ორგანოთა ისეთი პოზიციას, რომელიც ხელსაყრელი აღმოჩნდა
მთელი ბეგრათისისტემის წარმოებისათვის და შექმნილია გამუდმებითი მეტყ-
ველებით ერთსა და იმავე ბეგრათისისტემაში. ასეთი ცვლილება მიჩნეულია
გენერალურ ბეგრათცვლილებად, რამდენადაც იგი მეტყველოთა მთელს ერ-
თობლობას მოიცავს. მაგრამ საარტიკულაციო ბაზისის ცნება უკვე თავისთა-
ვად მოიცავს ენობრივი კოლექტივის ცნებას.

უგამონაკლისო („კანონიერ“) ბეგრათცვლილებადაა მიჩნეული, აგრეთვე,
ყველა აქცენტუალური ბეგრათცვლილება. მაგრამ მახვილი აქი სხვა არაფერია,
თუ არ „ფონეტიკური ფენომენის დანაწევრება“, მასასადამე, მეტყველების
კონსტიტუციური ფაქტორი. თქმა იმისა, რომ კონსტიტუციურ ფაქტორთან
ერთად იცვლება კონსტიტუირებული ფენომენიც, ცხადია, ტავტოლოგიაა.

მესამე: უგამონაკლისო ბეგრათცვლილებად მიჩნეულია ე. წ. ასიმილაცია,
ე. ი. მეზობელი ბეგრების დამსგავსება; მაგრამ ეს დამსგავსება თითოეულ
ენობრივ კოლექტივში თავისებურად ხდება, რამდენადაც იგი „შეპირობებუ-
ლია მისთვის ჩვეულებრივი საარტიკულაციო ბაზისითა და აქცენტუალური
დანაწევრების მისთვის ჩვეულებრივი წესით“ და მას აქაც ტავტოლოგიასთან
გვაქვს საქმე⁴⁷.

ასევე განიცადა დამარცხება პოზიტივისტების ცდამ — დამეზნილიყო
ბეგრათცვლილების საერთო მიზეზები. მაგალითად, ვუნდტი, გამოღდის რა იმ
ვარაუღდიდან, რომ ბეგრათცვლილებათა მოვლენები უღარესად კომპლექსურია,
მიზეზებსაც კომპლექსურს ვარაუღდობს; და ასახელებს სამ მიზეზს: ბუნებრივ
გარემოს, ხალხთა (რასათა) აღრევას და კულტურულ ზეგავლენას; მაგრამ
ბეგრათცვლილების საკითხი ამით გადაჭრის ნაცვლად ათასობით კერძო კითხ-
ვებშია გათქვევღილი. „ასეთისავე მდგომარეობაშია ბეგრათცვლილებას ასნის
ყველა სხვა ემპირიული ცდა; ისინი მუღამ ცალკეულ პირობებს გამოკვლევენ
ხოღმე ყოვეღმზრით შეპირობებულ და შეპირობებელ მოვლენათა ხღართი-
ღან და აჰყავთ ისინი მიზეზის დაუმსახურებელ პატივამდე“⁴⁸, ნამღვილი მი-
ზეზი კი, ცხადია, არ შეიღლება თვით შეპირობებული იყოსო, დასქენს ფოს-
ლერი.

იმის საიღუსტრაციოდ, რომ ფონეტიკური ცვლილებები სტრუქტურულ-
ცვლილებების ასახსნელად არ გამოღდება, ფოსლერი იხსენებს ერთს ფაქტს:
ღათინური ბრუნების სისტემის მოშლის შემღდეგ ჰვეღ ფრანგულსა და ჰვეღ
პროვანსულს მე-13 საუღუნემღე შემოღჩათ ოღბრუნეღნიობა — სახეღობითი
ბრუნეღვაში -s ნიშნით; რაკი ამ ენებში ბოლოკიღური -s უფრო ღიღხანღ:

⁴⁷ Positivismus und Idealismus..., გვ. 54—58.

⁴⁸ Sprache als Schöpfung..., გვ. 49.

იქნა შემონახული ვიდრე იტალიურში და რაკი ობრბუნეიასობის მოშლა და ბოლოკიდური -s-ს დაკარგვა დაახლოებით ერთდროულად მოხდა, შესაძლებლად ჩათვალეს ამ ფონეტიკური მოვლენით აეხსნათ ზემოხსენებული მორფოლოგიური ცვლილება. მაგრამ ასეთი ახსნა ეწინააღმდეგება ესპანური ენის მონაცემებს, სადაც ბოლოკიდური -s შემორჩენილია მაშინ, როცა სახელობითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია⁴⁹.

რას იძლევა „ანალოგიურ წარმოებაზე“ მითითება ენის სტრუქტურულ ცვლილებათა ასახსნელად? ანალოგიურ ანაღწარმოებას აუვილი აქვს ყოველდღე. ყოველ მომენტში, ყოველ მეტყველთან. და ამ აურაცხელი შემთხვევებიდან მხოლოდ ზოგიერთი თუ ბატონდება ენაში; ამრიგად, ანალოგიური ანაღწარმოების დამკვიდრება წესი კი არა გამოჩაყლისია; ამდენად, ახალი ენობრივი მოვლენების ასახსნელად ანალოგიაზე მითითება პრობლემას ვერ წყვეტს. სწორედ ამის შემდეგ ჩნდება ნამდვილი პრობლემა ამ ანაღწარმოების დამკვიდრების ნამდვილი მიზეზის შესახებ.

ესაღია, ანალოგიური წარმოება, რომელიც ფსიქოლოგიის ასოციაციის კანონს შეესაბამება, სხვაგვარ ახსნას მოითხოვს: „ყოველი წარმოდგენა შეიძლება ასოცირებული იყოს ყოველ სხვა წარმოდგენასთან ყოველი მიმართულებით. არ არსებობს გარკვეული ჯგუფები წარმოდგენებისა, რომელიც კანონზომიერად გამოიწვევს მეორეს. ამისდა მიხედვით, ფსიქოლოგიის საგანია ასოციაციათა უსასრულო შესაძლებლობანი ანუ ვარიაციები, ხოლო ენათმეცნიერებისა — ფაქტობრივ არსებული და ენაში გაქვევებული ასოციაციების ვიწროდ შემოფარგლული რიცხვი. ამრიგად, განა უსასრულო შესაძლებლობათა მასით უნდა გაიზომოს შეზღუდული სინამდვილე?“⁵⁰

სემასიოლოგიური კლასიფიკაციისას პოზიტივისტები ამოდიან სათანადო ფსიქიკური პროცესიდან და ამის მიხედვით ლაპარაკობენ მნიშვნელობის გადატანის, დავიწროებისა და გაფართოების შესახებ. ასეთი დაყოფა პრაქტიკულად ღირებულებას მოკლებულია, რამდენადაც მნიშვნელობის თითოეული ცვლილება შეიძლება გადატანად, დავიწროებად ან გაფართოებად მივიჩნიოთ განხილვის თვალსაზრისის მიხედვით; ისინი, ამრიგად, რელატიური კატეგორიებია, ე. ი. სრულებით არ წარმოადგენს კატეგორიებს. თეორიულად ასეთი დაყოფა ლოგიკისტური შეცდომაა. რადგან დავიწროება-გაფართოებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ლოგიკაში, სადაც ცნებები იერარქიულ ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან⁵¹.

„პოზიტივისტური სინტაქსის“ დასახასიათებლად ფოსლერს მოყვანილი აქვს გრობერის მოსაზრება სინტაქსური ჯგუფების შესახებ; გრობერის ვარაუდით, სინტაქსური ჯგუფების შექმნისას ორი ტენდენცია ერთვის ურთიერთს: აზრითი — ობიექტური (მანიფორირებელი) და გრძნობითი — სუბიექტური (გამიანდივიდუალურებელი); რაც უფრო ცოცხლად აღძრავს წარმოდგენათა რიგი მოლაპარაკის პიროვნულ ინტერესს, რაც უფრო ძალუმადა იგი აფექტურად შეფერილი. მით უფრო ძლიერი იქნება სინტაქსური დიფერენციაცია.

⁴⁹ Positivismus und Idealismus... გვ. 12—14.

⁵⁰ Sprache als Schöpfung... გვ. 24—26, განსაკუთრებით გვ. 27. შტრ. E. Lerch, Vosslers Aufsätze zur Sprachphilosophie, გვ. 371.

⁵¹ Positivismus und Idealismus..., გვ. 45—46.

აქედან *syntaxis regularis* და *syntaxis irregularis* ობიექტური და სუბიექტური სინტაქსი. ფოსლერი მიუთითებს, რომ ასეთი დაყოფა რელატიური ხასიათისაა: ერთი კილოსა თუ დროისათვის *syntaxis irregularis*-ის ფაქტი მეორისათვის შეიძლება *syntaxis regularis*-ის ფორმა იყოს... ასევე ნებისმიერია კამოხატვათა აფექტურ და აზრით კლასებად დაყოფა: „რაც აზრითია, არაა სავალდებულო. რომ ის არააფექტური იყოს და რაც აფექტურია, ის არააზრითი. არალოგიკური იყოს“⁵², ისინი ნაწილობრივს ცნებებს (*Teilbegriffen*) წარმოადგენენ ინდივიდის ენობრივი ნიჭის მიმართ. გრობერი ენობრივ ექსპრესიას უშუალოდ კი არ აკავშირებს მოლაპარაკე ინდივიდთან, არამედ სურს ამ გამოთქმის არსი ინდივიდის მიღმა ენობრივ ჩვეულებებთან შედარებით დააზუსტოს. ფოსლერი კი ვარაუდობს, რომ ენობრივი ჩვეულებანი თვით საჭიროებენ ახსნას მოლაპარაკე ინდივიდის გონით, ამიტომ სინტაქსისათვის სტილისტიკა უნდა იყოს ამოსავალი და არა პირიქით, როგორც ეს სურს გრობერს და (პოზიტივისტებს).

ეს კრიტიკა მოწოდებულია, ფოსლერის ვარაუდით, იმისთვის, რომ დაშალს ენათმეცნიერების პოზიტივისტური სისტემა და გზა გაუწმინდოს იდეალისტურ ენათმეცნიერებას, რომლის დაფუძნებასაც ის ცდილობს კროჩეს ესთეტიკიდან ამოსვლით.

„პოზიტივისტური“ ენათმეცნიერების ფოსლერისეული კრიტიკა მრავალმხრივია ფასეული, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ფოსლერის მიერ შემჩნეულ სიძნელეებს მეტწილად თვით „პოზიტივისტები“ აღიარებენ.

ასე, მაგალითად: გრამატიკის იმ დაყოფას დარგებად, რომელსაც ფოსლერი აკრიტიკებს, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულს დაყოფათა შორის, გამუდმებით ესხმოდნენ და ესხმიან თავს; საენათმეცნიერო დისპიცლინების ურთიერთმიმართების გარკვევისათვის, მათი კვლევის ობიექტთა დაზუსტებისა და საერთოდ გრამატიკის ტრადიციული სქემისაგან განთავისუფლებისათვის დიდი ხანია იბრძვის ენათმეცნიერება: ფოსლერის გამოსვლამდეც და შემდეგაც არაერთ ლინგვისტს უმუშავნია ამ საკითხზე და იშვიათად თუ დაიძებნება ენათმეცნიერი, რომელიც ენათმეცნიერული დისციპლინების (და საერთოდ გრამატიკის აღნაგობის) საკითხს ენებოდეს და რაიმე საკუთარი კი არ შექმონდეს დისციპლინის განსაზღვრაში ან განლაგებაში... ეს ფაქტი და ისიც, რომ ლინგვისტიკაში აქამდე ვერ შეთანხმებულან და არ მოუციათ გრამატიკის ისეთი სქემა, რომელსაც ლინგვისტთა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწილი გაიზიარებდა, — ადასტურებს რომ ეს საკითხი თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხთაგანია. ანგარიშგასაწევეია ის გარემოებაც, რომ გრამატიკის სქემის იმ ვარიანტთა შორის, რომელიც თანამედროვე ზოგადსაენათმეცნიერო ლიტერატურაშია წარმოდგენილი, ყველაზე ფართო (თუ ერთადერთი არა) პრაქტიკული გამოყენება მაინც ტრადიციულ სქემას აქვს, ე. ი. მას, რომელიც ყველაზე ნაკლებაა დამაკმაყოფილებელი.

ტრადიციული სქემის ასეთი გამძლეობის მიზეზი უწინარეს ყოვლისა ინერციის ძალაა. ენათმეცნიერებას ეს სქემა უკვე მზამზარეული და ფართოდ

⁵² Positivismus und Idealismus... გვ. 35.

გავრცელებული დახვდა; კონკრეტულ საენათმეცნიერო ძიებას შეეძლო არსებული სქემითაც „იოლად გასულიყო“, მისი ეფექტური რეკონსტრუქციის გარეშეც; გრამატიკის ტრადიციული სქემა თავისი საყოველთაო გავრცელების გამო ადვილად მოსახმარ ჩარჩოდ გადაიქცა, რომელშიც ასე თუ ისე ხერხდება ენობრივ ფაქტთა მნიშვნელოვანი წილის მოთავსება. იგი, ლექსიკონში სიტყვიერი მასალის ანბანზე გაწყობის წესის მსგავსად, უკვე საერთო „ლინგვისტურ ენას“, „უზუსტ“ წარმოადგენს, სადაც „სწორისა“ და „არასწორისა“, „მისაღები-სა“ და „მიუღებლის“ საკითხი იმის მისი მეტ-ნაკლები გავრცელები მიხედვით და არა იმის მიხედვით, თუ რა მიმართებაშია იგი ენის შეწავლის თანამედროვე დონესთან.

ფოსლერი გასახვს, რომ საერთოდ ენობრივ მოვლენათა კლასიფიკაციისას გარდამავალი საფეხურების არსებობა ამტკიცებს ასეთი კლასიფიკაციების შეუ-საბამობას ენის ბუნებასთან და ამდენად მათ სიყალბეზე მიუთითებს.

კლასიფიკაციის საკითხი მართლაც დგას და არამარტო ენათმეცნიერებაში, არამედ საერთოდ: გარდამავალი ფორმები არამარტო ენაში გვხვდება, არამედ ყველა მოვლენაში და, ამისდა მიხედვით, ამაო იქნებოდა იმედი — შეგვემუშა-ვებინა კლასიფიკაციის ისეთი პრინციპი, რომელიც სინქრონიულ ასპექტში ყვე-ლა მოვლენას უყოყმანოდ დაუძებნიდა ადგილს: თვით სინქრონიული თვალ-საზრისი, იდეალური სიზუსტით გამოყენებული, ვერც ერთი მოვლენის სავსე-ბით დამაკმაყოფილებელ აღწერას ვერ მოგვცემს... და ეს იმიტომ, რომ ენობ-რივი სისტემა მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც იგი დროში არსებობს; ე. ი. თითოეული ენობრივი მოვლენა თვითმარ მონაცემს კი არ წარმოადგენს, არამედ ისეთს, რომელიც მრავალმხრივს მიმართებაში იმყოფება თავის საკუ-თარ და სხვა მოვლენათა წარსულთან და აწმყოსთან. იმიტომ რომ ენა ზეჲყუად არის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ის უთავებოლო ქაოსს წარმოად-გენდეს; მოვლენათა კლასიფიკაცია ასე თუ ისე შესაძლებელია და აუცილებე-ლიც: იმიტომ, რომ ენა რამდენიმედ ზმყავს-იცაა. ხოლო როდესაც ფოსლერი კლასიფიკაციის შესაძლებლობას უარყოფს, ამ დასკვნამდე იგი არსებითად კლასიფიკაციის სიძნელეებს როდი მიჰყავს; მას კლასიფიკატორული მიდგომა ენის მიმართ იმიტომ მიაჩნია მიუღებლად, რომ ვარაუდობს — ენა როგორც შემოქმედება, როგორც ექსპრესია ავტონომიური არაა... ჩვენ ამ საკითხს გაკვრით უკვე შევეხებთ კორჩეს თვალსაზრისის მიმოხილვისას, უფრო დაწვრი-ლებით შევჩერდებით მასზე ქვემოთ, როცა ფოსლერის პოზიტიურ ნაზრევს ვადმოვეცემთ და მიმოვიხილავთ.

უალრესად ფასეულია ფოსლერის შენიშვნები ფონეტიკური ცვლის მიზე-ზების და ანალოგიურ წარმოებაზე მითითებით ახსნის უქმარობაზე. საერთოდ, ენობრივი მოვლენის ახსნის საკითხი ენათმეცნიერების დღის წესრიგში დგას.

ესა თუ ის ენობრივი ცვლილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სხვა ენობრივი მოვლენის მიზეზი იყოსო — ასკვნის ფოსლერი — იგი, დიდი-დიდი. მხოლოდ დანართია, პირობა, მიზეზობითი მედოიში და მამოძრავებელი ძალაა. ამიტომ უნდა დავიცვათ მეთოდოლოგიური პოსტულატი: თითოეული ენობრი-ვი მოვლენის ცვლილებისათვის. გარდა მთავარი მიზეზებისა, მოვიპოვოთ რაც

შეიძლება მეტი პირობითი მიზეზები, დანართი მოვლენები, სეკუნდარული შედეგები... იპავე დროს. უნდა უკუვაგდოთ მეთოდოლოგიური პოზიტივიზმის ძირითადი შეცდომა — პირობითი და უპირობო მიზეზების აღრევაო⁵³.

ეკვი არაა. ფოსლერის ეს შენიშვნა სამართლიანია: იმ პირობებს იქით, რომელშიც ენობრივი ცვლილებები ხდება. უნდა ვივარაუდოთ სხვა მიზეზები, რომლებიც ენის არსებობასა და განვითარებას უზრუნველყოფენ და განაზღვრავენ. მაგრამ ამის იქით ფოსლერს ვერ გავყვებით: ვერ მივალდებინტუიცუიას როგორც ენობრივ მოვლენათა ამხსნელს, თუნდ იმიტომ, რომ ინტუიცუიას როგორც ჩვენ ის გვესმის, თვითონ საქიროებს ასხნას.

IV

კროჩეს ვარაუდს — ენა ესთეტიკური ფაქტია და ამდენად ენის ისტორია ლიტერატურის ისტორიას ემთხვევაო — ყველაზე მზურვალედ ფოსლერი გამოეხნაურა. ეს არაა შემთხვევითი. ფოსლერი, ფართო ფილოსოფიური განათლების მქონე მეცნიერი, უწინარეს ყოვლისა ლიტერატურის ისტორიკოსია და, მაშასადამე, დაინტერესებულია ლიტერატურის მეცნიერების აღორძინებით.

ლიტერატურის მეცნიერებას კი სერიოზული სიმძნელები ჰქონდა; ძველი ფილოლოგი-ლიტერატორები „უნდობლად უცქერდნენ წინასწარი ფილოლოგიური მუშაობის მიღმა მდებარე ყველა საკითხს: მწერლის სულიერი პიროვნების პრობლემა ტექსტის სუბიექტური ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის საშიშროებას აჩენდა; ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესწავლა ბნელ მეტაფიზიკად მიიჩნდა; მხატვრული ანალიზი სადაოსა და თვითნებურ ესთეტიკურ დაფასებას ემუზობლებოდა“⁵⁴; ერთი სიტყვით, განახლების საქიროება ლიტერატურის მეცნიერებაში მწვევედ იგრძნობოდა და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ახალ გზებზე გადაყვანის მრავალ საყურადღებო ცდას ვხვდებით (უპირატესად გერმანიაში). ერთ-ერთ ასეთ ცდათავანს წარმოადგენდა გაღრმავება სტილისტიკური ძიებისა, რომელსაც გერმანიაში თავისი ტრადიცია და, მაშასადამე, წონა ჰქონდა⁵⁵. მაგრამ თვით სტილისტიკური კვლევა საქიროებდა ახალ ისპიცოცხლო ძალას და, რამდენადც ენობრივი მოვლენების კვლევისას არა იშვიათად დგებოდა სტილისტიკის პრობლემები⁵⁶, — შესაძლებელი შეიქნა სტილისტიკის შემვეობით დასმულიყო ლიტერატურის მეცნიერების ლინგვისტური დაფუძნების საკითხი. ფართო პორიზონტი და ენთმეცნიერული პრობლემატიკის კარგი ცოდნა

⁵³ Positivismus und Idealismus..., გვ. 13.

⁵⁴ В. Ж и р м у н с к и й, Новейшие течения историко-литературной мысли в Германии: Поэтика, сборник статей, Л., 1927, გვ. 6; შდრ. Ф. П. Ш и л л е р, Социологические течения в немецком литературоведении: Литература и марксизм, 1930, № 6, გვ. 57.

⁵⁵ ე. ე ი რ მ ე ნ ს კ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 20.

⁵⁶ მეიერ-ლუბეკს ზემოთ მოყვანილი მითითება სტილისტიკის ადგილის შესახებ დღესაც ძალშია... დღესაც არაა გამოჩნული ენათმეცნიერება სტილისტიკისაგან, რომელიც ეენას როგორც ხელოვნებას“ შეისწავლის, და დღესაც, როცა ენათმეცნიერულ სტილისტიკაზე ლაპარაკობენ, იმდენად განსხვავებულად ესმით ასეთი სტილისტიკის ამოცანები, რომ კითხვა ისმის: წარმოადგენს თუ არა ის — ჩვენ გვინტერესებს ენათმეცნიერების თვალსაზრისით — ცოტათ თუ ბევრად ჩამოყალიბებულ დისციპლინას საყოთარი საგნით, პრობლემატიკით, მეთოდებით... შდრ. არნ. ჩ რ ე ბ ა ე ვ ა: გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, გვ. 158.

ფოსლერის საშუალებას აძლევდა სათავეში ჩასდგომოდა ამ საქმეს და, ასე ვთქვათ, ლინგვისტურად მომუშავე ლიტერატურის ისტორიკოსთა მთელი სკოლა შეექმნა.

ესაღია, როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თვით ენათმეცნიერება იღვა გარკვეულ სიძნელეთა წინაშე და ამიტომ იყო, რომ ლიტერატურის მიერ ენათმეცნიერების მონაცემთა გამოყენებამ თავისი მეცნიერების დაფუძნებისათვის, ენათმეცნიერების ახლებური დაფუძნების სახე მიიღო.

ათანაბრებს რა ენას საერთოდ ხელოვნებასთან (რამდენადაც ერთიცა და მეორეც ინტუიციადაა მიჩნეული), ფოსლერი ამასთანავე გახაზავს ენისა და პოეზიის იგივეობას: „ენის ბუნება პოეტურია“, „პოეზიის ბუნება ენობრივია“⁵⁷, „თავისი გონითი ღირებულებისა და სულიერი გენეზისის მიხედვით პოეტურია უბრალოდ ყველა გრამატიკული კატეგორია“⁵⁸. „გრამატიკა სტილისა და ლიტერატურის ისტორიის ნაწილია“⁵⁹; „ენა, როგორც პოეტური ნაწარმოები, ხელოვნების ისტორიაში შევა, კერძოდ, პოეზიისა და ლიტერატურის ისტორიაში“⁶⁰; ენის ისტორიას „განსაკუთრებული ბუნებრივი მიდრეკილება და დანიშნულება აქვს — დაეყრდნოს ხელოვნების ისტორიას, კერძოდ ლიტერატურის ისტორიას. ის იმ ცხენსა ჰკავს, რომელიც ყველას ემსახურება, მაგრამ როგორც კი თავისუფლებას იგრძნობს, მაშინვე საჩინბოში გაიქცევა თავის საკუთარ პატრონთან — ლიტერატურის ისტორიკოსთან“⁶¹.

ლიტერატურასთან ენის ფოსლერისეული დაკავშირება კროჩეს მტკიცების გახეობას წარმოადგენს, ამიტომ აქაც რჩება ძალაში ის სიძნელე, რომელსაც კროჩეს მიმოხილვისას მივუთითებდით: ვარაუდი, რომ ენა უნდა შევიღეს „კერძოდ, პოეზიისა და ლიტერატურის ისტორიაში“, ემყარება ესთეტიკური ფაქტების ფიზიკურ გაფორმებათა კლასიფიკაციას. ე. ი. ესთეტიკური ფაქტების არაესთეტიკურ ინტერპრეტაციას და, ამდენად, მიუღებელია იმ თეორიული საფუძვლებისათვის, საიდანაც ფოსლერი ამოდის. ენობრივი და ლიტერატურული ფაქტის გათანაბრება უკვე ნიშნავს ენობრივი მონაცემების ესთეტიკური ბუნების უარყოფას ან კიდევ თვით ესთეტიკის გადაქცევას ისტორიულად შეპირობებული ნიშნების შემსწავლელ მეცნიერებად⁶².

ლიტერატურაზე ორიენტაციის გამო ფოსლერი ენათმეცნიერების ძირითად დარგად სტილისტიკას მიიჩნევს: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი—

⁵⁷ Geist und Kultur in der Sprache, გვ. 259.

⁵⁸ იქვე, გვ. 249.

⁵⁹ Positivismus und Idealismus..., გვ. 11.

⁶⁰ К. Ф о с с л е р, Отношение истории языка к истории литературы: Логос, 1912—1913, кн. 1—2, გვ. 297.

⁶¹ იქვე, გვ. 256.

⁶² სეპორის სამართლიანი შენიშვნით „ენა ლიტერატურის საშუალებაა იმავე გაგებით, როგორც მარმარილო, ბრინჯაო ან თხა წარმოადგენს მოქანდაკის მიერ გამოყენებულ მასალას“ (იხ. Э. С е п о р, Язык, М.-Л., 1934, გვ. 174); ამავე თვალსაზრისს იცავს ვანდრეისი: „ენა მოლაპარაკეს უპირისპირდება... როგორც იარაღი... ის მას სხვადასხვა მიზნებისათვის იყენებს — ყოველდღიურ მუშაობაში სარგებლობს ენით, ან აგებს მასზე ხელოვნების ნაწარმოებებს, — მაგრამ იგი მუდამ იარაღია“ (Ж. В а н д р е и с, Язык, М., 1937, გვ. 219).

ქვედისციპლინებია; მის მიერ განხილული და აღწერილი მოვლენები თავიანთ უკანასკნელ, ერთადერთსა და ჭეშმარიტ ახსნას უნდა ეძიებდნენ უმაღლეს დისციპლიანაში — სტილისტიკაში⁶³.

პოზიტივისტური ენათმეცნიერება სტილისტიკურ ფაქტად მიიჩნევდა მხოლოდ ისეთს ენობრივ მოვლენას, რომელიც წესებს შორდება და ვლინდება, როგორც ნეოლოგიზმი და არქაიზმი, როგორც პოეტური თავისუფლება, მაგრამ ყოველი ენობრივი ფაქტი ხომ ოდესმე და სადმე ნეოლოგიზმი და არქაიზმი უნდა ყოფილიყო! ე. ი. ყოველი ენობრივი ფაქტი თავისი ბუნებით წესის მიმართ უცხოა და, მაშასადამე, სტილისტიკური ფაქტია⁶⁴; გამოხატვის ყველა საშუალება ინდივიდუალური და სტილისტიკური იყო მანამ, სანამ ის კონვენციური და სინტაქსური შეიქნებოდა⁶⁵.

თუ ყველა ენობრივი ფაქტი ინდივიდუალურია, როგორღაა შესაძლებელი გაგებინება? ენობრივი ნიჭის მეშვეობით — ასეთია ფოსლერის პასუხი: „ენობრივი ჩვეულებანი და წესები ნედლი, არაზუსტი და ემპირიულ-პოზიტივისტურ და ზედპირულ განხილვაში აღმოცენებული ცნებებია... როცა ადამიანები ერთმანეთს ენობრივად უზიარებენ აზრს, ამის საფუძველი ენობრივი შეთანხმებისა ან ენობრივი მასალის ან წინადადების წყობის ერთიანობა კი არაა, არამედ ენობრივი ნიჭის ერთიანობაა. „ენობრივი კოლექტივები“, კილოები და სხვ. საერთოდ არ არსებობს სინამდვილეში. ეს ცნებებიც მეტად თუ ნაკლებად ნებისმიერი დაჭკუფებებისაგან წარმოიშვა და პოზიტივიზმის შემდგომს შეცდომას წარმოადგენს. დაამწყვდოეთ ერთად ორი ან მეტი ინდივიდი, რომლებიც მანამდე პეტროგენულ „ენობრივ კოლექტივებს“ ეკუთვნოდნენ და მათ შორის არავითარი საერთო ენობრივი კოლექტივი არ ყოფილა: ისინი თავიანთი ენობრივი ნიჭის წყალობით შეძლებენ ერთმანეთთან გამოსაუბრებლას. ამგვარადაა აღმოცენებული ინგლისური და ბევრი სხვა ენა, ამ გზაზე მიდის მთელი ენობრივი განვითარება, მთელი ენობრივი ცხოვრება. ყველას შეაქვს თავისი წვლილი, ყველა მონაწილეობს მასში როგორც შემოქმედი: მეტყველება გონითი შემოქმედებაა; ენას, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, კი არ შეისწავლიან, არამედ აღვიძებენ მხოლოდ“⁶⁶.

ნათელია, როგორი იქნება ასეთ პირობებში იდეალისტური ენათმეცნიერების პოზიცია ენის, როგორც კონვენციის — სოციალური მოვლენის — მიმართ: „გამეორება თუთიყუშის საქმეა... ის, ასე ვთქვათ, განპიროვნებული ენობრივი კონვენციაა, წმინდა პასივობაა; თუთიყუში იმეორებს ენას, მაგრამ არ ექცევა მას, როგორც შემოქმედი. პატარა თუთიყუში, ცხადია, ყველა ადამიანში ზის: ესაა დეფიციტი ანუ პასივი ჩვენს ენობრივ ნიჭში, მაშასადამე, არაა პოზიტიური, არსებითი, თავისთავადი პრინციპი, რომელზედაც მეცნიერების დაფუძნება შეიძლებოდა, სადაც დეფიციტი იწყება, იქ ენობრივი ნიჭი წყდება და იქვეა ენათმეცნიერების საზღვარიც“⁶⁷.

დასკვნა: „როცა ენას იკვლევენ როგორც კონვენციას და წესს, — მას არა-

⁶³ Positivismus und Idealismus..., გვ. 10.

⁶⁴ იქვე, გვ. 16.

⁶⁵ იქვე, გვ. 34 და სხვ.

⁶⁶ იქვე, გვ. 37—38.

⁶⁷ იქვე, გვ. 38.

მეცნიერულად იკვლევენ“⁶⁸. „ენობრივი ფაქტი უწინარეს ყოვლისა ესთეტიკურად უნდა განვიხილოთ“, „მთელი ენათმეცნიერება ესთეტიკურია“⁶⁹.

სანიმუშოდ გადმოვცემთ ფოსლერის მოსაზრებებს „ესთეტიკური ფონეტიკის“ შესახებ.

ესთეტიკური ფონეტიკა მეორეულია სტილისტიკასთან შედარებით და მთლიანად სტილისტიკას ერწყმის, რამდენადაც მისი ძირითადი ცნება მახვილის ცნებაა: უმნიშვნელოვანესი (და იქნებ ერთადერთიც) ბგერათცვლილებათა შორის, ფოსლერის ვარაუდით, აქცენტუალური ხაზითის ბგერათცვლილებებია — მახვილის მეშვეობით უნდა აიხსნას ყველა ბგერითი ცვლილება... მაგრამ მახვილი თავისთავად გონითი ფაქტია, შინაგანი ინტუიციაა და არა აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური ფენომენი; ამიტომაც, რომ აქცენტირება შესაძლებელია სამეტყველო ორგანოთა დაუხმარებლადაც: „მახვილი და მნიშვნელობა სხვადასხვა სიტყვაა ერთი და იმავე საგნისათვის: ორივე აღნიშნავს ფიქტიურ შინაარსს, შინაგანს ინტუიციას, ენის სულს...“⁷⁰ „მახვილი შემავერთებელი წყვილია სტილისტიკის, ე. ი. ესთეტიკისა და ფონეტიკისა“⁷¹.

მახვილის გონითი ხაზითა ასე საბუთდება: როცა სიტყვის ორი მახვილი ერთიმეორესთან მეტოქეობს, მათ შორის ის იმარჯვებს, რომლის მხარეზედაც არის წინადადების მახვილი... წინადადების მახვილი თავისი მხრით რიტორულ ე. ი. სტილისტურ, შინაგან ინტუიციურ მახვილში ითქვიფება, „რადგან მეტყველების ერთიანობის პრინციპი არც სიტყვაში მდგომარეობს, არც წინადადებაში, არც ტაქტში, არამედ არტისტულ ინტუიციასში“⁷². მაშასადამე: რიტორულ, ლოგიკურ, წინადადების, სიტყვის და ა. შ. მახვილად დაყოფას „დიდი დიდი, პირობითი და მეთოდოლოგიური მნიშვნელობადა შეიძლება მივანიჭოთ, ნამდვილად არსებობს მხოლოდ ერთი მახვილი და იგი არტისტულია, თუ გნებავთ, — რიტორული. როგორც მთელი გრამატიკა ესთეტიკაში ითქვიფება, ასევე არტისტულ მახვილში უნდა გაითქვიფოს ყველა მახვილი“⁷³.

რაკი სტილისტური მახვილი ენის მთელს ფონეტიკურ მხარეზე ბატონობს. ამიტომ ფონეტიკაზე უნდა გავერცხლდეს ის, რაც სტილისტიკის მნიშვნელობის შესახებ ითქმის საერთოდ ენის მიმართ: „ქეშმარიტი და იდეალისტურად ორიენტირებული სტილისტიკა“ მუდამ ორმაგ ინდივიდუალობაზე მიუთითებს: ხელოვანის ინდივიდუალობაზე და მის ინტუიციათა ინდივიდუალობაზე; ასევე, ერთი და იგივე ინდივიდი თავის მეტყველებაში თავისი ინტუიციების ცვლის მიხედვით ცვლადსავე მახვილს გამოიყენებს; ამისდა მიხედვით „ყველა ბგერითი ცვლილება მუდამ ინდივიდუალურად წარმოიშვება არა მარტო მოლაპარაკესთან მიმართებაში, არამედ სათქმელთან მიმართებაშიც“⁷⁴. ეს ინდივიდუალური ვარიანტი ნელნელა იქცევა ენობრივ ვარიანტად, სანამ, ბოლოს და ბოლოს. გამარჯვებული არ შევა ფართო ენობრივ კოლექტივში და არ დამკვიდრდება როგორც კანონზომიერი⁷⁵.

⁶⁸ Positivismus und Idealismus..., გვ. 38.

⁶⁹ იქვე, გვ. 96.

⁷⁰ იქვე, გვ. 65.

⁷¹ იქვე, გვ. 67.

⁷² იქვე, გვ. 72.

⁷³ იქვე, გვ. 70.

⁷⁴ იქვე, გვ. 77.

⁷⁵ იქვე, გვ. 78.

ამრიგად ეს. რასაც პოზიტივისტები „სპონტანურ განვითარებად“, „კანონ-ზომიერ ცვლილებად“. არაცნობიერ და აოანებისმიერ მოვლენად თვლიან, პოს-იდეალისტური ინტერპრეტაციის პირობებში ინტუიცია აღმოჩნდა. ე. ი. წმინდა ინდივიდუალური. ცნობიერი და ნებისმიერი მოვლენა. რაკი ფუნქცი-კური ცვალებადობა ახლებური თვალსაზრისით იქნა განსილული. სათანადოდ უნდა შეიცვალოს მისი და ანალოგიური წარმოების ურთიერთობის გაკება.

ფოსლერი აქვე შესაძლებლად მიიჩნევს აქტიკოსს, რომ დუალიზში „სპონ-ტანურ განვითარებასა“ და ანალოგია-კონტამინაციას შორის მხოლოდ „ოპტი-კური შეცდომაა“, „ანალოგია და ბგერათცვლილება მხოლოდ რაოდენობითა ხასიათის განსხვავებას წარმოადგენს და არა თვისობრივს“⁷⁶. ისინი დროებითს (მეთოდოლოგიურ) საშუალებებს წარმოადგენენ მხოლოდ: „ამ სიტყვებით აღინიშნება ინტუიციის მოპირისპიერ პოლუსები: მადიფერენცირებელი და მანიველირებელი“⁷⁷. მაგრამ თუ ბგერათკანონი და ანალოგია ინტუიციის მო-პირისპიერ პოლუსებს წარმოადგენენ, მაშინ, ცხადია, მათი გარჩევა აღარ შეიძ-ლება ოპტიკურ შეცდომად ჩაითვალოს! ერთი წლის შემდეგ გამოსულ ნაშ-როში ფოსლერი ამტკიცებს, რომ ანალოგიური წარმოება პრაქტიკული გონის მუშაობის ნაყოფია, ხოლო ბგერათა „სპონტანური განვითარება“ თეორიული-სა; ასეთ პირობებში მათ შორის მხოლოდ რაოდენობითი და არა თვისობრივი განსხვავების შესახებ ლაპარაკი გაუგებრობაა.

რაკი ასეთი, სტილისტიკურად ორიენტირებული, ენათმეცნიერებისათვის ავტონომიურია „არა ენა, არამედ მისი მამოძრავებელი გონი“, ამიტომ იგი სულ სხვა აპოკანას იხასხავს, ვიდრე „პოზიტივისტური“ ლინგვისტიკა: „დასაბუთოს გონი, როგორც ყველა ენობრივი ფორმის ერთადერთი მაწარმოებელი“⁷⁸.

სამისოდ საჭიროა ამოსვლა სტილის ცვლილებათა ორმაგი ინდივიდუ-ლობის ფაქტიდან: საკუთარი სტილი აქვს მწერალსაც და ნაწარმოებსაც; ცალ-კეულ ნაწარმოებთა სტილისტიკური თავისებურებანი ქმნის მთელი ხელოვანის ზოგად სტილისტურ თავისებურებას (სხვა ხელოვანთან შეპირისპირებით); მაგ-რამ, მეორე მხრივ, ცალკეულ მწერალთა თავისებურებანი ისევ ხელოვანის ზოგადს თავისებურებებს ემყარება. ეს ჩაკეტილი წრე ასე იხსნება: გენეტური აზრით ხელოვანის თავისებურება ქმნის ნაწარმოებს. როგორც ასეთს: წარმო-ებელი აზრით კი ხელოვანის თავისებურებაზე წარმოდგენა მისი ნაწარმოებ-ების მიხედვით იქმნება. და მოუხედავად იმისა, რომ ობიექტივაციის გარეშე. ე. ი. ნაწარმოების გარეშე, მწერლის შესახებ არაფერი გვეცოდინება, მაინც უცნობი სიდიდეა არა მწერალი, არამედ ნაწარმოები, ხოლო ცნობილი სიდი-დე, რომლითაც ეს უცნობი უნდა აიხსნას, მწერალია. უკეთ — გონი⁷⁹.

ამ პირობებში კვლევა-ძიების ძველი ხერხები და მეთოდები გამოუსადეგა-რია: რამდენადაც სტილი ინდივიდუალური შემოქმედებაა, ენობრივი ფაქტის კვლევისას მასალის კლასიფიკაციის და ურთიერთშედარების წესს ველარ ვიყე-ნებთ, ენობრივი ფაქტი მხოლოდ თავისთავთან შეიძლება იქნეს შედარებუ-

⁷⁶ Positivismus und Idealismus..., გვ. 67.

⁷⁷ იქვე, გვ. 69.

⁷⁸ იქვე, გვ. 63.

⁷⁹ Sprache als Schöpfung..., გვ. 82--83.

ლი⁸⁰. იდეალისტმა ენათმეცნიერმა უნდა მოახდინოს „რეკონსტრუქცია იმ ინტუიციისა, რომელიც მეტყველზე მოქმედებდა“⁸¹, ეს კი ვარაუდობს. რომ მას „შეგნებული თანაშემოქმედება მოეთხოვება“⁸². ფოსლერი აქვე შენიშნავს. რომ „ეს მოძღვრება კროჩეს ესთეტიკაში უკეთაა დალაგებული და დასაბუთებული“.

კროჩესა და ფოსლერის მიერ დასაბუთებული კვლევა-ძიების ეს გზა ერთადერთი იქნება მისთვის, ვინც ინდივიდის ფსიქიკას, კროჩესა და ფოსლერთან ერთად, ივარაუდებს, როგორც სავსებით ავტონომიურს სხვა ინდივიდების მიმართ. რამდენად საიმედოა ეს გზა?

„ენათმეცნიერს ბევრ შემთხვევაში გაუჭირდებოდა და პრაქტიკულად იქნებ შეუძლებელიც იყოს ზუსტი რეკონსტრუქცია იმ ინტუიციისა, რომელიც მეტყველზე მოქმედებდა“⁸³, როცა ამა თუ იმ ცვლილებას ახდენდა — აღიარებს ფოსლერი: „შეცდომა აქ შესაძლებელია და იქნებ მეტად ხშირიც“⁸⁴ და მაინც ფოსლერი ამტკიცებს. თითქოს აქ „თვითნებობა გამორაცხულია. საშუალება, ამისდა მიხედვით. უთუოდ მეცნიერულია“⁸⁵.

კითხვა იმის: რა იძლევა იმის გარანტიას, რომ თვითნებობა გამორაცხულია და საშუალება მეცნიერულია? ერთადერთი, რაც მოწოდებულია კროჩეს, ფოსლერისა და მისი სკოლის მეთოდს თვითნებობის ბრალდება ჩამოაშოროს. არის კროჩეს სპეციალური მტკიცება ინტუიციის-ექსპერსისის, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმპერატიული ხასიათის შესახებ: „გონი ინტუიციის აწარმოებს მხოლოდ იმით, რომ იგი მოქმედებს, გაფორმებას. ექსპერსისის ახდენს“, „ინტუიციური მოქმედება აზღვენდაა ინტუიციური, რადენადაც ექსპერსიულია“⁸⁶. მაშასადამე, „ექსპერსიული მოქმედება. სახელდობრ იმიტომ, რომ იგი მოქმედებაა, თვითნებობას კი არ წარმოადგენს, არამედ აუცილებლობას; ერთი და იგივე ესთეტიკური პრობლემა შესაძლებელია მხოლოდ ერთი შესაფერისი სახით გადაიჭრას“⁸⁷.

ამრიგად, იდეალისტური ესთეტიკური ენათმეცნიერების კვლევის მეთოდის სარწმუნოებაში მხოლოდ მას არ შეუძლია დაეკვდეს, ვინც იდეალისტური მსოფლგაგების კროჩესულ ვარიანტს უყოყმანოდ მიიღებს⁸⁸.

⁸⁰ Positivismus und Idealismus..., გვ. 42.

⁸¹ იქვე, გვ. 29.

⁸² იქვე, გვ. 43.

⁸³ იქვე, გვ. 29.

⁸⁴ იქვე, გვ. 43.

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ В. К р о ч е. Эстетика..., გვ. 4.

⁸⁷ იქვე, გვ. 135.

⁸⁸ ამ მსოფლგაგების ავანგარდობაზე ჩვენ ჩვენი მხრით აღარაფერს ვიტყვით. მოვიყვანო მხოლოდ ორი ენათმეცნიერის მისაზრებას: პირველი კროჩესა და ფოსლერის თვალსაზრისზე მდგომი და მათი მეთოდით მომუშავე ლეო შპიტცერია; ციტატა შეეხება „კოეტიური სულის ბიოლოგიურად აუცილებელ გამოვლენას ენაში“: „ერთ ენობრივ მოვლენაში იშლება სულ სხვადასხვაგვარი სულიერი იმპულსები“ (Л. Ш п и т ц е р, Словесное искусство и наука о языке: Проблемы литературной формы. Сборник статей, Л., 1928, გვ. 202). კროჩესა და ფოსლერის ტერმინოლოგიით ეს ნიშნავს: ერთი ექსპერსია რამდენაზე ინტუიციის შესასაბუთება. ცხადია, აქ „ბიოლოგიურად აუცილებელ გამოვლენაზე“ ლაპარაკი ზედმეტია; შეუძლებელია, აგრეთვე. იმის თქმა, რომ „ერთი და იგივე ესთეტიკური პრობლემა შესაძლებელია მხოლოდ ერთი შესაფერისი სახით გადაიჭრას“. მეორე მოსა-

ენა ინტუიციანა და ექსპრესიანა, ე. ი. წმინდა ადამიანური ფენომენია და, ამდენად, მეტყველება, ან უკეთ — ენობრივი შემოქმედება — ნებისმიერი და ცნობიერი პროცესია — ასეთია ფოსლერის წამყვანი დებულება. მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ენის ფუნქცია ექსპრესიანა და არა კომუნიკაცია, ფოსლერი მიუთითებს, სხვათა შორის, მშვიერი ლომის ლმუილზე და კატის კმაყოფილ კრუტუნზე⁸⁹; ამრიგად, ამ შედარებით ექსპრესიანა დახასიათებულია როგორც უკვე არაცნობიერი, არაადამიანური, ინსტინქტური პროცესი. ან კიდევ: წამოძახილი. და — დიდი მასშტაბით — ლირიკა, რომელიც გრძობათა უშუალო მორევას გამოხატავს და რომელიც „განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ენათმეცნიერ-ფსიქოლოგისათვის“, — ხასიათდება როგორც არაგანზრახვითი⁹⁰.

ინტუიციის ადამიანური და ცნობიერი ხასიათი საბუთდება არაადამიანურ და არაცნობიერ აქტებზე მითითებით! ჩვენი ვარაუდით, ეს წინააღმდეგობა მიუთითებს იმაზე, რომ ენის დახასიათება როგორც ექსპრესიისა ვერ საბუთდება იმ ნიადაგზე, რომელზედაც ფოსლერი დგას; იდეალისტურია ესთეტიზმი ვერ ქმნის თვითმარ საენათმეცნიერო თეორიას... რომც არ არსებობდეს სხვა შენიშვნა ფოსლერის მიმართ, ეს მითითებაც საკმარისი უნდა იყოს მისი კონცეფციის უარსაყოფად: ეს კონცეფცია მიუღებელი უნდა იყოს, ამრიგად, იმისათვისაც. ვინც მოისურვებდა ინტუიციის აღიარებით და ენის ესთეტიკურ ფაქტად გამოცხადებით დაეწყო მუშაობა და ამ ზნით შეეცდებოდა ენობრივი მოვლენების ახსნას: რეალური ვითარება დემონსტრაციულად უპირისპირდება ფოსლერის ძირითად თეზისს.

ფოსლერი აცხადებს: პაულის თეზისის ადგილას — „მთელი ენათმეცნიერება ისტორიულია“, — ჩვენ უნდა დავსვათ ჩვენი თეზისი: „მთელი ენათმეცნიერება ესთეტიკურია“...⁹¹ მაგრამ იქვე შენიშნულია, რომ ყველა ინდივიდუალური ცვლილება კი არ ვრცელდება, არამედ მხოლოდ ზოგიერთი; ეს მოვლენა ახსნას საჭიროებს. გარდა ამისა: თუმცა დიალექტების, საერთო ენების არსებობაც კი საეჭვოდაა მიჩნეული, მაინც ფაქტია, რომ ენა არა მარტო ენებთა გადმოთხვევაა. არა მარტო „განქურვაა“ (Entladung)⁹², არამედ იგი როგორღაც ახერხებს კონტროლი გაუწიოს ინდივიდებს, გამოვლინდეს როგორც საერთო ენა.

ზრება ლო შპიტცერის კრიტიკოსს ე. ვინკლერს ეკუთვნის: „განა უმძიმესი ფიქრები არ უნდა გვეზოდეს იმ მეთოდის მიმართ, რომელიც გეისსის — ჰეგის აქვს ის სტილი, რომელიც ბერგსონს უნდა ჰქონდეს და არც აქვსო? — თუ ბერგსონიზმში ვრთხვლავ ვერ შეძლო საკუთარ სტილის ბერგსონულად გაფორმება, მაშინ რომელიმე ადამიანის სტილი, ცხადია, არაა „ბოლოოგური აუცილებლობა“, და ურთიერთდასაყრდენება სულიერს განცდასა და გამოსახვის ნიუანსებს შორის არც ისე მჭიდროა, რომ ერთისაგან მეორის ასე აფერად დაქვენა შეიძლებოდეს“ (E. Winkler, Die neuen Wege und Aufgaben der Stylistik: Die neueren Sprachen, 33, 1925, გვ. 415). [შრდ. B. A. З в е р н и л е в, Эстетический идеализм в языкознании, М., 1956; განსაკუთრებით საგულისხმოა 15—17 და 23—24 გვ.გვ. გაშლილი კრიტიკა ფოსლერის წიგნისა «Frankreichs Kulture und Sprachen».

⁸⁹ Sprache als Schöpfung..., გვ. 98.

⁹⁰ Ober grammatische und psychologische Sprachformen: Logos, 8, I, 'გვ. 10, 19.

⁹¹ Positivismus und Idealismus..., გვ. 96.

⁹² Ober gramm. und psych. Sprachformen, გვ. 5.

„თითოეული ინდივიდი, რამდენადაც იგი თავისი გარემოს თვალსაზრისს, ჩვეულებებსა და ენას შეეგუება, — თავისი ინდივიდუალობის შეზღუდვას განიცდის. ეს შეზღუდვა ნაწილობრივ შეუცნობლად მქლავდება და მაშინ იგი წმინდად პასიურია... ან ნებისმიერი ელემენტი ერთვის... მაგრამ, საგულისხმოა, რომ ეს კეთდება პრაქტიკული მოსაზრებით, ეკონომიური იქნება ეს, თუ მორალური. ასე წარმოიქმნება ის შესანიშნავი კომპინაცია, რომ ის, რაც თეორიული, ესთეტიკური ან ლოგიკური პასივობაა, პრაქტიკული მოქმედების სფეროში უაღრესად დაძაბულ აქტივობად ჩანს...“⁹³ მკითხველი ფოსლერის ამ შენიშვნაში უკვე ბზარს შეამჩნევს: ენა სხვა არაფერია, თუ არ ინდივიდუალური შემოქმედება, ინდივიდუალური გონის შემოქმედებითი აქტივობა, ხოლო „მისწრაფება თანაზომიერებისაკენ“, კონვენციისაკენ და წესებისაკენ ძირითადად მხოლოდ პასივობას ნიშნავს⁹⁴, მაგრამ ენა მაინც იძულებულია ასეთს პასივობას მიმართოს; და აი, როგორც კი პასივობად იქცევა იგი, როგორც კი დაიწყება წმინდა ინტუიცია-ექსპრესიის ფიზიკური ფიქსაცია, ე. ი. როცა იგი თეორიული გონის სფეროდან პრაქტიკული გონის სფეროში მონიაცვლებს ადგილს, — აღმოჩნდება, რომ იგი არა მარტო არაა პასივობა, არამედ „უაღრესად დაძაბულ აქტივობად“-აც კი „ჩანს“. ენის როგორც განვითარების დახასიათება, შედარებითი პროგრესის აღნიშვნა ენაში და მისი ახსნა არსებითად ამ სიძნელის დაძლევის ცდას წარმოადგენს.

ლაპარაკობს რა გერმანელის, როგორც ეროვნული ენის შესახებ, ფოსლერი შენიშნავს: „გერმანული სრულებით არაა წარმოქმნილი გერმანელთა გონითი შეზღუდულობის ან პასივობის წყალობით. თუ პასივობის თეზისი სწორია, მაშინ გერმანული ენობრივი კოლექტივი უნდა დაიშალოს და გაქრეს იმის მიხედვით, როგორც ენობრივი ექსპრესიის ნიჭიერება გაიზარდება გერმანელებში. გამოდილება საპირისპიროს გვესწავლის... ამრიგად, ეროვნული ენა მისი ერთობლიობასა და მთლიანობაში გონითი პასივობით კი არ წარმოიქმნება, არამედ გონითი აქტივობით, ამასთანავე არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური მოქმედებით“⁹⁵.

რა მიმართებაშია ეს კოლექტიური შემოქმედება ინდივიდუალურ შემოქმედებასთან? „ენობრივი ექსპრესია წარმოიქმნება ინდივიდუალურ მოქმედებაში. მაგრამ იგი მოქალაქეობრივ უფლებას მოიპოვებს მაშინ, როცა მას გადააქეთებენ ხოლმე, მას ითვისებენ, იმეორებენ: ან არაცნობიერად, მას პასიურად, ან შემოქმედებით, მას შეეცლილად. შესწორებულად — შესუსტებულად ან გაძლიერებულად, მოკლედ: ერთობლივი მოქმედებით და კოლექტიურ საქმიანობაში. წარმოქმნის ანუ აბსოლუტური პროგრესის მომენტში განხილული — ენა რალაც ინდივიდუალურია და აქტიურია; უმოქმედობისა (Stillstand) და განმტკიცების (Festwerden) მომენტში პასიური რამაა; რელატიური პროგრესის მომენტში განხილული, ე. ი. განხილული არა როგორც შემოქმედება, არამედ როგორც განვითარება, იგი კოლექტიური გონითი მოქმედებაა“⁹⁶.

სანამ ფოსლერი „ენათმეცნიერების პოზიტივისტური სისტემის დაშლას“ აწარმოებს, იგი კროჩედან გამოდის და მას ემყარება. მაგრამ როგორც კი დე-

⁹³ Positivismus und Idealismus..., გვ. 51.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე, გვ. 90.

⁹⁶ იქვე, გვ. 91.

ბა საკუთარი საღმთმეტყინირო თეორიის შემუშავების საკითხი, კროჩეს მიერ მოხაზული ჩარჩოები უკმარი აღმოჩნდება და ფოსლერი იძულებულია შეჰოტანოს ახალი ცნებები „კოლექტიური გონისა“. „ენობრივი განვითარებია“...

რითაა გამოწვეული ფოსლერისა და კროჩეს ეს დაშორება? კროჩე ესთეტიკის საგნად მიიჩნევდა ინტუიცი-ექსპრესიას, ე. ი. ისეთ მონაცემს, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღია ფიზიკური გაფორმება... ასეთი მონაცემის კვლევისას მართლაც შეიძლება განდეს ილუზია, რომ იგი წმინდა ინდივიდუალური ქმედებაა: თუ ენობრივ ფაქტად ჩავთვლით შორისდებულის ხასიათს წამოძახილს. თანაც ისეთს, რომელსაც მეტყველის სახმო ორგანოებამდეც კი არ მიუღწევია. არაფერი დაგვიშლის კროჩეს დავთანხმობთ, რომ ასეთ „ენობრივ ფაქტთან“ ენობრივ კოლექტივს საქმე არა აქვს.

მაგრამ ენობრივი ფაქტი მისი ობიექტივაციის გარეშე არ არსებობს; თანაც მხოლოდ ამ ობიექტივაციას აქვს რეალური ღირებულება და ამიტომ მკვლევარი, რომელსაც ენის შეცნობა სურს, მას გვერდს ვერ აუხვევს; ვერ აუხვია მას გვერდი ვერც ფოსლერმა; ამიტომ შეიქნა იგი იძულებული ენის ხასიათის გასარკვევად წარმოებული ძიებისას კროჩეს მიერ დასახული გზიდან გადაეხვია. ენა განვიტარებდად გამოეცხადებინა და ახალი პრინციპი წამოეყენებინა ენობრივ ფაქტთა ასახსნელად; ეს პრინციპია კოლექტიური შემოქმედება, ენობრივი გონი, შედარებითი პროგრესი ენაში.

რამდენიმე შენიშვნა ამ უკანასკნელის შესახებ: როდესაც ფოსლერი ენობრივი გამოხატვის წარმოქმნისას, მის აბსოლუტურ პროგრესს წმინდა ინდივიდუალურ საქმიანობად — შემოქმედებად — წარმოგიდგენს,—ეს გასაგებია: თუ ენა განხილვისას ექსპრესია-ინტუიციის ცნებიდან ამოვალთ, მაშინ ყოველი — თუნდ უმნიშვნელო—ენობრივი ცვლილება უნდა მივიჩნიოთ ინდივიდუალურ მოვლენად, არა მარტომ იმ აზრით, რომ მას ინდივიდი ახდენს, არამედ—და უწინარეს ყოვლისა — იმ აზრით, რომ იგი ინდივიდუალური ბუნებისაა: იმიტომ, რომ ინტუიციას ინდივიდუალური ბუნებისა.

მაგრამ ენის შედარებითი პროგრესი სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არ ინდივიდუალურ შემოქმედებით აქტთა ერთობლიობას: თუ A ინდივიდის მიერ მოხდენილ ცვლილებებს B, C, D... ინდივიდები „ცვლიან, ასწორებენ, ასუსტებენ ან აძლიერებენ“, ისინი ამ შემთხვევაში სწორედ ისევე იქცევიან, როგორც A ინდივიდი მოექცა რომელიმე X ინდივიდიდან მომდინარე ფაქტს; თუ A ინდივიდის მიერ M მოვლენის N-ად ქცევას აბსოლუტურ პროგრესად მივიჩნევთ, იმავე ღირებულების პროგრესად უნდა მივიჩნიოთ B ინდივიდის მიერ N-ის N₁-ად ქცევა და მაშინ „კოლექტიური გონითი მოქმედება“, რომელიც რელატიური პროგრესის მაწარმოებლად მიჩნეული, უნაშთოდ გაუნაწილდება აბსოლუტური პროგრესის მაწარმოებელ ინდივიდუალურ გონითს აქტივობას (რითაც N₁ განსხვავდება N-ისაგან) და წმინდა პასივობას (რამდენადაც N-სა და N₁-ს შორის საერთო მონაცემი მაინც არსებობს).

რას წარმოადგენს თავისთავად წმინდა პასივობა? როცა A ინდივიდის მიერ შემოტანილს N სიახლეს B, C, D ინდივიდები მთლიანად და უცვლელად იზიარებენ. გვაქვს თუ არა უფლება დავაკენათ, რომ ისინი ამ შემთხვევაში „არაცნობიერად, მამ პასიურად“ მოქმედებენ?

ორში ერთი: ან უარყოფილი უნდა იქნეს ყველა ადამიანისათვის ინტუიციის, ინდივიდუალური შემოქმედების უნარი და მაშინ ენობრივი მხოლოდ და

მხოლოდ ცალკეულ გენიოსთა შემოქმედებითი გაღვებების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ (აი, სწორედ მაშინ დაუახლოვდებოდა ფოსლერი ბერგსონს), ანდა ცვლილების გავრცელებას უნდა ჩამოეცალოს „არაცნობიერისა და მამ მასიუ-რის“ ეპითეტი; და მაშინ „კოლექტიური გონის“ ცნება გადაიქცევა ყოველ-სომხველ ცნებად ენობრივ ცვლილებათა ახსნისას, ხოლო „ინდივიდუალური შემოქმედება“ და „აბსოლუტური პასივობა“ სხვა არაფერი იქნება, თუ არ ამ კოლექტიური გონის გამოვლენა.

ფოსლერის ვარაუდით, ენობრივ ცვლილებაში საერთო აიხსნება არა სო-ციალური ურთიერთმოქმედებით, არამედ გონითი ნათესაობით, ინტუიციის უნარის ზოგადობით; ამის გარეშე აუხსნელი იქნებოდა პარალელური ბგერათ-გადაწევანი სხვადასხვა ადგილზე და მკვეთრი ინდივიდუალური დაშორებანი ერთსა და იმავე კოლექტივში, და ეს იმიტომ, რომ განსაკუთრებული და ინდი-ვიდუალური არის ენა როგორც შემოქმედება, ხოლო საერთო და წესიერი არის ენა როგორც განვითარება — მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ადგილი ურთი-ერთმოქმედებას⁹⁷.

ენა, როგორც განვითარება, ანალოგიურ წარმოებაში ვლინდება, და რაკი ანალოგიური წარმოება უპირატესად სტრუქტურული ცვლილებების სახითაა წარმოდგენილი, ამდენად მორფოლოგია და სიტყვაწარმოება უპირისპირდება სპონტანურ („პოზიტივისტა“ ტერმინოლოგიით) ანუ შემოქმედებით (ფოსლე-რის გაგებით) ბგერათცვლილებათა შემსწავლელ მცენიერებას — ფონეტიკას⁹⁸. რაკი ანალოგია ფსიქიკური ძალის საკითხია ანუ ნებისმიერი მოქმედებაა, ამი-ტომ უსასრულოდ მრავალრიცხოვან ინდივიდუალურ ბგერათცვლილებათაგან მუდამ მხოლოდ განვითარების უნარის მქონენი გავრცელებიან; მათთვის ენობრივ კოლექტივში გარკვეული განწყობილება ან ტენდენცია არსებობს. ბგერათცვლილება როგორც შემოქმედება გამოვლენაა ადამიანის თეორიულ გონისა, ანალოგია—პრაქტიკულისა, რომლისთვისაც ნებისმიერი ელემენტია დამახასიათებელი... ამ ვითარებას მხარს უჭერს ის ცნობილი ფაქტი, რომ განძობა, ინსტინქტი, გაცილებით უფრო ადვილად გადადის ერთი ინდივიდი-დან მეორეზე, ვიდრე ინტუიციები, აზრები... ამიტომ ხდება ბგერათცვლილების, ამ ინტელექტუალური⁹⁹ ან თეორიული პროდუქტის, გავრცელება და დამკვიდ-რება ანალოგიის, ამ ნებისმიერი და პრაქტიკული წარმონაქმნის, მეშ-ვეობით¹⁰⁰.

ანალოგიის ეს დახასიათება როგორც ნებისმიერი წარმონაქმნისა და, ამა-ვე დროს, როგორც ტენდენციისა. „განსაზღვრულ ენობრივ კოლექტივში არსე-

⁹⁷ Sprache als Schöpfung... გვ. 104.

⁹⁸ იქვე, გვ. 106. ამრიგად, ენათმეცნიერების დარგებად დაყოფა ფოსლერის მიერ გა-ზიარებულია: ფონეტიკა შედის სტრუქტურულში, როგორც ქვედისკოპლონა და ორივე უპირის-პირდება მორფოლოგია-სიტყვაწარმოებას, როგორც ენობრივი შემოქმედება—განვითარ-ებას. რამდენადაც შემოქმედება და განვითარება სხვადასხვა პროცესია, ივარაუდება, რომ ენათმეცნიერების დარგებად დაყოფა მხოლოდ პოზიტივისტური განხილვის წესი და წმინდა პედაგოგიური საშუალება კი აღარაა, არამედ მეცნიერული დანახევი, მიღებული რეალური ფაქტებისა და მათი რეალური ურთიერთობის შესწავლის შედეგად. თუმცა იგი ადრე ფოს-ლერმავე უარყო, როგორც ნებისმიერი და არამეცნიერული.

⁹⁹ თუ ინტუიციური? ფოსლერი (კროჩესთან ერთად) მუდამ ბევრთად გაარჩევს ინტე-ლექტუალურსა და ინტუიციურს.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 118.

ბული განწყობილებისა“, ნიშნავს ფოსლერის მიერვე დადგენილი რელატიური პროგრესისა და პასივობის, კოლექტიური შემოქმედებისა და ენობრივი ნიჭი: დეფიციტის აღრევას.

არ უნდა უარვეყოთ, რომ ინდივიდთა უმეტესობა ერთმიგორისაგან და-
მოუკიდებლად შეიძლება მივიღეს მსგავს ბეგრათცკლიებამდე; თუ ეს ინ-
დივიდები დაახლოებით ერთსა და იმავე დროს და დაახლოებით ერთსა და იმა-
ვე ენობრივ კოლექტივში ცხოვრობენ, მაშინ ისინი მსგავს ბეგრებს მსგავს მი-
მართებებში მსგავსადვე გახაზავენ (akzentuieren) და შეეცლიან, ურთიერთ-
გავლენის გარეშე¹⁰¹.

ეს მსგავსება, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ენობრივი გონის გამოვლენა-
დაა მიჩნეული: „როგორღა შეიძლება კოლექტიურ ფსიქიკურ ექსპრესიათა
ჩ გ უ ე ბ ი ვ ე ძებოთ, თუ თითოეულ ექსპრესიას თავისი საკუთარი ძირი
(Radix) აქვს?“ პასუხია: „ინდივიდუალური ექსპრესიები და შინაარსები გენე-
რალურ მსგავსებას დაუშვებენ. გარდა ამისა: მსგავსმა გონითმა შინაარსმა აუ-
ცილებლად უნდა გამოიწვიოს მსგავსი ენობრივი ფორმა“¹⁰².

უფრო ნათლად: მართალია, „განსხვავებები (ცალკე ენათა შორის) ისტო-
რიულადაა შეპირობებული, მაგრამ საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია...
ეროვნულ ხასიათზე“. ამასთანავე, „საქმე ეხება არა ბუნებრივს ან ისტორიულ
ურთიერთდამოკიდებულებას, არამედ ფენომენოლოგიურს... ფრანგული ენა,
ე. ი. ენობრივი აზროვნების ფრანგებისეული ინსტრუმენტი, არაა მათი ეროვნ-
ული ხასიათის შედეგი...“, „მათ და იმ ფაქტორთა შორის გზა არ არსებობს,
არ არსებობს მიზეზობრივი ჯაჭვი, შუალობა, რადგან ისინი ერთსა და იმავე სა-
განს წარმოადგენენ. ფრანგები იმიტომ კი არ მეტყველებენ ფრანგულად, რომ
მათ ფრანგული ხასიათი აქვთ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მეტყვე-
ლებენ. მათი ენა რაიმე უცხოს მეშვეობით კი არ იქცა ფრანგულ ენად. არამედ
თავის თავისვე მეშვეობით; და მათი მეტყველების მეშვეობით გამოვლინდა და
განამდვილდა მათი ეროვნული ხასიათი, რომელსაც ფრანგული ენა ეწოდება.
იგივე ეროვნული ხასიათი გამოვლინდება აგრეთვე არსებითად სხვაგვარად,
მაგალითად, ფრანგთა სამეურნეო, სახელმწიფოებრივ, უფლებრივ, ზნეობრივ,
მეცნიერულ და სხვ. წარმონაქმნში, და სინამდვილის იმდენსავე ფორმას ან ას-
პექტს იღებს, რამდენაირიცაა ეს საქმიანობა...“ ფრანგული ენა, ამრიგად,
არის მთელი ფრანგულობა, მაგრამ მხოლოდ ენის ასპექტით... ფრანგს „ვარჯი-
შითა და შეჩვევით კიდევ მრავალ ენაში შეუძლია მოქალაქეობრივი უფლება
მოიპოვოს, მაგრამ მის გონით სამშობლოდ ფრანგული დარჩება“¹⁰³.

ენის განვითარების ისტორიულმა (ფოსლერის მაშინდელი ტერმინოლო-
გიით, ესთეტიკურ-ისტორიულმა) განხილვამ „ხალხებისა და დროთა ენები უხ-
და იკვლიოს. ერთი მხრით, გეოგრაფიულად — ეპოქათა და პერიოდთა მიხედ-
ვით, მეორე მხრით, გეოგრაფიულად — ერთა და რასათა მიხედვით და სა-
ბოლოოდ „ხალხურ ინდივიდთა“ (Völkerindividuen) და გონითი ნათესაობის
მიხედვით“¹⁰⁴.

¹⁰¹ Sprache als Schöpfung.... გვ. 119.

¹⁰² Positivismus und Idealismus.... გვ. 39.

¹⁰³ Geist und Kultur in der Sprache, გვ. 128—129.

¹⁰⁴ Positivismus und Idealismus.... გვ. 94.

აი, რამდენიმე ნიმუში „ენობრივი გონის“, ხალხის გონითი თავისებურების მოშველიებისა ენობრივი ფაქტების ასახსნელად:

„განსაზღვრული არტიკლის ხშირი გამოყენება შესაბამება მრავალ შემთხვევაში იტალიელთა პლასტიკურსა და თვალსაჩინო ფანტაზიას, მათ მისწრაფებას — დააკონკრეტონ და გააინდივიდუალურონ საგნები“.

„შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ იმ ხალხმა, რომელიც კუთვნილების ნაცვალსახელს აძლევს ზედსართავის ღირებულებას (ლაპარაკია იტალიელთა შესახებ), ევროპის ხალხებში „პირველმა აღმოაჩინა ინდივიდი“.

„უფრო აბსტრაქტულად განწყობილი ფრანგი, რომელიც პარტიტივისს ზეგძნობიერი საგნებისთვისაც იყენებს, აჰ სამს სხვადასხვა ინტუიციას (რომელიც იტალიურში სხვადასხვა სახის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკების ხმარებაში ვლინდება) ერთში უყრის ხოლმე თავს“¹⁰⁵.

„გერმანული, ასე ვთქვათ, უფრო შინაგნური და გონითა, ამიტომ თავის გარეგანს ფორმებში უფრო რთულია და კორძიანი. რომანული ენები მთლად გრძნობითა არიან და გარეგანი ფორმები უკეთ დაჰუშავებული და ჰარმონიზებული აქვთ. აქ ჩანს, რომ გონი გამიწიერებელია ფორმაში, იქ კი ფორმა გონს გაჰქცევია. იქ დიდი ფილოსოფოსები და ეთიკოსები არიან, აქ დიდი ხელოვანნი“¹⁰⁶, ასეთი დახასიათება ეძლევა ენებს მათი ფონეტიკური ფორმის მიხედვით.

„მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფრანგი ერის გონის რაციონალური მიმართულება მივიდა მტიკედ დადგენილ წარმოდგენათა რიგამდე და სიტყვათგანლაგებამდე, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა დაშლილიყო ბრუნების ძველი სისტემა“¹⁰⁷. ეს ცვლილება „ახალი ფრანგული ენობრივი გონის ნაწარმია“¹⁰⁷.

მაგრამ საქმე გონის მოშველიებით არ მთავრდება: „მეტწილად გონითი ნათესაობა ფიზიკურთა შეიძლება იყოს შეპირობებული; ასე რომ რასის ერთიანობას საერთოდ ენის ერთიანობა ფარავს“ — აცხადებს ფოსლერი, და თუმცა იქვე დაურთავს — „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ანთროპოლოგიურად შორს მდგომამც შეიძლება გადაიღოს სხვა ხალხის გონითი თავისებურება, მასთან იქნეს სიმპათიზირებული. იმონაწილეს მასში და მის ენაზე ილაპარაკოს ისე, თითქოს მისიანი იყოსო“¹⁰⁸. მაინც ეს შენიშვნა ვერ მოხსნის ძირითად დებულებას ენისა და რასის ერთიანობის შესახებ: აკი ფრანგისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალი სხვა ენის შესწავლა შეუძლია, მაინც გამოირიცხულია შესაძლებლობა გამოეყოს თავის მშობლიურ ენას, resp. ფრანგულ ეროვნულ ხასიათს.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც ენა ვეღარ ჩაეტია (ფოსლერის დაბეჭიბებული ცდის მიუხედავად) ინდივიდუალური შემოქმედების ფარგლებში, ფოსლერი მიუთითებს ახალ გზაზე. რომელსაც ენათმეცნიერება უნდა გაჰყვეს თავისი ობიექტის კვლევისას. ეს გზაა — ენის დახასიათება, როგორც ეროვნული ხასიათის გამოვლენისა, როგორც მასზე მოლაპარაკე ადამიანთა რასობრივი თავისებურებებით შეპირობებული მოვლენისა.

¹⁰⁵ Positivismus und Idealismus, გვ. 21—22. საინტერესო იქნებოდა გარკვეულიყო — რა მიმართებაშია ეს ვარაუდი მტიკეებსთან, რომ „ერთი და იგივე ესთეტიკური პრობლემა შესაძლებელია მხოლოდ ერთი სახით იქნეს გადაჭრილი“ (ნ. К р о ч е, Эстетика..., გვ. 135).

¹⁰⁶ Positivismus und Idealismus..., გვ. 73.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 17.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 92.

მაგრამ ფოსლერმა კარგად იცის, რომ მას ასე ადვილად არ დაეთანხმებიან: „ენათმეცნიერთა უმეტესობა ეროვნული ხასიათისა და ენის ურთიერთდამოკიდებულებას საეჭვოდ მიიჩნევს ან ლიად ტოვებს, როგორც ისეთს, რომელიც მეცნიერულად არ საბუთდება“¹⁰⁹.

უნდა ითქვას, რომ ენათმეცნიერება არა მარტო ლიად ტოვებს ამ საკითხს, არამედ საკითხის ასეთს დასმას გადაჭრით უარყოფს¹¹⁰.

VI

ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრაც დაისახა მიზნად ფოსლერმა, ენაში ინდივიდუალურისა და სოციალურის ურთიერთობის პრობლემაა.

ამ პრობლემის გადაჭრის ფოსლერის მიერ არჩეულმა გზამ განაზღვრა მისი დამოკიდებულება ენასთან როგორც ისტორიულად ცვალებად ფენომენთან. აქედანვე მომდინარეობს საენათმეცნიერო პრაქტიკის — ისტორიული ძიების — ფოსლერისეული დაფასებაც.

ფოსლერი (პაულიდან ამოსვლით: „გრამატიკული კატეგორია რამდენიმედ ფსიქოლოგიურის გაქვავებას წარმოადგენს“) სტილისტურისა და კონვენციურის ურთიერთობას ახასიათებს, როგორც ინდივიდუალურისა და სოციალურის ურთიერთობას ენაში: მითითება, რომ ენობრივი არის გაბატონებული და გაქვავებული ინდივიდუალური, უაღრესად ფასეული მითითებაა და ენობრივი ფაქტების განხილვაც ამ თვალსაზრისით საპატიო საქმეა: ეს მითითება საშუალებას გვაძლევს კონკრეტულად გავითვალისწინოთ ენობრივ სიახლეთა წყარო¹¹¹.

მაგრამ თუ ენობრივ ცვლილებათა დაბეჭდვისას ინდივიდიდან ამოვალთ, კითხვა დაიბნის: რაკი ენა თვითონ სხვა არაფერია თუ არ ენობრივი ცვლილებები (ერთხელ კიდევ რომ გავიმეოროთ ჰუმბოლდტის გამოთქმა: „ენა მოქმედებაა და არა ფაქტი“), ხომ არ გვაძლევენ ინდივიდიდან ამოსვლა — ბოლომდე გავყვეთ ფოსლერს და ენა ინდივიდუალურ შემოქმედებად მივიჩნიოთ? ჩვენთვის აქსიომატური ხასიათისაა ღებულება, რომ ენა მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც საზოგადოებაა¹¹².

ეს სიძნელე, ჩვენი აზრით, ამ გზით უნდა იქნას დაძლეული:

აღვიარებთ რა ენობრივი სიახლის ინდივიდუალურ გენეზისს, ამით ჯერ კიდევ არ გადაწყდება დადებითად საკითხი ენის ინტერპრეტაციისა, როგორც ინდივიდუალური შემოქმედებისა: სიახლის ინდივიდისმიერობა, რაც ფოსლერისათვის არსებითია, ჩვენთვის შემთხვევითობასაა წარმოადგენს; პირიქით,

¹⁰⁹ Geist und Kultur in der Sprache, გვ. 128.

¹¹⁰ შლრ. А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 416; Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, გვ. 207; Ж. Вандриес, Язык, გვ. 218; Э. Сепир, Язык, გვ. 164.

¹¹¹ გარდა პაულის ზემოთ დასახელებული გამონათქვამისა, ამასევე ვარაუდობს, ჩვენი აზრით, შემდეგი ადგილიც შეუძლიან: „სიტყვათა ექსპრესიული მნიშვნელობა ხმარების შემდეგ სუსტდება, მათი ძალა შეიძლება და ისინი ჩვეუთა შექმნისკენ მიისწრაფვიან“ (იხ. А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, გვ. 54). ამ ფაქტის მნიშვნელობის გაზვიადებასა და მის თავისებურ გამოყენებას წარმოადგენს კვლევის სინტაქსისა და დიაქრონიული ასპექტების სოსიურისეული გამოყენება.

¹¹² А. Мейе, Введение..., გვ. 52.

სიახლის გავრცელება, მისი „კონვენცია და წესა“¹¹³ კაცევა¹¹³, რომელსაც ფოსლერი ენობრივი ნიჭის დეფიციტად მიიჩნევს და საენათმეცნიერო ძიების სფეროდან გამორიცხავს, — ჩვენთვის ამოწავალია. გასაგებია რატომ: სიახლე. მომდინარე ინდივიდისაგან, არ შეიძლება ინდივიდუალური იყოს თავისი ბუნებით, რადგან თვით ინდივიდი საზოგადოების პროდუქტია. და ყველა მისი გამოვლენა სხვას არაფერს შეიძლება წარმოადგენდეს, თუ არ საზოგადოებრივის ვარიანტს, შეპირობებულს — თავის სპეციფიკაშიც — სოციალურით; ეს კი ნიშნავს გონითი ქმედების განხილვას ისეთი თვალსაზრისით, რომელიც დიამეტრალურად უპირისპირდება კროჩეს (და, მასთან ერთად, ფოსლერის) შეხედულებას ამ საკითხზე.

საერთოდ ინდივიდუალურისა და სოციალურის ურთიერთობის მსეთი გაგება აპირობებს ენაში მათი ურთიერთობის ფოსლერისაგან განსხვავებულ გაგებას: ინდივიდუალური ცვლილება ენაში ჩვენ გვიანტერესებს არა იმდენად, რამდენადაც ის ინდივიდუალურია, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ენაში „კონვენციურისა და კანონზომიერის“ გამოვლენაა. ამდენადვე მხოლოდ გასათვალისწინებელი ის ინდივიდუალური ვარიაციები, რომლებიც განსაზღვრული ეპოქის უზუალურის გვერდით არსებობდნენ და რომელთაც წილად არ ხვდათ ახალი უზუსის პიონერები ყოფილიყვნენ.

ენის მიჩნევამ წმინდა ინდივიდუალური რიგის მოვლენად განაზღვრა ფოსლერის ანტიისტორიზმი.

გაზიარება თეზისისა — ნამდვილად წარმოთქმულს ისტორია არა აქვსო — და მასზე დაყრდნობა ენის ზოგადი თეორიის შემუშავებისას — ბუნებრივად იწვევს ენის როგორც ისტორიულად ცვალებადი მოვლენის უარყოფას.

ასეთი გაგების აშკარა უკმარობის გათვალისწინების შედეგად აღმოცენებული ცნება „ენობრივი განვითარებისა“ ვერ ასწორებს მდგომარეობას: „ენობრივი განვითარების“ დაქვემდებარებულ ხასიათზე („ენობრივ შემოქმედებასთან“ შედარებით) მითითება და მისი მიზეზების ძიება უპირობო „ხალხის გონსა“ და „რასაში“ არ გამოდგება ინტერპრეტაციად ისეთი მოვლენისათვის, რომელიც თავისი ბუნებით ისტორიული და სოციალურია.

„სოციალურის“ თვალსაზრისზე დგომა აპირობებს ჩვენს განსხვავებულ (ფოსლერთან შედარებით) პოზიციას ენის, როგორც ისტორიულად ცვლადი ფენომენის გაგებაში, ე. ი. ინდივიდუალური, ან უკეთ — ინდივიდისმიერი ცვლილებების გავრცელების საკითხის გადაწყვეტისას:

ერთი მხრით, ენას გარკვეული ხასიათის ავტონომია ახასიათებს; ეს ავტონომია ვლინდება იმით, რომ მას განვითარების საკუთარი ტრადიცია და გზა აქვს¹¹⁴; ის აურაცხელი მასალა, რომელსაც მას სხვადასხვა ინდივიდები აწვდი-

¹¹³ სახელდობრ, „ქცევა“ და არა „კონვენცია და წესი“ თავისთავად; ამ წინადადებადგომა საშუალებას იძლევა დაძლეული იქნეს სოსიურის ანტიისტორიზმი და ენა გაგებული იქნეს, როგორც არამარტო სოციალური, არამედ აგრეთვე როგორც ისტორიულად ცვლადი სოციალური რიგის მოვლენა.

¹¹⁴ ამ ვითარებას ითვალისწინებენ სოსიური და სემიური, როცა პირველი მათგანი სინქრონული ლინგვისტიკაზე ლაპარაკობს, ხოლო მეორე ენობრივი მოდელის შესახებ. უნდა შევნიშნოთ კი, რომ მოდელის თავისთავადობის ფაქტი მათთან ვადამეტფასებულა და ამის გამო საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მოვლენათაგან ენის მოწყვეტის საშიშროება ჩნდება.

ან. ენის მიერ გადაზინება და მათგან მხოლოდ ისეთი შეირჩევა, რომელიც უკეთ შეესატყვისება ენის განვითარების ტენდენციას.

მეორე მხრით, სოციალური რიგის აურაცხელი მოვლენის მოქმედებით ენობრივ კოლექტივში იქმნება გარკვეული სიმპათიები, რომლებიც ამ არჩევანს განსაზღვრავენ.

• • •

მეოცე საუკუნის ენათმეცნიერებას მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც წარმოიშვა. ერთი მხრით, ენის აშკარად სოციალური ბუნების აღიარებასა და, მეორე მხრით, იმ მცდარ მეთოდოლოგიურ პოსტულატს შორის, თითქოს ენა ფსიქო-ფიზიოლოგიურ აქტს წარმოადგენდეს; სხვაგვარად: ენათმეცნიერების წინაშე დგას ენის ექსპრესიულ და საკომუნიკაციო ფუნქციათა ურთიერთობის პრობლემა.

ამ წინააღმდეგობის დაძლევის, ამ პრობლემის გადაწყვეტის საყურადღებო ცდებს წარმოადგენს თანამედროვე ენათმეცნიერების ორი უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობა: სოსიურის სოციოლოგიური სკოლა და „იდეალისტური ნეოფილოლოგია“ ფოსლერისა.

ენაში ინდივიდუალურისა და სოციალურის ურთიერთობის კვლევასას სოსიური უყოყმანოდ სოციალურის — კომუნიკაციის — პოზიციაზე დგება, მაგრამ სოციალური ფაქტის თავისებურმა გაგებამ რიგი ენობრივი მოვლენა მოაქცია საენათმეცნიერო ძიების საზღვრებს გარეთ და, ამრიგად, ენის თეორიის აგების ამოცანა ვერ გადაიჭრა დამაკმაყოფილებლად.

პირიქით, ექსპრესიიდან ამოსვლით ცდილობს ფოსლერი საენათმეცნიერო თეორიის აგებას; მაგრამ აქაც ამოსავალი ცნების გაგება დამაკმაყოფილებელი არაა; კროჩეს იდეალისტურ ესთეტიკაზე დაყრდნობის გამო ენობრივი ექსპრესია წმინდა ინდივიდუალური მოვლენად ცხადდება, ენა—მოლაპარაკე ინდივიდის ინტელექტად და, ამრიგად, დემონსტრაციულად უარიყოფა ენის სოციალური ხასიათი. ენის როგორც ინდივიდუალური შემოქმედების ყველა მოვლენის ახსნა არ მოხერხდა და ფოსლერი იძულებული შეიქნა მიემართა კოლექტიური შემოქმედების, ხალხის გონის ცნებისათვის; მაგრამ ფოსლერი ვერ ახერხებს დამაკმაყოფილებლად გადაჭრას ის საკითხი, თუ რა ურთიერთობაა ინდივიდუალურსა და ხალხის გონს შორის, ერთი მხრით, და ხალხის გონსა და ენას შორის. მეორე მხრით; თვით ხალხის გონის ის გაგება, რომელიც ფოსლერსა აქვს წარმოდგენილი, გადაჭრით უქუსაგდება, როგორც მეცნიერულად მცდარი. ამრიგად, ექსპრესიიდან ამოსვლით ენის თეორიის აგების ფოსლერისეული ცდა წარმატებით დამთავრებულ ცვად არ შეიძლება ჩაითვალოს.

უდავოა, რომ „ქვეშარტების კრიტერიუმში პრაქტიკაა“. საენათმეცნიერო პრაქტიკა უწინარეს ყოვლისა ისტორიული ძიებაა, ე. ი. მოვლენათა განხილვა მათი გენეზისის თვალსაზრისით, და ამდენად მხოლოდ მეცნიერული (ენგელსი, პაული), ხოლო უმნიშვნელოვანესი ზოგადი საენათმეცნიერო თეორიები — ნეოგრამატიკოსების, სოსიურისა და ფოსლერისა, — ეგზომ განსხვავებულნი ურთიერთისაგან, სწორედ იმით ემსგავსებიან ერთიმეორეს, რომ ვერც ერთი ვერ ასახავს საკმარისად საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკას — არც ერთთან არ ხასიათდება ენა, როგორც ისტორიულად ცვლადი მოვლენა:

პულისათვის ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტრაგედია, ისტორიული და საბუთების განზრახვასა და ანტიისტორიული წინააღმდეგობის სახით რომ გამოვლინდა. სოსიური, ყველაზე სისტემატური მოაზროვნე და სახელმწიფო შორის, ამ დაშორებამ საერთოდ ისტორიული ძიების უარყოფამდე მიიყვანა. ფოსლერი, რომელიც, აგრეთვე, პულის (და ნეოგრაფიკოსთა) სინტეზების გათვალისწინებიდან ამოვიდა, შეეცადა ენის ზოგადი თეორია ანტიისტორიულ პოსტულატზე აეგო — ენის ესთეტიკური (კოზმეტიკური გაგებით) ხასიათის აღიარებაზე; მიუხედავად მრავალი საგულისხმო მოსაზრებისა, რის საშუალებაც მას ენის ესთეტიკური გაგების ნიადაგზე დგომამ მისცა, იგი ბოლოს და ბოლოს ენობრივი ფაქტების რასისტული ინტერპრეტაციის საშუაროების წინაშე დადგა, სახელდობრ იმიტომ, რომ შეგნებულად ანტიისტორიულ თვალსაზრისს იცავდა.

ენის დამაკმაყოფილებელი ზოგადი თეორია ჭერაც არ შექმნილა; პულის, სოსიურის, ფოსლერის მრავალმხრივ საყურადღებო ცდებმა დაადასტურა, რომ თუ ზოგადი თეორიის აგება საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკის არასაკმარისი გათვალისწინებით დიწყება, იგი მარცხს ვერ აიცილენს.

წინააღმდეგარე ნარკვევის მიზანი იყო ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც მარცხით დამთავრებული ცდა მიმოხილა.

Б. А. ПОЧУА

ЛИНГВИСТИЧЕСКАЯ КОНЦЕПЦИЯ К. ФОСслЕРА

Резюме

1. Современное языкознание унаследовало от девятнадцатого века противоречие, возникшее между признанием общественной природы языка и ложным методическим постулатом, согласно которому язык представляет собой психо-физиологический акт. Иными словами: перед языкознанием стоит проблема о взаимоотношениях экспрессивной и коммуникативной функций языка.

Де Соссюр, исследуя в языке взаимоотношения индивидуального и социального, становится на позиции социального — коммуникации, но своеобразное понимание природы социального факта заставило его оставить ряд языковых явлений за пределами языкознания; таким образом, задача построения полноценной лингвистической теории языка осталась нерешенной.

Карл Фосслер намеревался построить теорию языка исходя из понятия экспрессии; но и здесь понимание исходного понятия неудовлетворительно. Следуя идеалистической эстетике Кроче, Фосслер считает языковую экспрессию чисто индивидуальным явлением, язык же — интуицией говорящего индивида и, таким образом, демонстративно отрицает общественный характер языка. Ввиду того, что не оказалось возможным объяснить явления языка в качестве фактов индивидуального творчества, Фосслер был вынужден ввести понятие коллективно-

го творчества, «духа народа», несовместимое с основными положениями самого Фосслера.

2. Критерием истинности общелингвистической теории является исследовательская практика исторического языкознания. Важнейшие же теории языка — теории младограмматиков, Фердинанда де Соссюра и Карла Фосслера не отражают в достаточной мере лингвистической исследовательской практики, ни одна из них не признает язык исторически изменяющимся явлением; в теории Пауля наблюдается противоречие между попыткой исторического обоснования и антиисторическими предпосылками; де Соссюр дошел до отрицания роли исторических исследований, Фосслер же, учитывая затруднения Пауля (и младограмматиков), попытался построить общую теорию языка на основе признания эстетического (в понимании Кроче) характера языка. Заняв антиисторическую позицию, Фосслер запутался в объяснении динамики языка и дошел чуть ли не до расистской интерпретации языковых явлений.

ი. რამიშვილი

კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავალი
პრინციპები

დანიას თავისი სულიერი კულტურით საპატიო ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მის მდიდარ წარსულზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია გავიხსენოთ მეცხრამეტე საუკუნის მხატვრული სიტყვის იაეთი დიდი ოსტატები, როგორც იყვნენ ჰანს ქრისტიან ანდერსენი და გეორგ ბრანდესი, რომელთაც მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფილოსოფიურ მოძღვრებას წარმოადგენს ეგზისტენციალიზმი, რომელმაც ფართო დასაყრდენი პოვა ლიტერატურაში და ხელოვნებაშიც. ეგზისტენციალისტები ამ მიმართულების სულისჩამდგმელად და მამამთავრად ცნობილ დანიელ პოეტსა და ფილოსოფოსს კირკეგარდს აღიარებენ.

ჩვენი დროის უდიდესი ფიზიკოსი. კვანტური მექანიკისა და ბირთვული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი ვერნერ ჰაიზენბერგი თავის წიგნში „ფიზიკა და ფილოსოფია“ ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევს ე. წ. კოპენჰაგენის სკოლის ინტერპრეტაციას. ამ სკოლის ხელმძღვანელია მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიკოსი ნილს ბორი.

რაც შეეხება ენათმეცნიერებას, დანია დიდი ხანია ცნობილია სახელმოხვეკილი ენათმეცნიერებით: რასმუს რასკი, კარლ ვერნერი, ვილჰელმ ტომსენი. ოტო იესპერსენი და სხვები მსოფლიო მნიშვნელობის ლინგვისტები არიან. ამიტომ გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ თანამედროვე სტრუქტურალისტურ სკოლებს შორის კოპენჰაგენის სკოლა ერთ-ერთი უძლიერესთაგანია. მდიდარსა და ნაყოფიერ ენათმეცნიერულ ტრადიციებს უკვალოდ არ ჩაუვლია.

კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური წრე შეიქმნა 1933 წელს. 1934 წლიდან გამოდის „Bulletin du Cercle Linguistique de Copenhague“, 1939 წლიდან — „Acta Linguistica“, 1944 წლიდან — არაპერიოდული გამოცემა Travaux du Cercle Linguistique de Copenhague“.

კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ფუძემდებლები არიან ბრონდალი, იელშალევი და ულდალი.

კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ძირითად თეორიას იელშალევისა და ულდალის „გლოსემატიკა“ წარმოადგენს.

კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმი ყველაზე მკაცრი გამგრძელებელია ფერდინანდ დე სოსიურის სინქრონიული ლინგვისტიკისა. იგი ენას განიხილავს და შეისწავლის სტატიკაში. „ის (ე. ი. სოსიური — ი. რ.) პირველი მოითხოვდა ენისადმი სტრუქტურულ მიდგომას, ე. ი. ენის მეცნიერულ აღწერას ერთეულ-

თა შორის მიმართებათა რეგისტრაციის გზით, ისეთ თავისებურებათა მიუხედავად. რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ მათი საშუალებით, მაგრამ რომელნიც უმნიშვნელონი არიან ხსენებული მიმართებებისათვის ან არ გამოიყვანებოან მათგან¹.

პირველად სოსიურმა უგულებელყო ფიზიკური ბგერისა და სემანტიკური მნიშვნელობის რაობა. მან მოგვცა მათ ურთიერთმიმართებათა რეგისტრაციის განაზღვრა. მისი აზრით, მათი შესწავლა მხოლოდ მიმართებებში შეიძლება. ენობრივ ერთეულებს ბგერები და მნიშვნელობები კი არ წარმოადგენენ, არამედ ამ ბგერებითა და მნიშვნელობებით წარმოდგენილი მიმართებათა ელემენტები. ელემენტთა ურთიერთმიმართებანი ქმნიან ენის შინაგან სისტემას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ბგერის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ და აქუსტიკურ ვანსაზღვრებათაგან.

ასეთი ინტერპრეტაციის ჩამოყალიბების შედეგად მოხდა მეტყველებისა და ენის გათიშვა. „სოსიურმა აღმოაჩინა ენა როგორც ასეთი: ერთდროულად მან უჩვენა, რომ მისი დროის ლინგვისტიკა სწავლობდა არა ენას, არამედ მეტყველებას და ამით გვერდს უვლიდა თავის ერთადერთ ნამდვილ საგანს“².

სოსიურმა შექმნა სტრუქტურული ენათმეცნიერება ანუ Gestalllinguistik, რომელიც დაუპირისპირდა კლასიკურ ენათმეცნიერებას.

სოსიურის სინქრონიული ლინგვისტიკა დაუპირისპირდა ნეოგრამატიკოსების ისტორიზმსა და ატომიზმს. ენის სინქრონიული ანალიზი სრულიად გამორიცხავდა ისტორიულ მიდგომას. ენა განიხილებოდა, როგორც სისტემა „თავის თავში და თავისთვის“. სოსიურის აზრით, ისტორიული, დიაქრონიული მიდგომა ენისადმი არღვევდა ენის სისტემურ ხასიათს, მის მთლიანობას.

სოსიურის ენის ახალი მოძღვრება ძირითადად ჰერმან პაულის ისტორიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ენა პაულთან განიხილება როგორც მუდმივად ცვალებადი ფენომენი. „ენათმეცნიერება პაულისათვის ენის ისტორიაა; არა ისტორიული არამეცნიერულია; თუ არა ისტორიული მაინც მეცნიერულია — ეს ნიშნავს, რომ ესაა უსრული ისტორიული“³.

ჰერმან პაულის „ატომიზმი“ მეტყველების ცალკეულ ფაქტთა შესწავლაში მდგომარეობს. „ისტორიული ქმნადობის პირობების გამორკვევა ზოგად ლოგიკასთან ერთად ქმნის მეთოდოლოგიის საფუძველს, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ თითოეული ფაქტის ცალკე დადგენიას“ — წერს პაული თავის ძირითად ნაშრომში: „ენის ისტორიის პრინციპები“⁴.

პაული მიათხოვს პირველ რიგში ცოცხალი ენების შესწავლას. მისი აზრით, ცოცხალ ენებში უფრო მკაფიოდ დაჩნდება ენის განვითარების კანონზომიერებანი. პაულის შესასწავლ ობიექტს ცოცხალი მეტყველება წარმოადგენს. აქ არა გვაქვს სოსიურისეული დაყოფა მეტყველებად ღვ ენად. დიდი ყურად-

¹ Л у и Е л ь м с л е в, Метод структурного анализа в лингвистике, Acta Linguistica, 1950, vol. VI, გვ. 57.

² Л у и Е л ь м с л е в, Язык и речь: В. А. Звегинцев, История языкознания XIX — XX веков в очерках и извлечениях, 1965, ч. II, გვ. 111.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ვ ა, ზოგადი ენათმეცნიერება, II. ძირითადი პრობლემები, თბილ., 1945, გვ. 52.

⁴ Г. П а у л ь, Принципы истории языка, Москва, 1960, გვ. 27.

ლება ეთმობა ცალკეულ ფონეტიკურ კანონებს. „ამ კანონთა რიცხვი მუდმივად იზრდება; ისინი რთულდებიან სულ უფრო და უფრო სპეციფიკური პირობების (ადგილის, დროის, ელემენტთა შეხამების) დამატებით. ამ კანონებს ენიჭება აბსოლუტური ხასიათი“⁵.

იელმსლევისა და ულდალის „გლოსემატიკა“ პორ-როიალის რაციონალური გრამატიკის მოდერნიზებულ სახეს წარმოადგენს.

პორ-როიალის გრამატიკა დეკარტეს რაციონალისტური ფილოსოფიის საფუძველზე აღმოცენდა. მისი ავტორებია ანტუან არნო და კლოდ ლანსლო, პორ-როიალშივე გამოსცა არნომ ნიკოლთან ერთად ლოგიკა.

პორ-როიალის ზოგადი გრამატიკა ძირითადად ემყარებოდა იმ პრინციპებს, რომლებიც დეკარტემ ჩამოაყალიბა „მეთოდის შესახებ მსჯელობაში“. ამ გრამატიკაში გამოყენებული იყო დეკარტეს მიერ შემუშავებული ლოგიკურ-მათემატიკური მეთოდი. სწორედ კარტეზიანული ფილოსოფიის ნაკლმა. ცდისაგან განდგომამ და დედუქციამ იჩინეს თავი და მოგვეცა ამგვარად ენის ისეთი განხილვა, რომელიც არსებითად სქოლასტიკური თვალსაზრისის მკაცრი იყო“⁶, წერს არენსი ზოგადი გრამატიკის შესახებ.

არნოსა და ლანსლოს „ზოგად ანუ რაციონალურ გრამატიკაში“ არის ცდა მოცემულ იქნეს ყველა ენის ზოგადი კატეგორიები. მაგრამ ავტორები კმაყოფილდებიან მხოლოდ ბერძნული, ლათინური და ფრანგული ენების განხილვით. ავტორების აზრით, საკმარისია ამ სამი ენის ანალიზი, რომ მივიღოთ ყველა ენის ლოგიკური არსი.

რაციონალურ გრამატიკაში ენობრივი კატეგორიები ლოგიკური კატეგორიების გამოხატვის საშუალებაა.

„რაციონალური გრამატიკა ყველა თავისი ფილოსოფიური დებულებების მიუხედავად სწავლობდა მხოლოდ წერალობით ენებს, თავისი ბუნებით ნორმატიული იყო და, რაც მთავარია, თავის თავს თვლიდა „ხელოვნებად“: „La grammaire est l'art de parler“ „გრამატიკა—მეტყველების ხელოვნება“⁷.

შემდგომი ეპოქის ფილოსოფიური გრამატიკები არნოსა და ლანსლოს რაციონალური გრამატიკის დიდ გავლენას განიცდიდნენ.

„პორ-როიალის გრამატიკის ზოგადი დებულებები დიდი ხნის განმავლობაში აქსიომებს წარმოადგენდნენ გრამატიკაში“⁸.

პორ-როიალის ზოგადი გრამატიკა მოწვევითი იყო ენათა მრავალფეროვნებას, მათ ემპირიულ სპეციფიკას. ამდენად ის აბსტრაქტულ სასაათს ატარებდა.

⁵ В. Б р ъ д а л ь, Структуральная лингвистика: В. А. З в е г и н ц е в, История языкознания XIX—XX веков..., გვ. 94—95.

⁶ H a n s A g e n s, Sprachwissenschaft. Freiburg/München, 1955, გვ. 73. არნ. Ч и н о б а в а, Рациональная грамматика — искусство или наука? II Объединенная научная сессия Азербайджанского, Ереванского и Тбилисского университетов, посвящ. 1500-летию Тбилиси, 1958, Тезисы докладов, გვ. 104.

⁷ Р. Ш о р, Послесловие к истории языкознания до конца XIX века Томасна, Москва, 1938, გვ. 112.

„რაციონალურ გრამატიკაში პირველად დასაბუთდა ლოგიციზმი, როგორც სტატიკური ანალიზის პრინციპი“⁹.

რაციონალური გრამატიკის ლოგიციზმი დაედო საფუძვლად კოპენჰაგენის სკოლის წარმოშობას.

კოპენჰაგენის სტრუქტურალიზტური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ბრუნდალი თავის საპროგრამო წერილში: „სტრუქტურული ლინგვისტიკა“ აღნიშნავს: „მთელ რაგ მეცნიერებებში გაჩნდა აუცილებლობა შესაწაველი ობიექტის შიგნით რაციონალური კავშირების უფრო მჭიდროდ დაკავშირებისა. თითქმის ყველგან მიდიან იმ დასკვნაზე, რომ რეალური უნდა შეიცავდეს თავის მთლიანობაში მჭიდრო კავშირს, განსაკუთრებულ სტრუქტურას (ფაქიზს ანუ ბოქკოვანს. ბალფურას ორიგინალური გამოთქმის მიხედვით). ასე, მაგალითად, ფართოდ იქნა გამოყენებული კიუვიეს ღრმა და ორიგინალური იდეები ნიშანთა კავშირის ანუ თვისებათა აუცილებელი ურთიერთგანპირობებულობის შესახებ, რომლებიც ქმნიან მოცემულ გვარს“¹⁰.

XVIII—XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი ბიოლოგი ჟორჟ ლეობოლდ კრეტენ ფრედერიკ დაგობერ კიუვიე შედარებითი ანატომიის ფუძემდებლად ითვლებოდა.

კიუვიე სასტიკი მოწინააღმდეგე იყო ევოლუციონიზმისა. მისთვის ამოსავალია შესაწაველი ობიექტის სტატიკური ანალიზი.

კიუვიე ცოცხალ არსებათა ორგანიზმების სტრუქტურას იკვლევდა. მისი აზრით, ამ ცოცხალ არსებათა ყოველ ორგანოს თავისი განსაზღვრული ფუნქცია აქვს: „მთელი ორგანული არსება ქმნის მთლიანობას, ერთიან და დახშულ სისტემას, რომლის ნაწილები ურთიერთკავშირში არიან და ერთსა და იმავე განსაზღვრულ ქცევაზე ერთად მოქმედებენ საერთო რეაქციით. არც ერთ ამ ნაწილთაგანს არ შეუძლია ცვლილება ისე, რომ სხვა ნაწილებზე იცარ შეიცვალოს. ყოველი ნაწილი ასახავს ყველა დანართს“¹¹ (ხაზი ჩემია — ი. რ.).

როგორც ვხედავთ, სტრუქტურის ბრწყინვალე განსაზღვრას იძლევა კიუვიე. ამდენად გასაგებია ის ფაქტი, რომ ბრუნდალი მას სტრუქტურალიზმის წინამორბედად აღიარებს.

კორელაციის ცნება, რომელიც ორგანული არსების დაადგენად გამოიყენებოდა კიუვიესთან, ლინგვისტიკაშიც დამკვიდრდა საფუძვლიანად. „კიუვიეს აზრით, კორელაციის ცნება მთავარ როლს თამაშობს ყველა რაციონალურ მეცნიერებაში, როგორც ბიოლოგიაში ისე მათემატიკაში. მან ლინგვისტიკაშიც მოიპოვა დიდი მნიშვნელობა“¹².

XX საუკუნეში სტრუქტურის ცნება მარტო ლინგვისტიკის კუთვნილებას არ წარმოადგენს. იგი ლინგვისტიკაზე ადრე მკვიდრდება ფიზიკასა და ფსიქოლოგიაში.

⁹ არ. ჩ. ი. ქ. ბ. ა. ვ. ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, გვ. 279.

¹⁰ В. Б р ѐ н д а л ь. Структуральная лингвистика, გვ. 97.

¹¹ C u v i e r. Discours sur les révolutions de la surface du globe. მეხუთე გამოცემა, პარიზი, 1828, გვ. 95. მომზავს კასირის წერილიდან: Structuralism in modern linguistics. Word, vol. I, № 2, 1945, გვ. 107.

¹² V i g o B r ѐ n d a l, Theorie des prépositions. Copenhagen, 1950, გვ. 44.

„...სტრუქტურალიზმი არ არის განცალკევებული ფენომენი; პირიქით, ეს არის აზროვნების საერთო ტენდენციის გამოხატულება ამ უკანასკნელ ათეულ წლებში, რომელიც სულ უფრო და უფრო გამოიყვება მეცნიერული კვლევადიების თითქმის ყველა სფეროში“¹³. ამ ფაქტზე მიუთითებს ვიგო ბრონდალი: „ფიზიკის თეორიაში, რომლის არაჩვეულებრივი მიღწევები XX საუკუნეში კარგადაა ცნობილი (სარაჩვეულებრივი თავისი გამაერთიანებელი ძალით მეცნიერების შიგნით და თავისი განსაკუთრებული ფილოსოფიური ინტერესით), შეისწავლება დღეს არა მარტო კრისტალებია და ატომების სტრუქტურა, არამედ სინათლისაც. შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოლოგიაშიც სტრუქტურის ცნება (გერმ. Gestalt, ინგლ. Pattern) ყურადღების ცენტრში დგას“¹⁴.

როდესაც ბრონდალი თანაშემდროვე ფიზიკის არსს ეხება, მას მხედველობაში ჰყავს პირველ ყოვლისა გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური თეორიის ფუძემდებელი მაქს პლანკი.

მაქს პლანკი, როგორც თვითონ აღნიშნავს, ყოველ ფარდობით მოვლენაში ყოველთვის აბსოლუტურს, ინვარიანტულს ეძებდა. მან მიკროობიექტების დაბეჭდვითი კვლევის შედეგად აღმოაჩინა მუდმივი ერთეული კვანტი, რომელიც ყოველგვარი პროცესების დროს ინარჩუნებს თავის აბსოლუტურობას. ამით საფუძველი ჩაეყარა ახალ ფიზიკას¹⁵.

მაქს პლანკის მიერ დაფუძნებული კვანტური თეორია განავითარეს ბრონდალის თანამემამულემ, ჩვენი დროის გამოჩენილმა ფიზიკოსმა ნილს ბორმა და გერმანელმა ფიზიკოსმა, კვანტური მექანიკის, ველის კვანტური თეორიისა და ბირთვული თეორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ვერნერ ჰაიზენბერგმა.

ჰაიზენბერგი თავის წიგნში „ფიზიკა და ფილოსოფია“ სტრუქტურალისტურ თვალსაზრისს ავითარებს: „... სამყარო იყოფა არა ობიექტების სხვადასხვაგვარ ჩვეულებად, არამედ კავშირების განსხვავებულ ჩვეულებად“¹⁶.

ჰაიზენბერგი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აღრეული ხანის ბუნებისმეტყველებას შესასწავლი ობიექტების მხოლოდ თვისობრივი მხარე აინტერესებდა. ეს ობიექტები განიხილებოდა როგორც განსხვავებული ბუნების მქონე, სხვადასხვა ნივთიერებებისაგან წარმოქმნილი. „ახლა ჩვენ ვიცით, წერს ჰაიზენბერგი, რომ საბოლოო ჯამში ყოველთვის გვაქვს ერთი და იგივე ნივთიერება, განსხვავებულის ერთი და იგივე ქიმიური შეერთებანი, რომლებსაც შეუძლიათ შევიდნენ ყოველი ნებისმიერი ობიექტის — მინერალების, ისე როგორც ცხოველებსა და მცენარეების შემადგენლობაში. და ძალები, რომლებიც ნივთიერების სხვადასხვა ნაწილებს შორის მოქმედებენ, არსებითად ერთგვარია განსხვავებულ ობიექტებში. რისი ნაპღვილად გარჩევაც შეიძლება, ეს არის გვაჩვენებენ ისა, რომლებიც უფრო მეტად არსებითია გარკვეული მოვლენებისათვის... ამ თვალსაზრისის მიხედვით, სამყარო წარმოგვიდგება პროცესების რთული ხლართის სახით, რომელშიაც სრულიად განსხვავე-

¹³ Ernst A. Cassirer, Structuralism in modern linguistics. გვ. 120.

¹⁴ В. Б р ё н д а л ь, Структуральная лингвистика, გვ. 97.

¹⁵ იხ. М а к с П л а н к, Сборник к столетию со дня рождения Макса Планка, Москва, 1958. M a x P l a n c k zum Gedenken. Berlin, 1959. М а к с П л а н к, О сущности света. Одесса, 1922.

¹⁶ В. Г е й з е н б е р г, Физика и философия, Москва, 1963, გვ. 81.

ბულიკავშირები იცვლება, ერთმანეთს კვებთს, ერთად მოქმედებს. და საბოლოო ჯამში ამ გზით განსაზღვრავს მთელი ხლართის სტრუქტურას¹⁷ (ხაზი ჩემია — ი. რ.).

ფსიქოლოგია მუდამ მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ლინგვისტიკასთან, ხშირად ესა თუ ის ფსიქოლოგიური თეორია განსაზღვრავდა, მიმართულებას აძლევდა ენათმეცნიერულ მოძღვრებას. ნეოგრაპატიკოსთა ენის თეორია ასოციაციონისტური თეორიის დიდ გავლენას განიცდიდა.

ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას დაუპირისპირდა გეშტალტფსიქოლოგია. რომელმაც ასოციაციონიზმის ატომიზმის მავივრად წამოაყენა „მთლიანობის ფსიქოლოგია“.

ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიაში ფსიქიკურის ანალიზის დროს ძირითადი ამოსავალი იყო ელემენტარული ხასიათის განცდა, უპარტივესი ფენომენი. ამ უპარტივესი ფენომენების, ელემენტების ურთიერთმიმართება ქმნიდა ალაპიანის ფსიქიკას. ამიტომ ასოციაციონისტურ ფსიქოლოგიას „ელემენტის ფსიქოლოგიასაც“ უწოდებდნენ.

დამირტი უზნაძე გეშტალტის ცნებას ასე განსაზღვრავს: „გეშტალტის სპეციფიკური თავისებულება ასეთია: იგი პირველადი განცდაა ელემენტებთან შედარებით და არა ნაწარმოები. ელემენტების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, რაც მთლიანის განცდა გაჩნდა: ელემენტი მთელის ელემენტია. მთელის გარეშე იგი, როგორც ელემენტი, არ არსებობს. ელემენტი მეორადი, ნაწარმოები განცდაა“¹⁸.

როგორც ვხედავთ, ვენდტის ატომისტური ფსიქოლოგიის საწინააღმდეგოდ. რომლის მიხედვითაც ალაპიანის მთელი სულიერი მოქმედება დაიყვანებოდა ცალკეულ უპარტივეს ელემენტებამდე, შეგარძნებებამდე, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებოდნენ დროსა და სივრცეში მხოლოდ მეზობლობისა და მსგავსების მიხედვით, გეშტალტფსიქოლოგიამ ეს ელემენტები მეორად მოვლენად მიიჩნია, ამოსავლად კი მთელი გამოაცხადა.

გეშტალტფსიქოლოგია ჩაისახა გერმანიაში 1912 წელს. მისი წარმომადგენლები არიან ვერტჰაიმერი, კელერი, კოფკა, მეტცგერი, ლევინი, რუბინი, ღუნკერი, კაცი, მიშოტი და სხვ.

გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ გეშტალტფსიქოლოგიის წარმომადგენლები ამერიკაში გადასახლდნენ. აქ მოხდა გეშტალტფსიქოლოგიისა და ბიჰევიორიზმის შერწყმა, რამაც წარმოშვა ნეობიჰევიორიზმი.

გეშტალტფსიქოლოგია სტრუქტურული ფსიქოლოგიაა. „სტრუქტურული ფსიქოლოგიის ძირითადი დებულება შემდეგში მღგომარეობდა: აღქმში მოცეპულია მთელი და არა ნაწილები. ეს მთელი არ არის ნაწილთა (შეგარძნებათა) ჯამი, არაჲედ რალაც პირველადი და უშუალოდ მოცეპული“¹⁹.

კოჲენჲაჲენის სტრუქტურალიზმი ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფ ნეოგრაპატიკოსთა თეორიის უგუღვებუღყოფით ჩაისახა.

¹⁷ В. Гейзенберг, *დასახ. შრ.*, გვ. 91—82.

¹⁸ ღ. უ ზ ნ ა ძ ე, *ზოგადი ფსიქოლოგია*, თბილისი, 1940, გვ. 241.

¹⁹ А. С. Ч и к о б а н а, *Проблема языка как предмета языкознания*, Москва, 1959, გვ. 152. იხ. აგრეთვე ა. ბო ჭ ი თ რ ი შ ვ ი ლ ი, *ფსიქოლოგიის პრიციპული საკითხები*, ნაწ. მეორე, თბილისი, 1959.

კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმმა ნეოგრამატიკოსების ატომიზმს დაუპირისპირა მთლიანი, სტრუქტურა. გეშტალტი. ამიტომ დასაწყისში მას „გეშტალტლინგვისტიკასაც“ უწოდებდნენ.

კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმი ენაში ლოგიკურს, უნივერსალურს, კონატანტურს ეძებს. ლოგიკური ასპექტის წინ წამოწევა იწვევს ანტოფსიქოლოგიის ტური ტენდენციების განვითარებას. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა დეკარტეს დედუქციურმა ფილოსოფიამ. ედმუნდ ჰუსერლის „წმინდა“ ლოგიკამ და ნეოპოზიტივიტების: რასელის, უაიტჰედისა და კარნაპის ეპისტემოლოგიამ. ბრუნდალი აღნიშნავს, რომ „ჰუსერლის ღრმა აზრები ფენომენოლოგიის შესახებ შთაგონების წყაროდ იქცევა ყველა მეცნიერისათვის, ვინც მეტყველების ლოგიკას შეინწავის“²⁰.

ედმუნდ ჰუსერლმა ჩაუყარა საფუძველი წმინდა, დედუქციურ ლოგიკას, მისი „ლოგიკური გამოკვლევების“ (Logische Untersuchungen) პირველი ტომი. რომელიც ჰალემი გამოვიდა 1900 წელს. მიმართული იყო ჯონ სტიუარტ მილსის ინდუქციური, ემპირისტული ლოგიკის წინააღმდეგ. მილსის ლოგიკა გაბატონებული იყო მე-19 საუკუნეში.

მილსს აზრით, ლოგიკას არ ძალუძს იკვლიოს უნივერსალური კანონები, ის უნდა ემყარებოდეს იმ კანონებს, რომლებიც ჩვენი ფიზიკური გარემოს ასახეას წარმოადგენენ. ამ აზრებს ავითარებს ის თავის ცნობილ ნაშრომში „ლოგიკის სისტემა“.

მილი ილაშქრებს აპრიორული ცოდნის წინააღმდეგ. თავის მოძღვრებას სილოგიზმების შესახებ ის აფუძნებს ინდუქციურ მეთოდებზე.

ედმუნდ ჰუსერლის აზრი სრულიად საწინააღმდეგოა. მისი აზრით, ლოგიკური ჰეშმარიტება ფორმალურია და არა მატერიალური. ის არ ექვემდებარება ემპირიული სამყაროს პირობებს, ის უნივერსალურია და აუცილებელი. ის ეძებს შემეცნების ფორმის არსს და არა შემეცნების შინაარსს. ეძებს წმინდა ფორმალურ და არა მატერიალურ განაზღვრებებს, ჰეშმარიტებებსა და კანონებს.

ჰუსერლის წმინდა ლოგიკა თანამედროვე ლოგისტიკის წინაპორბედია. მან ფორმალური არითმეტიკის კვლევას ხანგრძლივი დრო მოანდომა. „განსაკუთრებული სიძნელენი განვიცადე მე. როდესაც ფორმალური არითმეტიკის ლოგიკურ გამოკვლევას შევუდექი... ამ შრომამ მიმიყვანა მე ზოგადი ხასიათის მოსაზრებებთან, რომლებიც ვიწრო გაგებით სცალდებიან მათემატიკის სფეროს და რომლებიც მიისწრაფვიან ფორმალურ დედუქციურ სისტემათა საერთო თეორიისაკენ“, — წერს ჰუსერლი თავისი „ლოგიკური გამოკვლევების“ პირველ ტომში²¹.

ამ ფორმალურ დედუქციურ სისტემათა ზოგად თეორიას პირდაპირი კავშირი აქვს გლოსემატიკასთან. „თეორია არის ის, რასაც ეწოდება წმინდა დედუქციური სისტემა იმ გაგებით, რომ მხოლოდ მას შეუძლია გაპოყენებულ იქნეს იმ შესაძლებლობათა აღრიცხვისათვის, რომლებიც მისი წანამძღვრებიდან გამომდინარეობენ“²².

²⁰ В. Брэндалль, Структуральная лингвистика, гл. 100.

²¹ Э.д. Гуссерль, Логические исследования, ч. I, 1909, СПб, гл. V.

²² Louis Hjelmslev, Prolegomena to a Theory of Language, 1953, гл. 14.

ედმუნდ ჰუსერლის აზრით. არ შეიძლება ლოგიკის, როგორც ზედროულის. საფუძველი იყოს ფსიქოლოგიური შექცენება, რომელიც დროებითს, განვითარებადს მოულოდნელს ეყრდნობა. ფსიქოლოგიის საგანია აზროვნება როგორც პროცესი. ხოლო ლოგიკია — არა თვით აზროვნება, არამედ ის, რაც მასში მოიაზრება.

„ლოგიკური გამოკვლევების“ პირველი ტომი მთლიანად მიძღვნილია ლოგიკაში დაკვიდრებული ფსიქოლოგიზმის კრიტიკისადმი. ჰუსერლის აზრით, ფსიქოლოგია არის ცდისეული მეცნიერება, რომელიც ემყარება ფაქტებს. ამიტომ მისი კანონები არ არის ზუსტი, ისინი მხოლოდ მიახლოებითი ბუნების არიან. აქამდე ფსიქოლოგია ჯერ კიდევ მოკლებულია ნამდვილ და ზუსტ კანონებსა და დებულებებს. რომლებსაც ის კანონების სახელწოდებას ანიჭებს. თუმცა ძალიან ფასეულია, მაგრამ მაინც მხოლოდ მიახლოებითი განზოგადებებია ცდისა“²³.

ედმუნდ ჰუსერლის ანტიფსიქოლოგიზმს ეხმაურება კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმის ლოგიციზმი.

ჰუსერლის აზრით, ლოგიკას აქვს ფსიქოლოგიისაგან განსხვავებული კვლევის თავისი სპეციალური სფერო და ჰუსერლი იწყებს „წმინდა“ ლოგიკის შენებას. იგი მიზნად ისახავს წმინდა აზრი გაიხადოს კვლევის ობიექტად. ამის გამო ჰუსერლი გამოყოფს და ერთმანეთისაგან ასხვავებს ლოგიკურს, ფსიქიკურსა და ენობრივს. მისი აზრით, ფსიქიკურისა და ენობრივის საფუძველს ლოგიკური წარმოდგენს და ამდენად „წმინდა“ ლოგიკა „მეცნიერებათა მეცნიერებად“, „თეორიის თეორიად“ გამოცხადებული.

„წმინდა“ ლოგიკა განსაზღვრავს და წინასწარ აწვდის ყველა მეცნიერებას მათ თეორიულ საფუძველს. გრამატიკის საფუძველად გამოცხადებულია აპრიორულ-ნომოლოგიური მეცნიერება ანუ „წმინდა“ ლოგიკა, რომლიდანაც გრამატიკა იძენს თეორიულობას.

მაგრამ წმინდა აზრი, როგორც ლოგიკის შესწავლის საგანი, ცდაში უშუალოდ არ გვეძლევა. იგი უშუალოდ სხვა ფენომენალურ თეიანებებთან და მოვლენებთან არის წარმოდგენილი. ამიტომ საჭიროა წმინდა აზრი განთავისუფლდეს ენობრივი გარისისაგან და ფსიქიკური განცდებისაგან, რომლებიც თან ახლავს აზროვნებას და ქმნიან ფენომენოლოგიურ ერთიანობას.

აქედან იწყება ჰუსერლის ფენომენოლოგიური ანალიზი, რომლის შედეგადაც ის ადგენს მნიშვნელობის წმინდა ფორმებს, რომლებიც გრამატიკულ კატეგორიებს უდევთ საფუძველად და მათ უკან იმალებიან.

„თანამედროვე გრამატიკა ფიქრობს, რომ მხოლოდ ფსიქოლოგიაზე და სხვა ემპირიულ მეცნიერებებზე უნდა იქნეს აგებული. ამის საპირისპიროდ ჩვენ ვაძღვებთ შეხედულებას, რომ ზოგადი და, სახელდობრ, აპრიორული გრამატიკის ძველი იდეა უდავო საფუძველსა და კანონიერების გარკვეულად შემოფარგულ სფეროს იძენს იმით, რომ ჩვენ დაეასახუთეთ მნიშვნელობის აპრიორული, ყოველგვარი შესაძლებელი ფორმების განმსაზღვრელი კანონები“²⁴.

ედმუნდ ჰუსერლის პლატონიზმი ზურგს უმაკრებს კოპენჰაგენის სკოლის ლოგიციზმს.

²³ Э. Д. Гуссерль, Логические исследования, гл. 51.

²⁴ Edm.-Husserl, Logische Untersuchungen, Halle, 1922, B. II, гл. 295.

ყველაზე დიდი გავლენა გლოსემატიკაზე და საერთოდ კონცეპტუალისტიკაზე სტრუქტურალისტიკურ სკოლაზე თანამედროვე ნეოპოზიტივიზმმა მოახდინა.

ლუი ელმსლერი თავის წერილში „სტრუქტურული ანალიზის მეთოდი ლინგვისტიკაში“ აღნიშნავს: „ენათმეცნიერებაში სტრუქტურულ მეთოდს მკიდრო კავშირი აქვს გარკვეულ მეცნიერულ მიმართულებასთან, რომელიც ენათმეცნიერებისაგან სრულიად დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა და აქამდე ენათმეცნიერების მიერ არც თუ ისე საკმაოდ არის შექმნილი, კერძოდ ენის ლოგისტიკურ თეორიასთან, რომელიც წარმოიშვა მათემატიკური მსჯელობებიდან და რომელიც განსაკუთრებით დამუშავებულია უაიტჰედისა (Whitehead) და ბერტრან რასელის (Bertrand Russel) მიერ, აგრეთვე ვენის ლოგისტიკური სკოლის, სპეციალურად კარნაპის (Carnap) მიერ, რომელიც აქამდე ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორია და რომლის უკანასკნელ ნაშრომებს სინტაქსისა და სემანტიკის შესახებ უცილობელი მნიშვნელობა აქვს ენის ლინგვისტიკური შესწავლისათვის“²⁵.

ნეპოზიტივიზმი ახალი მიმართულება არ არის ფილოსოფიაში. ფილოსოფიის ისტორიის მანძილზე ის რამდენჯერმე აღორძინებულა. ამიტომ მას „მესამე პოზიტივიზმსაც“ უწოდებენ.

ნეპოზიტივიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ბერტრან რასელი მას „ანალიზურ ემპირიზმს“ უწოდებს. „თანამედროვე ანალიზური ემპირიზმი განსხვავებულია ლოკის, ბერკლისა და იუმის ანალიზური ემპირიზმისაგან იმით, რომ ის შეიცავს თავისში მათემატიკას და ავითარებს მძლავრ ლოგიკურ ტექნიკას. ამდენად მას უნარი შესწევს მიაღწიოს გარკვეული საკითხების განსაზღვრულ პასუხებს, რომელთაც მეცნიერების ხასიათი აქვთ და არა ფილოსოფიის“²⁶.

ნეპოზიტივიზმის მიხედვით, შემეცნების საკანს ცლაში მოცემული ფაქტები უნდა წარმოადგენდეს. ამ დადებით ფაქტებს ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგები შეისწავლის. ამ ემპირიულ მეცნიერებათა მიერ მოპოვებულ ფაქტთა, ცნებათა და წინადადებათა რეგულირებას, დადგენას ახდენს ნეპოზიტივიზმი მათი ქეშმარიტობა-მცდარობის მიხედვით.

ნეპოზიტივიზმი ბერკლის ნომინალიზმის აღორძინებას წარმოადგენს. მეცნიერული ცოდნა, სამყაროს შემეცნება დაყვანილია ენის სინტაქსამდე. რომლის სტრუქტურის კვლევაც ლოგისტიკის მიზანს წარმოადგენს.

„ზოგიერთმა მეცნიერმა, განსაკუთრებით კარნაპმა, წამოაყენა თეორია, რომ ყველა ფილოსოფიური პრობლემა სინამდვილეში არის სინტაქსური. და თუ სინტაქსში მოვიშორებთ შეცდომებს, მაშინ ყოველი ფილოსოფიური პრობლემა გადაწყვეტილი იქნება სინტაქსის საშუალებით. ან იქნება ნაჩვენები მისი გადუწვევებულობა“²⁷.

მათემატიკური მეთოდების შემოტანა ლოგისტიკაში მეცნიერული ცოდნის, სამყაროს მეცნიერული სურათის ზუსტი აღწერის მოთხოვნის მიხედვით არის გამოწვეული. „თანამედროვე ფორმალური ლოგიკა ისწრაფვის რაც შეიძლება უფრო დიდი სიზუსტისაკენ. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ზუსტი

²⁵ Л. Ельмслер, Метод структурного анализа в лингвистике. Acta Linguistica, 1950, vol. VI, pp. 63.

²⁶ Бертран Рассел, История западной философии, 1959, гл. 836.

²⁷ იქვე, გვ. 811.

ენის საშუალებით, რომელიც აგებულია მყარი თვალსაჩინოდ აღსაქმელი ნიშნებისაგან. ასეთი ენა აუცილებელია ყველა მეცნიერებისათვის... თანამედროვე ფორმალური ლოგიკა დიდ ყურადღებას უთმობს ენის სიზუსტეს. რასაც ფორმალურში ეწოდება, არის ამ ტერმინის შედეგი“ წერს თავის წიგნში „არისტოტელეს სილოგისტიკა თანამედროვე ფორმალური ლოგიკის თვალსაზრისით“ ცნობილი პოლანელი ლოგიკოსი იან ლუკასევიჩი²⁸.

სიმბოლური ლოგიკა აქტიომატურ მეთოდოლოგიას ემყარება. ის იღებს დასაბუთების გარეშე საწყის დებულებებს, რომელთაგანაც შემდეგ დედუქციურად გამოჰყავს მეცნიერული ცოდნა.

თუ არისტოტელესთან და დეკარტესთან აქსიომების დაფუძნება ევიდენტური შემეცნების საფუძველზე ხდებოდა, ლოგისტიკაში დედუქციური სისტემის აგება ნებისმიერად შერჩეული პოსტულატების საშუალებით ხდება.

ლოგისტიკაზე დიდი გავლენა მოახდინა პუანკარეს კონვენციონალისტურმა თეორიამ. ამ თეორიის თანახმად, მეცნიერული სისტემის ასაგებად შეგვიძლია, ჩვენი არჩევანის მიხედვით, ნებისმიერ პოსტულატებზე დაყრდნობა.

რასელის შემეცნების თეორიაში ასეთ აქსიომებს მინიმალური ლექსიკონი წარმოადგენს. ეს არის ნებისმიერად შერჩეული განუსაზღვრელი ტერმინები, რომელთაგან შემდეგ დედუქციურად აიგება მეცნიერული ცოდნა.

მინიმალური ლექსიკონის ნებისმიერობა გამოიხატება იმაშიც, რომ ჩვენ შეგვიძლია მისი შეპყრება მეცნიერული სტრუქტურის ცვლასთან ერთად.

რასელი, როგორც ყველა ნეოპოზიტივისტი, სუბსტანციას უარყოფს. მისი აზრით, შემეცნება უნდა აიგოს არა რეალურ საგნებზე და ობიექტებზე დაყრდნობით. არამედ წმინდა მიმართებებზე, რომლებიც გამოირიცხავენ ყოველგვარ საცნობრივს.

ამდენად შემეცნების ობიექტს წარმოადგენს სტრუქტურა, რომელიც მიმართებებისაგან შედგება. „სტრუქტურის ანალიზი, თუგინდ მთლიანი, ვერ გეტყვით თქვენ ყველაფერ იმას, რაც თქვენ გსურთ გაიგოთ ობიექტის შესახებ. ის გეტყვით თქვენ მხოლოდ იმას, თუ როგორია ობიექტის ნაწილები და როგორ ურთიერთობაში არიან ისინი ერთმანეთთან. მაგრამ ის ვერაფერს ვერ გეტყვით ობიექტის მიმართებაზე ობიექტებთან, რომლებიც არ არიან მისი ნაწილები ან კომპონენტები“²⁹.

საინტერესოა რასელის თვალსაზრისი სტრუქტურის შესახებ, რადგან მას მკიდრო კავშირი აქვს სტრუქტურის კოპენჰაგენის სკოლისეულ გაგებასთან.

კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის თეორეტიკოსების, იელმსლევის, ულდალისა და ბრონდალის შეხედულებანი ენის ამა თუ იმ საკითხზე ზოგჯერ საუსებით არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლის თეორიული საფუძვლების შექმნაში მათ ზოგად დებულებებს საერთო და მსგავსი ხასიათი აქვთ.

კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის მთავარი მიზანია დაძლიოს ტრადიციული ვიწრო პოზიტივიზმი.

ამ ახალი ლინგვისტური კონცეფციით ჩვენ დავალებულნი ვართ არა მართო სოსიურისაგან, არამედ სხვა მეცნიერებისაგანაც, რომელთა შორისაც ბო-

²⁸ Я. Л у к а с е в и ч, Аристотелевская силлогистика с точки зрения современной формальной логики. 1959, გვ. 52.

²⁹ Б. Р а с с е л, Человеческое познание, 1959, გვ. 285.

დუნ და კურტენეს საპატიო ადგილი უჭირავს; ეს კონცეფცია ააშკარავებს მნიშვნელოვან და ცხად უპირატესობებს. ის კარგად აღწევს თავს სიძნელეებს, რომლებიც ვიწრო პოზიტივიზმისათვის არის დამახასიათებელი და ითვისებს რკვეობის, ერთიანობისა და მთლიანობის იდეებს, რომლებაც გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ და თამაშობენ მეცნიერების განვითარებაში³⁰.

ძირითადი და გადაწყვეტი მნიშვნელობა ამ სკოლაში ენიჭება სინქრონიულ ასპექტს. მაგრამ ბრუნდალის მიხედვით, სინქრონია არ არის საე-ვებით დაცლილი დინამიკური მომენტისაგან.

„რაც შეეხება სინქრონიასა და დიაქრონიას შორის განსხვავებას, უნდა დავუშვათ, რომ დრო (ყოველი რაციონალიზმის შემთავრებელი) სინქრონიის შიგნითაც შედარდება. სინქრონიაში უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან სტატიური და დინამიკური მომენტები“³¹.

დიდი ყურადღება ექცევა სტრუქტურისა და მისი ელემენტების ურთიერთ-მიპართების პრობლემას. ბრუნდალის აზრით, სტრუქტურულ მიმართებათა საკითხი შესატყვისი მათემატიკური თეორიის საშუალებით უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

ღრმად შეისწავლება შემდეგი საკითხი: ყველგან გვხვდება თუ არა სტრუქტურები. ლინგვისტიკის ძველი პრობლემა ამორფულობისა კოპენჰაგენის სტრუქტურალისტებთან ახალ სახეს იღებს. ის მთელი თავისი სიღრმით არის გაშუქებული იელმსლევის გლოსემატიკაში. ფორმისა და სუბსტანციის ურთიერთობის წინა პლანზე წამოწევა სრულიად ახლებურად აყენებს ამ პრობლემას.

ახლებურად დგება ინდექციისა და დედექციის ხვედრითი წონის საკითხი ლინგვისტიკის კვლევის დროს. წინ წამოიწევა დედექცია.

ზუსტ მეცნიერებათა სწრაფი ზრდა, კერძოდ მათემატიკის მეთოდების გამოყენება ბუნებისმეტყველების რიგ დარგებში ლინგვისტიკისათვისაც ახალ პერსპექტივებს შლის. საჭიროა რეალობის არა როგორც საგანთა ერთობლიობის შესწავლა, არამედ სინამდვილისადმი და კერძოდ ლინგვისტიკის ფაქტებისადმი ფუნქციონალური მიდგომა ამ სიტყვის ფართო გაგებით. საჭიროა შესასწავლ ობიექტებს შორის დამყარებულ მიმართებათა შესწავლა და არა ამ ობიექტების სუბსტანციურ თვისებათა კვლევა.

იელმსლევი და ულდალი ცდილობენ ლინგვისტიკა ზუსტ მეცნიერებად აქციონ. ამდენად ლინგვისტიკამ ცვლილებებსა და გამოჩაყლისებს კი არ უნდა მიაქციოს ყურადღება, არამედ მან „უნდა ეძიოს მუდმივი, რომელიც არ არის დაკავშირებული რაიმე არაენობრივ „სინამდვილესთან“, ის მუდმივი, რაც ენას ენად აქცევს, როგორც არ უნდა იყოს ის, და რაც აიგივებს ნებისმიერ კონკრეტულ ენას თავის თავთან მის ყველა სხვადასხვაგვარ გამოვლინებებში“³².

ასეთი ინტეგრალური მუდმივის ძიებას წინ აღუდგება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ვარკვეული ტრადიცია. რომელსაც ლინგვისტიკურ მეცნიერებაშიც აქვს დღემდე დასაყრდენი. პრინციპში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ტრადიცია უარყოფს ასეთი მუდმივის არსებობას და არც ცდილობს მის ძიებას შესასწავლ ობიექტში.

³⁰ В. Б р ъ н д а л ь, Структуральная лингвистика, გვ. 97—98.

³¹ იქვე, გვ. 99.

³² Л. Е л ь м с л е в, Прологомены к теории языка. Новое в лингвистике, I, Москва, 1960, გვ. 269.

იელმსლევნი ისტორიულ მეცნიერებაშიც მოითხოვს მკაცრ სისტემატიზაციას, სიზუსტეს. მისი აზრით, ისტორია უნდა იქცეს დედუქციურ მეცნიერებად. სადაც ყველა მოვლენა, ე. ი. ელემენტთა შესაძლებელი კომბინაციები წინასწარ განჭვრეტილი იქნება, ხოლო მათი განხორციელების პირობები დადგინდება წინასწარ.

იელმსლევნი აზრით, საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლა უნდა იქცეს მკაცრ მეცნიერებად.

თეზისი, რომ პროცესის საფუძველს გარკვეული სისტემა წარმოადგენს, უნდა გავრცელდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც. „ენა არის ობიექტი, რომლისთვისაც ამ თეზისის შემოწმების რეზულტატი უნდა იყოს დადებითი“³³, — დაასკვნის იელმსლევნი.

ლინგვისტური თეორიის მიზანია შეამოწმოს თეზისი, რომ არსებობს სისტემა. მუდმივი, რომელიც პროცესს, ცვალებადს უდევს საფუძვლად.

იმავე პრობლემას ეხება ულდალი ნაშრომში: „გლოსემატიკის საფუძვლები“. ისიც ავითარებს იმ აზრს, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა რიგებში მდგარი ლინგვისტიკა ჩამორჩა ფიზიკას და სხვა ზუსტ მეცნიერებას. ულდალი ცდილობს ამის მიზეზები და ფაქტორები დაძებნოს.

— დამოუკიდებელი მეცნიერება შეიძლება აიგოს მხოლოდ თვითშეზღუდვით, დროის ერთ მონაკვეთში მხოლოდ ერთი საქმის კეთების სურვილის წყალობით, იმ ფუნქციათა სიმრავლის მკაცრი შერჩევის წყალობით, რომლებიც აუცილებელია და საქმარისი არაწინააღმდეგობრივი აღწერისათვის, ე. ი. აბსტრაქციისათვის“³⁴.

ლინგვისტიკაში ენა აქამდე შეისწავლებოდა მის პერიფერიულ გამოკლინებებში. ენა ფილოლოგების მიერ გამოიყენებოდა როგორც საშუალება ტრანსცენდენტურ. თვით ენის გარეთ მდებარე მოვლენათა შესასწავლად. ენის თავისთავად. იმანენტურ სტრუქტურას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება.

გლოსემატიკამ ამ მხარეს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მის შესასწავლად ობიექტად იქცა წმინდა მიმართებები, რომლებიც ქმნიან ობიექტებს. ელემენტთა მიმართებები ქმნიან სისტემას. ენათმეცნიერების შესწავლის ობიექტს სისტემა უნდა წარმოადგენდეს. ეს სისტემა შეიძლება ნაირფეროვანი მანიფესტაციის სახეს იღებდეს, მაგრამ ლინგვისტისათვის ამოსავალია ის უცვლელი, მუდმივი სისტემა, რომელიც ყოველგვარი მანიფესტაციის უკან დგას. — თითქმის ბანალური ქეშპირიტება იქნება, თუ ჩვენ ვიტყვით, რომ დანიური ენა, იქნება ის ზეპირპეტყველებითი, ან წერილობითი, ან მორზუს ანბანით ტელეგრაფირებული, ან საერთაშორისო საზღვაო დროშების სიგნალიზაციით გადმოცემული. ყველა ამ შემთხვევაში რჩება იმავე დანიურ ენად და არ წარმოგედგება როგორც განსხვავებული ოთხი ენა. მართალია, მისი შემადგენელი ერთეული ყველა ამ ოთხ შემთხვევაში იცვლება, მაგრამ თვით მიმართებათა ჩონჩხი მათ შორის იგივე რჩება და სწორედ ეს გარემოება გვაძლევს ჩვენ შესაძლებლობას გამოვიცნოთ ენა; ამ რ ი გ ა დ, მი მ არ თ ე ბ ა თ ა ჩ ო ნ ჩ ხ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ს ა გ ა ნ ი, მაშინ რო-

³³ Л. Ельмслев, Прологомены к теории языка. Новое в лингвистике, I, Москва, 1960, гл. 270.

³⁴ Х. И. Ульдалль, Основы глоссематики. Новое в лингвистике, I, Москва, 1960, гл. 403.

ცა მიმართებათა ჩონჩხის კონკრეტულ გამოვლინებასა და მანიფესტაციას ენის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არ ექნება ამ სიტყვის მკაცრი გაგებით³⁵ (ხაზი ჩემია — ი. რ.).

ხდება მეტყველებისა და ენის სრული გათიშვა. ფერდინანდ დე სოსიურის მიერ დამკვიდრებული დიქტომია გლოსემატიკაში ჰპოვებს თავის დასრულებას.

სოსიურამდე ლინგვისტიკაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა მეტყველების ინდივიდუალურ აქტს. იკვლევდნენ ენის ცვლილებათა მიზეზებს. ენის ცვლილებათა მიზეზებად აღიარებული იყო გამოთქმათა სახეცვლილებანი, სტიქიური ფსიქიკური ასოციაციები, ანალოგია. მეტყველება დაიყვანებოდა ინდივიდუალური აქტების ჯამადღე.

„სოსიურმა, არსებითად აღმოაჩინა ენა როგორც ასეთი; ერთდროულად მან გვიჩვენა, რომ მისი დროის ლინგვისტიკა შეისწავლიდა არა ენას, არამედ მეტყველებას და ამათ გვერდს უვლიდა „თავის ერთადერთ ქეშმარტ საეანს“³⁶ (ხაზი ავტორისა).

ენა გლოსემატიკაში განიხილება: 1) როგორც წმინდა ფორმა, რომელიც განსაზღვრება მისი სოციალური განხორციელებისა და მატერიალური მანიფესტაციისაგან დამოუკიდებლად. 2) როგორც მატერიალური ფორმა, რომელიც განსაზღვრება მოცემულ სოციალურ რეალობაში, მაგრამ მანიფესტაციის დეტალებისაგან დამოუკიდებლად.

3) როგორც ჩვევათა ერთობლიობა. რომლებიც მოცემულ სოციალურ კოლექტივშია მიღებული და რომლებიც განისაზღვრებიან მანიფესტაციების ფაქტებით.

სქემა გლოსემატიკაში წარმოგვიდგება როგორც წმინდა ფორმა, ნორმა— როგორც ენის მატერიალური ფორმა, ხოლო უზუსი — როგორც ენის ჩვევათა ერთობლიობა³⁷.

გლოსემატიკა სოსიურის ძირითადი დებულებიდან ამოდის, რომ ენა არის ფორმა და არა სუბსტანცია.

ენა როგორც სქემა ერწყმის ბგერით მატერიას და ჩვენ ვიღებთ ენას როგორც ნორმას.

ნორმა გულისხმობს მეტყველების აქტსა და უზუსს და არა პირიქით. მეტყველების აქტი და უზუსი წინ უსწრებს ნორმას. ნორმა წარმოიქმნება მეტყველების აქტისა და უზუსისაგან და არა პირიქით.

მეტყველების აქტსა და უზუსს შორის გვაქვს ინტერდუქციონალი: ერთი გულისხმობს მეორეს³⁸.

ბევრი საერთოა სოსიურის ენის მოძღვრებასა და გლოსემატიკას შორის, მაგრამ მათი გაიგივება არ შეიძლება. როგორც თვით იელმსლევმა აღნიშნავს. მისი საკუთარი თეორიული მეთოდი უფრო ადრე ჩამოყალიბდა. ვიდრე ის სოსიურის თეორიას გაეცნობოდა³⁹.

³⁵ Л. Ельмслев, Метод структурного анализа в лингвистике. История языкознания XIX—XX веков, ч. II, гл. 103.

³⁶ Л. Ельмслев, Язык и речь. История языкознания XIX—XX веков, ч. II, гл. 111.

³⁷ იქვე, გვ. 113.

³⁸ იქვე, გვ. 116—117.

³⁹ Л. Ельмслев, Метод структурного анализа в лингвистике, гл. 107.

ლინგვისტიკა შეისწავლის ბუნებრივ ენებს. მაგრამ ენის შინაგანი სტრუქტურის შესასწავლად და დასადგენად ხელოვნური ენებიც გამოდგება. გლოსემატიკის მიხედვით: გვაქვს „ლინგვისტური“ და „არალინგვისტური“ ენები, „ლინგვისტური“ ენები გულისხმობს ბევრით ენებს, სოლო „არალინგვისტური“ სხვა დანარჩენს. ლინგვისტიკა, როგორც „ლინგვისტური“ ენების შესწავლელი მეცნიერება. ნაწილია უფრო ფართო მოცულობის მეცნიერებისა – სემიოლოგიისა. რომელიც სწავლობს ყველა ნიშანთა სტრუქტურებს. იელმსლევის აზრით. ენა ეს ისეთი სემიოტიკაა, რომელზედაც დაიყვანება ყოველი სხვა სემიოტიკური სტრუქტურა⁴⁰.

გლოსემატიკის თეორიული საფუძვლების, ენის პროლეგომენების ჩამოყალიბებაში იელმსლევმა სტრუქტურული თვალსაზრისით შეისწავლა სინთლის სიგნალური სისტემა ქუჩის გზაჯვარედინებზე მოძრაობის რეგულირებისათვის. მან დაადგინა ფართო სტრუქტურის შესატყვისობები გამოხატულების პლანში და მათი ფუნქციებისა შინაარსის პლანში. ამ თვალსაზრისით, მან შეისწავლა აგრეთვე ტელეფონის აპარატების დისკოები, ქალაქის დიდი საათები, მორზეს ანბანი. პატიმართა ანბანი და სხვ. ამ საკითხებზე მას სპეციალური ლექციები ჰქონდა ლონდონისა და ედინბურგის უნივერსიტეტებში.

ხელოვნური, „არალინგვისტური“ და ბუნებრივი „ლინგვისტური“ ენების სტრუქტურათა შესწავლის შედეგად იელმსლევმა ჩამოაყალიბა თითოეული ენის სტრუქტურის ხუთი ძირითადი ნიშანი:

1. თითოეული ენა შედგება შინაარსისა და გამოხატულებისაგან.
2. ენა შედგება თანმიმდევრული ტექსტისა და სისტემისაგან.
3. შინაარსი და გამოხატულება ურთიერთდაკავშირებულნი არიან კომპლექსის ძალით.
4. ტექსტში და სისტემაში გვაქვს გარკვეული მიმართებანი.
5. შესატყვისობანი შინაარსისა და გამოხატულებას შორის პირდაპირ არ ემთხვევიან ერთი პლანის გარკვეული ელემენტისა და მეორე პლანის გარკვეული ელემენტის შესატყვისობას. ენობრივი ნიშნები დაიყოფა უფრო მცირე ნაწილებად. ასეთ მცირე კომპონენტებს ანუ ფონემებს იელმსლევი უწოდებს გამოხატულების ტაქსემებს, რომელთაც შინაარსი არ გააჩნიათ, მაგრამ შეუძლიათ შეადგინონ შინაარსის მქონე ერთეულები⁴¹.

გლოსემატიკა შესასწავლი ობიექტის სრულ დემატერიალიზაციას ახდენს. „მატერიალ“, როგორც ასეთი, სრულიად არ მიიღება მხედველობაში, ასე რომ მსოფლიოს მეცნიერული კონცეფცია დაიგარამას უფრო წარმოადგენს, ვიდრე სურათს⁴².

უღდალი მეცნიერებებს ორ ჯგუფად ყოფს: კვანტიტატიურ და არაკვანტიტატიურ მეცნიერებებად. კვანტიტატიურია ჰუმანიტარული მეცნიერებანი. ხოლო არაკვანტიტატიური — ზუსტი მეცნიერებანი. მისი აზრით, „გლოსემატიკა უნდა დაეყარნოს არაკვანტიტატიურ ფუნქციებს“⁴³.

ენობრივ სტრუქტურათა შინაგან მიმართებათა დადგენა აუცილებლობით მოითხოვს იმანენტური ალგებრის შემუშავებას. სიმბოლური ლოგიკის მსგავ-

⁴⁰ Л. Ельмслев, Метод структурного анализа в лингвистике, гл. 109.

⁴¹ იქვე, გვ. 110.

⁴² Х. И. Ульялов, Основы глоссематики, гл. 400.

⁴³ იქვე, გვ. 414.

სად გროსემატიკა ენობრივი ტექსტის აღრიცხვითაა დაკავშირებული გროსემატიკურ ალგებრას.

„გროსემატიკური ალგებრა ბევრითაა დავალებული სიმბოლური ლოგიკისაგან. მაგრამ როგორც დაინახავთ ქვევით, ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავდება მისგან. ეს განსხვავებანი (მათი მოშორება შეუძლებელი იყო) ალბათ არხანება ან ორი მეცნიერების მიზანთა და აგების ამოხაველ წერტილთა სხვადასხვაობით. სიმბოლური ლოგიკა შეინაწავლის კლასებისა და გამოთქმების ურთიერთობებს, რომლებიც შეიძლება იყოს კემპარიტი ან მცდარი... გროსემატიკურ ალგებრას საქმე აქვს დახშულ სტრუქტურებთან... ეს ალგებრა არ არის იმისათვის გამოიზნული, რომ აწარმოოს ოპერაციები გამოთქმებზე ან კემპარტობა-მცდარობაზე“⁴⁴.

მაგრამ მხოლოდ ამით არ განსხვავდება სიმბოლური ლოგიკა გროსემატიკის ალგებრისაგან. პლათი საშარათლიანად შენიშნავს თავის წერილში „Mathematical linguistics“: „გროსემატიკის ალგებრა, როგორც ის წარმოადგენილია ულდალის მიერ (იელმსლვეი და ულდალი, 1957) იყენებს ლოგიკური თეორიის ბევრ ტერმინსა და ნოტაციას, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავებით ისეთი გარკვეული ცნობილი ცნებებისაგან, როგორცაა ფუნქცია და ნეგაცია, რომლებიც განსაზღვრულნი არიან არა ჩვეულებრივი გზით. ყოველ შემთხვევაში, ერთმა კრიტიკოსმა (უნგეპოიერმა, 1959) ამას გარდა აღნიშნა. რომ გროსემატიკის ტერმინოლოგია ყოველთვის არ არის თანმიმდევრულად ხმარებული იელმსლვეისა და ულდალის მიერ, ალბათ იმ ცნებათა აღრევის შედეგად. რომლებიც ფორმალურ ლოგიკაში ზუსტად არიან გარჩეულნი. იქიდან გამომდინარე, თუ რა წარმოადგინეს გროსემატიკოსებმა აქამდე. ნათლად ჩანს, რომ მათი ალგებრის განვითარება დიდად მოიცვება დადგენილი ლოგიკური სტრუქტურით რომ ესარგებლა“⁴⁵.

გროსემატიკის განსხვავებას სიმბოლური ლოგიკიდან ულდალი ხსნის იმით, რომ მათ სხვადასხვა მიზნები აქვთ და სხვადასხვა ამოსავალი საფუძვლები. სიმბოლური ლოგიკა კლასებისა და წინადადებების ურთიერთობას სწავლობს და ადგენს მათ კემპარიტობა-მცდარობას. სიმბოლური ლოგიკის მასალა ღიაა, განუსაზღვრელია. მისი ლოგიკური მიდგომა სამყაროსადმი ატომისტურია. გროსემატიკას კი დახშულ სტრუქტურებთან აქვს საქმე. ეს ალგებრა არ ეხება წინადადებათა კემპარიტობა-მცდარობას. კლასები მასში ჩნდება არა თავიდანვე, არამედ მას შემდეგ, რაც მასალის ანალიზმა მოგვცა ის, რისი კლასიფიკაცია შეიძლება.

არც იელმსლვეი და არც ულდალი არ კმაყოფილებიან მხოლოდ ლინგვისტური თეორიით. მათი თვალსაზრისით, მათ მიერ აგებული ენის თეორია არის მეტათეორია, რომლიდანაც შეიძლება სიმბოლური ლოგიკისა და გროსემატიკის გამოყვანა.

ულდალთან გროსემატიკური ალგებრა მოცემულია შემდეგი სახით: ალგებრულია რიგი „წინადადებებისა“, რომელთა შორისაც არანებობს მოწესრიგებული დამოკიდებულება. განსაზღვრებანი გულისხმობენ პირველსაწყის წინა-

⁴⁴ X. H. У л ь д а л ь, Основы глоссематики, გვ. 414 - 415.

⁴⁵ W. P l a t h, Mathematical Linguistics. Trends in European and American Linguistics, 1963, გვ. 40.

დადებებს. საწყის წინადადებებში შეჰყავს მას ტერმინები, რომელთა საშუალებითაც შემდეგ განისაზღვრება სხვა ტერმინები.

აღსანიშნავი ის არის. რომ რამდენიმე ხერხი არსებობს ამგვარი სისტემების ააჯებად. ასევე რამდენიმე გზაა თითოეული ტერმინის განსასაზღვრად. თავისუფალ არჩევანზეა დამყარებული იმის გადაწყვეტა, თუ რომელი ელემენტარული ტერმინები უნდა იქნეს დატოვებული ამოსავალ ტერმინებად და რომლები უნდა განისაზღვროს ამოსავალი ტერმინებით. ამ ტერმინებით აგებული მთელი სისტემა ფორმალურად განუსაზღვრელი ტერმინების განსაზღვრას ემსახურება. ყველაზე ეფექტური ის სისტემაა, სადაც დაცულია ყველაზე უფრო დიდი სომარტივე და თანმიმდევრობა. „ფუნქციონათა გლოსემატიკური თეორია მოწესრიგებულ დამოკიდებულებების სახეთა აღრიცხვას წარმოადგენს, სადაც პირველსაწყისი მარტივი იდეა განვითარებულია მთელ ალგებრად. ეს ალგებრა ჩაფიქრებული იყო როგორც (ჰუმანიტარული) მასალის აღწერის სერსი მთლიანი სტრუქტურის სახით, რომელიც შედგება არაკვანტიტატიური ფუნქციებისაგან“⁴⁶.

გლოსემატიკის თეორია აღწერს ტექსტს. ეს ტექსტი შედგება ოთხი ერთმანეთზე დამოკიდებული პლანისაგან (strata). ორ პლანს პირობითად ეწოდება შინაარსი (content) და გამოხატულება (expression). თითოეული მათგანი თავის მხრივ შედგება ორი პლანისაგან. ფორმისა (form) და სუბსტანციისაგან (Substance).

ძირითადია ორი პლანი: შინაარსის ფორმა და გამოხატულების ფორმა. ეს ორი პლანი წარმოადგენს „ლინგვისტურ ფორმას“, აბსტრაქციებს, რომლებიც მხოლოდ ფუნქციის ტერმინებით აღიწერება.

გამოხატულების სუბსტანცია სხვადასხვაგვარია: მეტყველების ბგერები, რომლებიც აღიწერება ფიზიოლოგიური და ფიზიკური თვალსაზრისით. სხვადასხვაგვარი სახის დამწერლობა: წერტილები და ტირეები, საიგნალო დროშები, საყვირები, სინათლის გაეღება და ცეკვაც კი. გამოხატულების ეს სუბსტანციები შეიძლება აღიწეროს არალინგვისტური თვალსაზრისით. გამოხატულების სუბსტანცია ცვალებადია. გამოხატულების სუბსტანციის შეცვლა იწვევს გამოხატულების ფორმის შეცვლას. ამდენად კავშირი გამოხატულების ფორმასა და შინაარსის ფორმას შორის აგრეთვე სუსტია.

კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ლინგვისტური კვლევის მიზანიცხადია, მიუხედავად მცირეოდენი განსხვავებებისა, რაც მისი წარმომადგენლების: ბრონდალის, იელმსლევისა და ულდალის თვალსაზრისებში შეინიშნება.

კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმი ცდილობს აღადგინოს თავის უფლებებში და წინ წამოსწიოს სტატიკური ანალიზის, ლოგიციზმის პრინციპი, რაც ენათმეცნიერებაში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის დაჰკვიდრებით მიიჩნემა: ბრონდალის აზრით, „ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკა შეგნებულად და ზოგჯერ გადაქარბებულია და ც (ხაზი ჩემია — ი. რ.) იბრძოდა ზოგადი გრამატიკის უნივერსალისტური თვალსაზრისის წინააღმდეგ“⁴⁷.

⁴⁶ X. И. Ульдалль, Основы глоссематики, гл. 414.

⁴⁷ V i g o B r ŷ n d a l, Language et Logique. Essais de Linguistique générale. Copenhagen, 1943, гл. 63.

კოპენჰაგენის სტრუქტურალიზმის სწრაფვა უნივერსალიზმისაკენ აუცილებლობით მოითხოვს ისეთი მეტაენის შექმნას, რომელიც ყველა ენის ინტერპრეტაციას მოახდენს. ამიტომ გლოსემატიკა სცოდნება ლინგვისტიკის ფარგლებს. ის უფრო ფართო მოცულობის მეცნიერებად, სემიოლოგიად იქცევა.

მათემატიკური სიმბოლიზმის საფუძველზე აგებული გლოსემატიკის აღებრა ჭერ კიდევ არისტოტელესთან წამოყენებულ ლოგიკის გრამატიკულ პრობლემებს ახლებურად აყენებს.

გლოსემატიკა აღწერითი გრამატიკის ფარგლებს აფართოებს და მთელი ლინგვისტიკური თეორიის ცნებას მასში აქცევს. ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკის კვლევის სფეროები აქ შევიწროვებულა, რადგან სტრუქტურულ მიმართებათა გარდა ყველაფერი ექსტრალინგვისტიკურ ფენომენად არის გამოცხადებული.

გლოსემატიკა პორ-როილის უნივერსალური გრამატიკის მოდერნიზებულ სახეს წარმოადგენს. ორივე ერთი და იგივე მიზანი აქვს: ენაში უნივერსალურს ძიება.

И. Б. РАМШВИЛИ

ИСХОДНЫЕ ПРИНЦИПЫ КОПЕНГАГЕНСКОЙ ШКОЛЫ СТРУКТУРАЛИЗМА

Резюме

Самыми яркими представителями Копенгагенской школы структурализма являются Брёндаль, Ельмслев и Ульдалль. Их теоретические мысли легли в основу становления Копенгагенской лингвистической школы.

Из всех лингвистических направлений копенгагенский структурализм является самым строгим продолжателем синхронной лингвистики Фердинанда де Соссюра.

Копенгагенский структурализм старается реабилитировать и выдвинуть на первый план принцип статического анализа, забытый и элиминированный историко-сравнительной лингвистикой.

Стремление к универсализму копенгагенского структурализма по необходимости требует создания такого метаязыка, посредством которого будет интерпретирован любой язык. Поэтому глоссематика, основная теория копенгагенского структурализма, выходит за рамки лингвистики. Она становится более обширной наукой, семиологией.

Построенная на основе математического символизма, глоссематика совершенно по-новому освещает Аристотелевскую логико-грамматическую проблему.

Глоссематика расширяет сферы дескриптивной грамматики, суживая этим границы историко-сравнительной лингвистики. Кроме структурных соотношений, всё объявляется экстралингвистическим феноменом.

Глоссематика — модернизированная рациональная грамматика. Цель обеих — одна: поиски в языке постоянного, универсального.

ლ. ანუშიძე

ბირთვული წინადადება ქართულში

(ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდა)

§ 1. თანამედროვე ენათმეცნიერებაში რიგი თეორიული და პრაქტიკული საკითხის გადასაჭრელად საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ტრანსფორმაციული მეთოდი.

ამირია ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდა სხვადასხვა ენის მასალაზე, რის შედეგადაც საშუალება გვეძლევა ვიმსჯელოთ ამ მეთოდის დადებითა და უარყოფით მხარეებზე.

ტრანსფორმაციული მეთოდი წარმოიშვა დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში უშუალო შემადგენელთა მეთ. ღის კრიტიკის საფუძველზე. იგი დაამუშავა ზ. პარისმა მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს¹.

ნ. ხომსკომ განავითარა პარისის იდეა და მოგვცა ტრანსფორმაციული მეთოდის თავისებური ინტერპრეტაცია. მან შეიმუშავა ორიგინალური ზოგადი ლინგვისტური თეორია, რომლის საფუძველზეც ცდილობს ნებისმიერი ენის წარმომქმნელი გრამატიკის ზოგადი სტრუქტურის აგებას.

ნ. ხომსკის თეორიულ მოსაზრებებს ვრცლად გადმოვეცემთ ჩვენი ნაშრომის პირველ ნაწილში, ამიტომ მათზე აქ აღარ შეეჩერდებით². მაგრამ, რადგანაც ქართული ენის მასალაზე ვიყენებთ ნ. ხომსკის ტრანსფორმაციულ მეთოდს, სა-

¹ Zellig S. Harris, Discourse analysis, «Languages», vol. 28, 1952, გვ. 18—23. მისივე, Co-occurrence and transformation in linguistic structure, «Languages», vol. 33, № 3 (Part I), 1957, გვ. 283—340.

² აღნიშნული ნაწილის დამუშავებისას ძირითადად ეყრდნობოდით ნ. ხომსკის შემდეგ შრომებს: Three models for the description of language, IRE Trans. on Inform. Theory IT—2, 1956, გვ. 113—124. Syntactic structures, The Hague, 1957. Logical structures in language, American Documentation, vol. VIII, № 4, October, 1957, გვ. 281—291. On certain formal properties of grammars, Information and Control, 2, 1959, გვ. 137—167. A note on phrase structure grammars, Information and Control, 2, 1959, გვ. 393—395. On the notion «rule of grammar», Structure of language and its mathematical aspects. Proceed. of the 12-th Symp. in Appl. Math. Providence, American Mathematical Society, 1951, გვ. 6—24. Some methodological remarks on generative grammar, «Words», 17 (1961), გვ. 219—239. Explanatory models in linguistics, Logic, Methodology and Philosophy of Science, Proceedings of the 1960 International Congress, Stanford, 1962, გვ. 528—550. The logical basis of linguistic theory, Proceed. of the 9-th Int. Cong. of linguists, 1962, Preprints, Cambridge, Mass, 1962, გვ. 509—

კიროდ მიეჯანსია მოკლედ დაეხასიათოთ იგი. განმარტოთ ზოგიერთი ამოსავალი ცნება³.

ნ. ხომსკის აზრით, ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანს შეუძლია საჭიროების შეპოხვევაში ამ ენაზე წარმოთქვას ძალიან ბევრი ახალი წინადადება და ამავე ენაზე მოლაპარაკე სხვა ადამიანი გაიგებს ამ წინადადებებს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი მას ადრე შეიძლება არც გაეგონოს. ყოველი ახალი წინადადება ან გამოონათქვამი არ არის მესხიერების უბრალო წარმონაქმნი. მესხიერებაში ჩვენ მოცემული გვაქვს არა კონკრეტული წინადადება-ნი, არამედ წესთა და ამოსავალ ელემენტთა სასრული სიმრავლე, რომლის მიმართაც მოცემული წესების გამოყენების შედეგად ვიღებთ კონკრეტულ წინადადებათა უსასრულო სიმრავლეს⁴.

გრამატიკა არის მექანიზმი, რომელიც სასრული წესებისა და სასრული ელემენტების საშუალებით გვაძლევს გრამატიკულად სწორ წინადადებათა უსასრულო სიმრავლეს და თითოეულ მათგანს უთანადებს ერთს ან რამდენიმე სტრუქტურულ დახასიათებას. ამ სახის გრამატიკას ნ. ხომსკი წარმოქმნელ გრამატიკას უწოდებს, აღწერითი გრამატიკებისაგან განსხვავებით⁵ და, რადგანაც ასეთ გრამატიკაში წამყვანი როლი ეკისრება ტრანსფორმაციის წესებს, მას შეიძლება ეწოდოს ტრანსფორმაციული გრამატიკა⁶.

ნ. ხომსკი ვარაუდობს, რომ მართალია მესხიერებაში მოცემული გვაქვს წესთა რაღაც სისტემა და ამოსავალი ელემენტები, რომელთა საშუალებითაც ვიღებთ კონკრეტულ წინადადებებს, მაგრამ, რადგან არ შეგვიძლია უშუალო დაკვირვება მოვახდინოთ ამ წესებსა და მათ მოქმედებაზე, ჩვენ საშუალება გვეძლევა ვიმაჩველოთ მათზე მხოლოდ შედეგის მიხედვით.

კონკრეტულ წინადადებათა და გამოონათქვამთა ანალიზის შედეგად უნდა ვივარაუდოთ, რა სახის მექანიზმს შეეძლო წარმოექმნა ისინი, ე. ი. ჩვენ შეგვიძლია ავაჯიღო რეალური მოქმედი გრამატიკის მოდელი. ასეთი მოდელი შეიძლება იყოს მრავალნაირი. გრამატიკის ერთ-ერთი მოდელი, რომელსაც გვთავაზობს ნ. ხომსკი, არის შემდეგი სახისა⁷:

574. Formal properties of grammars, Handbook of Mathematical Psychology, vol. 2, ch. 12, New Ycrk, Wiley, 1963, გვ. 328—418. Finitary models of languages users, იქვე, გვ. 419—491. Introduction to the formal analysis of natural languages, იქვე, გვ. 269—322. (თანაავტორია Miller G. A.). Aspects of the theory of syntax. The M.I.T. Press, Cambridge, Mass, 1965. აღნიშნულ შრომათა უმრავლესობა თარგმნილია რუსულ ენაზე ქვემოთ რუსულ თარგმანებს ვიძიოთ.

³ ჩვენ არ მიუეთითებთ ნ. ხომსკის ყველა შრომაზე, რომელშიც გვხვდება ტრანსფორმაციული მეთოდის დახასიათება ან ძირითად ცნებათა განმარტება. იგი, გარკვეული სახე-ცვლელებით და დაზუსტებით, მოცემულია ზემოთ დასახელებულ თითქმის ყველა ნაშრომში. ჩვენ მერ მოტანილი განმარტებები ძირითადად ბოლოდროინდელ შრომებს ემყარება.

⁴ Н. Х о м с к и й, Логические основы лингвистической теории, Новое в лингвистике, вып. 4, 1965, გვ. 465.

⁵ იქვე, გვ. 467.

⁶ იქვე, გვ. 468.

Н. Х о м с к и й, Логические основы лингвистической теории, გვ. 467. მ. ი. ს. ი. ე. Aspects of the theory of syntax, გვ. 16—18.

- | | | |
|---------------------|---|---|
| 1. სინტაქსური დონე | } | უშუალო შემადგენელთა დონე |
| | | ტრანსფორმაციული დონე |
| 2. ფონოლოგიური დონე | } | სისტემური ფონოლოგიის დონე |
| | | სისტემური ფონეტიკის დონე |
| 3. ლექსიკონი | | ლექსიკონი აუცილებელია წინადადების წარმოქმნისათვის, თუმცა იგი გრამატიკის უშუალო ნაწილს არ წარმოადგენს. |

წარმოქმნილი გრამატიკის სინტაქსური ნაწილი წარმოქმნის მინიმალურ კლემენტებს. რომელნიც ფუნქციონირებენ სინტაქსურად. ხომსკი ამ ელემენტებს ფორმატივებს უწოდებს და განსაზღვრავს მათ შორის ურთიერთიერთებას. ფონოლოგიური ნაწილი გარკვეული სინტაქსური სტრუქტურის შექმნე ფორმატივების ჯაჭვს გარდაქმნის შესაბამის ფონეტიკურ გამოხატულებად⁸.

დავახასიათოთ თითოეული დონე მოკლედ:

1. უშუალო შემადგენელთა დონეზე მოცემული გვაქვს წესთა სასრული სიმრავლე. რომელსაც აქვს სახე: $x-y$. ეს ნიშნავს: „დაწერე x -ის ნაცვლად y “. x და y შეიძლება იყოს სიმბოლო ან სიმბოლოთა გარკვეული ჯაჭვი. მაგრამ x -დან y -ის წარმოქმნის დროს შეიძლება მხოლოდ ერთი სიმბოლოს შეცვლა x -ში. უშუალო შემადგენელთა დონეზე მოცემული წესების გამოყენებით თანდათანობით ვიღებთ სიმბოლოთა გარკვეულ გაერთიანებებს. ყოველ სიმბოლოს (გრამატიკულ ფორმატივს) აქვს გარკვეული გრამატიკული ლირებულება. ის აღნიშნავს სინტაქსურ ჯგუფს, წინადადებას, სიტყვას ან სიტყვათა შემადგენელ ელემენტებს (juncture elements). ამოსავალში გვაქვს ერთადერთი სიმბოლო (წინადადება), რომელიც თანდათან იყოფა უშუალო შემადგენლებად გარკვეული წესების გამოყენების შედეგად. სტრიქონთა სასრულ თანმიმდევრობას ეწოდება დერივატია. თუ იგი იწყება საწყისი სიმბოლოდან და ყოველი მომდევნო სტრიქონი გამოიყვანება წინამავალიდან გარკვეული წესის გამოყენების შედეგად. თუ რომელიმე საფეხურზე აღარ აღმოგვანდება წესი, რომლითაც შევძლებთ მიღებული სტრიქონის გარდაქმნას, მივიღებთ დასრულებულ დერივატიას ანუ ტერმინალურ სტრიქონს. ტერმინალურ სტრიქონს აქვს უშუალო შემადგენელთა გარკვეული სტრუქტურა⁹.

2. წარმოქმნილი გრამატიკის ფონოლოგიური დონე იწყება მაშინ, როდესაც უშუალო შემადგენელთა დონის წესებში აღარ გვექნება არც ერთი სიმბოლო (გრამატიკული ფორმატივი). ფონოლოგიურ დონეზე ყოველი ერთეული (ლექსიკური და გრამატიკული ფორმატივი) წარმოდგენილია ფონემათა ჯაჭვის სახით. ყოველი მათგანი ეკუთვნის გარკვეულ კატეგორიას: „ხმოვანი“, „თანხმოვანი“, „მჟღერი“ და ა. შ., ამიტომ ფონემები უნდა დახასიათდნენ ფონეტი-

⁸ Н. Хомский. Логические основы лингвистической теории, გვ. 467.

⁹ Н. Хомский, იქვე. მისვე. Синтаксические структуры, Новое в лингвистике, вып. 2. 1962, გვ. 434.

კერძოდ. ყოველი ფონემა განისაზღვრება ფონეტიკურ ნიშანთა ერთობლიობით. როგორც შეიძლება მატრიცის სახით წარმოვადგინოთ¹⁰.

ფონოლოგიურმა დონემ უნდა უზრუნველყოს სიმბოლთა შეცვლის შედეგად მიღებულ ლექსიკურ ერთეულთა თანმიმდევრობის გარდაქმნა რეალური ენის გაონათქვამად. ამისათვის ხშირად საჭირო ხდება სინტაქსური დონის მონაცემების გათვალისწინება. სწორედ ამას უსვამს ხაზს ნ. ხომსკი, როდესაც ფონოლოგიური დონის ნაცვლად შემოაქვს სინტაქსური ფონოლოგიის დონე. ფონოლოგიური დონის წესები მოწესრიგებულია და იხმარება გარკვეული თანმიმდევრობით¹¹.

1. 2. ყოველი გრამატიკული ტრანსფორმაცია არის წესი, რომელიც ყოველ წინადადებას, უშუალო შემადგენელთა მოცემული სტრუქტურით. გარდაქმნის ახალ წინადადებად. უშუალო შემადგენელთა შეცვლილი სტრუქტურით. გრამატიკის ტრანსფორმაციულ ნაწილში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ აუცილებელი და არააუცილებელი ტრანსფორმაციული წესები. აუცილებელი ტრანსფორმაციის შედეგად მორფემათა ნებისმიერი თანმიმდევრობა გარდაიქმნება მოცემული ენისათვის დასაშვებ თანმიმდევრობად. მაგალითად, თუ გვაქვს კაც გააკეთა — აუცილებელი ტრანსფორმაციის შედეგად მივიღებთ კაცმა გააკეთა. არააუცილებელი ტრანსფორმაციის საშუალებით მორფემათა ერთი სწორი თანმიმდევრობა გარდაიქმნება მორფემათა სხვა სტრუქტურის მქონე, ასევე სწორ თანმიმდევრობად¹². მაგ., კაცმა ააშენა სახლი — სახლი აშენებულ იქნა კაცის მიერ.

ტრანსფორმაციული წესის გამოყენების შედეგად მიღებულ ფორმას ტრანსფორმა ეწოდება.

განსხვავება აუცილებელ და არააუცილებელ ტრანსფორმაციებს შორის საშუალებას იძლევა ენის წინადადებათა სიმრავლე ორ ნაწილად გაიყოს. უშუალო შემადგენელთა გრამატიკის ტერმინალურ ჯაჭვზე აუცილებელი ტრანსფორმაციული წესების გამოყენების შედეგად ვიღებთ ბირთვულ წინადადებას. ხოლო ბირთვულ წინადადებაზე ან ტერმინალურ ჯაჭვებზე არააუცილებელი ტრანსფორმაციების გამოყენების შედეგად ვიღებთ წინადადებათა (თითქმის) უსასრულო სიმრავლეს¹³.

ინგლისური ენის სტრუქტურის შესწავლისას აღმოჩნდა, აღნიშნავს ნ. ხომსკი, რომ გრამატიკა ძლიერ გამარტივდება, თუ ბირთვში შევიტანთ მხოლოდ თხრობით წინადადებას აქტიური ფორმით, ხოლო ტრანსფორმაციის საშუალებით მივიღებთ:

1. წინადადებას პასიური ფორმით,

¹⁰ იხ. М. Халле, Фонологическая система русского языка. Лингвистико-акустическое исследование, Новое в лингвистике. вып. II, М., 1962, стр. 310—339. ამ ნაშრომში მოცემულია ამგვარი მატრიცის ნიმუში. ნ. ხომსკი აღნიშნულ საკითხს ეხება დაწვრილებით შრომებში: Aspects of the theory of syntax, Логические основы лингвистической теории, Синтаксические структуры და სხვ.

¹¹ Н. Хомский, Логические основы лингвистической теории, стр. 551—553.

¹² იქვე, გვ. 471. იხ. აგრეთვე მისივე, Синтаксические структуры, стр. 450.

¹³ Н. Хомский, Синтаксические структуры, стр. 452.

2. წინადადებებს, რომლებშიაც მკაცვობის სიტყვებია გამოყენებული,
3. სახელურ წინადადებებს და ა. შ.

რადგანაც ტრანსფორმაციის შედეგად ვიღებთ წინადადებებს უშუალო შემადგენელთა ახალი სტრუქტურით, ტრანსფორმაციები შეიძლება შევყაროთ და ვაწარმოოთ კითხვითი წინადადებანი, როგორც თხრობითიდან, ისე პასიური ფორმიდან¹⁴.

ენის რეალურ წინადადებათა უმრავლესობა ჩვეულებრივ არ ეკუთვნის ბირთვის. ისინი არიან ბირთვულ წინადადებათა საკმაოდ რთული ტრანსფორმაციები. მაგრამ ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული წინადადებანი ინახვენ იმ აზრს, რომელიც მოცემული იყო ბირთვულ წინადადებაში, ამიტომ გარკვეულთვალსაზრისით ბირთვული წინადადების შინაარსი შეიძლება ჩაითვალოს „შინაარსის ერთეულად“, რომლის შედეგადაც გაიგება ტრანსფორმაცია შინაარსის¹⁵.

გრამატიკის ბირთვის შესახებ მსჯელობას ვსვდებით ზ. ჰარისის შრომებშიც. ზ. ჰარისი აზრით: 1. ბირთვული წინადადებანი არ უნდა შეიცავდეს ელემენტებს, რომლებიც მეორეებიან მოცემული წინადადებების ორ ნაწილში. 2. ბირთვული წინადადებანი მაქსიმალურად დამოუკიდებელი უნდა იყვნენ ერთმანეთისაგან და გვადლევდნენ მინიმალურ ინფორმაციას ერთმანეთის შესახებ. 3. ბირთვული წინადადებანი არიან მინიმალური კონსტრუქციები. მათში გამოვლინდება ძირითადი შეზღუდვები, რომელიც ედება ელემენტთა შეერთებას ენაში. 4. ბირთვული წინადადების გარემოცვა უნდა ემთხვეოდეს მისგან ნაწარმოები წინადადების გარემოცვას¹⁶.

განსხვავება ზ. ჰარისისა და ნ. ხომსკის თვალსაზრისის შორის ბირთვული წინადადების საკითხში ნათელია.

ა) ჰარისი გვადლევს ბირთვულ წინადადებათა დახასიათებას რაიმე წარმომქმნელი მექანიზმის გარეშე, ნ. ხომსკის ბირთვული წინადადებები მიიღება წარმომქმნელი გრამატიკის უშუალო შემადგენელთა დონეზე სტრუქტურულ დახასიათებასთან ერთად.

ბ) ბირთვისა და ტრანსფორმის გარემოცვათა იდენტურობა ნ. ხომსკის აუცილებლად არ მიაჩნია.

3. ლექსიკონი შედგება ლექსიკური ერთეულებისაგან. ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილია განმასხვავებელი ნიშნების მატრიცის სახით — D და ხასიათდება კომპლექსური სიმბოლოთი — C. C წარმოადგენს მოცემული ლექსიკური ერთეულის თავისებურებათა ერთობლიობას. ის შეიძლება იყოს სინტაქსური, სემანტიკური ან მორფოლოგიური თავისებურება ან თავისებურება. რომელიც ტრანსფორმაციის პროცესში გამოვლინდება. მაგ. boy-თან C შეიძლება ლექსიკონში შემდეგი სახით წარმოგიდგეს:

(boy, [+N, +Del—, Count, +Animale, +Human....]), ხოლო frighten-თან გვექნება:

¹⁴ Н. Хомский, Синтаксические структуры. 3-й. 519. იხ. აკრთვე, ენისე Три модели описания языка. 3-й. 238.

¹⁵ იქვე. 3-й. 504.

¹⁶ З. С. Хэррис, Совместная встречаемость и трансформация в языковой структуре, Новое в лингвистике, вып. 2, 1962. 3-й. 626.

(frighten. [+V, + —NP, [+Abstract] Aux—Del[+Animate]...)]¹⁷.

6. ხომსკის აზრით, ლექსიკონში სიტყვათა ამგვარი სახით წარმოდგენა უზრუნველყოფს როგორც გრამატიკულად სწორი, ისე შინაარსიანი წინადადების მიღებას.

ისეთი ლექსიკური ერთეულების ერთად დაჯგუფებით, რომელთაც ერთნაირი თვისებები ახასიათებთ, ვიღებთ ლექსიკონის ქვეკატეგორიზაციას. რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ტრანსფორმაციული და უშუალო შემადგენელთა დონის წესების გამოყენებას და ამცირებს მათ რაოდენობას¹⁸.

§ 2. ჩვენს მიზანს შეადგენს დავაუშვათ ქართული ენის წარმომქმნელი ვრამატიკის ერთი გარკვეული ნაწილი. კერძოდ, ტრანსფორმაციული წარმომქმნელი ვრამატიკის უშუალო შემადგენელთა ნაწილი. რომლის საშუალებითაც წარმოქმნით ბირთვულ წინადადებებს და ნაწილობრივ ტრანსფორმაციული ნაწილი, რომლის საშუალებითაც ბირთვული წინადადებებიდან წარმოქმნით მარტივ წინადადებებს.

ვიღებ ვიშკვლებდეთ ქართულში ბირთვული წინადადებების გამოყოფის შესაძლებლობას. ბუნებრივია დავსვათ კითხვა, რა არის წინადადება?

6. ხომსკის აზრით, ენა არის წინადადებათა სასრული ან უსასრულო სიმრავლე. წინადადებებს აქვთ სასრული სიგრძე და აგებული არიან ელემენტთა სასრული სიმრავლით¹⁹.

აღნიშნული განმარტების მიხედვით, ბუნებრივი ენისათვის წინადადება იქნება ელემენტთა ნებისმიერი თანმიმდევრობა. თუ ელემენტად მივიღებთ სიტყვას (სიტყვა-ფორმას). მაშინ წინადადება იქნება მშენებელთა ააშენა სახელი. მაგრამ წინადადება იქნება აგრეთვე მშენებელი ააშენა სახელი ან ელემენტების უფრო მეტად ნებისმიერი თანმიმდევრობა მშენებელი სახელმა და სხვ.

6. ხომსკი გრძნობს, რომ ელემენტთა ნებისმიერი თანმიმდევრობა ბუნებრივ ენაში არ გვაძლევს წინადადებას და 1. უშვებს წინადადების ინტუიციურ ცოდნას, 2. წინადადების რეპრეზენტაციის ფორმას თვლის დამუშავებულად²⁰. მაგრამ წინადადების განსაზღვრა ინტუიციიზმზე დაყრდნობით მეტად სახიფათოა, რადგან ერთსა და იმავე ენაზე მეტყველმა ორმა პიროვნებამ ერთი და იგივე წინადადება შეიძლება სხვადასხვაგვარად შეაფასოს (ერთმა ჩათვალოს სწორად, ხოლო მეორემ—არასწორად); როგორც ამას ექსპერიმენტულადაც ადასტურებენ²¹.

როგორც ცნობილია, წინადადების განსაზღვრის საკითხი ერთ-ერთი მწვავე საკითხთაგანი იყო და არის ენათმეცნიერებაში. ეს საკითხი თავის დროზე

¹⁷ «Del—ა—აღნიშნავს, რომ N-ს შეიძლება წინ უსწრებდეს მსახვრელი.

«—N₁ ზნაათან ნიშნავს, რომ ზნას შეიძლება მოსდევდეს სახელი, ასეთ შემთხვევაში ზნა გარდაამავლი იქნება.

საერთოდ, აქაც და შემდეგაც გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები: N—სახელი, V—ზნა, NP—სახელური ჭკუფი, VP—ზნური ჭკუფი.

¹⁸ N. Ch oms ky, Aspects of the theory of syntax, გვ. 63—128.

¹⁹ Н. Х о м с к и й, Три модели описания языка, გვ. 238, მისივე, Синтаксические структуры, გვ. 416; იხ. აგრეთვე, 6. ხომსკის ზემოთ დასახელებული სხვა ნაშრომები.

²⁰ Н. Х о м с к и й, Синтаксические структуры, გვ. 416—417.

²¹ A. A. H i l l, Grammaticality, «Words», XVII, 1961, გვ. 1—10 (რუსული თარგმანი იხ. ВЯ, 1962, № 4).

გაანაზილებული იყო არნ. ჩიქობავა: ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“²².

არნ. ჩიქობავას აზრით, წინადადება უნდა განისაზღვროს კონკრეტული ენისათვის, მისი სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინებით²³.

მართალია, ნ. ხომსკი ზოგადი ლინგვისტური თეორიისაგან მოითხოვს, რომ ისეთი ჰიპოთეზური ტერმინებზე, როგორცაა „წინადადება L-ში“, „ფონემა L-ში“, სხვ., განისაზღვროს კონკრეტული ენისაგან დამოუკიდებლად²⁴, მაგრამ. ცხადია, ყველა ენაში წინადადებას, როგორც სინტაქსური დონის ერთეულს, აქვს რაღაც დამახასიათებელი თავისებურება, რომელიც მას განაჩევს სხვაგვარი შესიტყვებისაგან და ზოგადმა ლინგვისტურმა თეორიამ უნდა მოგვეცეს ამ თავისებურების ფიქსირების საშუალება.

ქართული ენის მასალაზე ტრანსფორმაციული მეთოდის გამოყენების ცდისას ჩვენ ვემყარებით არნ. ჩიქობავას მიერ სოცემულ მარტივი წინადადების განსაზღვრას. ამ განსაზღვრის თანახმად, წინადადება არის ერთ-ერთი სახის შესიტყვება, აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციისა და მართვის საფუძველზე. მაშასადამე, წინადადებად არ შეიძლება ჩაითვალოს არა თუ უფორმო სიტყვები და ნაწილაკები კი! არა! გუ შინ... არამედ ფორმაცვალებადი სიტყვებიც, როგორცაა წამოძახილი: ხ ა ნ ძ ა რ ი! გ ა ზ ე თ ი!... ყოველი მათგანი ძეგტია, ვიდრე ცალკე სიტყვა და უდრის მთელ ფრაზას²⁵.

ამგვარი სახის გამონათქვამთა საკითხს ეხება ზ. პარისი. მისი აზრით, არსებობს გარკვეული რიცხვი მყარი კონსტრუქციებისა, რომლებიც არ ემორჩილებიან ტრანსფორმაციას. მაგალითად. N! ამიტომ ონის გრამატიკის ბირთვში უნდა შევიტანოთ. V! პარისის აზრით, უტოლდება ბირთვულ წინადადებას NvV-ს, რომელშიაც სიტყვა „you“-ს ნულოვანი ვარიანტი გვაქვს. მაგრამ N! (Fire!) უცვლელი რჩება აგებულების თვალსაზრისით, რადგან უცნობია, რომელი სიტყვით შეიძლება მისი შევსება²⁶.

ნ. ხომსკი ამგვარ შემთხვევებზე არ ჩერდება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თუ გვაქვს ისეთი კონსტრუქცია, რომელსაც ვერცერთი სხვა კონსტრუქციის სახეცვლილებად ვერ მივიჩნევთ. მაშინ იგი უშუალო შემადგენელთა გრამატიკის საწყის სტრუქტურა სიმრავლეში უნდა შევიტანოთ.

ჩვენ ამჟამად გვიანტერესებს მხოლოდ ზმნის შემცველი შესიტყვებანი, რომელთაც, ყველა სხვა კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, წინადადებას ვუწოდებთ (ყველა წინადადება კონსტრუქციაა, ყველა კონსტრუქცია არ არის წინადადება).

ქართულ ენაში სინტაქსური თავისებურებანი მორფოლოგიურ თავისებურებათა პირდაპირი შედეგია. დამოუხატველობით საშუალებათა სიმდიდრით ქართული ზმნა ბევრად წინ დვას სხელზე. ამიტომ. ბუნებრივია. ქართულ ენაში ბირთვულ წინადადებათა გამოყოფისას მთავარი ყურადღება ზმნას მივაქციოთ.

²² არნ. ჩიქობავა. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, ნაწ. I, თბილისი, 1928.

²³ იქვე. გვ. 161—164.

²⁴ Н. Хомский, Три модели списания языка, გვ. 238.

²⁵ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა გვ. 234.

²⁶ З. С. Хэриш. Совместная встречаемость в трансформациях в языковой структуре. გვ. 628.

არნ. ჩიქობავა ქართულ ენაში გამოყოფს სამი ტიპის მარტივ წინადადებას. ამ ტიპებს განასხვავებს ზმნა-შემასმენელი: პირველ ტიპში ზმნა აბსოლუტურ-გარდაუვალია, მეორეში რელატიურ-გარდაუვალი, მესამეში რელატიურ-ვარდამავალი.

პირველი ტიპი ასეთი შედგენილობისაა: ზმნის პიროვანი ფორმა პლუს სახელი სახელობით ბრუნვაში (MS).

მეორე ტიპი: ზმნის პიროვანი ფორმა პლუს ერთი სახელი სახელობით ბრუნვაში (MS). მეორე სახელი მიცემით ბრუნვაში (MO).

მესამე ტიპი საპკვარ სახეობას იძლევა:

ა) აწყვის ჭგუფის ზმნა პლუს სახელი სახელობით ბრუნვაში (MS). პლუს სახელი მიცემით ბრუნვაში (MO), [პლუს მეორე სახელი აგრეთვე მიცემით ბრუნვაში, ბრუნვაუცვლელი მეორე MO].

ბ) ნაწყო ძირითადის ჭგუფის ზმნა პლუს სახელი მოთხრობით ბრუნვაში (MS), პლუს სახელი სახელობით ბრუნვაში (MO) [პლუს მეორე სახელი მიცემით ბრუნვაში, ბრუნვაუცვლელი მეორე MO].

გ) მესამე ჭგუფის დრო-კილოს ზმნა პლუს სახელი სახელობით ბრუნვაში (MS), პლუს სახელი მიცემით ბრუნვაში (MO) [პლუს სახელი ნათესაობით ბრუნვაში თანდებულთ]²⁷.

შესაძლებელია თუ არა წინადადებათა ეს სამი ტიპი მათი ქვესახეობებით ჩავთვალოთ ბირთვულ წინადადებად და მათზე დაყრდნობით ვაწარმოოთ ყოველგვარი და ყველა წინადადება ქართულში? თუ ამ სამ ტიპს ჩავთვლით ბირთვად, მაშინ ტრადიციული მარტივი წინადადებების ცნება და ბირთვული წინადადების ცნება ერთმანეთს დაფარავენ. მაგრამ ქართულში ზმნას აქვს მრავალი ფორმა, რომელთაგან ზოგს წარმოქმნის კატეგორიას აკუთვნებენ, ზოგს უღვლილებს. ზმნის ამ ფორმათა შორის არის ფორმალური მიმართება: აქტიური-პასიური გვარი; სათავისო, სასხვისო, საარვისო ქცევა; მხოლოდობით, მრავლობითი რაცხვი; I, II, III სერიის ფორმათა დაპირისპირება და სხვ. შესაძლებელია რომელიმე მათგანი მივიღოთ ამოსავლად და ყველა სხვა ვაწარმოოთ ამ ამოსავალი ფორმებიდან გარკვეული ფორმალური წესების გამოყენებით, მაგრამ რომელი ფორმა მივიჩნიოთ ამოსავლად, რომ ამის შედეგად მივიღოთ მარტივი და ადეკვატური გრამატიკა? — ეს უნდა გვიჩვენოს კონკრეტული მასალის კვლევამ. ჩვენს მიზანს შეადგენს სიტყვათა ეკვივალენტური კლასების ტერმინებით ვაჩვენოთ: 1. რა სახით არის წარმოდგენილი მარტივი წინადადებები ენაში (როგორი იქნება გრამატიკულად სწორი წინადადების სტრუქტურა, თუ მას ჩავწერთ ეკვივალენტური კლასების აღმნიშვნელი სიმბოლოებით).

2. როგორია მიმართება სხვადასხვა სტრუქტურული ფორმულის მქონე წინადადებებს შორის.

3. შეიძლება თუ არა ერთი სტრუქტურული ფორმულის დაყვანა მეორეზე. ამ საკითხთა გასარკვევად ჩვენ ჩავატარეთ კონკრეტული ენობრივი მასალის ანალიზი. კერძოდ, საანალიზო მასალად ავიღეთ ვაჟა-ფშაველას მოთხრო-

არნ. ჩიქობავა, დასახ. შრო., გვ. 260. კვლევითი ფრაზებში ჩასმული სახელები გვექნება მხოლოდ სამიერიან ზმნასთან.

ბები 100 გვერდის მოცულობით²⁸. მარტივი წინადადების გამოყოფა ხდებოდა შემდეგნაირად: გამონათქვამის ყველა წევრი (გამონათქვამში ვგულისხმობთ მონაკვეთს წერტილიდან წერტილამდე) გარდა ზმნისა და მასთან მართვით ან შეთანხმებით დაკავშირებული სახელებისა გავეტოლეთ 0-ს, ე. ი. ჩავატარეთ წინადადების საზოვანი ანალიზი ჰარისის მიხედვით²⁹. ამ გზით გამოვეყავით გამონათქვამის ცენტრი. აღმოჩნდა (როგორც მოსალოდნელი იყო), რომ გამონათქვამის ცენტრი ყოველთვის არ არის წარმოდგენილი სრული სახით. მაგ., ზმნასთან ყოველთვის არ არის წარმოდგენილი მასთან დაკავშირებული სახელი, მაგრამ ზმნა გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს ამ წევრის შესახებ. ასეთი წევრი აღდგა ზმნასთან და აღინიშნა შესაბამისი კლასის სიმბოლოთი N.

თუ გამონათქვამის ცენტრის ყველა წევრს ჩაეწერთ შესაბამისი კლასის აღმნიშვნელი სიმბოლოთი, მივიღებთ სამ სტრუქტურულ ფორმულას:

$$\begin{aligned}
 &NV \\
 &N_1 N_2 V \\
 &N_1 N_2 N_3 V
 \end{aligned}$$

ცხადია, წინადადების წარმოდგენა ამგვარი სახით მცირე ინფორმაციას გვაძლევს გრამატიკულად სწორი წინადადების შესახებ. ამ ფორმალური ჩანაწერის მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან გრამატიკულად სწორი ფორმები: კ ა ც ი კ ა ც ს სა ხ ლ ს უ შ ე ნ ე ბ ს, კ ა ც მ ა კ ა ც ს სა ხ ლ ი ა უ შ ე ნ ა და გრამატიკულად არასწორი ფორმები კ ა ც ი სა ხ ლ ი ა ა შ ე ნ ა.

ამიტომ საჭიროა შევიწავლოთ თითოეული ფორმულის შემადგენელი წევრების აგებულება, მორფოლოგიური სტრუქტურა³⁰. ზმნათა სხვადასხვა ჯგუფისათვის ვიღებთ სხვადასხვა სტრუქტურულ ფორმულას³¹:

$$\begin{array}{lll}
 \text{Nსახ. V}_I^{13} & \text{Nსახ. N}^{20}\text{მ. V}_I^{23} & \text{Nსახ. N}^{20}\text{მ. V}_I^{23} \\
 \text{I. Nსახ. V}_I^{13} & \text{II. Nსახ. N}^{20}\text{მ. V}_I^{23} & \text{III. N}^{20}\text{მ. Nსახ. V}_I^{23} \\
 \text{Nსახ. V}_I^{13} & \text{Nსახ. N}^{20}\text{მ. V}_I^{23} & \text{Nსახ. N}^{20}\text{მ. V}_I^{23} \\
 & \text{Nსახ. N}^{20}\text{მ. N}^{20}\text{მ. V}_I^{23} & \\
 \text{IV. N}^{20}\text{მ. N}^{20}\text{მ. Nსახ. V}_I^{23} & & \\
 & \text{N}^{20}\text{მ. N}^{20}\text{მ. + თანდ. Nსახ. V}_I^{23} &
 \end{array}$$

ზმნათა და სახელთა სათანადო ფორმის გათვალისწინებით მიღებულ ფორმულებში შესაბამისი სიტყვების ჩასმა განაპირობებს გრამატიკულად სწორი წინადადების მიღებას.

განვიხილოთ სტრუქტურული ფორმულები: Nსახ. N²⁰მ. V²³_I და Nსახ. N²⁰მ. V²³_{III}

თუ ამ ფორმულებში სიტყვათა სათანადო ფორმებს ჩავსვამთ, მივიღებთ გრამატიკულად სწორ წინადადებებს: კ ა ც ი სა ხ ლ ს ა უ შ ე ნ ე ბ ს,

²⁸ ვ ა ე ა-ფ შ ა ე ე ლ ა, ერთტომეული, თბილისი, 1953, გვ. 239—325.

²⁹ Z. S. H a r r i s, String analysis of sentence structure, The Hague, Mouton, 1962.

³⁰ მორფოლოგიური სტრუქტურის შესწავლის აუცილებლობის შესახებ მსჯელობს ი. კულაგინა, იხ. О. С. К у л а г и н а, Об одном способе определения грамматических понятий на базе теории множеств, Проблемы кибернетики, № 1, გვ. 203—215.

³¹ ზმნასთან არაბული ციფრით აღნიშნულია პირიანობა, რომელიც — სერია.

1. ზმნათა უმრავლესობას გააჩნია პირველი სერიის ფორმები. მაგ., სტატიკურ ზმნებს საკუთარი წარმოების მეორე სერიის ფორმები არა აქვთ და იძულებულნი არიან ისინი ზმნის სხვა ფორმებით შეივსონ.

2. სტრუქტურული ფორმულა $N^{სხ} N^{ფი} V_{I}^{მ}$ აკმაყოფილებს ნებისმიერ ორიპრიან ზმნას (გამონაკლისია „იცის“ და ზოგი სხვა), როგორც გარდაშვალს, ისე გარდაუშვალს.

3. მართალია, ზმნის ფორმა პირველ სერიაში უფრო რთულია (წარმოდგენილია თემის ნიშანი), მაგრამ ფორმალური წესის შემუშავებისას, თუ გვინდა ფორმა პირველი სერიიდან მეორეში გადავიყვანოთ, საკმარისია წესი „თემის ნიშანი → ზ“ (ზმნათა დიდი უმრავლესობისათვის), პირიქით წარმოებისას კი (II სერია → I სერია) რამდენიმე წესი დაგვეჭირდებოდა ინდივიდუალური ზმნის გათვალისწინებით, რაც გაზარდიდა წესთა რაოდენობას.

რატომ ვირჩევთ ამოსავლად ზმნის პირველი სერიის ფორმას?

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზმნა მოცემულია აწმყოს (მყოფადის) მესამე პირის ფორმით. რატომ არის არჩეული ეს ფორმა, ამის შესახებ განსაკუთრებული მსჯელობა არ გვხვდება. მითითებულია მხოლოდ, რომ მოქმედებითი და ვნებითი გეარები ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში ნათლად არის გარჩეული და დაპირისპირებული. ეს დაპირისპირება მკვეთრია და თანმიმდევრული აწმყოს წყებაში³².

პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ მთავარი კჳეია ფორმებს, რომელთა დასახელება საკმარისია იმისათვის. რომ აღვიღად წარმოებულ იქნას ყველა დანარჩენი... მთავარი ფორმები ქართულში ოთხია: აწმყო (ან მყოფადი), წყვეტილი, I თურთობითი და საწყისი³³.

ვინაიდან ზმნათა დიდი უმრავლესობისათვის შეიძლება მოინახოს წესი. რომლის საშუალებითაც აწმყოდან წყვეტილს ვაწარმოებთ, ხოლო აწმყოდან და წყვეტილიდან აღვიღად იწარმოება ზმნის სხვა ფორმები, შესაძლებლად მიგვაჩნია ზმნის ძირითად ფორმად მივიღოთ აწმყოს ფორმა.

შეიძლება თუ არა აღნიშნული სტრუქტურული ფორმულების მქონე წინადადებანი მივიღოთ აქსიომებად და მათგან გარკვეული წესების გამოყენებით (ეს წესები იქნება ტრანსფორმაციული წესები) ვაწარმოოთ ნებისმიერი წინადადება ენაში? თუ ამ კითხვაზე დადებითად ვუპასუხებთ, მივიღებთ აქსიომატურ თეორიას.

„აქსიომატური თეორია მიიღება, თუ გარკვეულ (უნივერსალურად გამოსაყენებელ) ამოსავალ წინადადებებს მივიჩნევთ აქსიომებად და შევიმუშავებთ გამოყვანის წესებს, რომლის საშუალებითაც ამ აქსიომებიდან მიიღება ყველა სხვა (აგრეთვე უნივერსალურად გამოსაყენებელი) წინადადება“³⁴.

³² არს. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დასაბუთება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 033.

³⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1943, გვ. 506.

³³ „Аксиоматическая теория получается путем выбора некоторых (универсально общезначимых) исходных предложений в качестве аксиом и задания правил вывода с помощью которых из этих аксиом могут быть выведены все остальные универсально общезначимые предложения (При этом, разумеется, понятие общезначимости оказывается уже внешним, т. е. не выражающимся в пределах аксиоматической теории)». Р. А. Гудстейн, Математическая логика, М., 1961, гл. 33.

აქსიომათა ნებისმიერმა სისტემამ უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნები:

1. სისრულის,
2. არაწინააღმდეგობრიობის,
3. დამოუკიდებლობის.

შეჩერდეთ უკანასკნელზე. აქსიომათა დამოუკიდებლობის მოთხოვნა გულისხმობს შემდეგს: არც ერთი აქსიომათაგანი არ უნდა იყოს გამოყვანადი დანარჩენთაგან. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ჩვენი სტრუქტურული ფორმულები. თუ ამ ფორმულებში ჩავსვამთ სათანადო სიტყვა-ფორმებს, შეიძლება მივიღოთ ასეთი წინადადებანი:

1. სახლი შენდება,
2. კაცი სახლს აშენებს,
3. კაცი კაცს სახლს უშენებს.

პირველ შემთხვევაში გვაქვს ზმნის ვნებითი გვარის ფორმა, მეორე შემთხვევაში — საარვისო ქცევა ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნისა, მესამე შემთხვევაში — სასახვისო ქცევა საპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნისა.

თუ ბირთვში შევიტანთ აღნიშნული სამი ტიპის ზმნის შემცველ წინადადებას, მაშინ, ბუნებრივია, ბირთვში შევა წინადადება, რომელშიაც ზმნა ვნებთი გვარის ფორმით არის წარმოდგენილი.

6. ხომსკი (და საერთოდ ყველა მკვლევარი, რომელიც ამ საკითხს ეხება), როგორც აღვნიშნეთ, პასიურ კონსტრუქციას ბირთვულ კონსტრუქციად არ განიხილავს.

ქართული ენის ბირთვული წინადადებებიდან ვნებითი გვარის შემცველი წინადადების გამოტანის საკითხის გადაჭრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ქართული ენის ბუნება ინდო-ევროპულთან (კერძოდ ინგლისურთან) შედარებით. ინგლისურ ენაში ვნებითის ორგანული წარმოება არა გვაქვს. ზმნას ვნებითი გვარისათვის არა აქვს განსაკუთრებული ფორმა. პასიური წინადადების კონსტრუქციით გადმოიცემა:

The book was reading by the boy.

ამ კონსტრუქციის შესატყვისად ქართულში გვაქვს აღწერითი ფორმა: წი გ ნ ი წ ა კ ი თ ხ უ ლ ი ქ ნ ა ბ ი ქ ი ს მ ი ე რ .

ქართულში გვაქვს ვნებითის როგორც აღწერითი, ისე ორგანული წარმოება. ჩვენ გვაინტერესებს ორგანული წარმოების ვნებითების საკითხი.

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში მოქმედებითსა და სათანადო ვნებითს შორის მკიდრო დამოკიდებულებაა. ა. შანიძე შენიშნავს, რომ ურთიერთობა აქტივსა და პასივს შორის ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს. ამიტომ ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანა არის არსებითად ფორმის მობრუნება ანუ კონვერსია. თუ გამოსავლად მოქმედებით გვარს ავიღებთ, ვნებითი იქნება მისი მობრუნებული სახე, ხოლო თუ გამოსავლად ვნებითს მივიჩნევთ, მაშინ, პირუკუ, მოქმედებითი აღმოჩნდება ვნებითის მობრუნებული სახე³⁶.

ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა, თანაც ცოტაა ისეთი ვნებითი გვარის ზმნები, რომელთაც სათანადო მოქმედებითი არ მოეპოვება... კონვერსიის საკითხის გარჩევისას უნდა გამოვიდეთ მოქმედებითიდან. ვნებითი

³⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. შრ., გვ. 291.

გვარი არის მობრუნებული სახე მოქმედებითისა, ანუ, რაც იგივეა, პასიური ფორმა აქტიურის კონვერსიული სახეა³⁷.

ზმნის გადაყვანას მოქმედებითიდან ვნებითში გარკვეული ცვლილება შეაქვს ზმნასთან დაკავშირებულ სახელებში. პირთა რაოდენობა მუდამ ერთთი საკლებია ვნებითში, ვიდრე სათანადო მოქმედებითში. სამპირიანი ზმნა ორპირიანად იქცევა, ორპირიანი—ერთპირიანად.

თუ გვაქვს ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნის შემცველი წინადადების გამომხატველი სტრუქტურული ფორმულა, მას ადვილად ვაქცევთ ერთპირიანი (ვნებითი გვარის) ზმნის შემცველი წინადადების სტრუქტურულ ფორმულად. აქვე შეიძლება სამპირიანი ზმნის შემცველი წინადადებიდან ვაწარმოოთ ორპირიანი ვნებითის შემცველი წინადადება, გარკვეული ტრანსფორმაციული წესის გამოყენებით (ასეთი წესი იხილე ქვემოთ გვ. 145) ცხადია, მოქმედებითსა და სათანადო ვნებითს შორის შინაარსის თვალსაზრისით არის განსხვავება. მაგრამ ამ განსხვავების ფიქსირება შესაძლებელია. ვნებითის დანიშნულება საზოგადოდ პირდაპირი-ობიექტური პირი (ამოსაგვარი წინადადებისა) მოქმედების ავტორად, მის შემსრულებლად წარმოგვიდგინოს³⁸.

შეიძლება დავასკვნათ: რადგანაც მოინახება ფორმალური წესი, რომლის საშუალებითაც ორპირიანი და სამპირიანი მოქმედებითიდან ვაწარმოებთ სათანადო ვნებითს, იმისათვის რომ დავაკმაყოფილოთ აქსიომათა სისტემის შესაბამე მოთხოვნა, აუცილებელია ვნებითი გვარის შემცველი წინადადებანი გამოვიტანოთ ბირთვულ წინადადებათა სიმრავლიდან და ვაწარმოოთ ბირთვული წინადადებებიდან გარკვეული ტრანსფორმაციული წესების გამოყენებით.

ერთპირიან და ორპირიან ზმნათა დამოკიდებულების საკითხი ამით არ ამოიწურება. გვხვდება ბევრი ისეთი ერთპირიანი ზმნა, რომელიც არც ფორშია, არც შინაარსით არ არის ვნებითი, მაგრამ უპირისპირდება იმავე ძირიდან ნაწარმოებ ორპირიან ზმნას. ამიტომ საკითხი ზოგადად შეიძლება ასე დავსვათ: შეიძლება თუ არა $N^{1a} N^{2a} V_1^{2a}$ დავიყვანოთ $N^{1a} V_1^{1a}$ -ზე ან პირიქით.

არნ. ჩიქობავა შენიშნავს: აღსანიშნავია, რომ, როგორც ყველა ერთპირიანი აბსოლუტური სახეობა არ შეიძლება გადაიქცეს ორპირიან რელატიურსა-ნეობად. ისევე პირუკუ: შეიძლება გვექნდეს ორპირიანი რელატიური სახეობა და აბსოლუტური სახეობა კი ვერ მოვუძებნოთ. ერთი განსხვავება მაინც არის: ზოგიერთის გამონაკლისით თითქმის ყველა აბსოლუტური სახე რელატიურდება, რელატიური სახეობა კი უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია შესატყვის აბსოლუტურს³⁹.

იმ მაშალის მიხედვით, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ, ეს დებულება დასტურდება.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი ორპირიანი (ან სამპირიანი) და ერთპირიანი (ან ორპირიანი) ზმნის დაპირისპირების შემთხვევაში (იგულისხმება, რომ ერთი პირით ნაკლები ზმნა ვნებითი გვარისა არ არის), როგორიკაა, მაგალითად: ბ რ ა ზ ო ბ ს — ა ბ რ ა ზ ე ბ ს, მ ხ ი ა რ უ ლ ო ბ ს — ა მ ხ ი ა რ უ ლ ე ბ ს, ჯ ა ვ რ ო ბ ს — ა ჯ ა ვ რ ე ბ ს? ამ შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ

³⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. შ რ, გვ. 291.

³⁸ იქვე, გვ. 291.

³⁹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა, გვ. 180.

მოქმედებითი გვარის ზმნა ნაწარმოები სათანადო სტატიკური ზმნიდან. ამიტომ სტატიკურ ზმნას ვიღებთ ამოსავლად, შეგვაქვს ბირთვში, ხოლო მოქმედებითს (დინამიკურს) მისგან ვაწარმოებთ⁴⁰.

მაგრამ გვაქვს ისეთი შეპოვებებიც, როდესაც ორპირიან მოქმედებითი გვარის ზმნას სათანადო სტატიკური ერთპირიანი არ უპირისპირდება. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებითი აშკარად ნაწარმოები ჩანს (ასეთი მოქმედებებია, მაგ., აბეზღებს, ამთავრებს, ათავებს (საქმეს), ავრცელებს და სხვ.). ასეთი ზმნები შეგვაქვს ბირთვში. ბირთვში შედის აგრეთვე ე. წ. პირველადი მოქმედებებები: ბ ე დ ა ვ ს, ბ ა წ რ ა ვ ს, ბ ზ ი კ ა ვ ს, ბ ლ უ ჟ ა ვ ს და სხვ. დავასკვნით: 1. თუ ერთმანეთს უპირისპირდება დინამიკური და სტატიკური ზმნა და დინამიკურში პირთა რაოდენობა მეტია, ვიღრე სტატიკურში, ამოსავლად ვიღებთ სტატიკურ ზმნას⁴¹.

2. თუ ერთმანეთს უპირისპირდება დინამიკური და სტატიკური ზმნა და პირთა რაოდენობა ორივეში ერთნაირია (მაგ.: დგება—დგას, წვება—წევს), ასეთ შემთხვევაშიც ამოსავლად ვიღებთ სტატიკურს, რადგან სტატიკურ ზმნათა აგებულება უფრო მარტივია.

ზმნაში პირთა რაოდენობის ცვლას იწვევს აგრეთვე შუალობითი კონტაქტის წარმოება. ა. შანიძე მიუთითებს, რომ კონტაქტის სახელით აღინიშნება ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის საშუალებით. ამის მიხედვით გვაქვს ორი კონტაქტი: უშუალო და შუალობითი⁴².

კონტაქტთან ერთად ძირეული, მეორე — წარმოქმნილი. ძირეულია უშუალო კონტაქტის ფორმა (ვწერ), წარმოქმნილია შუალობითი კონტაქტისა (ვაწერინებ).

კონტაქტის წარმოქმნილი ფორმა — შუალობითი, არსებითად განსხვავდება გვარისა და ქცევის წარმოქმნილ ფორმათაგან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ შუალობითი კონტაქტისაგან შეიძლება ვაწარმოთ როგორც ვნებითი გვარის, ისე სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები. ამ მხრივ კონტაქტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ზმნის სისტემაში⁴³.

ტრანსფორმაციული წესების გამოყენების თანმიმდევრობის შემთხვევაში ეს გარეგნობა მხედველობაში უნდა მივიღოთ. თუ გვინდა ბირთვული წინადადებიდან ვაწარმოთ როგორც ვნებითი შინაარსის, ისე შუალობითი კონტაქტის გამომხატველი ტრანსფორმა, ჭერ გამოვიყენებთ კონტაქტის გამომხატველ ტრანსფორმაციულ წესს, შემდეგ კი პასიურ ტრანსფორმაციას.

⁴⁰ საკითხის ამგვარად გადაწყვეტას მხარს უჭერს დიპლომატიკური კვლევა. არნ. ჩიკობავა აღნიშნავს, ზმნის უღვლელების ზოგადი პრინციპები იბერიულ-კავკასიურ ენებში გვაფიქრებინებს შემდეგ: მოქმედებითი გვარი მეორეულია, ე. ი. მოქმედებითი გვარი ნაწარმოებია. წარმოებისათვის ამოსავლია სტატიკური ზმნა. ამის ილუსტრაციად გამოდგება წუხს—აწუხებს ზმნათა ურთიერთობა (იხ. აქვე, გვ. 135, სადაც აწუხებს ფორმა კაუზატივად არის მიჩნეული; არნ. ჩიკობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართ. ენის განმარტ. ლექსიკ., გვ. 060.

⁴¹ რაც ითქვა ორპირიანი და ერთპირიანი ზმნების ურთიერთობის შესახებ, იგივე შეიძლება გავიშვროთ სამპირიანი და სათანადო ორპირიანი ზმნის დაპირისპირების შესახებაც.

⁴² ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 367.

⁴³ იქვე, გვ. 371.

იმავე კატეგორიის შესახებ არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: ზმნის სუბიექტი შეიძლება უშუალოდ მოქმედებდეს, შეიძლება სხვისი მეშვეობით ასრულებდეს ზმნაში აღნიშნულ მოქმედებას. კაუზატივი გარდამავალ ზმნებს ეწარმოებათ, ზოგი გარდაუვალი ზმნაც შეიძლება „გავაკაუზატიურით“. ღუმს ის — აღუმებს ის მას, წუხს—აწუხებს, ღვას—აღვენს, ჩანს—აჩენს.

აღუმებს, აწუხებს, აღვენს მოქმედებითი გვარის გარდამავალი ორპირიანი ზმნებია. მოქმედებითი ამ შემთხვევაში სტატიკური (გარდაუვალი) ზმნის კაუზატივს უდრის⁴⁴.

ასეთი ფორმები, როგორც აღნიშნული იყო, ბირთვში ვერ შევა, ამჟამად ჩანს, რომ ისინი ნაწარმოები ფორმები არიან.

ზმნის სხვა ფორმათა შესახებ, რომლებიც წარმოქმნის კატეგორიას განუკუთვნებია⁴⁵, შევნიშნავთ შემდეგს:

გეზისა და ორიენტაციის კატეგორიებს ქართული ენა ზმნისწინის საშუალებით გამოხატავს. ასევე ასპექტის საწარმოებლად თანამედროვე ქართულ ენას მარტო ერთი საშუალება მოეპოვება: ეს არის ზმნისწინის დართვა⁴⁶. არც ერთ შემთხვევაში სათანადო წარმოება აუცილებლად არ იწვევს ზმნაში პირთა რაოდენობის ცვლას. უმეტეს შემთხვევაში პირთა რაოდენობა იგივე რჩება. მაგ.: ქრის—მიქრის, მოქრის..., ხატავს—დახატავს, ხტავს—ჩახატავს (მაგრამ ხტავს—ახატავს, წერს—აწერს). ამიტომ ამ კატეგორიებზე ვრცლად არ შევჩერდებით. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პრევერბი აწარმოებს ზმნის ახალ მნიშვნელობას, ხოლო წარმოებას არა აქვს სისტემური ხასიათი, პრევერბით ნაწარმოები ზმნები ბირთვში შეგვაქვს. თუ აწმყოში პრევერბის დართვა აუცილებელი არ არის (მაგ., გა-ა-გონებს, ჩა-ა-გონებს, შე-ა-გონებს, მო-ა-გონებს ზმნების აწმყოს III პირია ა-გონებს), ამ შემთხვევაში ბირთვში შედის აწმყოს (ა-გონ-ებ-ს) ფორმა, მაგრამ რადგან წყვეტილში მას სხვადასხვა პრევერბიანი ფორმები ენაცვლება, რაც ქმნის მათ შორის შინა-არსობრივ განსხვავებას, საჭირო ხდება ლექსიკონში ამ ზმნასთან მეოთხითომთ აღნიშნულ გარემოებაზე, ე. ი. გავითვალისწინოთ ლექსიკონშივე ზმნის ქცევა ტრანსფორმაციების დროს.

თუ ზმნა უზმნისწინოდ საერთოდ არ იხმარება (მაგ., მი-ღის, მო-ღის), მაშინ ლექსიკონში შეგვაქვს ზოგადი სახე: (პრევერბი)-ღის, პრევერბის შესახებ კი ცალკე ვიღებთ ინფორმაციას (ლექსიკონშივე).

ცალკე უნდა შევჩერდეთ ქცევის საკითხზე.

სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის უბრალო აღნიშვნის გარდა. ქართულ ზმნას მოეპოვება აგრეთვე საშუალება გამოხატოს, რომ:

ა) ობიექტი, რომელსაც ობიექტური პირი ეფარდება ფორმაში, არავის კუთვნილება არ არის, არც ვისთვისმეა დანიშნული, ან

ბ) ობიექტი მოქმედ პირს ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი; ან კიდევ

⁴⁴ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 059

⁴⁵ იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 242—389. ჩვენ არ შევჩერდებით წარმოქმნისა და უღებების კატეგორიათა გამოყენის სადავო საკითხებზე.

⁴⁶ ზმნისწინის ქართულში დაიცვალული აქვს ოსხვარი ფუნქცია: 1) აღნიშნოს მოქმედების გეზი და 2. ორიენტაცია, 3. სრული სახით წარმოგვიდგინოს მოქმედება, 4. აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა. ზმნის მეოთხე ფუნქციის აღნუსხვა ლექსიკონის საქმეა.

ვ) ერთი ობიექტი ეკუთვნის მეორეს ან მისთვის არის განკუთვნილი.

ამის მიხედვით გვაქვს სამი ქცევა: საარვისო, სათავისო და სასხვისო⁴⁷.

თუ ამოსავალ ფორმად საარვისო ქცევის ფორმას მივიჩნევთ, მაშინ სასხვისო და სათავისო მისგან აღვიღალ იწარმოება. მაგრამ როგორ დგას ამ შემთხვევაში პირთა რაოდენობის საკითხი დაპირისპირებულ ფორმებს შორის? საარვისო და სასხვისო ფორმები პირთა რაოდენობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

აკეთებს ის მას — უკეთებს ის მას მას.

მაგრამ საარვისო და სათავისო ქცევის ფორმებს შორის ასეთი დაპირისპირება არ გვაქვს:

აკეთებს ის მას — იკეთებს ის მას.

ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ პირველ რიგში ერთმანეთს დაეუპირისპიროთ არა ორპირიანი საარვისო და სათავისო, არამედ სამპირიანი სასხვისო და ორპირიანი სათავისო ქცევის ფორმები: უკეთებს ის მას მას — იკეთებს ის მას. ამ შემთხვევაში უფრო ძლიერად წარმოჩნდება როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი დაპირისპირება⁴⁸.

დავასკვნით: როცა განვიხილავთ წინადადებებს, რომელთა სტრუქტურული ფორმულებია:

$$\begin{array}{c} N_{\text{სახ.}} V_1^{13} \\ N_1^{\text{სახ.}} N_{\text{II}}^{\text{შთ.}} V_1^{23} \\ N_1^{\text{სახ.}} N_2^{\text{შთ.}} N_3^{\text{შთ.}} V_1^{23} \end{array}$$

საჭიროა მხედველობაში მივიღოთ სათანადო ზმნების მორფოლოგიური სტრუქტურა. ამოსავლად უნდა მივიღოთ ზმნათა ისეთი ფორმები, რომელიც ნეიტრალური არიან წარმოქმნის კატეგორიათა თვალსაზრისით. არ უნდა არსებობდეს წესი, არც მორფოლოგიური, არც სინტაქსური, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ერთი ფორმის მეორეზე დაყვანას. ამ გზით შემცირდება ბირთვულ წინადადებათა რაოდენობა და ამასთანავე შესაძლებელი გახდება ნათლად გამოვლინდეს სხვადასხვა სტრუქტურებს შორის, როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი კავშირი.

§ 3. 1. როგორი სახე ექნება ქართული ენის ტრანსფორმაციულ წარმომქმნელ გრამატიკას, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს და რა მიმართებაში იქნება ასეთი გრამატიკა ნ. ხომსკის მიერ დამუშავებულ ინგლისური ენის წარმომქმნელ გრამატიკასთან?

ნ. ხომსკის აზრით, ნებისმიერი ენის წარმომქმნელი გრამატიკა უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ ლინგვისტურ დონეთა ერთობლიობას.

ლინგვისტური დონეების გამოყოფის საჭიროებას თვით საკვლევი ობიექტის — ენის სტრუქტურა ქმნის. განსხვავებულ ენებში განსხვავებულია, როგორც სხვადასხვა დონის ერთეულთა ურთიერთობა, ისევე ერთეულთა ურთიერთმიმართება ერთსა და იმავე დონეზე. ამიტომ აგებულება გრამატიკისა, რო-

⁴⁷ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 332.

⁴⁸ გამორიცხული არ არის სათავისო ფორმის წარმოება საარვისოდან. სათავისო ქცევის ფორმა შეიძლება ჩავთვალოთ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ტრანსფორმაციის შედეგად მიღებულად.

მელიც წარმოადგენს სხვადასხვა დონეთა ერთობლიობას, განახვევებული უნდა იყოს სხვადასხვა სტრუქტურის ენებისათვის.

როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. გვ. 123) ინგლისური ენის წარმოქმნელ გრამატიკაში მორფოლოგიური დონე ცალკე არ არის გამოყოფილი.

ნ. ხომსკი მაინც ხედავს მორფოლოგიური ანალიზის საჭიროებას და ვინაიდან ინგლისური ფლექსიით ლარიბი ენაა, მას მოჰყავს მაგალითი გერმანული ენიდან: ...der Brüder...-ის დეროიაციის დროს უნდა მივიღოთ ინფორმაცია, რომ ...der Brüder... არის მამრობითი სქესი, მრავლობითი რიცხვი, ნათესაობითი ბრუნვა და სხვა. თანამედროვე ენათმეცნიერების თვალსაზრისზე თუ დავდგებით, ამბობს ნ. ხომსკი ...der Brüder... უნდა წარმოადგინოთ ისე, რომ თითოეულ კლასს შეესაბამებოდეს გარკვეული მორფემა, მაგრამ ნ. ხომსკის აზრით, გრამატიკისათვის, რომელიც ეფუძნება გადაწერის და ტრანსფორმაციის წესებს, ეს უკანასკნელი მოუხერხებელია, რადგან ბევრი ასეთი „მორფემა“ ფონეტიკურად არ რეალიზდება და ბევრჯერ წარმოდგენილია როგორც ნულოვანი ელემენტი⁴⁹.

ცხადია, ეს მტკიცება შეიძლება სამართლიანი იყოს ინგლისური ენისათვის, სადაც სიტყვის აგებულება ძლიერ მარტივია. ერთეული შემთხვევები, როდესაც გვექრდება სიტყვის დაშლა შემადგენელ ნაწილებად (მაგ.: დროის მაწარმოებელი აფიქსები ზმნაში ან ნათესაობითის და მრავლობითის მაწარმოებელი სახელში). ადვილად თავსდება გრამატიკის სინტაქსურ ნაწილში. უშუალო შემადგენელთა დონეზევე გვაქვს წესები, რომელთაც გადაეყვართ მორფემებზე. ეს მორფემები კი უმრავლეს შემთხვევაში მორფოლოგიის თვალსაზრისით განუყოფელი ერთეულებია.

დაუშვათ, ჩვენ გვინდა წარმოვქმნათ წინადადება ბ ა ე შ ვ ი წ ი გ ნ ს კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს, ამისათვის ჩვენ გრამატიკის სინტაქსურ ნაწილში (რომელიც წარმოქმნის ბირთვულ წინადადებებს. ე. ი. უშუალო შემადგენელთა ნაწილში) უნდა შევიტანოთ წესები:

$$\begin{aligned} S &- NP_1 \bar{V} P \\ NP_1 &- N^{საბ} \\ VP &- V P_1 \\ V P_1 &- N \bar{P}_2 \bar{V} P_2 \\ N P_2 &- N^{მთხ} \\ V P_2 &- V_{II}^{23} \end{aligned}$$

ბოლო ლექსიკონში კი შევიტანოთ შემდეგი ფორმები:

კითხულობს ($[V_1^{23}]$, [III პირი], [მხ. რიცხვი] ...)

ბავშვი ($[N^{საბ}]$, [სულიერი], [ვინ კლასი], ...)

წიგნს ($[N^{მთხ}]$, [უსულო], [საზოგადო], [რა კლასი]...)

ცხადია, ასეთ შემთხვევაში ბირთვული წინადადების წარმოქმნის წესები ძალიან შემცირდება და გაპარტივდება, მაგრამ გაიზრდება ლექსიკონი და გართულდება ტრანსფორმაციული წესების გამოყენება ბირთვის ტერმინალურ ჯაჭვზე.

⁴⁹ N. Ch oms ky, Aspects of the theory of syntax, გვ. 171—174.

რადგანაც ხშირად მორფემის შეცვლა იწვევს სინტაქსური ურთიერთობის ცვლას. ამ შემთხვევაში კი მორფემები გამოყოფილი არა გვაქვს.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბირთვული წინადადების წარმომქმნელ უშუალო შემადგენელთა გრამატიკაში დამატებითი შევიტანოთ შემდეგი სახის მორფოლოგიური წესები:

$N^{სხ.}$ — ფუძე + სახ. ბრ. ნიშანი

$N^{მთ.}$ — ფუძე + მიც. ბრ. ნიშანი⁵⁰

V_1^{23} — ფუძე + თემის ნიშანი + S_3 (მოცემული მაგალითისათვის),

§ 3. 2. ლექსიკონის აგებულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კერძოდ. მასში მითითებული უნდა იყოს სახელური და ზმნური ფუძეები. უნდა მიუთითოთ აგრეთვე, რომელი მორფემები შეიძლება შეგვხვდეს აღნიშნულ ფუძესთან.

თუ ჩვენ ბირთვულ წინადადებათა სტრუქტურულ ფორმულებად მივიჩნევთ კონსტრუქციებს:

$N^{სხ.} V^{13}$

$N_1^{სხ.} N_2^{მთ.} V^{23}$

$N_1^{სხ.} N_2^{მთ.} N_3^{მთ.} V^{33}$

მაშინ N^{13} , V^{23} , V^{33} (ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები შესაბამისად), ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდნენ თავიანთი აგებულებათა, ე. ი. სტრუქტურული ფორმულებით. მაგრამ

$$V^{13} \approx \sum_{n=1}^8 V_n^{13}$$

$$V^{23} \approx \sum_{n=1}^{30} V_n^{23}$$

$$V^{33} \approx \sum_{n=1}^{13} V_n^{33}$$

ეს იმას ნიშნავს, რომ ერთპირიანი ზმნა ქმნის დაახლოებით 8 ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჯგუფს, ორპირიანი—30-ს, სამპირიანი 13-ს⁵¹. მაგრამ სიმარტივისათვის გვჭირდება თითო ისეთი ფორმულა, რომლის საშუალებითაც დავახასიათებთ ყველა V^{13} , V^{23} და V^{33} ზმნას.

ამ მიზნით ვიღებთ მორფემათა გაერთიანებას ყველა ფორმიდან, რომელიც გვხვდება V^{13} , V^{23} და V^{33} ზმნათა ჯგუფებში შესაბამისად. რის შედეგადაც შეიძლება ჩაეწეროს

⁵⁰ თუ შევიტანოთ ამ ორ წესს, ამით გავხაზავთ იმას, რომ ბირთვული წინადადების სახ.-სა და მიც.-ს შორის არ არის იგივე დამოკიდებულება, რაც სახ.-სა და მიც.-ს შორის წინადადებაში „კაცო გავეთოლს სწავლობს“, „კაცმა გავეთილი ისწავლა“.

⁵¹ იგულისხმება აგებულებითაც და მატერიალურადაც განსხვავებული ფორმები. მაგ., სხვადასხვა ერთეულადაა ჩათვლილი ა-ბეზღ-ებს., ა-ბნ-ეე-ს., კმედ-ს., ბურჩნ-ის და სხვ. ფორმები. ჩვენ შევისწავლეთ დაახლოებით 4000 ზმნური ერთეული ევია-ფშაველას ნაწარმოებებთან, რის შედეგადაც მივღეთ აღნიშნული სურათი (იხ. გვ. 142—143).

$$V^{1a} = \text{ფუძე} + \text{თემა} + S_3$$

$$V^{2a} = O_3 + \text{ფუძის წინა ხმოვანი} + \text{ფუძე} + \text{თემა} + S_3$$

$$V^{3a} = O_3^{ორ.} + O_3^{პირ.} + \text{ფუძ. წინა ხმოვ.} + \text{ფუძე} + \text{თემა} + S_3^{52}.$$

გარკვეულ პირობებში აღნიშნული ფორმულის რომელიმე (ზოგჯერ რამდენიმე) წევრი წარმოადგენს ნულოვან მორფემას. მაგალითად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმის მიხედვით სამპირიან და ორპირიან ზმნაში არასოდეს არ გვხვდება ერთდროულად O_3 -ს ნიშანი და მოქმედებითის მაწარმოებელი ა- მორფემა, მაგრამ სამპირიან ზმნაში თუ არა გვაქვს მოქმედებითის ნიშანი, გვექნება O_3 , თუ ამისათვის სხვა სათანადო პირობები არსებობს. ესე იგი არის გარემოება, რომ V^{2a} -ში O_3 და მოქმედებითის მაწარმოებელი არ ხვდება ერთმანეთს, შეიძლება აიხსნას ფონოლოგიური დონის წესით. ხოლო ზოგ V^{2a} -ში შეიძლება მოქმედებითის მაწარმოებელი არა გექნოდეს, მაგრამ არ გვექნება აგრეთვე O_3 პირის ნიშანი, მიუხედავად იმისა, რომ მის არსებობას არაფერი არ უშლის ხელს. ეს საფუძველს გვაძლევს V^{2a} -ში გამოვყოთ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა ქვეჯგუფები, მაგრამ ვაეა-ფშაველას ნაწარმოებთა ჩვენ მიერ აღებულ მონაცეფთში ეს წესები მკაცრად არ არის დაცული. მესამე ობიექტური პირის ნიშანი გვხვდება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში, ხოლო სამპირიან ზმნაშიც ზოგჯერ არ აღინიშნება მესამე ობიექტური პირი, მიუხედავად იმისა, რომ მის არსებობას არაფერი არ უშლის ხელს.

ამგვარად, აღნიშნული მასალის საფუძველზე, ვიღებთ სამ განსხვავებულ სტრუქტურულ ფორმულას ბირთვულ წინადადებაში შემავალი ზმნისათვის. მაშასადამე, პირველ ყოვლისა ლექსიკონში უნდა გამოიყოს საპი ძირითადი ჯგუფი ზმნური ფუძეებისა, რომლებიც სათანადო მორფოლოგიური წესების გამოყენებით მოგვეცემენ სწორ ფორმებს ბირთვული წინადადებებისათვის.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართული ენის წარმოქმნელ გრამატიკაში დაეუშვათ როგორც უშუალო შემადგენელთა, ისე ტრანსფორმაციულ დონეზე ორგვარი წესები: სინტაქსური და მორფოლოგიური.

ტრანსფორმაციულ მორფოლოგიურ წესებს განეკუთვნებიან ისეთი წესები, რომლებიც გამოიყენებიან ტერმინალურ ჯაჭვზე ისე, რომ სინტაქსურ სტრუქტურას, არც წევრთა რაოდენობის თვალსაზრისით, არც მათ შორის მიმართების თვალსაზრისით არ ცვლიან. მაგალითად, კ ა ც ი მ ო ვ ი და — კ ა ც ო მ ო დ ის ერთმანეთის ტრანსფორმები არიან მორფოლოგიურ დონეზე.

თვით ლექსიკონშიც გამოვყოფთ ორი ტიპის მორფემებს:

1. მორფემები, რომლებიც მონაწილეობენ ბირთვული წინადადების წარმოქმნაში.

II. მორფემები რომლებიც ფუნქციონირებენ ტრანსფორმაციულ დონეზე.

ამგვარად, ჩვენ გვექნება ლექსიკონის პირველადი დაყოფა. ყოველი ტრანსფორმაციული წესი, განსაზღვრული ლექსიკურ ერთეულთა სიმრავლეზე. იწვევს შემდეგ მასში სხვადასხვა ქვეელასების გამოყოფის საჭიროებას.

დავასკვნით: იმისათვის, რომ შეექმნათ მარტივი და ადეკვატური წარმოქმნელი გრამატიკა, აუცილებელია გაეთვალისწინოთ ყოველი ლინგვისტური

⁵² ფუძის წინ შეიძლება შეგხედდეს ა (წარმოშობით მოქმ.-ის მაწარმ.), ი (წარმოშ.—სააფ. ქ.), უ (წარმოშ.—სასხ. ქ.), ე (წარმოშ. ვნ. გვარის ნშ.), მაგრამ სამპირისპირო სეიტრალური ფორმა დღეს მათ აღარ მოეპოვებათ და სათანადო შინაარსიც დაეარგულ აქვთ.

დონის მონაცემები. ქართული ენის შესწავლისას ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მორფოლოგიურ დონეს.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ქართული ენის ტრანსფორმაციული წარმომქმნელი გრამატიკის უშუალო შემადგენელთა დონის სტრუქტურა შემდეგი სახის უნდა იყოს:

I. სინტაქსური დონე

1. $S - NP \widehat{VP}$
2. $VP - \begin{cases} VP_1 \\ VP_2 \\ VP_3 \end{cases}$
3. $VP_1 - V^{1a}$
4. $VP_2 - NP_1 \widehat{VP}^{II}$
5. $VP^{II} - V^{2a}$
6. $VP_3 - NP_1 \widehat{VP}^{III}$
7. $VP_3^{III} - VP_2 \widehat{VP}^{III}$
8. $VP^{III} - V^{3a}$
9. $NP - N_1$
10. $NP_1 - N_2$
11. $NP_2 - N_3$

II. მორფოლოგიური დონე

შემოვიტანოთ აღნიშვნები:

სახელური ფუძე — M

ზმნური ფუძე — K

ფუძის წინა ხმოვანი — k^1

თემის ნიშანი — k

სუბიექტური მესამე პირის ნიშანი — s_3

ობიექტური მესამე პირის ნიშანი — O_3

ქესამე ირიბი ობიექტის ნიშანი — O_1^3

მესამე პირდაპირი ობიექტის ნიშანი — O_2^3

ბრუნვის ნიშანი — m

სახელობითი ბრუნვის ნიშანი — n

მიცემითი ბრუნვის ნიშანი — d

მორფოლოგიური დონის წესებს ექნება შემდეგი სახე:

12. $N_1 - M + m_1$
13. $N_2 - M + m_2$
14. $N_3 - M + m_2$
15. $m_1 - n$
16. $m_2 - d$
17. $V^{1a} - K + k + s_3$
18. $V^{2a} - O_3 + k^1 + K + k + s_3$
19. $V^{3a} - O_1^3 + O_2^3 + k^1 + K + k + s_3$

$$20. K \rightarrow \begin{cases} A : VP_1 - V^{11} \\ B : VP_2 - V^{21} \\ C : VP_3 - V^{31} \end{cases}$$

$$21. A - A_1VA_2V \quad VA_8$$

$$22. B - B_1VB_2V \dots VB_{30}$$

$$23. C - C_1VC_2V \quad VC_{13}$$

$$24. k \rightarrow \begin{cases} k_1: A - A_1VA_6; B - B_1VB_8VB_{11}VB_{10}VB_{21}VB_{24}VB_{23}VB_{29}; C - C_1VC_3VC_{11} \\ k_2: A - A_2; B - B_2VB_{10}; C - C_6 \\ k_3: B - B_7VB_{28}; C - C_3 \\ k_4: B - B_6VB_{30} \\ k_5: A - A_3VA_7; B - B_4VB_{16}VB_{17}VB_{19}VB_{19}VB_{22}VB_{27}; \\ \quad C - C_3VC_6VC_{10}VC_{13} \\ k_6: A - A_3; B - B_3VB_{13}; C - C_7 \\ k_7: B - B_9 \\ k_8: A - A_8VA_5; B - B_5VB_{11}VB_{12}VB_{16}VB_{23}VB_{29}; C - C_1VC_9VC_{12} \end{cases}$$

$$25. k^1 \rightarrow \begin{cases} k^1_1: B - B_2VB_2VB_7VB_{11}VB_{19}; C - C_1VC_2VC_9 \\ k^1_2: B - B_3VB_1VB_3VB_6VB_8VB_9VB_{10}VB_{16}VB_{18}VB_{20}; C - C_4VC_3VC_6VC_7VC_8 \\ k^1_3: B - B_{12}VB_{13}VB_{14}VB_{17}VB_{21}VB_{22}VB_{23}; C - C_{10}VC_{11}VC_{12}VC_{13} \\ k^1_4: B - B_{27}VB_{28}VB_{29}VB_{30} \\ k^1_5: B - B_{15}VB_{25}VB_{28} \end{cases}$$

ლექსიკონის პირველადი დაყოფა უნდა მოხდეს უშუალო შემადგენელთა ნაწილის წესთა შესაბამისად. პირველ რიგში ჩამოვწერთ გრამატიკული მნიშვნელობის მატარებელ მორფემებს. რომლებიც ბირთვში შედიან, ხოლო შემდეგ მორფემებს, რომლებიც გამოიყენებიან ტრანსფორმაციის დონეზე და გარკვეული შინაარსობრივი ცვლილება შეაქვთ ბირთვულ წინადადებებში.

- | | |
|----------------------|-------------------|
| 1. 1. $k'_1 - a$ | 4. $k_1 - ებ$ |
| $k'_2 - \emptyset$ | $k_2 - ობ$ |
| $k'_3 - უ$ | $k_3 - ევ$ |
| $k'_4 - ი$ | $k_4 - ამ$ |
| $k'_5 - ე$ | $k_5 - ი$ |
| 2. $o_2 - \emptyset$ | $k_6 - ავ$ |
| | $k_7 - ოფ$ |
| | $k_8 - \emptyset$ |

$$3. s_3 \begin{cases} s^1_3 - s : A - A_1V \dots VA_5; B - B_1V \dots VB_{13}VB_{22}VB_{17}V \dots VB_{30}; C - C_1V \dots VC_1 \\ s^2_3 - a : A - A_6VA_7VA_8; B - B_{16}V \dots VB_{21}VB_{23}V \quad VB_{26} \quad C - C_{13} \end{cases}$$

$$5. n - ი, \quad 6. d - ს.$$

- ↗ენ. 1. - ი
 II. 1. ვნებითი გვარი →ენ. 2. - ე
 ↘ენ. 3. - დ
 2. სათავისო ქცევის ნიშანი - ი
 3. სასხვისო ქცევის ნიშანი - უ

4. შუალობითი კონტაქტის ნიშანი — კონტაქტ. 1 — ინ
 — კონტაქტ. 2 — ეე
 \ კონტაქტ. 3 — ეეინ

ფუძეთა ლექსიკონში არც ზმნასთან, არც სახელთან არ ვიძლევიტ შინაარსობრივ დახასიათებას. ჩვენ გვიანტერესებს პირველ ყოვლისა გრამატიკულად სწორი წინადადებების წარმოქმნა. შინაარსობრივად სწორი (ანუ აზრიანი) წინადადების წარმოქმნა მეტად რთული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც, ზოგი ენათმეცნიერის აზრით, შეუძლებელიც კი ჩანს⁵³. ჩვენ არ შეუჩერდებით აქ შინაარსობრივად სწორი წინადადების საკითხზე, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ვაჟაფშაველას ნაწარმოებებში ბუნებრივია ისეთი წინადადებანი, რომლებიც შეიძლება არასწორად ჩაითვალოს, თუ სისწორის კრიტერიუმად ობიექტურ სინამდვილეს ავიღებთ. ვაჟაფშაველას ნაწარმოებში ცხოველები ლაპარაკობენ, მცენარეები ტირიან, ფრინველები იციინან, მთებია კი „სღვანან და ელიან, გული სტკივთ, ძალიან სტკივთ, მაგრამ არ იხოცებიან“⁵⁴.

სახელურ ფუძეთა ლექსიკონი⁵⁴

N	N	N
ამბავ ანუა არწიე ახალხ ადგილ ბერეა ბულბულ ბაღი ბაყა ბინდ	ბატკან ბალახ ბუნება ბრძანება ბეწე გახაფხულ გულა გარემოება ღარეჯან ღეღამიწა ღელალ	ღლე ღელაჩემ ღარღ ვადა ვეფხე ზარ ზიან ზრუნვა თავბრუ მღინარე მსე

ზმნურ ფუძეთა ლექსიკონი

A

A ₁	A ₂	A ₃	A ₄	A ₅	A ₆	A ₇	A ₈
ბიზინ ბრიალ ლელენ წიოკ	ბრაზ ბუღ ლალ მწვან	ბორც ბოღ ბზინ გორ	ზ თრთ რბ ტირ	ღულ ღუმ ღგა ჩან	ღნ თბ თერ ქედ	ვღ კიდ	გრილ ციე ცხელ

⁵³ იხ. Roman Jakobson, Eoas' view of Grammatical Meaning, The American Anthropologist, vol. 61, № 5, part 2. Memoir № 89, October. 1959, გვ. 139—145.

⁵⁴ სახელურ და ზმნურ ფუძეთა ლექსიკონი სრულად არ არის წარმოდგენილი. ჩვენ ამ შრომაში ძირითადად ზმნური ფუძეები გვიანტერესებს.

B

B ₁	B ₂	B ₃	B ₄	B ₅	B ₆	B ₇	B ₈	B ₉	B ₁₀	B ₁₁	B ₁₂	B ₁₃	B ₁₄	B ₁₅
ბუ ბირ ბელ ბეწ ...	მე რა რთ ...	ბელ ბურ ბურ ...	ღვე ღვე ღვე ...	გრე გლე კრე კრე ...	თქ სე სე ...	ბნ თ თ ნგ ...	ბა მონ პონ ტონ ...	ყ ყ ყ ...	ამ ბე ბე ღლე ...	ვე მე მე ქე ბელ ...	კვი რ ყვე რ ყვე ...	კ კ კ კ ...	ტე მე მე მე ...	რა ს ს ს ...

B

B ₁₀	B ₁₇	B ₁₈	B ₁₉	B ₂₀	B ₂₁	B ₂₂	B ₂₃	B ₂₄	B ₂₅	B ₂₆	B ₂₇	B ₂₈	B ₂₉	B ₃₀
ტე კე კე ...	რე რთ რთ ...	გონ კონ ქე ქე ...	ბ გ კ კ ...	ყ ყ ყ ყ ...	ღ ღ ღ ღ ...	ძ ძ ძ ძ ...	ნ ნ ნ ნ ...	[ღ [f [f [f ...	ნ ნ ნ ნ ...	რ რ რ რ ...	ტ ტ ტ ტ ...	ბ ბ ბ ბ ...	ნ ნ ნ ნ ...	ს ს ს ს ...

C

C ₁	C ₂	C ₃	C ₄	C ₅	C ₆	C ₇	C ₈	C ₉	C ₁₀	C ₁₁	C ₁₂	C ₁₃
ბ ბ ბ ბ ...	რ რ რ რ ...	ს ს ს ს ...	ფ ფ ფ ფ ...	მ მ მ მ ...	პ პ პ პ ...	წ წ წ წ ...	ყ ყ ყ ყ ...	ღ ღ ღ ღ ...	ე ე ე ე ...	გ გ გ გ ...	ბ ბ ბ ბ ...	რ რ რ რ ...

ვაწარმოთ რამდენიმე ბირთვული წინადადება უშუალო შემადგენელთა აღნიშნული წესების გამოყენებით:

- | | | |
|--|--|---------------------------------|
| I. 1. S - NPVP | II. 7. V ^{1a} - K+k+s ₃ | III. M - მტრედ |
| 2. VP - VP ₁ | 8. K - A | n - ი |
| 3. VP ₁ - V ^{1a} | 9. A - A ₁ | A ₁ - ღულუნ |
| 4. NP - N ₁ | 10. k - k ₁ | k ₁ - ებ |
| 5. N ₁ - M + m ₁ | 11. s ₃ - s ₃ ¹ | s ₃ ¹ - ს |
| 6. m ₁ - n | | |

საბოლოოდ, თუ სწორხაზოვნად ჩაეწერთ სათანადო მორფემებს, მივიღებთ წინადადებას: მ ტ რ ე დ - ი დ უ ლ ე ნ - ე ბ - ს.

- | | | |
|---|---|---|
| I. 1. S - NPVP | 5. NP - N ₁ | 8. m ₁ - n |
| 2. VP - VP ₂ | 6. NP ₁ - N ₂ | 9. N ₂ - M ₂ + m ₂ |
| 3. VP ₂ - NP ₁ VP ₁₁ | 7. N ₁ - M ₁ + m ₁ | 10. m ₂ - d |
| 4. VP ₁₁ - V ^{2a} | | |

- | | |
|--|--|
| II. 11. $V^{\text{მ}} \rightarrow \sigma_3 + k' + K + k + s_3$ | III. 17. $M_1 \rightarrow \text{კ} \text{ც}$ |
| 12. $K \rightarrow B$ | 18. $n \rightarrow \text{ო}$ |
| 13. $B \rightarrow B_1$ | 19. $M_2 \rightarrow \text{სახლ}$ |
| 14. $k \rightarrow k_1$ | 20. $d \rightarrow \text{ს}$ |
| 15. $k' \rightarrow k'_1$ | 21. $k'_1 \rightarrow \text{ა}$ |
| 16. $\sigma_3 \rightarrow \text{ც}$ | 22. $B_1 \rightarrow \text{შენ}$ |
| | 23. $k_1 \rightarrow \text{ებ}$ |
| | 24. $s_3 \rightarrow \text{ს}$ |

სწორხაზოვანი ჩაწერით: კაც-ი სახლ-ს ა-შენ-ებ-ს

- | | |
|---|---|
| I. 1. $s \rightarrow N\bar{P}VP$ | II. 9. $N_1 \rightarrow M_1 + m_1$ |
| 2. $VP \rightarrow VP_3$ | 10. $N_2 \rightarrow M_2 + m_2$ (ეს წესი გამოიყენება ორჯერ). |
| 3. $VP_3 \rightarrow NP_1 VP_{III}$ | 11. $m_1 \rightarrow n$ |
| 4. $VP_{III} \rightarrow NP_2 VP_{III}$ | 12. $m_2 \rightarrow d$ (ორჯერ) |
| 5. $VP_{III} \rightarrow V^{\text{მ}}$ | 13. $V^{\text{მ}} \rightarrow \sigma'_1 + \sigma'_2 + k' + K + k + s_3$ |
| 6. $NP \rightarrow N_1$ | 14. $K \rightarrow C$ |
| 7. $NP_1 \rightarrow N_2$ | 15. $C \rightarrow C_1$ |
| 8. $NP_2 \rightarrow N_2$ | 16. $k' \rightarrow k'_1$ |
| | 17. $k \rightarrow k_1$ |
| III. 18. $M_1 \rightarrow$ მამალ | 25. $\sigma'_1 \rightarrow \emptyset$ |
| 19. $n \rightarrow \text{ო}$ | 26. $\sigma_3 \rightarrow \emptyset$ |
| 20. $M_2 \rightarrow$ მელა | 27. $C_1 \rightarrow$ ბარ |
| 21. $d \rightarrow \text{ს}$ | 28. $k_1 \rightarrow$ ებ |
| 22. $M_2 \rightarrow$ მოკითხვა | 29. $s'_3 \rightarrow$ ს |
| 23. $d \rightarrow \text{ს}$ | |
| 24. $k'_1 \rightarrow \text{ა}$ | |

სწორხაზოვანი ჩაწერით: მამალ-ი მელა-ს მოკითხვა-ს ა-ბარ-ებ-ს.

§ 3. 3. წარმოქმნილი გრამატიკის ტრანსფორმაციული დონე. ვიდრე კონკრეტულ ტრანსფორმაციულ წესებს შევიმუშავებდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავხაზოთ ერთი გარემოება: ისევე, როგორც ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნის შემთხვევაში მოვიქცეთ, საკურო ხდება ჩაწერით ზმნის უნივერსალური ფორმულა, ანუ ყველა იმ მორფემათა გაერთიანება, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს ზმნის ნებისმიერ ფორმაში: აქასთანავე მითითებული უნდა იყოს მორფემის აღივლი ზმნის ფორმაში (აღივნილება სათანადო რიცხვით).

ყველა ზმნერ მორფემათა ჯაჭვს შეზღვევი სახე ექნება:

(1) ზმნისწინი + s_3 + (2) $\sigma_{1,2,3}$ + მოქმ. (4) მაწ. + (5) ქვევა + (6) სიტუაცია +
 + (7) ვნებითი გვარი + (8) ფუძე + (9) ვნებითი გვარი + (10) კონტაქტი + (11) თემა +
 (1,2) (3)

$$+ \overset{(12)}{\text{სერცობი}} + \overset{(13)}{\text{მწკრივი}} + \overset{(14)}{\text{რიცხვი}} + \overset{(15)}{s_2} +$$

+ ენებითი გვარის მიმღობის მაწარმოებელი + მეშველი ზნა⁵⁵.

გამონათქვამის ფორმალური ჩაწერის დროს ზნის ყოველ მორფემას მიუწერეთ სათანადო ნომერს. შემდეგ რომელიმე აუცილებელი ტრანსფორმაციული წესის გამოყენების დროს ნომერთა თანმიმდევრობით დალაგების საშუალებით მორფემა დაიქვრს სათანადო ადგილს, რაც განაპირობებს გრამატიკულად სწორი ფორმის მიღებას.

აღნიშნოთ ტრანსფორმაციის ოპერაცია T-სიმბოლოთი.

1) დავუშვათ, გვაქვს ზნის აქტიური ფორმის შემცველი წინადადება, რომლისგანაც გვინდა ვაწარმოოთ სათანადო პასიური ფორმა:

მაგ., არწივი ბუღბულს ათავისუფლებს.

ამ წინადადების სტრუქტურული განაწილება იქნება

$$\bar{N}_1 \bar{N}_2 \bar{V}^{23} \rightarrow (M_1 + m_1)(M_2 + m_2)(o_3 + k_1^1 + B_1 + k_1 + s_3).$$

სტრუქტურული ცვლილების ანუ არაუცილებელი ტრანსფორმაციის შემდეგ მივიღებთ: $(M_2 + m_1)(B_1 + k_1 + s_1^1 + \text{ენ} \cdot 3)$. აუცილებელი ტრანსფორმაცია

გვაძლევს: $(M_2 + m_1)(B_1 + \text{ენ} \cdot 3 + k_1 + s_3) \rightarrow N_1 V^{13}$.

ბუღბულ-ი ათავისუფლ-დებ-ა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია მივიღეთ ერთპირიანი ზნა, მაგრამ იგი ბირთვის არ განეკუთვნება, რადგანაც წარმოადგენს ორპირიანი ზნის ტრანსფორმას. ამაზე მიუთითებს მისი ტრანსფორმაციული ისტორია.

აღნიშნული ტრანსფორმაცია სამართლიანია ყველა ანალოგიური სტრუქტურული განაწილების მქონე წინადადებისათვის.

წინადადებანი, რომელთა სტრუქტურულ განაწილებაშიც შედის B_3, B_4, B_6, B_8 სხვაგვარ სტრუქტურულ ცვლილებებს განიცდიან.

მაგ., ბუნება გაზაფხულ-ს ლოც-ავ-ს.

სტრუქტურული განაწილება:

$$\bar{N}_1 \bar{N}_2 \bar{V}^{23} - (M_1 + m_1)(M_2 + m_2)(o_3 + k^1 + B_3 + k_3 + s_3).$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$(M_2 + m_1)(B_3 + k_1 + s_1^1) + \text{ენ} \cdot 1 - (M_2 + m_1)(\text{ენ} \cdot 1 + B_3 + k_1 + s_1^1) \rightarrow N_1 V^{13}$$

გაზაფხულ-ი ი-ლოც-ებ-ა.

როდესაც ფორმულაში შედის B_2, B_7, B_9 , მაშინ სტრუქტურული ცვლილება ისეთივეა, როგორც მეორე მაგალითის შემთხვევაში, მხოლოდ თემის ნიშანი რჩება უცვლელი ტრანსფორმაციის დროს.

⁵⁵ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 508.

მოვეყვანოთ პასიური ტრანსფორმაციის კიდევ ერთი მაგალითი:

T₁ ვნებოთი (არა აუცილებელი).

წვიმა ია-ს ფოთოლ-ს ა-ცლ-ი-ს.

სტრუქტურული განაწილება:

$$N_1 \overline{N_2} N_3 \overline{V}^{2a} - (M_1 + m_1) \overline{(M_2 + m_2)} \overline{(M_3 + m_3)} (k_1' + C_3 + k_3 + s_3). \quad (4) \quad (8) \quad (11) \quad (15)$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$(M_2 + m_2) \overline{(M_3 + m_3)} (C_3 + k_1 + s_3 + \text{ვნ} \cdot 2) - \\ - (M_2 + m_2) \overline{(M_3 + m_3)} (\text{ვნ} \cdot 2 + C_3 + k_1 + s_3') - N_1 N_2 \overline{V}^{2a}$$

ია-ს ფოთოლი ე-ცლ-ება-ა.

ანალოგიური ტრანსფორმაციით ყველა წინადადებისაგან, რომელიც წმნის ფორმაში შეიცავს C₃-ს, შეიძლება ვაწარმოოთ სათანადო პასიური წინადადება.

2) მოვეყვანოთ ერთ მაგალითს ბირთვიდან შუალობათი კონტაქტის წარმოებაზე:

T₁ კონტაქტი (არა აუცილებელი).

მთა ქედ-ს ხრ-ი-ს.

სტრუქტურული განაწილება:

$$N_1 \overline{N_2} \overline{V}^{2a} - (M_1 + m_1) \overline{(M_2 + m_2)} \overline{(B_4 + k_3 + s_3)}. \quad (8) \quad (11) \quad (15)$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$(M_1 + m_1) \overline{(M_2 + m_2)} \overline{(B_4 + k_3 + s_3 + k_1' + \text{კაუზ. 3})} \overline{(M_3 + m_3)} - \\ T \text{ აუტ.} \\ - (M_1 + m_1) \overline{(M_2 + m_2)} \overline{(M_3 + m_3)} (k_1' + B_4 + \text{კაუზ. 3} + k_1 + s_3). \quad (4) \quad (8) \quad (14) \quad (11) \quad (15)$$

ზარი-ი მთა-ს ქედ-ს ა-ხრ-ვეინ-ებ-ს.

აღნიშნული ტრანსფორმაცია სამართლიანია ანალოგიური სტრუქტურის მქონე წინადადებებისათვის.

3) T ქცევა (სასხ.) (არა აუცილებელი).

არწივი-ი გზა-ს ხსნ-ი-ს.

სტრუქტურული განაწილება:

$$N_1 \overline{N_2} \overline{V}^{2a} - (M_1 + m_1) \overline{(M_2 + m_2)} \overline{(B_4 + k_3 + s_3)}. \quad (8) \quad (11) \quad (15)$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$(M_1 + m_1) \overline{(M_3 + m_3)} \overline{(B_4 + k_3 + s_3 + \text{ქცევა სასხვ.})} \overline{(M_3 + m_3)} - \\ T \text{ აუტ.} \\ - (M_1 + m_1) \overline{(M_2 + m_2)} \overline{(M_3 + m_3)} (\text{ქცევა სასხვ.} + B_4 + k_3 + s_3) - N_1 \overline{N_2} \overline{N_3} \overline{V}^{2a}. \quad (5) \quad (8) \quad (11) \quad (15)$$

არწივი-ი ბულბულ-ს გზა-ს უ-ხსნ-ი-ს.

T ქცევა (სათავისო) (არა აუცილებელი).

არწივი-ი ბულბულ-ს გზა-ს უ-ხსნ-ი-ს.

სტრუქტურული განაწილება:

$$N_1 \overline{N_2} \overline{N_3} \overline{V^{31}} - (M_1 + m_1)(M_2 + m_2)(M_3 + m_3) \left(\begin{matrix} (5) & (8) & (11) & (15) \\ \text{ქცევა} & \text{სასხვ.} & + B_4 & + k_5 & + s_5 \end{matrix} \right)$$

სტრუქტურული ცვლილება:

$$(M_2 + m_1)(M_3 + m_2) \left(\begin{matrix} (5) & (8) & (11) & (15) \\ \text{ქცევა} & \text{სათ.} & + B_1 & + k_5 & + s_5 \end{matrix} \right)$$

არწივი-გზა-ი-ხსნ-ი-ს.

ადვილი შესამჩნევია, რომ სტრუქტურული ცვლილება დაკავშირებულია სტრუქტურულ განაწილებასთან. ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი ტრანსფორმაციის დროს შესაძლებელია:

1. სხვადასხვა სტრუქტურული განაწილების მქონე წინადადებებმა ერთნაირი სტრუქტურული ცვლილება განიცადონ.
2. ერთნაირი სტრუქტურული განაწილების მქონე წინადადებებმა სხვადასხვა სტრუქტურული ცვლილება განიცადონ.
- 4) შინაარსის მიხედვით ბირთვული წინადადებანი თბრობითი წინადადებანი არიან. ადვილი საწარმოებელია მათგან კითხვითი ან უარყოფითი წინადადებები.

T₁ კითხ.

სტრუქტურული განაწილება: $N_1 \overline{V^{11}}$

სტრუქტურული ცვლილება: ვინ $\overline{V^{11}}$

T₂ კითხ.

სტრუქტურული განაწილება: $N_1 \overline{V^{11}}$

სტრუქტურული ცვლილება: რა $\overline{V^{11}}$

T₃ კითხ.

სტრუქტურული განაწილება: $N_1 \overline{N_2} \overline{V^{21}}$

სტრუქტურული ცვლილება: ორი ტრანსფორმაციის შეერთებით

$$\left\{ \begin{matrix} \text{ვინ} \\ \text{რა} \end{matrix} \right\} \overline{N_2} \overline{V^{21}} - \left\{ \begin{matrix} \text{ვინ} \\ \text{რა} \end{matrix} \right\} \overline{V^{21}} \overline{N_2}$$

T₄ კითხ.

სტრუქტურული განაწილება: $N_1 \overline{N_2} \overline{V^{21}}$

სტრუქტურული ცვლილება: $N_1 \left\{ \begin{matrix} \text{ვის} \\ \text{რას} \end{matrix} \right\} \overline{V^{21}}$

T₅ კითხ.

სტრუქტურული განაწილება: $N_1 \overline{N_2} \overline{N_3} \overline{V^{31}}$

სტრუქტურული ცვლილება:

$$1. \left\{ \begin{matrix} \text{ვის} \\ \text{რა} \end{matrix} \right\} \overline{N_2} \overline{N_3} \overline{V^{31}} - \left\{ \begin{matrix} \text{ვის} \\ \text{რა} \end{matrix} \right\} \overline{V^{31}} \overline{N_2} \overline{N_3}$$

$$2. N_1 \left\{ \begin{matrix} \text{ვის} \\ \text{რას} \end{matrix} \right\} \overline{N_3} \overline{V^{31}} - N_1 \left\{ \begin{matrix} \text{ვის} \\ \text{რას} \end{matrix} \right\} \overline{V^{31}} \overline{N_3}$$

$$3. N_1 \overline{N_2} \left\{ \begin{matrix} \text{ვის} \\ \text{რას} \end{matrix} \right\} \overline{V^{31}}$$

აღნიშნული (T კიბ.) ტრანსფორმაციები ბირთვულ წინადადებაში წევრთა რაოდენობას არ ცვლიან. „ვინ“ და „რა“ კითხვითი ნაცვალსახელები არიან, რომელიც ცვლიან სათანადო სახელს. წინადადების წყობაში საჭირო ხდება მხოლოდ წევრთა ისეთი შეცვლა, რომ კითხვითი სიტყვა წინ უსწრებდეს ზმნას.

კითხვითი წინადადებები: როგორ გააკეთა? როდის გააკეთა? რით გააკეთა? და ა. შ. ჩვენ არ მიგვაჩნია ბირთვულ წინადადებათა უშუალო ტრანსფორმებად. ბირთვულ წინადადებათა ტრანსფორმები იქნებიან ისეთი წინადადებანი, რომელთაც დამატებითი შინაარსი შეაქვთ მათში გარკვეული წევრის დამატებით. მაგალითად. A — კლასის (ზედსართავთა კლასი) სიტყვები ერთვიან რა N₁, N₂ ან N₃-ს. განსაზღვრავენ მას, უმატებენ რაღაც ნიშანს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს N-ს.

ლამაზი კაცი დიდ სახლს აშენებს.

ამ წინადადების უშუალო ტრანსფორმა იქნება:

როგორი კაცი აშენებს დიდ სახლს?

ლამაზი კაცი როგორ სახლს აშენებს?

ასეთი სახის წინადადებებზე აქ დაწერილებით არ შეეჩერდებით, რადგან ჩვენ გვიანტერესებს მხოლოდ მარტივ გაუფრთხილებლ წინადადებათა წარმოება ბირთვიდან.

5) აღვილია თხრობითი წინადადებიდან უარყოფითი წინადადების წარმოება.

T უარყოფითი

სტრუქტურული განაწილება: $N_1 \overline{V}^{13}$

$N_1 \overline{N}_2 \overline{V}^{23}$

სტრუქტურული ცვლილება: $N_1 \overline{N}_2 \overline{N}_3 \overline{V}^{33}$

1. $N_1 \left\{ \begin{array}{l} \text{არ} \\ \text{ვერ} \\ \text{ნუ} \end{array} \right\} \overline{V}^{13}$

2. $N_1 \overline{N}_2 \left\{ \begin{array}{l} \text{არ} \\ \text{ვერ} \\ \text{ნუ} \end{array} \right\} \overline{V}^{23}$

3. $N_1 \overline{N}_2 \overline{N}_3 \left\{ \begin{array}{l} \text{არ} \\ \text{ვერ} \\ \text{ნუ} \end{array} \right\} \overline{V}^{33}$

აღნიშნული (უარყოფითი) ტრანსფორმაციები ეხება როგორც ბირთვულს, ისევე ბირთვიდან ნაწარმოებ მარტივ წინადადებებს.

შეიძლება დავასკვნათ:

როდესაც ენის გრამატიკას წარმოვადგენთ როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც უნდა წარმოქმნათ ამ ენის გრამატიკულად სწორი წინადადებანი, საჭირო ხდება გამოწველივით შევისწავლოთ ყოველი სიტყვა-ფორმა, მოვახდინოთ ერთნაირი სტრუქტურის მქონე სიტყვების კლასიფიკაცია მათი ქცევის მიხედვით მათზე სხვადასხვაგვარი ტრანსფორმაციული წესის გამოყე-

ნების საშუალებით. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ღრმად შევიკრათ ენის აგებულებაში და გავითვალისწინოთ თითქმის ყველა მორფემის ინდივიდუალური თვისებები.

ამგვარი გრამატიკის საშუალებით ავტომატურად ვიღებთ გრამატიკულად სწორ წინადადებას მის სტრუქტურულ დახასიათებასთან ერთად, რაც ააღვილებს წინადადების გაგებას და შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ გარკვეულ დონეზე ომონიმური წინადადებანი.

მაგრამ ენათმეცნიერების ამოცანა მარტო ასეთი გრამატიკის აგებით ვერ ამოიწურება. ასახსნელი რჩება, რატომ იქცევა თითქმის ერთნაირი სტრუქტურის მქონე ფორმები სხვადასხვაგვარად მათზე ერთნაირი ოპერაციების გამოყენების შემთხვევაში?

რატომ გვაქვს სხვადასხვა მორფემა ერთი და იმავე გრამატიკულა კატეგორიის გადმოსაცემად?

ამ და მრავალ სხვა კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო ხდება ენის ისტორიის გათვალისწინება, რაც ტრანსფორმაციული წარმოქმნილი გრამატიკის სფეროში არ შედის.

იგი ავლენს ამა თუ იმ თვისებებურებას, მაგრამ ვერ ხსნის მისი არსებობის მიზეზს. ამიტომ ტრანსფორმაციული წარმოქმნილი გრამატიკის აგება არის ენათმეცნიერების ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ამოცანა.

Л. С. ЕНУКИДЗЕ

ЯДЕРНЫЕ ПРЕДЛОЖЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(Опыт применения трансформационного метода)

Резюме

В работе трансформационный метод, разработанный Н. Хомским, применяется к материалу грузинского языка. В частности, рассматривается вопрос о выделении ядерного предложения и о соотношении простого и ядерного предложений в грузинском языке. Поэтому наряду с чистыми трансформациями мы попутно применяем и анализ по НС.

Н. Хомский, на основе изучения английского предложения, выделяет в виде ядра предложения в активной форме, а пассивные конструкции (а также вопросительные предложения, предложения с разными союзами и др.) считаются выводными из ядерных предложений с помощью определённых трансформаций.

Структуры английского и грузинского языков различны, часто те значения, которые выражаются в английском языке синтаксическими средствами, передаются в грузинском языке при помощи соответствующих морфологических форм глагола. Поэтому при выделении ядерного предложения в грузинском языке надо особенно тщательно изучать форму глагола. Изменение одной морфемы в глагольной форме

часто меняет строй предложения, выпадает или появляется какой-нибудь член предложения или изменяется отношение согласования и управления между членами предложения.

Простое предложение для грузинского языка определяется как конструкция, которая строится при помощи координации имени и глагола¹.

Грамматически правильное простое повествовательное предложение в грузинском языке имеет одну из следующих структур:

- (1) 1. $N^{им} \cdot V^{1л}$
I, II, III
2. $N^{им} \cdot N^{зат} \cdot V^{2л}$
I, II, III
3. $N^{им} \cdot N^{зат} \cdot V^{2л}$
I
4. $N^{эрг} \cdot N^{им} \cdot V^{2л}$
II
5. $N^{зат} \cdot N^{им} \cdot V^{3л}$
III
6. $N^{им} \cdot N^{зат} \cdot N^{зат} \cdot V^{3л}$
I
7. $N^{эрг} \cdot N^{зат} \cdot N^{им} \cdot V^{3л}$
II
8. $N^{зат} \cdot N^{род} + \text{послелог} \cdot N^{им} \cdot V^{3л}$
III²

Определяющим для этих структур является глагол. Перечисленные структуры можно свести к трём типам:

- (2) 1. $N^{им} \cdot V^{1л}$
I
2. $N^{им} \cdot N^{зат} \cdot V^{2л}$
I
3. $N^{им} \cdot N^{зат} \cdot N^{зат} \cdot V^{3л}$
I

Соответственно множество глаголов в грузинском языке делится на три основные группы: одноличных, двухличных и трёхличных.

Можно ли считать эти структуры ядерными для грузинского языка? На этот вопрос нельзя ответить однозначно. В группу одноличных, двухличных и трёхличных глаголов в конструкциях (2) входят глаголы как непрямой, так и прямой структуры. Например, форма пассива образуется из активной формы ($a\text{-}\check{k}el\text{-}cb\text{-}s \rightarrow \check{k}el\text{-}d\text{-}eb\text{-}a$, $a\text{-}\check{z}\text{-}ep\text{-}eb\text{-}s \rightarrow \check{z}ep\text{-}d\text{-}eb\text{-}a$ и др., где $-d-$ показатель пассива). В грузинском языке пассивная конструкция предложения отличается от активной главным образом формой глагола. Реальный субъект в косвенном падеже +

¹ Координация сложное синтаксическое отношение, при котором глагол управляет падежами связанных с ним морфологически и.д.н, а имена управляют лицом и числом глаголов: см. А. С. Чикобава, Проблема простого предложения в грузинском языке, Тбилиси, 1928 (на груз. языке).

² Где N —существительное в разных падежах, а V —личная форма глагола в разных сериях времён и наклонений. Верхний индекс обозначает количество лиц в форме глагола, а нижний индекс — серию глагола.

Послелог при пассивной форме глагола обычно отсутствует и пассивная конструкция совпадает по своей структуре с конструкцией простого предложения с одноличными и двухличными глаголами. Но, несмотря на это, предложения, в которых глаголы представлены в пассивной форме, не являются ядерными.

В работе формы каузатива, формы объективной и субъективной версии также рассматриваются как производные формы. Форма каузатива *a-ḳet-eb-ip-eb-s* (заставляет делать кого-то) где *-ip-* показатель каузатива, образуется из активной нейтральной формы *a-ḳet-eb-s*. Из этой же формы можно образовать субъективную и объективную версию *i/u-ḳet-eb-s* (делает для себя, для другого). В зависимости от образования той или иной формы глагола соответствующим образом меняется структура и содержание исходной формы предложения. Предложения из одного структурного типа (2) переходят в другой.

Ядерные предложения должны обладать свойством независимости (несводимости), поэтому предложения, в которых глаголы даны в пассиве, в объективной или субъективной версии, или в каузативной форме, автоматически исключаются из ядра. В ядре остаются предложения, которые не имеют производной структуры. Свести их друг к другу невозможно.

При построении порождающей грамматики грузинского языка следует учесть все вышесказанные соображения. Ядерные предложения строятся в основном при помощи правил уровня НС. Но уровень НС порождающей грамматики следует строить так, чтобы обеспечить простоту и адекватность грамматики в целом, для этого надо учесть морфологическую структуру составных частей предложения (словформ) и обеспечить исключение производных форм из ядра (структуру НС для грузинского языка см. на стр. 140).

Одноличные, двухличные и трёхличные глаголы, которые входят в ядерные предложения, не имеют одинаковой структуры. Структурно различаются также и глаголы, входящие в эти группы, поэтому в словаре, который представляет список грамматических и лексических морфем, глагольные формы делятся на подгруппы. В группе одноличных глаголов выделяются 8 подгрупп, в группе двухличных — 30, а в группе трёхличных — 13. Отдельные трансформации вызывают дополнительные членения этих подгрупп.

Вопросительные и отрицательные предложения и в грузинском языке считаются выводимыми из ядерных предложений.

В конце работы даётся несколько трансформационных правил, при помощи которых преобразуются ядерные предложения, полученные на уровне НС.

ბ. ავარაცხელია

სტატისტიკური მეთოდებით ლექსიკის სტილისტურ-შეღარებითი კვლევა

მეტყველების სტილის კვლევისას მიღებულია შემდეგი ძირითადი საკითხების გამოყოფა:

„1. რა სახის გამოხატველობით ფუნქციას ასრულებს გარკვეულ სიტყვათა შერჩევა, რა დანიშნულება განაზღვრავს მაინცდამაინც ამ გარკვეული ლექსიკით სარგებლობას ადამიანის გაცილებით უფრო ფართო ლექსიკური მარაგიდან?

2. რა გამოხატულებითს სახეცვლილებას იძლევა სიტყვა კონტექსტის მიხედვით, რადარანაირი შინაარსების გადმოცემა ხერხდება ერთი და იმავე სიტყვით, იმისდა მიხედვით, თუ რა ენობრივ ვითარებაშია იგი გამოყენებული?

3. რა დანიშნულებას ემსახურება და უბასუხებს სხვადასხვა სახის შესიტყვება, სიტყვათა გარკვეული სახით შეთანხმება, მათი რიგი და თანმიმდევრობა? რა გამოხატულებითს ძალას შეიცავს სიტყვიერ მონაცემთა გარკვეული განლაგება გაბმული მეტყველების ამა თუ იმ მონაკვეთსა და სახეობაში?«¹

სტილისტიკის ზემოდასახელებული საკითხების დამუშავებისას წარმოებთ შეიძლება გამოვიყენოთ სტატისტიკური მეთოდები, რადგან აქ ნათლად დგას ენობრივ მოვლენათა რაოდენობრივი ანალიზის აუცილებლობა.

ვინაიდან ეს საკითხები სტილისტიკის ძირითადი საკითხებია, რომლებიც მეტად რთულ და ამავე დროს დიდ სფეროს შეეხება, ამიტომ მათი გადაწყვეტისათვის აუცილებელია მრავალფეროვანი მასალის დამუშავება, ყველა იმ საკითხის შესწავლა, რომელიც უკავშირდება ძირითადი საკითხების წრეს. ასეთ ვითარებაში ჩვენი კვლევისათვის მიზანშეწონილია ზოგადი საკითხებიდან კონკრეტული საკითხების გამოყოფა და ამავე დროს საკვლევი მასალის შემოფარგვლა.

ზემოდასახელებული საკითხებიდან მეორე და მესამე ამჟამად არ წარმოადგენს ჩვენი დაკვირვების საგანს, ხოლო პირველი ასეთ სახეს მიიღებს: 1. როგორია ლექსიკის სტატისტიკური სტრუქტურა (ლექსიკის სიმდიდრე, გარკვეულ სიტყვათა ხმარებულობის სიხშირე და ა. შ.) ერთი და იმავე აზრობრივი ინფორმაციის გადმოცემისას სამ სხვადასხვა ენაზე (ქართულ, ინგ-

¹ გ. კ ი კ ა ძ ე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი, 1957, გვ. 29.

ლისურ, რუსულ) საკითხის ანეთ დასმას შეეყვართ შედარებითი სტილისტიკის სფეროში².

კვლევას ვაწარმოებდით სტატისტიკური და ალბათური მეთოდების გამოყენებით, რომელთა გადმოცემისათვის აუცილებელია სტილოსტატისტიკაში მიღებული ზოგიერთი ცნებისა და ფორმულის განმარტება³.

თუ ვსწავლობთ გარკვეული ტექსტის ლექსიკას, მაშინ მთელი ტექსტის სიგრძეს, ანუ იმ სიტყვათა სიმრავლეს, რომლებიც შეადგენს ტექსტს, აღვნიშნავთ L -ით, ე. ი. L სიმრავლე წარმოადგენს სიტყვასიტყვით გადაწერილ ტექსტს მთლიანად ყოველგვარი დაჯგუფების გარეშე. ცხადია, L სიმრავლეში გამოიყოფა ლექსიკის გარკვეული ჯგუფი, რომელიც შეიცავს მხოლოდ განსხვავებულ სიტყვებს. ეს ჯგუფი აღვნიშნავთ N -ით, ე. ი. N არის მოცემული ტექსტის ლექსიკონი.

დავუშვათ, რომ x არის სიხშირე, რომლითაც გვხვდება ტექსტში ინდივიდუალური სიტყვა, ზოგადად, x არის ცვლადი, რომლის მნიშვნელობები დამოკიდებულია ცალკეული სიტყვის გამოყენების სიხშირეზე. f არის ის სიხშირე, რომლითაც გვხვდება x მნიშვნელობა. მაგ., $x=2$ და $f=25$ ნიშნავს იმას, რომ მოცემულ ტექსტში 25 სხვადასხვა სიტყვა გვხვდება ორ-ორჯერ. განსხვავებულ სიტყვათა რაოდენობა გამოიხატება ასე:

$$N = f_1 + f_2 + \dots + f_n = \sum_{i=1}^n f_i$$

მთელ სიტყვათა რაოდენობა

$$L = f_1 x_1 + f_2 x_2 + \dots + f_n x_n = \sum_{i=1}^n f_i x_i$$

სიხშირეთა განაწილების საშუალოს წარმოადგენს არითმეტიკული საშუალო \bar{x} ანუ M .

$$M = 1/N(f_1 x_1 + f_2 x_2 + \dots + f_n x_n) = 1/N \sum_{i=1}^n f_i x_i$$

ე. ი. განაწილების საშუალო უდრის მთელ სიტყვათა შეფარდებას განსხვავებულ სიტყვებთან, ეს არის სიხშირის განაწილების ერთ-ერთი სტატისტიკური მახასიათებელი. მეორე იქნება ამ საშუალოდან სტანდარტული გადახრა (დისპერსია), რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\sigma^2 = 1/N \sum f_i (x_i - \bar{x})^2 = (\sum f_i x_i^2) / N - \bar{x}^2$$

² შედარებითი სტილისტიკის შესახებ იხ. A. Malblanc, Pour une stylistique comparée du français et de l'allemand; Paris, Didier, 1961; I. P. Vinay et I. L. Darbelnet, Stylistique comparée du français et de l'anglais, Paris, 1958; აგრეთვე, G. Barth, Recherches sur la fréquence et la valeur des parties du discours en Français, en Anglais et en Espagnol, Paris, Didier, 1961.

³ სტილოსტატისტიკის შესახებ იხ. P. Guiraud, L'évolution statistique du style de Rimbaud et le problème des Illuminations, Mercure de France, Oct. 1954; ზისივე, Problèmes et méthodes de la statistique linguistique, Paris, 1960; G. Herdan, Language as Chance and Chance, Groningen, 1956; ზისივე, Quantitative Linguistics, London, Butterworths, 1964 და სხვ.

სოლო σ_x/M_x წარმოადგენს ცვალებადობის კოეფიციენტს (the coefficient of variation) და აღინიშნება V_x -ით, რომელიც დისტრიბუციის მესამე სტატისტიკური მახასიათებელია, ხოლო $V_m = \frac{\sigma_x/\sqrt{N}}{M_x}$. თუ გამოვიყენებთ იმას, რომ

$$V_x = \frac{\sigma_x}{M_x}, \text{ შევიძლია დავწეროთ } V_m = \frac{V_x}{\sqrt{N}}.$$

განვიხილავთ კიდევ ერთ K^* მახასიათებელს, რომელიც იულის K მახასიათებლის პერდანიხეულ მოდიფიკაციას წარმოადგენს⁴.

$$\begin{aligned} K^* &= V_x^2/N = \frac{\sigma_x^2/N}{M_x^2} = \frac{\sum f_x x^2/N^2 - M_x^2/N}{M_x^2} = \\ &= \frac{\sum f_x x^2/N^2}{[\sum f_x x/N]^2} - \frac{1}{N} = \frac{\sum f_x x^2}{[\sum f_x x]^2} - \frac{1}{N} \end{aligned}$$

თუ N -ის მნიშვნელობა დიდია, $\frac{1}{N}$ შეიძლება უგულვებელყოთ და თუ $\sum f_x x$ -ს აღვნიშნავთ S_1 -ით, ხოლო $\sum f_x x^2$ -ს აღვნიშნავთ S_2 , მაშინ

$$K^* = S_2/S_1^2$$

ამგვარად, ლექსიკის ძირითადი სტილოსტატისტიკური მახასიათებლებია M_x , σ_x , V_x , V_m და K^* . გარდა ამისა არსებობს სიტყვის ფარდობითი სიხშირე, სიტყვის გამოჩენის ალბათობა და სხვ.

ექსპერიმენტი I. ავიღეთ უ. შექსპირის „მეფე ლირი“ ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე⁵. სამივე ტექსტი სიტყვისიტყვივით ამოვწერეთ ბარათებზე — თითო ბარათზე თითო სიტყვა წიგნის გვერდის მინიშნებით. სიტყვად ჩავთვალეთ ასოთა ნებისმიერი მიმდევრობა, მოთავსებული ორ ხარვეზს შორის.

ინგლისურ ტექსტში ხშირად გვხვდებოდა ა) ასოჩავარდნილი სიტყვები (კეთილხმოვანების ან ლექსის მეტრის დაცვის მიზნით) ne'er, e'er, e'en, o'er, em და ა. შ., რომელთაც აღვადგენდით შესაბამისად, never, ever, over, even, them და ა. შ. ბ) შერწყმულ I'm; we'll; that's, that's, (was და ა. შ. გაეშლიდით შესაბამისად I am, we shall, that is, It was და ყოველი ლექსიკური ერთეული ცალკე გადაგვიქონდა ბარათზე, ასევე ვიქცეოდით თანდებულთა შემთხვევაში, მაგ., i'the — in the; o'the — of the (we'll go to supper i'the morning, გვ. 486; why he appears upon this call o'the trumpet, გვ. 517).

მასალის ამოწერისას სიტყვას უკეთდებოდა აღნიშვნა:

1. სემანტიკური ომონიმიის შემთხვევაში: მაგ., ქართ. კრეკს¹ (კბილებსა კრეკს) და კრეკს² (თმასა კრეკს); ინგლ. lear¹ (წართმევა. წაგლეჯა), lear² (ცრემლი); რუს. ут¹ (კავშირი „რომ“) და ут² (ნაცვალსახელი „რა“).

⁴ იხ. G. U. Jule, A statistical Study of Vocabulary, Cambridge, 1944. G. Herdan, A new derivation and interpretation of Jule's Characteristic K, Zamp., Zeitschrift für angewandte Mathematik und Physik, Vol. VI, № 4, 1955.

⁵ Shakespeare, King Lear, The Works of Shakespeare, vol. IV, Moscow, 1938, გვ. 431 — 524; ქართული თარგმანი უ. შექსპირი, ტრაგედიები, II, თბილისი, 1954, გვ. 485—717. რუსული თარგმანი Уильям Шекспир, Король Лир, перевод Б. Пастернака, Москва, 1965.

2. გრამატიკული ომონიმიის შემთხვევაში მაგ., ქართ. სიტყვა „მასწავლებელი“ ერთ შემთხვევაში არსებითი სახელია, ხოლო მეორე შემთხვევაში — სიტყვის მასწავლებელი — მიმღობაა; ინგლის. making შეიძლება იყოს Present Participle და შეიძლება იყოს Gerund-ი. პირველ შემთხვევაში იქნება to make ზმნის აწყო დროის მიმღობა, ხოლო მეორე შემთხვევაში ზმნის იხეთი უპირო ფორმა, რომელიც ქართულის საწყისს შეესაბამება „ეუბნება, წარმოება და ა. შ.“, ან კიდევ, III პირის მდებარეობით სქესის პირის ნაცვალსახელის she-ს ირიბი ბრუნვა her და იმავე სქესისა და პირის კუთვნილებით ნაცვალსახელი ერთმანეთის ომონიმებს წარმოადგენს; რუსულში გასარჩევია მიმღობა ზედსართავისაგან, მაგ.: *длестящий* „ონტექტის მიხედვით შეიძლება იყოს ან ზედსართავი სახელი, ან მიმღობა. გასარჩევია აგრეთვე ზმნიზება მიმღობისა და ზედსართავის პრედიკატული ფორმისაგან.

ამოწერილი მასალა დავალაგეთ ანბანზე. ბუნებრივია, რომ ბარათები, სადაც ამოწერილი იყო ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმები, ერთად მოხვდა. მასალის დაჯგუფებას ვახდენდით ეკვივალენტობის შემდეგ კრატერულუმების გათვალისწინებით:

I. თუ ორ ხარვეზს შორის ასოთა L მიმდევრობა ემთხვევა სხვა ორ ხარვეზს შორის ასოთა L' მიმდევრობას და თუ L არ არის L' ომონიმი, მაშინ $L=L'$ (ეს პირობა აუცილებელია ფორმაუცვლელი სიტყვებისათვის და საკმარისია ფორმაუცვალედი სიტყვებისათვის).

II. თუ ორ ხარვეზს შორის ასოთა L მიმდევრობა ნაწილობრივ ემთხვევა სხვა ორ ხარვეზს შორის არსებულ L' მიმდევრობას და თუ დაუმთხვეველი ასოები მიმოზრის (ფლექსია) აფიქსებია, მაშინ $L=L'$.

III. თუ ორ ხარვეზს შორის ასოთა L მიმდევრობა არ ემთხვევა სხვა ორ ხარვეზს შორის არსებულ ასოთა L' მიმდევრობას, მაგრამ თუ ისინი (L და L') ერთმანეთს ცვლიან მიმოზრის კატეგორიებში, მაშინ $L=L'$.

ქართულში მიმოზრის კატეგორიებია: ა) ზმნიათვის უღლების კატეგორიები: პირი, დრო, კილო, ჭრობა, აქტი, თანამდევრობა, ბ) სახელისათვის — ბრუნება. სახელისა და ზმნის რიცხვიც ამავე კატეგორიებში შეგვაქვს და ამდენად არ ვასხვავებთ მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმებს. ასევე ვიქცევით ინგლისური და რუსული მასალის დაჯგუფებისასაც.

მესამე პირობის თანახმად ერთად აითვალა ზმნათა შემდეგი ზონაცვლელ ფორმები ქართულისათვის:

ა) შენაცვლება მწკრივებში: ყოფნა: ვარ — ვიქნები — ვიყავ;

ქონება: მაქვს — მექნება;

ჯდომა: ზის — იჯდა;

სელა: ვალ — ვედ (ვიდ) — დი;

მბობა — თქმა; ვამბობ — ვიტყვი — ვთქვი;

უბნობა — თხრობა; ვეუბნები — ვეტყვი — ვუთხარ;

ხედვა — ნახვა, დანახვა; ვხედავ — ვნახავ, დავინახავ;

მიმაქვს — წავილებ, მივიტან;

ბ) შენაცვლება ასპექტში:

ძლევა — მიიქვამ;

სმა — დალევა.

გ) შენაცვლება რიცხვში (ობიექტური პირების რიცხვი):

მოკვლა—დახოცვა.

ცალ-ცალკე ავთვალეთ ზმნათა ისეთი მონაცვლე ფორმები, როგორცაა:

არის—გახლავს;

ხარ—ბრძანდები;

თქმა—ბრძანება;

მოსვლა—მობრძანება, წასვლა—წაბრძანება;

დაჯდომა—დაბრძანება;

მოსვლა—ხლება;

ქამა—მირთმევა;

წალება, მიტანა—მირთმევა.

ვინაიდან მეორე ფორმები იხმარება ზრდილობიანი და მორიდებული საუბრისას. ე. ი. ისინი ყოველთვის ვერ ჩაენაცვლებიან პირველ ფორმებს. მათი გაერთიანება დაუკარგავდა მოცემულ ენას ერთ-ერთ საინტერესო თავისებურებას.

ასევე არ გავატოლეთ ინგლისურში II პირის ნაცვალსახელის ფორმები you და thou, thee, რადგან მეორე იხმარება მხოლოდ ზეპირი ან პოეტური მეტყველებისას.

პირთა და ჩვენებითი ნაცვალსახელები სამივე ენაში ასე იქნა ათვლილი: I პირი პირდაპირი და ირიბი ბრუნვების, მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმები ერთად (ქართულისათვის მე, ჩემ—ჩვენ; რუს., я, меня, мне, мною, —мы, нас, нам, нами; ინგლ. I, me—we, us).

II პირის ნაცვალსახელები (ქართ. შენ—თქვენ; რუს. ты, тебя, тебе, тобой —вы, вас, вам, вами, ინგლ. you (ერთი ფორმაა მხოლოდ), III პირის ნაცვალსახელები (ქართ. ეს, ამან, ამას და ა. შ. ეგ—მაგან, მაგას, იგი—მან, მას და ა. შ. ის —იმან, იმას და ა. შ. ესენი—ამათ, ეგენი—მაგათ; ივინი—მათ, ისინი—იმათ; რუს., он, она, оно, его, ему, им, (о) нем, ей, ей, ею, (о) ней—они, их, им, ими, (о) них; ინგლ. he, him, she, her, it — they, them).

ასევე ერთად იქნა ათვლილი არასტანდარტულ ზმნათა ფორმები, მაგ., ინგლისურისათვის catch, caught; bear, bore, born; blind, bound; see, saw, seen; bite, bit; keep, kept; lay, laid; break, broke; sing, brought; think, thought და მრავალი სხვა.

არც ერთ ტექსტში არ ვითვალისწინებთ სიტყვის პოლისემიურობას. მოცემული სიტყვის ყველა შეხვედრილი მნიშვნელობა აითვლება ერთად.

ამგვარად, მივიღეთ სამი სიტყვარი — ქართული, ინგლისური და რუსული. ყოველ სიტყვარში თითოეულ სიტყვას უწერია მისი ზნარების რიცხვის მაჩვენებელი (სიხშირე).

ვინაიდან მოცემული სამი ტექსტიდან ერთი დედანს წარმოადგენს, ხოლო ორი მის თარგმანს ორ სხვა ენაზე, ამიტომ გვაქვს ერთი მთლიანი აზრობრივი ინფორმაცია, რომლის გადმოცემა ხდება ინგლისურ, ქართულსა და რუსულ ენებზე. ეს ინფორმაცია ინგლისურ ტექსტში 25471 სიტყვით გადმოიცემა, ქართულში 24040-ით, ხოლო რუსულში 19240 სიტყვით. თარგმანთა მოცულობის სიმცირე დედანთან შედარებით სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირად უნდა აიხსნას. მაგრამ ერთი მიზეზი, რომელიც საერთოა რუსული და ქართუ-

ლი ენისათვის არის ის, რომ ეს ენები ინგლისურასაგან განსხვავებით, არ სმარობენ ნაწევარს. დედანში ნაწევარი 1384-ჯერ გვხვდება (აქედან the—948-ჯერ, ხოლო a—436-ჯერ). თუ ინგლისური ტექსტის სიგრძეს შევავსიყვით ამ რიცხვით, მივიღებთ 24087, რაც რამდენადმე დაუახლოვდება ქართული თარგმანის სიგრძეს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ა) ინგლისურში სახელთა ბრუნვის ნიშნები მოშლილია და მათი ფუნქციები წინდებულების დახმარებით სრულდება, ბ) წინდებული ინგლისურში ცალკე სიტყვად დგას, მაშინ როცა, ქართულში შესაბამისი თანდებული უმეტესად ერწყმის სიტყვას და მასთან ერთად ერთ ერთეულად ათვლება, გ) ქართული ზმნა გაცილებით მეტ გრამატიკულ და აზრობრივ ინფორმაციას შეიცავს, კერძოდ, ქართულ ზმნაში გამოიხატება სუბიექტური და ობიექტური პირი, გვარი, კონტაქტი, გეზი, ორიენტაცია და სხვა, რაც ინგლისურში ცალკე მდგომი ნაცვალსახელებისა და წინდებულების საშუალებით ხდება. ყველაფერი ეს თავისთავად ზრდის ინგლისურ ტექსტს.

ვნახოთ, რა ვითარებაა პირის ნაცვალსახელთა გამოყენების მხრივ სამივე ენაში (ჩვენს მასალაზე). პირველი, მეორე, მესამე პირისა და მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელთა ხმარების საერთო მაჩვენებელია ინგლისურში 2751, ე. ი. ტექსტის 10,4%; ქართულში — 2273 (9,45%), რუსულში — 2246 (11,11%). თუ გავითვალისწინებთ ქართული ზმნის თავიებურებებს, განსხვავება ინგლისურ და ქართულ პირის ნაცვალსახელთა მაჩვენებლებს შორის მეტი უნდა ყოფილიყო. ის, რომ ი. მაჩაბლის თარგმანში პირის ნაცვალსახელთა ხმარების დიდი პროცენტი მივიღეთ, შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგით:

1. საკვლევი ტექსტი პიესას წარმოადგენს, ამიტომ საქმე გვაქვს მხოლოდ დიალოგებთან, სადაც მოსალოდნელია მიმართებები.

2. თარგმანი შეიძლება განიცდიდეს დედნის უშუალო გავლენას.

სანამ ამას დავადგენდეთ, უნდა გავარკვიოთ, როგორია ნაცვალსახელთა ხმარების პროცენტი იმავე თარგმნელის ორიგინალურ ნაწარმოებში: ა) მოთხრობაში, ბ) დიალოგებში.

როგორც ცნობილია, „მეფე ლირის“ ქართული თარგმანი ერთადერთი თარგმანია, რომელიც ერთად შეასრულეს ი. ჭავჭავაძემ და ი. მაჩაბელმა, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გამოკვლეულია ი. ჭავჭავაძის ორი ნაწარმოები: 1. „ოთარაანთ ქვრივი“ და „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“. ეს უკანასკნელი დიალოგებს წარმოადგენს.

„ოთარაანთ ქვრივი“ შეიცავს დაახლოებით 15457 სიტყვას. აქედან 244 პირის ნაცვალსახელია, ე. ი. ტექსტის 1.57%, რაც საკმაოდ ჩამოუვარდება თარგმანის მაჩვენებელს. ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა რეპლიკების სახით დაწერილ „გლეხთა განთავისუფლების სცენებში“. აქ მთელ სიტყვათა რაოდენობა 5 144-ია, სადაც 236 ნაცვალსახელია, ე. ი. 4,67%. რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ პირის ნაცვალსახელთა ხმარება თარგმანში ჭარბად ხდება. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ხელმწიფეო, მე არ მესმია ეს რა აშბავია, მხოლოდ მე ვგონებ. რომ... (გვ. 525).

2. მე ვიბრძვი ხოლმე არ მალონებს მე მის დაქარგვა, როდესაც შენი სიკეთე შენ წინ მიმოძღვება (გვ. 497).

3. მაგრამ შევედეთ ჩემო კარგო, ჭერედ შენ შედი, შენ დაბინავდი. შენ ლატაკო და უბინავო (გვ. 606).

4. რაიხდო წესია ჭერ მეკითხნა — ეინა ხარ შენა, და თუ შენს თავს ეკლავ დამალავდი. არ მებრძოლნა მე და მით თავიდან შენთან ბრძოლა მე ამეცდინა. მაგრამ მე აშას არ ვეკადრებ (გვ. 702).

თუ მოვიტანთ ამ მაგალითების შესატყვის ინგლისურ ნიმუშებს დედნიდან. დავრწმუნდებით, რომ პირთა ნაცვალსახელის ეს ხშირი ხმარება ყოველთვის დედნის გავლენით არ აიხსნება:

1. My lord, I know not what the matter is,
but, to my judgement (გვ. 445).

2. My life I never held but as a pawn
To wage against thine enemies nor fear to los it
They safety being the motive (გვ. 436).

3. But I'll go in.
In, boy, go first. You houseless poverty
Nay, get thee in.

4. In wisdom I should ask thy name,
But, since thy outside looks so fair and warlike (გვ. 517).

შეიძლება დავუშვათ ის ვარაუდიც, რომ ი. მაჩაბელი ლექსის გასამართავად იშველიებს პირთა ნაცვალსახელებს. ასეა თუ ისე, „მეფე ლირის“ ქართული თარგმანის (ი. მაჩაბლისა და ი. ქავჭავაძის მიერ შესრულებული) ერთ-ერთ სტილისტურ თავისებურებად პირთა ნაცვალსახელების ხშირი ხმარება ჩაითვლება.

კიდევ უფრო მაღალია პირთა ნაცვალსახელების მაჩვენებელი ბ. პასტერნაკის რუსულ თარგმანში. იგი დედნის მაჩვენებელსაც აღემატება. ინგლისურ და ქართულ ტექსტებთან შედარებით ბევრად უფრო ლაკონიურ ამ რუსულ ტექსტში პირთა ნაცვალსახელების პროცენტი მეტია, ე. ი. რუსული ტექსტის ლაკონიურობა ამ ნაცვალსახელთა შემცირების ხარჯზე არ შეიძლება მიღწეულიყო. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ საპირისპირო, რომ რუსული ტექსტის ლაპიდარობა სწორედ ნაცვალსახელთა ხმარების მეშვეობითაა. ეს შეიძლება მხოლოდ ვარაუდი იყოს. რადგან სათანადო დასკვნის გასაკეთებლად ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა სრულიად არ არის საკმარისი.

ქვემოთ მოვყავას ცხრილი, სადაც მოცემულია სამივე ტექსტში დაშვებულ სიტყვებისა და პირისა და კუთვნილების ნაცვალსახელთა გამოყენების რაოდენობრივი მახასიათებლები (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ტექსტი	დ.შმაჩე სიტყვები %	პირის ნაცვალ. სახელი %	კუთვნილებ. ნაცვალსახ.	პროცენტთა წამი	სიტყვათა მთელი რაოდენობა
ინგლისური	27,06	10,40	4,50	38,96	25471
ქართული	14,87	9,25	4,08	28,40	74040
რუსული	18,66	11,11	2,32	31,49	19240

პირველ ცხრილში მოცემული პროცენტული მაჩვენებლები, კარგად შესაბამება რა ამ სამი ენის სტრუქტურას, გვიჩვენებს მათ შორის განსხვავებას, სოლო შესაბამისი აბსოლუტური მაჩვენებლები ხსნის ტექსტების სიგრძე-სიმოკლის ერთ-ერთ მიზნს.

როგორც ზემოთაღ აღვნიშნეთ, ინგლისური ტექსტი ქართულ თარგმანზე უფრო გრძელია, მიუხედავად ამისა, ტექსტების შეპირისპირებითი კი-ბების რჩება შთაბეჭდილება, რომ ქართული თარგმანი უფრო გრძელია. ეს აზრია გამოთქმული გ. გაჩეჩილაძის ერთ-ერთ შენიშვნაშიც, სადაც ავტორს მოაქვს ინგლისური ფრაზა და მისი მაჩაბლისეული თარგმანი — „მე ხომ მხედავ, ბევრი მიღებ-მოღება არ ვიცი, რაც გულში მაქვს იმას პირდაპირ გეუბნები“. ეს გრძელი წინადადება დაჰახსიათებელია თარგმანისათვის, შენიშნავს გ. გაჩეჩილაძე, — დედანში მხოლოდ ეს წერია: „პირდაპირ გეუბნები“ (Chill be plain with you)⁹.

მსგავსი თარგმნის ნიმუშებია:

1. Out dunghill! (გვ. 506).

თარგმნილია: „დაიკარგე იქით მეთქი, შე ნეხვის გუდავ“ (გვ. 675).

2. Let go, slave, or thou diest (გვ. 506).

თარგმნილია: „იქით დაიკარგე მეთქი, შე უმსგავსოვ, თვარემ აქვე სულს გაფრთხობინებ“ (გვ. 675) და სხვ.

საკითხის უფრო ზუსტი შესწავლისათვის ავიღეთ პიესის პირველი მოქმედების პირველი სურათიდან 54 რეპლიკა და მისი შესაბამისი თარგმანები ქართულ და რუსულ ენაზე. დავადგინეთ ყოველი რეპლიკის სიგრძე და დამხმარე სიტყვათა რაოდენობა მასში (იხ. ცხრილი 2).

მეორე ცხრილიდან ჩანს. რომ თუ რეპლიკის სიგრძეს დაეკლებთ დამხმარე სიტყვათა რაოდენობას, 54 შემთხვევიდან 26 შემთხვევაში ქართული ტექსტი უფრო გრძელია, ხოლო 20 შემთხვევაში ინგლისური, დანარჩენ 8 შემთხვევაში ტოლია. თითქმის ყოველთვის რუსული ტექსტის რეპლიკები უფრო მცირეა ინგლისურ და ქართულ ნიმუშებთან შედარებით. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. Unhappy that I am, I cannot heave,

My heart into my mouth: I love your majesty

According to my bond; nor more nor less (გვ. 434).

ვამე ბედკრულს?! რა ვსთქვა? არ ძალუძო

ბაგეთა ჩემთა გული ჩემი ზე აღმობუქლონ.

მე თქვენ მიყვარხართ იაე, როგორც მე ეგ ვალად მღვეს.

მასზედ არც მეტად ხელმწიფეო. და არცა ნაკლებ (გვ. 493).

К несчастью, не умею

Высказываться вслух — Я вас люблю.

Как долг велит, — не больше и не меньше

2. Rent, on the life, no more (გვ. 436).

სუ! ხმა გაკმინდე, თუ გინდა, რომ სიკიცხლე შეგჩჩეს (გვ. 497).

Ты шутишь жизнью, Кент! (გვ. 13.)

⁹ უ. შექსპირი, ტრაგედია, II, შენიშვნა, გვ. 802.

№№	ინტოსუბრი	საუგარი	წინდებელი	კავშირი	ქართული	თანდებელი	კავშირი	რუსული I	წინდებელი	კავშირი	რუსული II	წინდებელი	კავშირი
1	8		1	1	11		1	11	1		11	1	1
2	13		1		11		1	10			12	2	
3	40		7	1	30		3	27	1		32	3	2
4	7				8			4			4		
5	22		3		20		2	17	2		20	2	1
6	4				6			4			4		
7	33		1	2	39	(2)	3	22	3		29	4	2
8	13		2		13			8			13		1
9	62		5	3	56	(3)	3	51	5		59	6	4
10	3				2			2			2		
11	11		1		9		1	10			9		
12	5		1		8	(1)		5			5	1	
13	10		1	1	7		1	7			11		2
14	5				7		1	4			5		
15	15	1	1	1	15		1	13			13	1	1
16	15	1		1	13		1	14	1		14	1	1
17	3	1	1	1	9		1	8	1		10		1
18	4				3			3	1		2		
19	4			1	1			4	1		4		1
20	15 ⁴	1	11	6	145	(7)	6	118	14	6	115	10	8
21	61	2	1	4	85	(4)	5	43	2	2	32	1	2
22	9			1	18		2	10		1	10	2	
23	47		2	2	40	(1)	3	36	2	1	35	4	
24	66	2	5	4	51	(4)	2	36	4	4	43	5	1
25	19			2	20		1	15	5	1	15	1	1
26	64	2	7	5	53	1(1)	2	53		3	49	2	5
27	3				2			2			2		
28	1				1			1			1		
29	1				2			1			1		
30	7		1		7			7	1		8		1
31	24		2		28	1(1)		17	1	1	20	2	1
32	14	1			13		1	11	1	2	10		
33	78			4	64	(2)	4	54	3	3	55	1	5
34	6		1		7			4		1	6	1	1
35	4				2			2			2		
36	5			1	5		1	6			6		1
37	6		1	1	5		1	5		1	6		1
38	96	6	13	8	60	(1)	4	58	3	7	74	2	3
39	3				2			2			2		
40	14 ⁶	7	10	8	138	3(2)	4	132	15	2	131	7	7
41	26		2		29	2		15	1	1	19	2	
42	10	2		1	5			8	1		5		
43	83	2	4	2	95	(1)	7	59	2	2	65	2	2
44	6		1		8		2	4			5		1
45	24	2		1	21			16	2		23	1	2
46	4			2	5	(1)		4		1	4	1	
47	14	1	1	1	12	(1)	1	9	1	1	9		
48	3		1		2			2			3		
49	10		1	1	10		1	7		1	11		1
50	9		1		5	(1)		5			5	1	
51	3				4		1	2			2		
52	31	2	1	2	33		3	19	1	1	21	1	1
53	106	3	6	3	80	3(1)	7	74	8	3	81	7	6
54	75	2	5	6	53		4	55	5	5	56	2	7

3. Sir, I love you more than words can wield the matter;
 Dearer than eyesight, space, and liberty;
 Beyond what can be valued, rich or rare;
 No less than life, with grace, health, beauty, honour;
 As much as child e'er loved, or father found;
 A love that makes breath poor, and speech unable;
 Beyond all manner of so much I love you (გვ. 433).

ბატონო ჩემო! მე მიყვარხართ ესდენ ძლიერად,
 რომ კაცთა ენას არა ძალუმს გამოთქმა მისი,
 თქვენ ჩემთვის მეტ-ხართ, ვიდრე თვალთა ჩემთა ნათელი,
 ვიდრე სამყაროს ჟამი, სივრცე, თავისუფლება
 თქვენ ჩემთვის მეტ-ხართ ყოველს მასზედ, რაც კი კაცთათვის
 ღირებულია, ძვირფასი და სანატრელია:
 და არა ნაკლებ ძვირფასი ხართ იმ სიცოცხლეზედ,
 რომელ სავსეა ნეტარებით, მშვენიერებით,
 ღიღებულებით, ღიღებით და სიტყბოებით!..
 მე თქვენ მიყვარხართ, ჰე მალალო ხელმწიფეე ჩემო,
 ისე რომ სხვა შეილს მამა თვისი არ ჰყვარებია!
 მოზღვავებულა სიყვარული თქვენი ჩემს გულში
 ესდენ. რომ ნიკი მეტყველების უქმადა მრჩება
 და ხმაც არ მომღვეს აღმოქმენად სიტყვათა ჩემთა (გვ. 491),

Моей любви не выразить словами
 Вы мне милей, чем воздух, свет очей,
 Ценней богатств и всех сокровищ мира,
 Здоровья, жизни, чести, красоты.
 Я вас люблю, как не любил дети
 Доныне никогда своих отцов,
 Язык немеет от такого чувства,
 И от него захватывает дух. (გვ. 9)

როგორც ვხედავთ, თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ დამხმარე სიტყვებს, ქართული თარგმანი უფრო ვრცელია დედანთან შედარებით. უმეტესად ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ განსხვავებულ სიტყვათა რაოდენობა. ე. ი. ლექსიკონი, ქართულ თარგმანს საგრძნობლად მეტი აქვს, ვიდრე დედანს. კერძოდ, ინგლისურ ტექსტში 3389 სიტყვაა განსხვავებული, ხოლო ქართულში — 4326, რაც იმას ნიშნავს, რომ დედნის ლექსიკა 937 ერთეულით უფრო ნაკლებია თარგმანთან შედარებით. ეს შედეგი ზემოთქმულის (თარგმნისას ტექსტის გავრცობის ტენდენცია) გარდა შეიძლება ორი სხვა მიზეზითაც აიხსნას:

- 1) სინონიმების გამოყენება,
- 2) ინგლისური და ქართული ზმნის წარმოქმნის კატეგორიათა გამოხატვის განსხვავებულობა.

სინონიმების გამოყენების თვალსაზრისით უნდა ითქვას, რომ მთარგმნელის ენისათვის ჩვეულებრივი მოვლენა ისეთი წყვილ-წყვილი სინონიმების ხმარება. როგორცაა რაყიფი—მოცილე (გვ. 480, 585); შეიკავა—შეიმაგრა; ამხანაგი—მეგობარი (გვ. 637, 764); თათბირი—ჩიგვა (გვ. 681, 685, 576, 523); ცხადი—ნათელი (გვ. 650, 510, 634, 688, 514, 682); ი. მაჩაბელი ხშირად სინონიმთა მთელი ჯგუფით სარგებლობს:

დარდი—ვაი—ვაება—ვაი-ვაგლახი—სევდა—ნაღველი—ჭირი—მწუხარება—ვაგლახი.

...უხლა იმის დარდი ვილას აქეს (გვ. 714).

ვაი შენ ჩემო თავო, მეფეს ვირი ზურგზედ აკიდეს (გვ. 532).

ჩემს გულში აწ ჰქრის ვაებისა მძაფრი გრიგალი (გვ. 605).

ნეტა ვით იტანთ ამისთანა ვაი-ვაგლახსა (გვ. 608).

ამდენს ვაგლახსა, უზმობას ველარ მოვითმენ (გვ. 520).

...ამ სევდამა შეარყია ჩემი გონებაც (გვ. 615).

ოი, რა რიგად მომადგა მე ყელში ნაღველი (გვ. 574).

ნუ მოაგონებთ, რაც მას ჭირნი გარდახედია (გვ. 684).

და უღრტვინველად მწუხარებას ჩენსას მიეცნეთ (გვ. 614).

მაცდური (გვ. 673) -- ეშმაკი (გვ. 620, 611, 607 და სხვა) -- სატანა (გვ. 538, 646) -- ტარტაროზი (გვ. 646, 532) ჭაჭი (გვ. 589) -- მავნე (გვ. 548).

ფინთი (გვ. 579) — ცული (გვ. 643, 676 და სხვა) --- უხეირო (გვ. 675, 511) — გლახა (გვ. 559, 513) — ავი (გვ. 537, 542 და სხვა) არამი (გვ. 512, 649) — უმსგავსო (გვ. 675).

გულმრუდე (553, 599) — გულმურტალი (გვ. 515, 628) — გულქვა (გვ. 538, 706 და სხვა) — გულძალი (გვ. 652) — გულღვარძლი (გვ. 500, 608) — გულმოთხრილი (გვ. 567 და სხვა).

ხშირად მთარგმნელი ღედნის ერთ სიტყვას სხვადასხვა სინონიმებით თარგმნის, რაც ცხადია, ზრდის განსხვავებულ სიტყვათა რაოდენობას. მაგ.:

1. ...Not to a rage: pittance and sorrow strove (გვ. 496).

ითარგმნა: თმენა სევდასა სთავაზობდა და სევდა თმენას (გვ. 650).

2. O, how this mother swells up toward my heart!

Hysterica passio,—down, thow climbing sorrow

(გვ. 466).

ითარგმნა: ოი, რა რიგად მომადგა მე ყელში ნაღველი,

ეშმაკეულნო საღმობანო წარვედით ჩემგან

და შენც ნაღველავ ყელსმომდგარო ძირსვე დაეშვი (გვ. 574).

ან კიდევ: 1. Come not in here, nuncle here's a spirit (გვ. 479).

ითარგმნა: ბიძია, ბიძია, აქ ნუ შემოხვალ, აქ ეშმაკი მჭდარა

2. Let not my worse spirit tempt me again (გვ. 505).

ითარგმნა: მხოლოდ მაცდურის მაცდურება ამაცილეთ მე (გვ. 673).

სინონიმების მთელი ჯგუფი — მაცდური, ეშმაკი, სატანა, ტარტაროზი, მავნე, ჭაჭი — შეესაბამება უმეტესად ღედნის სამ სიტყვას — devil, spirit, fiend.

ზმნის კატეგორიათა გამოხატვის თვალსაზრისით შემდეგი უნდა აღვნიშნოთ: ქართულ ზმნას ამ კატეგორიათა გამოხატვა შეუძლია „თავის თავში“, იგი ბევრად უფრო მოქნილია, ვიდრე ინგლისური ზმნა, რომელიც მხოლოდ დამხმარე საშუალებებით (ნაცვალსახელი, წინდებული) აღწევს იმის გამოხატვას, რასაც ქართული ზმნა გამოხატავს დამოუკიდებლად, ერთი სალექსიკონო ერთეულის ფარგლებში. ცხადია, ინგლისურ ენაში ერთი ფუძის ზმნა ერთი და იგივე რჩება, მაშინ როცა, ქართულში წარმოქმნის ყოველი კატეგორიის გამოხატვა ზმნაში ჩვენი ლექსიკონის ახალ ერთეულს გვაძლევს, მაგ., სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულებია:

1. ა გ ო ნ დ ე ბ ა — ა გ ო ნ ე ბ ს:

აგონდება, რომ ავგულად მას იგი მოექცა (გვ. 652).

ეგ ტანთსაცმელი შენი ავთა დღეთა შაგონებს (გვ. 678).

2. კ ა მ ს — ა კ მ ე ს:

გამვლელ-გამომვლელს პურს ვისთხოვდი, იმას ვაჭმევდი (გვ. 705).

ურემს ვერ ვზიდავ, შერიას ვერ ვსჯამ, შესაძლოს კი ვიქმ (გვ. 695).

3. ჯ ე რ ა — ა ჯ რ ე ბ ს:

როგორ თუ ჯჭერა? ერთი კარგად გამაგებინე (გვ. 580).

ეგ მაჭერებს და მიკლავს გულსა (გვ. 666).

4. ა დ ი ს — ა ს დ ი ს:

ა.ს.ა. ავედიო, კლდის წვერზე ვართ (გვ. 659).

...რომ თქვეჩც და ჩვენცა სამსახური მათი თავს აგვდის (გვ. 587).

ხ დ ი ს — ხ დ ე ბ ა — უ ხ დ ე ბ ა:

...(სილატაე) რომ აღამიანს—ამ ლეთის კერძოს—სრულად მხეცად ხდის (გვ. 570).

ქვეა რომ ძნელი მოსავლელი გაუხდათ,

პამპულათ და მამიუნათ ხდებიან (გვ. 532).

ზმნისწინების დართვით ქართული ზმნა კარგად ახერხებს წარმოქმნის ისეთი კატეგორიების გამოხატვას, როგორცაა გეზი და ორიენტაცია, მაგ., ზმნა დი-ს.

დი-ს (გვ. 634, 551, 686)—ა-დი-ს (გვ. 659)—გა-დი-ს (გვ. 691, 648)—მი-დი-ს (გვ. 683, 665, 704...)—მო-დი-ს (გვ. 690, 706), შემო-დი-ს (გვ. 635, 642), ამო-დი-ს (გვ. 578) — გამო-დი-ს (გვ. 687, 617) — შე-დი-ს (გვ. 615, 512).

ეს ზმნები ძირითადად წარმოადგენენ *to go*-ს სათარგმნ ერთეულებს:

Fool goes in — ხუმარა შედის ქოხში (გვ. 606).

As they are going out enter Edgar disguised — ვიდრე ისინი გამოვიდოდნენ, შემოდის გადაცმული ედგარი (გვ. 511).

ქართულში ყველა ზემოდასახელებული ზმნა ცალკე ერთეულად აითვლება, ხოლო ინგლისურში კი ერთ ერთეულად, ოღონდ წინდებულები აითვლება ცალკე.

exit ითარგმნება, როგორც „გადის“ და როგორც „გამოდის“; *enter* ითარგმნება როგორც „შედის“ და როგორც „შემოდის“. ცხადია, ეს ზრდის განსხვავებულ სიტყვათა რაოდენობას ქართულ ტექსტში.

ორივე ზემოვანხილულ შემთხვევაში, იქნება ეს სინონიმების ხმარება, თუ ქართული ზმნის თავისებურების გავლენა, ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის სხვაობა უნდა გვქონდეს მხოლოდ განსხვავებული სიტყვე-

ბის რაოდენობაში, ტექსტის სიგრძეზე შეიძლება იმოქმედოს მხოლოდ თარგმანის გავრცობამ, რაც თავის მხრივ, ასახვას პოულობს ლექსიკონში.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული თარგმანი რამდენადმე სიტყვაპარბი⁷ დედანთან შედარებით, და ეს სიტყვებ არის სწორედ სტილისტური მახასიათებელი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ გავითვალისწინებდით ორივე ენის თავისებურებებს, ქართული ტექსტი უფრო მოკლე უნდა გამოხულიყო.

საპირისპიროდ, რუსული თარგმანი, შესრულებული ბ. პასტერნაკის მიერ, ბევრად უფრო მოკლეა, როგორც დედანზე, ისე ქართულ თარგმანზე. განსხვავებული სიტყვების რაოდენობის მიხედვით კი იგა ბევრად აღმატება ინგლისურსა და ცოტათი ჩამორჩება ქართულ ტექსტს. სტილისტიკა თუ ენობრივი რუსული ტექსტის სიმოკლე დედანთან შედარებით, ამის შესახებ ლაპარაკი გვექნება შემდგომ, როცა ბ. პასტერნაკის თარგმანთან შეპირისპირებით განვიხილავთ ტ. შჩეკინა-კუპერნიკის მიერ შესრულებულ თარგმანსაც.

ქვემოთ მოგვყავს ცხრილი (3), სადაც მოცემულია ქართული, ინგლისური და რუსული ტექსტების სიგრძის, ლექსიკონის ზომისა და სიმდიდრის და სხვა გამოთვლილი მახასიათებლები, რომლებიც მიღებულია სტილოსტატიკაში (იხ. ზემოთ).

ცხრილი 3

ტექსტი	$\sum f_x x$	$\sum f_x$	M_x	σ_x	V_x	V_m	V'_m	K	$1/\sum f_x$	$(\sum f_x x)^2$	$\sum f_x x^2$
ქართ.	24040	4326	5,56	31,42	5,65	0,0842	0,007099	0,00733	0,00023	57792100	4239381
ქართ.* ⁸	25091	4338	5,65	31,90	5,64	0,0856	0,007327	0,00696	0,00023	629558281	4383760
ინგლ.	25471	3389	7,51	41,35	5,50	0,0945	0,00893	0,00880	0,00029	648771841	5755553
რუსული	19240	4161	4,62	27,69	5,99	0,0716	0,00513	0,00850	0,00024	370177600	3174684

როგორც ვხედავთ, განსხვავებულ სიტყვათა აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით პირველი ადგილი ქართულს უჭირავს, მეორე — რუსულს, მესამე — ინგლისურს. მაგრამ მართო აბსოლუტური მაჩვენებლებით ვერ შეფასდება ამა თუ იმ ტექსტის ლექსიკური სიმდიდრე. საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ტექსტის სიგრძეც. ე. ი. უნდა გამოითვლოს განსხვავებულ სიტყვათა რელატიური მაჩვენებელი: ქართლისათვის იგი უდრის 0,1799 (0,1728*), ინგლისურისათვის — 0,1330, ხოლო რუსულისათვის — 0,2162. თუ ტექსტებს დავალაგებთ ლექსიკის სიმდიდრის მიხედვით, მაშინ M_x შესაბამისად უდრის რუსული ტექსტისათვის 4,62, ქართულისათვის — 5,56 (5,65*), ხოლო ინგლისურისათვის — 7,51.

⁷ „სიტყვაპარბი“ არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ტექსტი უფრო გრძელია მთლიანად, არამედ იმას, რომ თარგმანში მეტი სალექსიკონო ერთეულია გამოყენებული, ვიდრე დედანში.

⁸ ეარსკვლევიან სტატისტიკაში მოცემულია იმავე ქართული ტექსტის მაჩვენებლები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ტექსტის სიგრძე და შესაბამისად ლექსიკონის ზომაც გაზრდილია სიტყვაში შეზრდილი თანდებულებისა და „ვარ“ მეშველი ზმნის შესამე პირის -ა-ს ცალკე გადათვლით. შემდგომად, ყურად ცხრილში, ეარსკვლევიანი მაჩვენებელი იმის აღმნიშვნელია, რომ ზისი გამოთვლა მოხდა „გ.ზრდილი“ ტექსტის მონაცემებიდან.

ვინაიდან ქართულ და რუსულ თარგმანთა ლექსიკა საგრძნობლად მდიდარია დედნის ლექსიკონთან შედარებით, ტექსტის სიგრძე კი პირიქით, ინგლისურისა მეტია, საინტერესოა, როგორ ხდება სიხშირეთა განაწილება ამ ტექსტებში. თვალსაჩინოებისათვის მოგვაქვს სიხშირეთა განაწილების ცხრილები (4, 5, 6, 7).

ქართული ტექსტი

ცხრილი 4

x	f _x	x	f _x	x	f _x	x	f _x	x	f _x
1	2469	24	8	48	3	89	2	512	1
2	654	25	2	50	2	91	1	519	1
3	306	26	6	51	1	93	1	614	1
4	189	27	8	54	1	99	1	693	1
5	122	28	4	55	1	100	3	991	1
6	85	29	5	56	3	112	2		
7	62	30	3	58	1	115	1		
8	60	31	3	60	1	119	1		
9	35	32	4	61	2	122	2		
10	33	33	4	62	1	123	1		
11	18	34	1	63	3	127	1		
12	25	35	3	64	1	131	1		
13	16	36	3	66	2	149	1		
14	21	37	4	69	2	158	1		
15	8	38	3	70	1	180	1		
16	18	39	3	71	1	183	1		
17	12	40	4	74	1	223	1		
18	12	41	3	76	1	321	1		
19	3	42	5	77	2	371	1		
20	8	43	2	79	1	387	1		
21	3	45	1	83	1	389	1		
22	9	46	2	87	2	429	1		
23	5	47	3	88	1	463	1		

ქართული ტექსტი*

ცხრილი 5

x	f _x	x	f _x	x	f _x	x	f _x	x	f _x
1	2469	25	2	50	2	91	1	463	1
2	654	26	6	51	1	93	1	512	1
3	307	27	8	54	1	99	1	614	1
4	189	28	4	55	1	100	3	693	1
5	122	29	5	56	3	112	2	722	1
6	86	30	3	58	1	115	1	991	1
7	64	31	3	60	1	117	1		
8	60	32	4	61	2	119	1		
9	35	33	4	62	1	122	2		
10	33	34	1	63	3	123	1		
11	18	35	3	64	1	127	1		
12	25	36	3	66	3	131	1		
13	17	37	4	69	2	149	1		
14	21	38	3	70	1	158	1		
15	8	39	3	71	1	180	1		
16	18	40	4	72	1	183	1		
17	12	41	3	74	1	223	1		
18	12	42	5	76	1	224	1		
19	3	43	2	77	2	260	1		
20	8	45	1	79	1	321	1		
21	3	46	2	83	1	371	1		
22	9	47	3	87	2	387	1		
23	5	48	3	88	1	389	1		
24	9	49	1	89	2	429	1		

ინგლისური ტექსტი

ცხრილი 6

x	f _x	x	f _x	x	f _x	x	f _x	x	f _x
1	1933	25	6	54	2	100	1	340	1
2	483	26	3	56	1	102	2	354	1
3	226	27	5	59	2	103	1	436	1
4	131	28	6	63	3	108	1	451	1
5	92	29	2	64	1	110	1	454	1
6	66	30	6	65	2	116	1	472	1
7	62	31	3	67	3	118	1	688	1
8	36	32	2	68	2	122	1	774	1
9	33	33	4	69	1	129	1	948	1
10	30	34	4	70	1	130	1	976	1
11	22	35	2	74	1	138	1	984	1
12	16	37	6	75	1	143	1		
13	14	39	1	76	1	157	1		
14	15	40	1	77	1	190	1		
15	17	41	1	79	2	199	2		
16	10	42	1	80	1	200	1		
17	11	46	2	81	3	226	1		
18	10	47	4	82	1	227	1		
19	4	48	1	83	1	247	1		
20	7	49	5	84	2	255	1		
21	8	50	1	87	1	264	1		
22	7	51	2	93	1	265	1		
23	5	52	1	94	3	316	1		
24	8	53	2	96	1	337	1		

რუსული ტექსტი

ცხრილი 7

x	f _x	x	f _x	x	f _x	x	f _x
1	2578	24	7	56	2	154	1
2	619	25	1	57	3	165	1
3	269	26	5	58	3	167	1
4	165	27	2	60	2	173	1
5	85	28	7	62	1	205	1
6	78	29	6	63	2	227	1
7	47	30	5	66	2	283	1
8	42	31	1	70	1	287	1
9	29	32	3	75	1	479	1
10	22	33	3	76	1	514	1
11	21	35	4	78	4	618	1
12	13	36	3	79	1	634	1
13	8	37	6	81	1	730	1
14	13	41	1	83	1	898	1
15	10	42	1	86	2		
16	11	43	2	90	1		
17	5	45	1	91	1		
18	8	46	2	93	1		
19	4	47	1	94	1		
20	7	48	1	101	2		
21	5	49	1	118	1		
22	5	51	1	119	1		
23	2	55	1	128	1		

ამ ცხრილების განხილვა გვიჩვენებს, რომ ქართულში (თარგმანის ტექსტი) 97 სხვადასხვა სიხშირე ნაწილდება, ინგლისურში — 107, ხოლო რუსულში — 83 და რომ ამათგან 5 უმაღლესი სიხშირის სიტყვა ქართულისათვის მოიცავს მთელი ტექსტის 13,8%-ს (14, 1%*), ინგლისური-

სათვის—17,1%, ხოლო რუსულსათვის—17,6%, უმაღლესი სიხშირის 15 სიტყვა ქართული ტექსტის 26,75% (27,0%)-ია, ინგლისურის—31,6%, ხოლო რუსულსა—24,2%, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ტექსტია ლექსიკის დანარჩენი 4311 სიტყვა ფარავს ტექსტის სიგრძის 73,25%, რუსული ტექსტის დანარჩენი 4146 სიტყვა შეადგენს მთელი ტექსტის 75,8%, ინგლისურის 3374 სიტყვა — 68.4%. ეს თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ უფრო მაღალი სიხშირის სიტყვები გვხვდება ინგლისურში, შემდეგ ქართულსა და ბოლოს რუსულში. ამის დამამტკიცებელია აგრეთვე შემდეგი დაკვირვება: თუ ავიღებთ სამივე ტექსტისათვის 50 უხშირეს სიტყვასა და სიხშირის სიმაღლის მიხედვით განვალაგებთ, მივიღებთ, რომ პირველ ადგილზე ინგლისური ტექსტისათვის 984-ია, ქართულისათვის—991, რუსულსათვის — 898, 25-ე ადგილზე ინგლისურისათვის — 138, ქართულისათვის — 99, რუსულსათვის 81, ხოლო ბოლო ადგილზე — ინგლისურისათვის 70-ია, ქართულისათვის — 50 და რუსულსათვის — 35.

ყველაზე დაბალი სიხშირის ($x=1$) სიტყვების რაოდენობა ქართული თარგმანისათვის მთელი სიტყვების 10,27% (9,83%), რუსულის — 13,4%, ინგლისურის — 7,5%-ია.

თუ f_x -ის მნიშვნელობებს მე-4, 6, 7 ცხრილებში აღვნიშნავთ Z-ით და ახლა მათ განაწილებას შევისწავლით, მივიღებთ მე-8 ცხრილს, რომლის გან-

ცხრილი 8

Z	ქართული f_z	ინგლისურში f_z	რუსული f_z	Z	ქართული f_z	ინგლისურში f_z	რუსული f_z
1	40	55	38	35	1	—	—
2	12	13	10	36	—	1	—
3	14	6	5	42	—	—	1
4	5	4	3	47	—	—	1
5	3	3	5	60	1	—	—
6	1	4	2	62	1	1	—
7	—	2	3	66	—	1	—
8	4	2	2	78	—	—	1
9	1	—	—	85	1	—	1
10	—	2	1	92	—	1	—
11	—	1	1	122	1	—	—
12	2	—	—	131	—	1	—
13	—	—	2	165	—	—	1
14	—	1	—	189	1	—	—
15	—	1	—	226	—	1	—
16	1	1	—	269	—	—	1
17	—	1	—	366	1	—	—
18	2	—	—	354	1	—	—
21	1	—	1	483	—	1	—
22	—	1	1	619	—	—	1
25	1	—	—	1933	—	1	—
29	—	—	1	2469	1	—	—
30	—	1	—	2578	—	—	1
33	1	1	—				

ხილვა გვიჩვენებს, რომ Z-სა და f_z -ს შორის ისეთივე დამოკიდებულება არსებობს, რაც X-სა და f_x -ს შორის. კერძოდ, რაც უფრო მცირეა Z, მით უფრო დიდია f_z , ხოლო, რაც უფრო დიდია f_z მოცემული ტექსტებისათვის Z-ის ერთი და იმავე მნიშვნელობისათვის, მით უფრო ნაკლებია განსხვავებულ სიტყვათა რაოდენობა ამ ტექსტში დანარჩენ ტექსტებთან შედარებით.

მე-9, 10, 11 და 12 ცხრილებში მოცემულია ფარდობითი სიხშირეები თითოეულ ტექსტში x-ის ყველა შეხვედრილი მნიშვნელობისათვის.

ქართული ტექსტი

ტ ბ რ ი ლ ი 9

სისშირე X	ფარდობითი სისშირე X/Δf _x X	სისშირე X	ფარდობითი სისშირე X/Δf _x X	სისშირე X	ფარდობითი სისშირე X/Δf _x X	სისშირე X	ფარდობითი სისშირე X/Δf _x X
1	0,0004159	27	0,0011231	58	0,00241222	123	0,00511557
2	0,00008318	28	0,0011645	60	0,0024954	127	0,005282
3	0,0001248	29	0,001206	61	0,00253699	131	0,005448
4	0,0001663	30	0,0012477	62	0,00257858	149	0,0061969
5	0,0002079	31	0,0012892	63	0,00262017	158	0,0065712
6	0,0002495	32	0,0013308	64	0,00266176	180	0,0074862
7	0,0002911	33	0,0013724	66	0,00274494	183	0,00761097
8	0,0003327	34	0,00141406	69	0,00286971	223	0,0092745
9	0,0003743	35	0,00145565	70	0,00291130	321	0,01335039
10	0,0004159	36	0,00149724	71	0,00295289	371	0,01542989
11	0,0004575	37	0,00153883	74	0,00307766	387	0,01609533
12	0,0004991	38	0,00158042	76	0,00316084	389	0,01617851
13	0,0005406	39	0,00162201	77	0,00320243	429	0,01784211
14	0,0005822	40	0,0016636	79	0,00328561	463	0,01925617
15	0,0006238	41	0,00170519	83	0,00345197	512	0,02129408
16	0,0006654	42	0,00174678	87	0,00361833	519	0,02158521
17	0,0007070	43	0,00178837	88	0,00370151	614	0,02553626
18	0,0007486	45	0,00187155	89	0,00386787	693	0,02882167
19	0,0007902	46	0,00191314	91	0,00394921	991	0,04121569
20	0,0008318	47	0,00195473	93	0,00386787		
21	0,0008734	48	0,00199632	99	0,00411741		
22	0,0009150	50	0,0020795	100	0,004159		
23	0,0009565	51	0,00212109	112	0,0046580		
24	0,0009981	54	0,0022458	115	0,0047828		
25	0,001039	55	0,00228745	119	0,00492921		
26	0,001081	56	0,00232904	122	0,00507398		

ქართული ტექსტი*

ტ ბ რ ი ლ ი '10

სისშირე X	ფარდობითი სისშირე X/Δf _x X	სისშირე X	ფარდობითი სისშირე X/Δf _x X	სისშირე X	ფარდობითი სისშირე X/Δf _x X	სისშირე X	ფარდობითი სისშირე X/Δf _x X
1	0,00003987	27	0,00107649	56	0,00223272	117	0,00466479
2	0,00007974	28	0,00111636	58	0,00231246	119	0,00474453
3	0,00011961	29	0,0011562	60	0,00239220	122	0,00484414
4	0,00015948	30	0,0011961	61	0,00243207	123	0,00490401
5	0,00019935	31	0,00123597	62	0,00247194	127	0,00506349
6	0,00023922	32	0,00127584	63	0,00251181	131	0,0052229
7	0,00027909	33	0,00131571	64	0,00255168	149	0,00594063
8	0,00031896	34	0,00135558	66	0,00263142	158	0,0062994
9	0,00035883	35	0,00139545	69	0,00275103	180	0,0071766
10	0,0003987	36	0,00143532	70	0,0027909	183	0,0072962
11	0,00043857	37	0,00147519	71	0,00283077	223	0,0089101
12	0,00047844	38	0,00151506	72	0,00287064	224	0,0089308
13	0,00051831	39	0,00155493	74	0,00295038	260	0,0103662
14	0,00055818	40	0,00159480	76	0,00303012	321	0,0127982
15	0,00059805	41	0,00163467	77	0,00305889	371	0,0147917
16	0,00063792	42	0,00167454	79	0,00313883	387	0,01542969
17	0,00067779	43	0,00171441	83	0,00329321	389	0,01550943
18	0,00071766	45	0,00179415	87	0,00345759	429	0,01710423
19	0,00075753	46	0,00183402	88	0,00349746	463	0,01845981
20	0,0007974	47	0,00187389	89	0,00353733	512	0,02041344
21	0,00083727	48	0,00191376	91	0,00362817	614	0,0244802
22	0,00087714	49	0,00195363	93	0,00370791	693	0,0276259
23	0,00091701	50	0,0019935	99	0,0039471	722	0,02878614
24	0,00095688	51	0,0020334	100	0,003987	991	0,03951117
25	0,00099675	54	0,0021529	112	0,00446544		
26	0,00103662	55	0,0021928	115	0,00458505		

ინგლისური ტექსტი

ცხრილი 11

სისწორე X	ფარდობითი სისწორე $X/\sum f_x X$	სისწორე X	ფარდობითი სისწორე $X/\sum f_x X$	სისწორე X	ფარდობითი სისწორე $X/\sum f_x X$	სისწორე X	ფარდობითი სისწორე $X/\sum f_x X$
1	0,0003926	28	0,001099	67	0,002630	130	0,005104
2	0,0007852	29	0,001138	68	0,002669	138	0,005416
3	0,0011778	30	0,001178	69	0,002709	143	0,005614
4	0,0015704	31	0,001217	70	0,002748	157	0,006164
5	0,001963	32	0,001256	74	0,002905	150	0,007454
6	0,002355	33	0,001295	75	0,002944	159	0,007813
7	0,002748	34	0,001335	76	0,002984	200	0,007852
8	0,003141	35	0,001374	77	0,003023	226	0,008873
9	0,003533	37	0,001452	79	0,003101	227	0,008912
10	0,003926	39	0,001531	80	0,003141	247	0,009796
11	0,004318	40	0,001570	81	0,003180	255	0,01001
12	0,004711	41	0,001609	82	0,003219	264	0,01036
13	0,005104	42	0,001649	83	0,003258	265	0,01040
14	0,005496	46	0,001806	84	0,003298	316	0,01241
15	0,005889	47	0,001845	87	0,003315	337	0,01323
16	0,006281	48	0,001884	93	0,003651	340	0,01238
17	0,006674	49	0,001924	94	0,003690	354	0,01389
18	0,007067	50	0,001963	96	0,003769	436	0,01338
19	0,007459	51	0,002000	100	0,003926	451	0,01771
20	0,007852	52	0,002041	102	0,004004	454	0,01782
21	0,008244	53	0,002081	103	0,004045	472	0,01853
22	0,008637	54	0,002120	108	0,004240	688	0,02701
23	0,009030	56	0,002198	110	0,004318	774	0,03039
24	0,009422	59	0,002316	116	0,004554	948	0,03722
25	0,009815	63	0,002473	118	0,004632	976	0,03832
26	0,010210	64	0,002512	122	0,004789	984	0,03863
27	0,010600	65	0,002552	129	0,005064		

რუსული ტექსტი

ცხრილი 12

სისწორე X	ფარდობითი სისწორე $X/\sum f_x X$	სისწორე X	ფარდობითი სისწორე $X/\sum f_x X$	სისწორე X	ფარდობითი სისწორე $X/\sum f_x X$	სისწორე X	ფარდობითი სისწორე $X/\sum f_x X$
1	0,00005198	27	0,001403	66	0,003431	514	0,02672
2	0,0001039	28	0,001455	70	0,003638	618	0,03212
3	0,0001559	29	0,001507	75	0,003898	634	0,03295
4	0,0002079	30	0,001557	76	0,003950	720	0,03794
5	0,0002599	31	0,001611	78	0,004054	898	0,04668
6	0,0003119	32	0,001663	79	0,004106		
7	0,0003639	33	0,001715	81	0,004210		
8	0,0004158	35	0,001819	83	0,004314		
9	0,0004678	36	0,001871	86	0,004470		
10	0,0005198	37	0,001923	90	0,004678		
11	0,0005718	41	0,002131	91	0,004730		
12	0,0006237	42	0,002183	93	0,004834		
13	0,0006757	43	0,002235	94	0,004886		
14	0,0007277	45	0,002339	101	0,005250		
15	0,0007797	46	0,002391	118	0,006133		
16	0,0008316	47	0,002443	119	0,006156		
17	0,0008835	48	0,002495	128	0,006653		
18	0,0009355	49	0,002547	154	0,008005		
19	0,0009876	51	0,002651	165	0,008576		
20	0,001039	55	0,002859	167	0,008681		
21	0,001091	56	0,002911	173	0,008992		
22	0,001143	57	0,002963	205	0,010656		
23	0,001195	58	0,003015	227	0,011800		
24	0,001247	60	0,003119	283	0,014710		
25	0,001299	62	0,003223	287	0,01492		
26	0,001351	63	0,003275	479	0,02489		

ახლა შევადგინოთ უხშირეს სიტყვათა ლექსიკონები სისშირის 50 მაჩვენებლის მოცულობით (იხ. ცხრილები მე-13, 14, 15).

ცხრილი 13

№№	სიტყვა	სისშირე	ფარდობითი სისშირე	ფარდობითი სისშირე*
1	და (კავშირი)	991	0,041215	0,039511
2	ყოფნა (ზმნა)	519(722*)	0,021585	0,028786
3	მე, ჩემ, ჩვენ	693	0,028821	0,027629
4	შენ, თქვენ	614	0,025536	0,024480
5	ჩემი	512	0,021294	0,020413
6	რომ	463	0,019256	0,018459
7	იგი, მან (III პ. ნ.ეფალს.ს.)	429	0,017842	0,017104
8	არ	389	0,016178	0,015509
9	რა	371	0,015429	0,014791
10	ეს (ჩვენებ. ნაცვ.)	284	0,011813	0,011517
11	-ში (თანდ.)	260*		0,010366
12	-ზე (თანდ.)	224*		0,008931
13	ნაკრამ	183	0,007611	0,007296
14	შეხი	180	0,007486	0,007176
15	კი	158	0,006571	0,006299
16	თავი	149	0,006197	0,005940
17	ეგ (ჩვენებ. ნაცვ.)	132	0,005490	0,005256
18	წლობა (ზმნა)	131	0,005448	0,005223
19	არა	127	0,005282	0,005063
20	კაცი	123	0,005155	0,004904
21	აქ, გული	122	0,005073	0,004864
22	ის (ჩვენებ. ნაცვ.)	121	0,005030	0,004822
23	ვინ	119	0,004949	0,004744
24	-თვის (თანდ.)	117*		0,004665
25	სულმწიფე	115	0,004783	0,004585
26	1. თუ, 2. თქვენი	112	0,004658	0,004465
27	1. ჩვენი, 2. ერთი, 3. აქვს, კონია	100	0,004159	0,003987
28	მამა	99	0,004117	0,003947
29	ბატონი	93	0,003867	0,003708
30	რომელი	91	0,003784	0,003628
31	1. თქვა, ამბობს... 2. იცის	89	0,003701	0,003537
32	1. აძლევს, მისცა	88	0,003659	0,003497
33	1. ხელი, 2. თვალი	87	0,003618	0,003457
34	სულ-ეს, ნასა, დანახა	83	0,003452	0,003290
35	ესა	79	0,003285	0,003133
36	1. შეილი, 2. თავისი	77	0,003202	0,003059
37	მაშინ	76	0,003161	0,003030
38	უბნება, უოსრა, ეტყვის	74	0,003077	0,002950
39	-თან (თანდ.)	72*		0,002871
40	და (сездра)	71	0,002952	0,002831
41	გლოსტერი	70	0,002911	0,002791
42	წავიდა	69	0,002869	0,002751
43	1. კერ, 2. მეტი, 3.-დან (თანდ.)	66	0,002749	0,002631
44	გადის	64	0,002762	0,002551
45	1. ეღმუნდი, 2. ქალი	63	0,002620	0,002512
46	თით	62	0,002578	0,002472
47	1. ნუ, 2. მამ	61	0,002536	0,002432
48	კარგი	60	0,002495	0,002372
49	მწვე	58	0,002412	0,002312
50	1. ეგრე, 2. ისე, 3. თვითონ	56	0,004329	0,002233
51	მოდის	55	0,002287	0,002193
52	ხომ	54	0,002246	0,002153
53	ყოველი	51	0,002121	0,002033
54	1. ღმერთი, 2. სედავს	50	0,002079	0,001993

№№	სიტყვა	სიხშირე	ფარდობითი სიხშირე	№	სიტყვა	სიხშირე	ფარდობითი სიხშირე
1	I, me, we, us (I, მე, ვე, ჩვენ)	984	0,01363	26	will	130	0,000510
2	he, she, it, they, them	976	0,03832	27	but	129	0,000506
3	the	948	0,03722	28	to come	122	0,000478
4	to he	774	0,03039	29	our	118	0,000463
5	and	688	0,02701	30	as	116	0,000455
6	of	472	0,01853	31	to make	110	0,000431
7	you	454	0,01782	32	sir	108	0,000424
8	my	451	0,01771	33	lord	103	0,000404
9	a	436	0,02712	34	if	100	0,000392
10	that, those	354	0,01399	35	1. on, 2. all	102	0,000400
				36	man	96	0,000376
11	სა (წინდებელი)	340	0,01335		1. by 2. to		
12	thee, thou	337	0,01323	37	know, 3. to go	94	0,000369
13	in	316	0,01241	38	from	93	0,000365
14	this, these	265	0,01040	39	who	87	0,000341
15	not	264	0,01036	40	good	84	0,000329
16	for	255	0,01001	41	her (კუთვ. ნაცე.)	83	0,000325
17	shall	247	0,00969	42	o	82	0,000321
				43	1. enter. 2. let;		
18	to have	227	0,00891		3. which	81	0,000313
19	your	226	0,00887	44	how	80	0,000314
20	with	200	0,00785	45	to take	79	0,000310
21	1. to (ნაწილაკი), 2. his	199	0,00781	46	more	77	0,000302
22	to do	190	0,00745	47	now	76	0,000298
23	no	157	0,00616	48	there	75	0,000294
24	what	143	0,00561	49	here	74	0,000290
25	so	138	0,00541	50	when	70	0,000274

რუსული ტექსტი

№№	სიტყვა	სიხშირე	ფარდობითი სიხშირე	№№	სიტყვა	სიხშირე	ფარდობითი სიხშირე
				27	1. дать, 2. от, 3. твой		
1	я, мы (I, ჩვენ)	893	0,00668		4. чтобы	78	0,0004054
2	он, они (III პ. ნაცე.)	730	0,003794	28	отец	76	0,0003950
3	и	634	0,00295	29	король	75	0,0003895
4	ты, вы (II პ. ნაცე.)	618	0,00212	30	что, чем...	70	0,0003638
5	не	514	0,002672	31	1. и; 2. такой	66	0,0003431
6	в (во)	479	0,002439	32	1. Глостер; 2. себя	63	0,0003275
7	это	287	0,001492	33	который	62	0,0003223
8	с	283	0,001471	34	1. если, 2. о (წინდ.)	60	0,0003119
9	что (კავშირი)	227	0,001180	35	1. дочь; 2. звать; 3. по	58	0,0003014
10	на	205	0,0020656	36	1. входить; 2. сказать;		
11	как	173	0,0008592		3. когда	57	0,0002962
12	мои	147	0,0008681	37	1. да; 2. же (ж)	56	0,0002911
13	весь	145	0,0008576	38	сам	55	0,0002859
14	а	154	0,0008005	39	где	51	0,0002651
15	тот, та, те...	128	0,0006653	40	Кент	49	0,0002547
16	бы (ბ)	119	0,0006156	41	сестра	48	0,0002455
17	за	118	0,0006133	42	письмо	47	0,0002443
18	1. к, 2. кто	101	0,0005250	43	1. мочь; 2. Эдмонд	46	0,0002391
19	нет	94	0,0004886	44	Об)	45	0,0002339
20	во	93	0,0004834	45	глаз	43	0,0002235
21	свои	91	0,000473	46	наш	42	0,0002183
22	так	90	0,0004678	47	ни	41	0,0002131
				48			
23	быть	81	0,0004210		1. без, 2. ли; 3. Лир;		
24	1. по; 2. у	86	0,000417	49	4. милорд; 5. один; 6. еще	36	0,0001923
25	уходить	83	0,0004114	50	1. жизнь; 2. хотеть шут	37	0,0001871
26	ваш	79	0,0004106		1. другой; 2. рука; 3. надо;		
					4. государь	35	0,0001819

ამ ცხრილების განხილვა გვიჩვენებს, რომ მათ უდიდეს ნაწილს წარმოადგენს დამხმარე სიტყვები (კავშირი, ნაწილაკი, წინდებული, ნაწევარი), ნაცვალსახელები (პირის, კუთვნილების, ჩვენებითი) და ზმნიზებები. ხოლო ლექსიკონში მოხვედრილ ზმნათა და არსებობის სახელთა შესახებ უნდა ითქვას, რომ რისინი პროცენტულად ძალიან ცოტაა და მათი ხმარება გამოწვეულია:

1. ტექსტის (ორიგინალის) შინაარსით. ასეთებია:

ა) არსებითი სახელები: ხელმწიფე, ბატონო, მამა, შვილი, დაჟ, მცფე; sir, lord; отец, король, дочь, сестра, государь.

ბ) ზმნები: გაღის, მოღის, წავიდა, to go, to come, to enter; уходить, входить.

2. თითოეულ ენაში მათი ფუნქციონალური დატვირთვით (არის, აქვს, ამბობს, იცის; to be, to have, to know, to let; быть, знать, сказать, давать).

შენიშვნა: „ქონა“ ზმნა имеет რუსული ლექსიკონის უზშირეს სიტყვებში არ მოხვდა, რადგან წინადადებაში იგი, ჩვეულებრივ, გამოტოვებულია, ამავე მიზეზის გამო мыты ზმნის სინშირე ნაკლებია სხვა ენებში ანალოგიურ ზმნათა მაჩვენებლებზე: ქართულში „ყოფნა“ ზმნა 519 (722*)-ჯერ გვხვდება, ინგლისურში to be — 774-ია, ხოლო რუსულში — 81.

არსებით სახელთაგან აღსანიშნავია კაცი, the man.

შენიშვნა: რუსულში უნდა ყოფილიყო человек, მაგრამ ძის ხაცვლად უმეტესად ნაცვალსახელი იხმარება.

3. თარგმნის სტილის თავიებულებით. კერძოდ. ი. მაჩაბლიათეა და მასასათებელი იდიომათა ხმარება, რაც ზოგიერთი სიტყვის სინშირის მაჩვენებელს ზრდის; მაგალითისათვის ავიღოთ „გული“, „თვალი“ და „სელი“.

გ უ ლ ი:

გონი არ შემჩრა — მეც კაცი ვარ — გულზედ მოვედი (გვ. 574).

(საბრალო თოჰას) როცა ეშმაკი გულზედ მოიყვანს ხოლმე, თავებსა და ძალის მძოვრებსა სკამს (გვ. 612).

...გამახსენდა მე ჩემი შვილი, რომელზედაც მე ჰაშინ გული აყრილი მქონდა (გვ. 639).

მან გაგვიწვრილა ყველას გული, აბეზარსა ვართ (გვ. 520).

ცოტა ხანს გულით გადიყარეთ ეგ მწუხარება (გვ. 557).

აზეადა გული, ამოშიჯდა... ყელთ მომეძინა (გვ. 578).

გული კი გითხრობს, სიზმარი კი არ ავიხდება (გვ. 697).

ავად გავხდი მე... მე როგორღაც გული მელევა (გვ. 697).

თ ვ ა ლ ი: თვალს მოვაშორებ, თვარემ ლამის თვალი ამებას (გვ. 660).

ქალბატონო, თვალს ტყუილად ნუ გვიშვრები (გვ. 620).

იმ ხანში ხართ თქვენ, თქვენთვისა საჭირო არის სხვა გაბატონობდესთ, სხვა გივლიდესთ, თვალს გადევნებდესთ (გვ. 581).

თვალიც არ გიჭრის, უბედურო; რომ დაინახო (გვ. 645).

მე მაგის სახე, ერთის სიტყვით, თვალში არ მომდის (გვ. 563).

მცირე რამ ცოდვა კაცს ძონძებ ქვეშ თვალში ეცემა (გვ. 669).

ვინც სხვას მისცა თავის საზარდო, ქონება, ყველას ჩხირად თვალში გაეწონება (გვ. 534).

ხელი: თუ გნებავს მოდი, მე კი ხელი დამიბანია (გვ. 632).

მე შენ ბედს შეგყრი, თუ მაგ წერილს ხელში ჩამიგდებ (გვ. 657).

და თუ ისინი მაშინ ხელში ჩამიცივიან, ჩემგანა იმათს შეწყნარებას ნურვინ მოელის (გვ. 691).

ჩემს საქმეს თვითქმის თავის-თავად ხელი ეწყობა (გვ. 548).

შენ რა საქმე გაქვს, რა ხელი გაქვს, ვიციან თუ არა? (გვ. 703).

თუ გადუხდელად ამ ჩვენს მთავარს ესეე ჩაუვლის, მაშინ ხელს მიეყოფ და ყოველსფერს ბოროტს მეც ვიზამ (გვ. 634).

ოღონდ კი მართალი შევიტყო და უნდა ხელს ავიღებ ყველაფერზედ, რაც კი მახალია (გვ. 514).

ბედმა ხელი მოგიმართოთ თქვენ (გვ. 680).

მითხრეს რომ, თუ შენ თვითონ იმას ხელს გაუმართავ, მაშინ შენზედაც ჩვენს წყრომას საზღვარი არ ექნება (გვ. 603).

როგორ ბედავ, რომ ხელს აფარებ ავ მუხანათს! (გვ. 674).

...სხვა რაღა მინდა? მარტო ის, რომ მეც ხელი გავჭრა და არ დავყონდე... (გვ. 549).

მეთის წინ ხელის გამოღება რომ ვერ გავებდე, უფრო წაქეზდა, მომყო ხელი, დამიწყო ცემა (გვ. 565).

ექსპერიმენტი II. ცლის მიზანს წარმოადგენს გავარკვოთ:

1. რა მიმართება არსებობს მთელ საკვლევ ტექსტსა და მის ხაწილს შორის, უფრო ზუსტად, ერთგვაროვანია თუ არა სტატისტიკურად მთელი ტექსტი.

2. არის თუ არა სტილისტური განსხვავება ერთი და იმავე ტექსტის („მეფე ლირი“) ორ თარგმანს შორის, რომლებიც სხვადასხვა მთარგმნელებს ეკუთვნის.

